

119
1972/10



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული ბიბლიოთეკა

ბუნებისმეტყველება

5

1972

225

ენათობი

საქართველოს
საბჭოთა მწერლების
კავშირების

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლტიკური შუროსი

წელიწადი 48-ე

№ 5

მაისი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

პ ი ნ კ ე რ ს ი

ნურმან ლეხანიძე — ლექსები	3
ვახტანგ ჯაფარიძე — ლექსები	13
ალიო ადამია — დიდი და პატარა ეპიტიმონი. რომანი პირველი წიგნის დასასრული	16
გივი ბუთხუჩი — გალღობის გლოვა. მოთხრობა	50
ზურაბან ვამაჩაშვილი — მბალთავა მშფ. მოთხრობა	60

შაკტები, მოგონებანი

ვახტანგ გორგაძელი — ზღვის ერთი წვეთი	71
კლიმენტი გოგიაძე — მხოლოდ შეხვედრები	85
მიხეილ კახიკაძე — ას მრგვის დღე. გაგრძელება	98

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ზრიგოლ ზაბაძე — სოციალისტური წიგნის საბრძოლო თანამშრომლობა	119
რევაზ ჯაფარიძე — მისი მოხარბი	127
არჩილ ჩაჩიბაია — საბავშვო ლიტერატურის ახალი ფართო კორიფონები და მხატვრული ოსტატობის საკითხები	135
მ. დონაძე, მ. კილუჩაძე — ბარისის კომუნა და იმპროვიზირებული ქართული სა- ზოგადოებრიობა	144
მეთო ხაჩიაშვილი — დიმიტრი მარხაშვილი	156
ლამარა დოლონაძე — ახალი დგამის საკითხისათვის	165
იოსებ მთავრელიძე — სიხალეები კომპანოლოგიაში	171
ვახტანგ სილაგონია — ინჟანდარ მინი საქართველოს შესახებ	175





ანდრო მირიანაშვილი — ზღვა—მწიკლის შთაბოძების წყარო
მიხეილ ხაბიძე — „კალივალას“ ქართული თარგმანის გამო
წ. მუხველიძე — ქართული მიცენიერის საუბრაღღებო ნაშრომი

182
186
189

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალარბაძე

საკადავციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეგანიძე, ბ. ძლენტი, ა. სულაბაძე,
რი, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. მდივანი), ს. შანთაშვილი, დ. შანგელაძე, ვ. ვალუ-
კიძე, თ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ბეჭდვითი რ. ნაკვეთები

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბელაფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

დადგეცა ასაწყობად 27/111-72 წ., ხელმოწერა-
ლია დასაბეჭდად 25/IV-72 წ., ანაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო
თაბახი 12.

№ 01875 ტირაჟი 13.350. შეკვ. № 1165
საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



50 წ ე ღ ი ა

ორმოცდაათი წელია, არის ქროლა და ჭენება —
მაგ ქროლაშია
მშენება!

ომი, შიმშილი, უგრძესი, უგრძესი ღამის თენება —
თენებაშია
მშენება!

ტკბილ საქართველოს გულისთვის დაუცხრომელი შენება!
შენებაშია
მშენება!

დროდადრო ოაზისივით იელვებს ტურფა ჩვენება —
ჩვენებაშია
მშენება!

დავიღალეო, არ მითხრა, სულ-მუდამ ბრძოლა გენება! —
მაგ
ბრძოლაშია
მშენება!

• • •

შუბლში მახლადნენ ლომები ბამბუკს,
იყო ბუხუნი და შუბის ჩხეერა...
ოცი წლის ჭაბუკს, ოცი წლის ჭაბუკს
(ოცდაათის წინ!) მცოდნოდა წერა!
ახლა რას ვაქნევ ოსტატის ჩინს და
აწყობილ ჩანგს და მკვდრადშობილ ჟღერას!
რა გააცოცხლებს მოგონილ ვინს და
ვინ მოიგონებს იმ გულის-ძვერას!
მეგრამ დროდადრო ბრძნული და მტრული
მოხუცი გული იყვირებს: „ვერა!“..
გაიკორტნება ანაზღად გული
და ხორცის ნაჭრით მიფრინავს ძერა.
თუ ჩემი ძმა ხარ, არ გამოთქვა არსად,
ეს — მაშინ გესმის ხმატკბილი ჟღერა...
მე ხშირად ვკედლები — სიკვდილის ფასად
(როცა მოხუცდევ) განაგრძე წერა!



„მშვიდობით, ცოლო! მშვიდობით, შვილო!
 მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, კარო!
 მშვიდობით, ლხინო! მშვიდობით, ღვინო!
 მშვიდობით, პურო! მშვიდობით, წყალო!..“

ამას ამბობდა, ვინც მოკვდა ღღემდე, —
 ტახტზე წახდა თუ ომში კვდებოდა, —
 ამას იტყოდა, ვინც ვერ თქვა, მენდე,
 როგორც „ანს“ და „ბანს“, რომ შესძლებოდა.

გაზახფულია და წყალი — ხეში!..
 მაგრამ მოხდება, რაც სხვისთვის მოხდა,
 და ცელით ხელში, უსიერ ტყეში
 გაჩნდება იგი პოეტის ქოხთან...

„მშვიდობით, ცოლო! მშვიდობით, შვილო!
 მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, კარო!
 მშვიდობით, ლხინო! მშვიდობით, ღვინო!
 მშვიდობით, პურო! მშვიდობით, წყალო!“

მაგრამ სდექ, ძველო ჭალის წისქვილო!
 სდექ-მეთქი, სახამ არ არის გვიან!..
 ვაი, სირცხვილო! ვაი, სირცხვილო!
 რაც გინდა თქვი და, პოეტი ჰქვია!

რას დაუმატებს ათასჯერ ნათქვამს?!
 რას, რას გვიბარებს, ან ვისთვის კვდება?!
 რას დაუმატებს სიცოცხლეს — რადგან
 პოეტის ბედი სიკვდილით წყდება!..

და წამოიწევს პოეტი მაშინ
 და ჟურს ცქვეტს მაშინ ღვია და დეკა
 და შეჩერდება მზე წუთით ცაში
 და მაღლა ცაში ატყდება რეკა...

„მშვიდობით, ნისლო! მშვიდობით, ჯანლო!
 მშვიდობით, ძმებო! მშვიდობით, მტრებო!
 მშვიდობით, ჩემო მამაცო ხალხო!
 მშვიდობით, ჩემო ქორბუდა მთებო!
 მისახვედრებო, სულ მარტივებო —
 თქვენც, თქვენც მშვიდობით, ჩემო საწყლებო,
 თქვენ, აწ და მარად ტურფა ქვრივებო —
 დაქვრივებულო ჩემო ზრახვებო!



ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი —
 ბროლი, საბფირი, ვერცხლის ვაზები;
 მოწყენილ წარსულს ახლა კარი
 და მიიყუდა ცეცხლის თასები...

ქალაქში დადის კივილი რისხვის
 და შითქმა-შოთქმის ქრიან ქორები.
 ოპ, მარადია ყივილი სისხლის
 და წელის ნაევია ახლა ქორები!

როგორ არ ვწუხდე, რომ ფერი მიგდის, —
 დღითიდღე შეტად ხარ ფერმიხდილი, —
 რომ წლები გადის, რაც ნიშნავს სიკვდილს,
 და რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს სიკვდილი.

ასე მგონია, ოდესღაც, წინათ,
 (რომ არა ვმსხდარუართ!) ვისხედით გემში,
 რომ „ხეალებს“ გემშიც ვისხედით წყვილად —
 მე ამის რწმენა აღვზარდე ჩემში.

არის — უფორმო და სამუდამო!
 არის — უზორცო, მაგრამ მაღალი!
 არის — ზეილსვლა, აღსვლა უდაო!
 არის — გზა ცისკენ, მარად ახალი!..

და მაინც ვწუხვარ, რომ ფერი მიგდის, —
 დღითიდღე შეტად ხარ ფერმიხდილი, —
 რომ წლების გასვლა, ეს — ნიშნავს სიკვდილს
 და რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს სიკვდილი!

უზნღუპში. დიღით. ნუნს სეკეპუნს სემნი...

„არ გამაჩნია არაფერი!“ — ეს სთქვა მეჯღანემ.
 „ვარ ყარიბი და უბოყარი!“ — სთქვა ჩალვადარმა.
 „აწ მეც თქვენსაიეთ! — სთქვა ვაჭარმა, — რაილა დამრჩა?
 მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა ამოვებით,
 მეკობრეთ მცარცვეს, წავალ, ქამრით მოვიშთო თავი“...

„ამომავალ მზეს რომ ვუყურებთ, ცოტაა განა?“
 სთქვა მათხოვარმა, გაისწორა ბეჭებზე ფლასი,
 ამოიჩარა ილღიაში მურღალი ჯვალო

და გასწია

მზის საყურებლად...



აქ ქალს დაარქვეს შავი პანტერა —
 მოხაზულს უცხოელ, მკვრივსა და ნატიფს.
 კაცის ჯოგები გადამამტერა:
 უარი — ყველას! პოეტთან — დადის!

ჩვენ კი... ბეჯითად გავყურებთ ფილმებს,
 ვუღიმიით შურს და ქალების პუტუნს;
 ჩვენ — არაფერი! ან ვჭორავთ ვინმეს,
 ან ვფურცლავთ ბლოკს და ვაბოლებთ თუთუნს.

თოვლს მოჰყვა გრიპი ლიკანის ბაღში —
 ორი დღით ჩაწვა ჩემი პანტერა;
 ხეალ ერთად გავალთ პირნათლად ხალხში —
 ვრჩები რაინდად! ვრჩები ქართველად!

რაც გინდა თქვი და, მაინც კარგია —
 ეს ბღვერა შურით ანთებულ თვალთა,
 მუსიკა, ცეკვა, ხალხის მავია
 და შენ, პოეტო, მშვენიერ ქალთან!

* * *

რომ მოვმკვდარიყავ თბილისში აღრე,
 მე დამმარხავდნენ, ალბათ, ჩანგებით
 და წამიღებდნენ როგორმე, სადმე,
 როიალს რომ ჰგავს, კატაფალკებით.
 თეთრი ცხენებით, როგორც გედებით,
 ორკესტრებით და შავი ეტლებით,
 ოპ, თეატრს ჰგავდა გოგოლის ქუჩა
 თავის ცხედრებით და იმედებით.
 და ვიქნებოდი, ალბათ, ლამაზი,
 უფლისწულივით წყნარი და ღინჯი,
 თეთრი ყვავილის თეთრ აკლდამაში
 გრიმიორის და დალაქის ბიჭი.
 ვიცი, დამარხვა უფრო სანდოა,
 ვიდრე — ცეცხლში რომ ჩავიძახებენ...
 მაგრამ თბილისში ახლა სხვა დროა
 და კრემაციას ხალხში აქებენ.
 ოღონდ... მე სიკვდილს ვაპირებ სხვაგვარს
 და ინდუსივით მე ვერ დამწვავენ...
 ან დააღებენ ეს ლეში სანგარს
 ან ჩემი მტრები ძელზე გამსვამენ.

ქოშუბანი (პასიფიკისში)



პოეტის პაპა წასულა ომში, —
ახლა არ მკითხო, წასვლას რა რჯიდა, —
მთელი ევროპა უტოპავს თოვლში,
ბოლღარს ვასულა ზემო რაჭიდან.

კაი მთესველი, კაი ტყვისმჭრელი,
კაი ბეჭბრტყელი, კაი ჩადგმული, —
ბეჩოს დათვივით მტერზე მიმსვლელი, —
კაცი ყოფილა პოლკში განთქმული.

მაგრამ ბულგარელ გლეხის ბუნაგთან,
სადღაც, შიბკის თუ ბალხერის გზაზე,
ნასვამს შემთხვევით კომში უნახავს
და გლეხი-კაცი შეშლილა ჰკეაზე.

ვახსენებია პაპას კერია,
ბერძნულ ყორეში თავის კომშებში,
კომშიჭამია, ნიგუზიტკვერია
და ტიტლიკანა თავის ბოეშებში.

ასდუღებია გული ზღვისაგვით,
არ დასდგომია საწყაღს საშველი,
გადახვევია სხვის კომშს ძმასაგვით,
გადარეულა კაცი რაჭველი;

მოუფხბრეწია უნტერის ჩერები, —
კაცი სალდათებს ველარ უცენიათ, —
მოუტრეტია „გიორგის ჯვრები“
და როტმისტრისთვის შუბლში უსვრია.

კაი მთესველი, კაი ტყვისმჭრელი,
კაი ბეჭბრტყელი, კაი ჩადგმული, —
ბეჩოს დათვივით მტერზე მიმსვლელი, —
კაცი ყოფილა პოლკში განთქმული.

მაგრამ რას უზამ, ომი—ომია
და ტრიბუნალი — მხედრის დამსჯელი.
პოლკში უნტერის შველა სდომიათ —
გაკერპებულა კაცი რაჭველი.

უთქვამს: — ეს ომი ნიკოლოზს შველის!
მე რა საქმე მაქვს ბოლღარ-თათართან?!
ან ფრიცს რას ვერჩი?! ცოლ-შვილი მელის
და — ბასტა! — ჩემთვის ომი გათავდა!

და ტრიბუნალსაც უთქვამს შლეგისთვის:

— «Ах ты пацифист?!»! შენი გამსკლავებელი
და მიუსჯიათ ციხე გლენისთვის
და ფაციფისტად გლენი გამხდარა.

ოღონდაც პაპის ის სიტყვა კრული —
ღმერთი და რჯული! ხატი და ღმერთი! —
ვერ გაუგია მუქარით თქმული —
უწიგნო კაცი ყოფილა ერთი.

ფუთით, შახორკით, ჰაუბტვანტების
ცვლით და წამებით პაპა დაძრულა,
ბევრგან უხეხავს წმელი ტანტები
და პა, წლისთავზე რაჭვას ჩასულა.

ხოლო ყოფილა დილა აღდგომის,
დღე აღილოსი, მზიან ხონჩების,
დრო გაზაფხულის, ხნულში ჩადგომის,
და აყვავებულ ბია-კომშების.

გადახვევია ცოლ-შვილს მთვრალივით,
ზედ დამხობია კერიას ბრდღვინვით,
აბღაღღებულა კაცი ხარივით,
გადარეულა სამშობლოს ხილვით...

ლებანიქედზე — კომში ყორეში..
ვახ, ცრუ სოფელი პაპასთან სტყუის:
წევს ბერიკაცის ლოდქვეშ სწორებში —
საძვალე კორდზე ცაცხვები ბზუის...

თუ მოხედე როსმე ჩემს მშობელ მთებში, —
მთის რაჭის ქვემოთ რაჭაა ზემო, —
და თუ გახვიდე ზეარეთის თემში,
გემუდარები, მკითხველო ჩემო,

გთხოვ, დააკვირდე შენ ბებერ კომშებს —
შტოზე დანთებულ მილიონ სანთელს —
და მაშინ იგრძნობ ჩემს მწვანე დროშებს
და მაშინ იტყვი პოეტის სათქმელს:

— რომ გვახარებენ,
რომ გვალონებენ,
რომ გვატარებენ
სამშობლოს გზაზე,
სამშობლო მიწას
რომ გვაგონებენ,
რომ გვაცხოვრებენ
კურცხალით თვალზე,



არა თუ წისქვილს —
 ჭალაში ჩადგმულს,
 არა თუ ჭადრებს,
 კორტოსზე, მეფურს, —
 ჯაგს გაუმარჯოს —
 რიყეში გართხმულს!
 ქვას გაუმარჯოს —
 მინდორში გდებულს!

* * *

სოფელში რომ ჩავედი და ფოთლებში ვცხოვრობდი,
 მახსოვს ორი შეველე — კეთილი და ბოროტი.

შემიტყუა სამოთხის კარმა გამოკეტილმა,
 შევედი და მომისწრო იქ შეველემ კეთილმა.

მკითხა: „შვილო, ვისი ხარ? არ მოგიტყდეს ტოტიო!
 ბაეში ხარ და ლხინში ხარ, ხვალ ხელახლა მოდიო!“

მაგრამ „ხვალ“ რომ ვათენდა, ზეარს რომ ჩავეყვებოდი,
 სეს ვაველ და... მომხატა იქ შეველე ბოროტი.

არაფერიც არ მკითხა, — ბებუთს ლესდა ხის ძირას, —
 მითხრა: „დედას გიტირებ, დაგკლავ გველის წიწილას!“

ჩაგრეხილი წარბებით — რიყის შავი გველებით,
 შუბლზე — ტახის ჯაგრებით, ხრიწინით და ხველებით

საშინელი რამ იყო, ვერ მივმხვდარვარ, რა მიყო,
 ოთხმა კაცმა საკაცით ცოცხალ-მკვდარი წამიღო.

მთელი ღამე ვბოდავდი, ცეცხლის აღში ვკვნიხოდი,
 მთელი ღამე უშფოთავდი, მაჯლაჯუნას ვებრძოდი.

შვიდი წელი გავიდა — ხან ისე და ხან ასე,
 მაწანწალა შემომხვდა ერთხელ ქვეყნის შარახე.

გავუშალე კარტივით ჩემი მწარე წარსული,
 ვკითხე მოხუცს პატივით წუთისოფლის სარჩულის.

ჩავეცინა ბერიკაცს, სევდით მითხრა: „რამეთის?!
 ხომ ჩვიდმეტის იქნები?! დიდი-დიდი — თურამეტის!“

ას წელიწადს ვცხოვრობდი და ცხოვრების ბოლომდე
 ორი ვიცი შეველე — კეთილი და ბოროტი!“



პაეღ ინგოროყვას

შენ, ხმელო კაცო,
 წარბშეკრულო ხშირად და მკაცრო,
 აქიმო წყლულის
 და ქადაგო ვაზაფხულისა,
 მინდა ანაზდად
 ორი ხელი კისერში გტაცო
 და კოცნით გითხოვ:
 — ვინ — რომელმა ვაგაგულისა?!

და მინდა გითხრა
 შენ მაღლობის გულწრფელი სიტყვა:
 — ბერო! მარტვილო!
 ერის მუშაე, გშვენის მხნე გული!—
 წმიდა ტაბლასთან
 ბეჭდის დასმით რაც წუნელ ითქვა,
 რასაც გიცხადებს
 ჩვენი სამშო, ჩვენი კრებული.

საქართველოსთვის
 ხარ შენ ძელქვის ლეარჭნილი ფესვი!
 შენ ვერ მოკედები! —
 შეგიძლია, შენ ცოცხლად ვახმე!
 მაგრამ იცოცხლებს
 ის, ძირმწარე რისთვისაც შესვი!
 ესეც იცოდე,
 რომ გრძელდება სამშობლოს საქმე!

შენ გინახია ომი, შიმშილი,
 წალმა-უკულმა ტრიალი სოფლის,
 შენ ჩამოღრწობა გქონდა მისჯილი,
 შენ ყურადღება მცირედით გყოფნის.

შენ ვიძებნია მინდორში ლეში,
 შენ გიგემნია დამპალი ხორცი,
 შენ უპოვნიახარ ჯარისკაცს მკვდრებში,
 ლეთაებრივ სხეულს სცმეგვია ძონძი.



ჭიღარა ვერცხლის! მშვენება მცხრალი!
 სულის სიმაღლე! გაძლება ყოელის!
 ხეივანს მოსდევს მაღალი ქალი
 და მოჰყავს ჩემსკენ შრიალი თოელის.

თეთრი არყებით, ჭრელი ვერხვებით,
 მე შენს თვალეზზე ვნახე თხიერი...
 ხარ ბედნიერი სულის შეხებით
 და მეც. პასუხად, ვარ ბედნიერი.

ღ ა ჭ რ ი ღ ი

ქვა ვესროლე, — გავაყოლე
 თვალი ფრინველს, ხორცის მჭამელს;
 წყველა-კრულვა გავაგონე —
 მოუღღერე მუშტი ღამეს...

მაღლა ცაში ყირობდნენ, —
 დაბლა ეწყვნენ კაი ყმები, —
 ელიოდნენ და ირეოდნენ —
 ლეშს აქებდნენ მყრალი ხმებით.


კელავ სხდებოდნენ, თათბირობდნენ,
 გაჰვეიროდნენ ტატნობს გესლით,
 თან ჰკვირობდნენ: „ამდენ მკვდარში
 რომელია, ქვას რომ გვესვრის?!“

ნაყუმბარეუ სანგრის ფსკერზე
 მკვდარს მოერთხა ცოცხლის მორთხვით;
 მკვდარი პოლკი იწია ველზე,
 წინ ვიდოდი თოვლში ფორთხვით.

ბექზე მუხა იღვა ქარში —
 კენწერო ჰქონდა გადამტყდარი...
 ცხარმეტი წლის ვიყავ მაშინ —
 მეოცეში გადამდგარი.



ჩამირბინეს ჭყვილით — გარეულმა ტახებმა,
 ჩამიფრინეს შხივილით — წუთისაფლის ბადებმა.
 ჩამიქროლეს შველელებმა — ყელხატულა მელებმა,
 ჩამიქროლეს დღეებმა — ფოთლებივით ჭრელებმა.
 სისხლი დამდის წურწურით — მთიდან ბარად მყვირლებმა,
 ფშვენით, რქენით, ძუნძულით — ჩამირბინეს ირმებმა...
 ვაიმე, დედაჲ, ვთაჲდები! ვაიმე, დედი, ვშორდები!
 რანაირად დამდება სააქოს კორდები!
 რანაირად მომხედეს ანგელოსმა ფურებმა!...
 ღმერთო! შენ არ გეწყინოს ჩემგან შენი მღურება —
 ას წელიწადს მინდოდა!
 ას წელიწადს მინდოდა!
 და ათასსაც მინდოდა
 შენი ხელით შექმნილი წუთისოფლის ყურება!



• • •

ხიროსიმა. 1945 წლის 6 აგვისტო.

თურმე ამქვეყნად სამოცდაათი ათასი ჯიშის სოკო არსებობს,
ჩვენ კი არასდროს ვყოფილვართ ტყეში, ჩემი ბავშვობის ლურჯა რაშებო.
ჩვენ ჩვენი ბედი დაგვაჭროლებდა დიდი ქალაქის მტვრიან ქუჩებში
და ღამ-ღამობით გვისიზმრებოდა მონატრებული ცა ულურჯესი.
ასე გაფრინდა ყმაწვილკაცობა, სოჯს გაეასწარიტ, ზოგმა გაგვისწრო,
ასე გათენდა იმ ათას ცხრაას ორმოცდახუთის ექვსი აგვისტო,
როცა პირველად ჩვენ დავინახეთ სამოცდაათი ათას მვერთე,
თითქოს მრისხანე წლების მუშტები ერთი ქალაქის თავზე შეერთდნენ
და აიმართნენ ძეგლად, რომელმაც გზა შეამოკლა ჯოჯოხეთამდე,
რომელიც ყველა კუთხიდან მოჩანს, რომელსაც ასლა ბრმებიც ხედავენ.

ფოტოგრაფიანი

იჯდა კაცი და სუნთქვა უჭირდა,
თავს იჭერდა და ძალას ატანდა,
უთამაშებდა თვალი ურჩი და
გუფულებოდა ბრაზი თანდათან.
მაინც ფიქრობდა თავგამოდებით,
მაინც ცდილობდა,
მთელი თავისი
წვედომები და ძველი ცოდვები
არ გაემხილა სხვისი თვალისთვის.
მაგრამ უძლური არის გონება,
გრძნობას რაც უფრო მიეძალეები,
თანაც ეს იყო მისი ცხოვრების
თითქმის ყველაზე მძიმე წამები.
მიიძედა ითვლიდა წამებს უწინდელს,
მაგრამ ნერვები ვედარ მოთოკა;
იჯდა კაცი და სუნთქვა უჭირდა
და შებრალებას სთხოვდა ფოტოგრაფს.

ბ ა ვ შ ე ბ ს



რა კარგები ხართ, ბავშვებო,
 სანამ გაივლის ბავშვობა,
 სანამ მზეს ეთამაშებით
 სანამ მზე გეთამაშებათ,
 სანამ დაცხრებით კრავივით,
 სანამ დაცხრებით სავსებით,
 სანამ ბავშვობა გაივლის
 და მშობლებს დაემსგავსებით.

ს ი ზ მ ა რ ი

წუხელ სიზმარში სიზმარი ვნახე,
 სიზმრის სიზმარი...
 და გამიკვირდა:
 შენი
 ისედაც ფერმკრთალი სახე
 უფრო ფერმკრთალი ჩანდა იქიდან.
 მაგრამ რაც უფრო ფერმკრთალი ჩანდა,
 იმდენად უფრო მაიძულებდა,
 ან გამეხილა თვალები,
 ანდა
 ზავი დამედო კეთილ სულებთან.
 სიზმრის სიზმარმაც ვერ დამამშვიდა,
 ჩანესმა შორი ეხო მეხისა, —
 გამომეღვიძა:
 ჯერ სიზმარში და
 მერე ნამდვილად გამომეღვიძა.

ბ ი ჭ ი

ნათურა ჩაქრა... ის კი ისევ განაგრძობს კამათს,
 კვლავაც მსჯელობს და ედავება ვიღაცას კვლავაც,
 ათიჭოს დაკარგა ზოშიერი დუმილის ნიჭი...
 ასე ხანდახან გულუბრყვილო,
 სულელი ბიჭი
 ამაოდ გარბის მარტოდმარტო,
 გარბის და ლეღავს,
 რადგან ჰგონია,
 დადევნებულს გაასწრო ყველას,



რომლებმაც იგი წააქეზეს,

თვითონ კი შედგნენ

და მიატოვეს ათიოდე ნაბიჯის შემდეგ...

და გარბის ბიჭი... ისიც ვერვის ვერ ამჩნევს ირგვლივ

და ლაპარაკობს... ბიჭი გარბის... საუბრობს იგი..

და ბიჭი გარბის... ისიც ჩქარობს და დიდის ამბით

ჰყვება და ჰყვება.... ბიჭი ისევ გარბის და გარბის ...

და იგი ისევ ლაპარაკობს... და გარბის ბიჭი....

და იგი ისე ლაპარაკობს,

დუმილის ნიჭი

თითქოს დაკარგა,


ისევ ისე განაგრძობს კამათს,

კვლავაც მსჯელობს და უდავება ვილაცას კვლავაც,

ფელარავის და ველარაფერს ვერ ამჩნევს თითქმის, —

რადგან ნათურა ჩაქრა ჩვენთვის —

და არა მისთვის.



ლილი და კატარა კაპტურიცა

რომანი

• • •

კანტორაში მისვლამდე მეურნეობის შიდა გზები დაიარა კონსტანტინე კაკუბერმა და კმაყოფილი დარჩა. შინმობრუნებულთა საგზაო ბრიგადას საგულდაგულოდ უშრომია, ხრეში თანაბრად და ზომიერად მოუყრია და გზის ორივე მხარეზე დაყოლებული წყალსაწრეტები ისე ღრმადაა ჩათხრილი, არხი გვეგონებათ. მისის წვიმებს გზა ვერ დაუზიანებია, პირიქით, სატეველას წვრილი ხრეში ისე დატკეპნილა, კაცმა რომ თქვას, მოასფალტება არცაა საჭირო.

ათი საათი სრულდებოდა, როცა ვილისი მეურნეობის კანტორასთან გაჩერდა. კონსტანტინე კაკუბერი მანქანიდან ჩამოვიდა და მძღოლს დაავალა მშენებელთა ბრიგადირი სადმე იპოვნე და მომიყვანეო.

დროებით მეურნეობის კანტორას რევავ ჩაფიჩაძემ საკუთარ სახლში ორი ოთახი დაუთმო, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, როცა მეურნეობის მოლარემ ხერგადან ფული ამოიტანა, უხერხულობა იგრძნო და იმ ადგილას, სადაც მომავალში დირექციის შენობა აიგებდა, მშენებელთა ბრიგადას კანტორისა-

თვის ფარდული გაამართინა. თავდაპირველად ფარდული ერთი ღიდი ოთახი იყო. ერთ კუთხეში მეურნეობის დირექტორის მაგიდა იდგა, მეორეში სეიფი და ბულალტერისა და მონაგარი-შე-მოლარის მაგიდები. კედელზე მეურნეობის განაშენიანების გეგმა იყო გაკრული. როცა გულასპირ ჩაფიჩაძე მოიწვიეს ბულალტრად, მან ეს ღიდი ოთახი ორი ტიხარით სამად გაჰყო: დირექტორის კაბინეტი. მისაღები ოთახი. ბულალტერია. და რადგანაც ჯერჯერობით რევავ ჩაფიჩაძე უმეტესად ხერგაშია, ან მშენებლობის ობიექტებზე და ფარდულში იშვიათად შემოივლის, დირექტორის კაბინეტი გულასპირს თითქმის მითვისებულ აქვს.

ფარდულის კარი ღია იყო, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— ეტყობა კარი ღიად დარჩენიათ, — ხამალა თქვა კაკუბერმა და ფარდულის კედელზე ხელით დააკაკუნა.

გულასპირი დირექტორის კაბინეტში იჯდა და ხმა რომ შემოესმა, სკამზე შესწორდა.

ჰაუზა.

— თუ სულიერი ხარ, შემოდი! — ბოხად დაიძახა გულასპირმა.

კაკუბერი ფარდულში შევიდა.

— დილა მშვიდობისა, — ცივად თქვა კაკუბერმა.

— იცოცხლეთ! — თქვა გულასპირმა, — სტუმარს ახედ-დახედა, ვითომ შეიცნო და დაუმატა, — კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს...

— მე აქ პირველად არ გახლავართ! — შეაწყვეტინა კაკუბერმა და გულასპირს თვალი გაუყარა.

— მეურნეობაში არაეინაა?

— მე გახლავართ.

— მარტო თქვენ? გაიოცა კაკუბერმა.

— დიახ, მე!

— დანარჩენები გაიფიცენ?

— ისვენებენ, პატივცემულო...

— კარგი ამბავია! — ირონიულად თქვა კაკუბერმა, გარშემო მიმოიხედა, სიგარეტს მოუკიდა, მერე ისევ გაუყარა თვალი გულასპირს — აქი კვირადღესაც ვმუშაობთ?

— დიახაც ვმუშაობთ!

— ღლევეანდელმა კვირამ რა დაგიშავათ?

— მშენებლები ერთი კვირით დაასვენადირექტორმა.

— რატომ? — ხმამალა, გაჯავრებით თქვა კაკუბერმა.

— სკოლის შენობა გაარემონტეს, ოცი დღელამე დილიდან შელამებამდე მუშაობდნენ. ჭანცი გამოელიათ და დირექტორმა პირდაპირ უბრძანა, ერთი კვირა დაისვენეთ.

— თქვენ დარაჯი ხართ?

გულასპირი შეცბა.

პაუზა.

მთავარი ბულალტერი.

— გულასპირ ჩაფიჩაძე? ბოდიში! — ღიმილით თქვა კაკუბერმა. — თქვენზე ბევრი რამ მსმენია, ნახვით — კი, პირველად გხედავთ.

მეც პირველად გხედავთ, პატივცემულო, თქვენ რაიბრეშუმის წარმომადგენელი ხომ არ ბრძანდებით? — ღიმილითვე შეეკითხა გულასპირი.

ახლა კონსტანტინე კაკუბერი შეცბა: „კარგადაც იცის ვინცა ვარ, მაგრამ განგებ უცხოდ შემეცნო, სამაგიერო გადამიხადა“.

— რაიბრეშუმისა არა, — დამარცხდა კაკუბერმა, — რაიკომის წარმომადგენელი კი ვარ, კაკუბერ, გულასპირი ადგა.

— მაპატიეთ, პატივცემულო კონსტანტინე! თქვენზე ბევრი, ძალიან ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ნახვით, პირველად გხედავთ, — მაპატიეთ!

კონსტანტინემ სიგარეტი მიაწოდა გულასპირს. უცხოური იყო.

— გმადლობთ, მე მხოლოდ „პრიმას“ ვეწევი, — თქვა გულასპირმა, მაგიდის უკრა გამოსწია და „პრიმა“ ამოიღო.

— აა, მამ გულასპირ ჩაფიჩაძე! აქი ბებერი ვარო, ვერ ვიმუშავებ, ბულალტრობა არ შემეძლიაო... ასე არ შემოგვითვალე?

— ასე გახლდათ.

— რამდენი წლისა ხართ?

— ხანს რა მნიშვნელობა აქვს, პატივცემულო კონსტანტინე, კარგად ვერ ვიყავი, ახლა ცოტათი გამოვმჯობინდი.

— თქვენ ხომ იცით, რაიკომის ნომენკლატურა ხართ, პატივცემულო გულასპირ. გამოუძახებლად დაგამტკიცეთ. რაიკომი გენდოთ.

— მაღლობა მომიხსენებია რაიკომისთვის.

— ჰოდა, ეს პატივცემული გულასპირ ჩაფიჩაძე, — ხმას აუწია კაკუბერმა, — ხალხში ღალადებდა — ხემაღალი კონსტანტინე კაკუბერმა დააქციაო, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, მთავრობის კომისიის დასკვნით, ხემაღალში უნდა გაშენებულყო, კაკუბერმა კომისიის დასკვნა მშრალზე დატოვა და მეურნეობა თავის სოფელში — ითხვისში გააშენებიაო... მერე კონსტანტინე კაკუბერმა ხემაღლელები გადაიბირა, ჭინორიძეთა მთელი უბანი ხემაღლიდან აყარა და ითხვისში დაასახლაო... მართალია?

— მართალსა ბრძანებთ, პატივცემულო კონსტანტინე, — ვამბობდი და ვამტკიცებდი! — თამამად თქვა გულასპირმა.

— საშუალო სკოლა გვქონდა. პირველდაწყებითი სკოლა შემოგვრჩა და

თუთის პლანტაციებში მიდის, ორიც ვენახებში, ერთი ხეხილის ბაღებში, მეექვსე გზა სკოლასთან და სოფლის შემორჩენილ უბანთან — თვალეებში ჩახედა კონსტანტინემ გულასპირს — აკეშირებს მეურნეობას. ყველაფერი კარგადაა ჩახატული განაშენიანების გეგმაში. ის გეგმა დამაკეტებელია და მაკეტი მინისტრს თავის ვეებერთელა სამუშაო მაგიდაზე უდევს. ყველაფერი ისე უნდა გუაყეთოთ, ამხანაგო გულასპირ, როგორც იმ მაკეტზეა. როცა ავაშენებთ სამინისტრო ჩამობრძანდება და შეგვამოწმებს... მაგრამ როგორ ავაშენებთ, — სახერხი ფარდულისკენ გაიხედა კონსტანტინემ, — ჰო, როგორ ავაშენებთ, როცა თქვენი ხერხი არ ხერხავს?

— დინამო გაფუჭდა. გუშინ ოსტატი ამოიყვანეთ, — შეგვიპირდა. დინამო დღეს შუადღემდე ამუშავდებაო.

კონსტანტინემ მაგის საათს დახედა.

— შუადღეც გვიახლოვდება. ენახოთ. მშენებლებისთვის დასვენება გიბრძანებიათ. გიბრძანებიათ და ისვენებენ. სხვები?

— მუშაობენ. — გადაჭრით თქვა გულასპირმა და კონსტანტინეს თვალი გაუსწორა.

— საგზაო ბრიგადა? საგზაო ბრიგადა სად ბრძანდება?

— მეთორმეტე კილომეტრზეა.

— უნდა შევხვედროდი!

— ბრიგადა ასეა, სანისლეს ქედისკენ გაიშვირა ხელი გულასპირმა, — მოკლე გზით წავიდა.

პაუზა.

კონსტანტინე კაცუბერმა ნელნელა შემოავლო თვალი მეურნეობის ტერიტორიას და სივარეტი შორს მოისროლა.

„ორ ითხვისს დაიტყვეს. მეტსაც. ფერდობებს როცა დაატერასებენ, ითხვისს ერთ უბანში დაისახლებს: ციციკა, ძველშავი, ალიგოტე. ჩაფიჩაძე უმეტეს ადგილს ვენახს დაუთმობს. თუთა მოიმიზნება. ვაზის ფესვი ექვს მეტრამდე მი-

დის მიწაში, ამიტომაც ვაზს მშრალადგლი უყვარს“.

— ასე... — ფიქრიდან გამორკვეტი კუბერი. — მშენებლები ისვენებენ. საგზაო ბრიგადა ასეა, — სანისლეს ქედისკენ გაიშვირა ხელი, — წავიდა მეთორმეტე კილომეტრზეა და გზას ხრეშავს... დიახ, გზას ხრეშავს. შორჩა და გათავდა.

— ლობეს ვლობავთ! ჭინორიძეთა უბანს ვახედეთ! — თქვა გულასპირმა და კაცუბერს ჭოგრიტი გაუწოდა.

კონსტანტინემ ჭოგრიტი მოიშარჯვა და ჭინორიძეთა უბანს ვახედა.

— ლობავენ... ტრაქტორით ლობავენ?

— დიახ, ტრაქტორით მავთულის ბადეებს ჭიმავენ, ზოძებსაც არჭობენ ტრაქტორით.

— კარგია, — სხვათაშორის თქვა კონსტანტინემ და ჭოგრიტით ისევ ჭინორიძეთა უბანს ვახედა.

— მკერდი მზისთვის მიუშვერია ჭინორიძეთა უბანს და ხახახებს.

მავთულისლობიანი უჭიშკრო ეზოები. ეზოებში აგური, შორები, სილა, ცემენტი, ფიცრები...

„შუაუბანში ერთი ოდასახლი შემორჩენილა.

— ითხვისიდან ხომ არ ამოსახლებულან? — ეითომ სხვათაშორის ჰკითხა კონსტანტინემ გულასპირს და ჭოგრიტი დაუბრუნა.

— ჭინორიძეები? — განგებ ჩაჰკითხა გულასპირმა.

— ჰო, ჭინორიძეები.

— არა.

— ეგ ძველი სახლი ვისია?

— გრამიტონ ჭინორიძის გახლავთ. — რატომღაც დამარცვლულად თქვა გულასპირმა და ჩაიღიმილა. კაცუბერმა ეს შეაჟინა.

— რაო, ამხანაგო გულასპირ!

— ისე. პატიეცემულო კონსტანტინე.

— რა კაცია ეს გრამიტონ ჭინორიძე?

— სურამში იყო გახიზნული, — თქვა გულასპირმა და ისევ ჩაიღიმა. წერილი

რომ მისწერა რევანზ ჩაფიჩაძემ თქვენი ბრწყინვალეობა ზემალაღში ამობრძანებდას ხომ არ ინებებდსო, ფეხი ათორია, — სურამში შესანიშნავი ჰაერია და თავს წინებულად ვგრძნობო. თონეს განაგებდა პატივცემული გრამიტონი და თავს მართლაც კარგად გრძნობდა. როცა გაოგო ზემალაღში პურსაცხოზი შენდებო, ფაციფუციოთ ამობარგდა. სახლი სახელდახელოდ შეაკეთა და ცოლშვილი მაშინვე ამოსახა. მშენებელთა ბრიგადაშია, რევანზი შეპირებულთა პურსაცხოზის გამგედ დაგნიშნავო და შეხედეთ, — სახერხის ფარდულისკენ ვახედა კონსტანტინე გულასპირმა, — პურსაცხოზის დამთავრებას არაფერი აქლია. გრამიტონმა დააწინაურა. ცემენტი შემოაკლდათ და გრამიტონმა კასპიდან ერთი ვაგონი ცემენტი ამოზიდა.

კონსტანტინემ ჭოგრიტი გამოართვა გულასპირს, პურსაცხოზის შენობა საგულდაგულოდ შეათვალიერა და ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო.

— რა ჰქვია იმ ჯინორიძეს.

— გრამიტონი.

— მაგარი სახელია, — თქვა კონსტანტინემ და ბლოკნოტში რალაც ჩაინიშნა.

მანქანა მოვიდა. კონსტანტინემ გულასპირი მანქანაში ჩაისვა და ჯინორიძეთა უბანში წავიდნენ.

— ღობეა. სახლების მშენებლობა. გზა. საშური საქმეა, — თქვა კაქუბერმა და ბლოკნოტში ისევ რალაც ჩაინიშნა.

— საშური საქმე ეს გვაქვს. — დაუდასტურა გულასპირმა.

— ვასალოზი ბევრი დაგრჩათ?

— ათი კილომეტრი.

— დღეში რამდენს ღობავთ?

— ერთ კილომეტრს.

— დღეს სამი ივლისია, ამხანავო გულასპირ!

— მართალსა ბრძანებთ, დღეს სამი ივლისია და ცამეტი ივლისისათვის ღობევას მოვრჩებით.

— ცამეტი ცუდი რიცხვია, — დიმილით თქვა კონსტანტინემ.

— ესეც მართალი ბრძანებდა და კომიტომაც თორმეტში დაეამთავრებთ.

კონსტანტინემ მანქანა გრამიტონ ჯინორიძის ოდასთან გააჩერებინა, მანქანიდან ჩამოვიდა და გულასპირს შესასველებლად ხელი გაუწოდა, მაღლობა მომიხსენებიაო, თქვა გულასპირმა და მანქანიდან მსუბუქად გადმოხტა.

— აჟი ბებერი ვარო?

— ვიყავი, პატივცემულო კონსტანტინე, ახლა გავყოჩაღდი.

„ძველდაც კარგი გზა ჰქონიათ ჯინორიძეებს, ფართო და მოხრეშილი, გზის ორივე მხარეზე დატანებული თხრილები ამოცემენტებული. ახლა ნეშოს ამოუვსია ეს ამოცემენტებული თხრილები. ეზოებში მორები, კასრები და ხრეში ჰყრია. ჯერ მხოლოდ დასაძირკვლებულია ოდასახლები. დღეს მშენებელთა ბრიგადა ისვენებს, ხერხი არ ხერხავს, ნაჯახი არ აპობს, ღურგალი არ რანდავს და სიჩუმეა... მაგრამ ეს მკვდარი სიჩუმე არ არის! ეს ხმაურშემდგარი სიჩუმეა. ხეალ კედლებს ამოუყვანენ ოდასახლებს, კარ-ფანჯარას ჩაუსვამენ, გადახურავენ... მერე კიკნაველიძეები, ჩაფიჩაძეები, კიკნაძეები, ჯინორიძეები ამოვლენ ხერგადან, მარელისიდან, ზესტაფონიდან და ამ ახალ სახლებში დასახლდებიან... ძველი მარტო სახელი შერჩება ამ უბანს, ერთი ჯინორიძე, გრამიტონ ჯინორიძე იცხოვრებს ამ უბანში და სახელი კი ჯინორიძეებისა შერჩება“.

ჯინორიძეთა უბნიდან გახედა ზემალას კონსტანტინე კაქუბერმა.

„დიდი, ძალიან დიდი სოფელი ყოფილა ზემალაღი. ექვსასზე მეტი ოჯახი მოსახლეობდა ზემალაღშიო, — ახლა კი ჩვიდმეტია დარჩაო... ჩვიდმეტი მველი სახლი და ჩვიდმეტი ბებერიო, ამბობს გულასპირი და ეამყება... პირველად ჩაფიჩაძეები, ზიდაშელები და კიკნაველიძეები დასახლებულან ზემალაღშიო, ჯინორიძეები მერე ჩამოგვესახლნო, ამტკიცებს გულასპირი და პირველმოსა-

ხლებმა გადავარჩინეთ ხემალიო, დი-
ახაც რომ ჩაფიქვებმა და კიკნაველი-
ძებმა გადავარჩინეთო. ჩვენი მამაპაპა-
თა ძვალი აქა ჰყრია და ჩვენც აქ და-
ვიმარხებითო, ჰო, ასე ვთქვით და კი-
დევაც გავიტანეთო“...

კონსტანტინემ გრამიტონ ჭინორიძის
ქიშკარი შეალო და შედგა.

— ეგებ უხერხულია?

— რა ბრძანებაა! — თქვა გულასპირ-
მა, ეზოში პირველი შევიდა და ხმამალ-
ლა დაიძახა.

— გრამიტონ, სტუმრებს გამოგვხე-
დე!

— სახლი გამოკეტულია. — თქვა კა-
კუბერმა და ეზოში მიმოიხედა.

გულასპირი აივანზე ავიდა და ისევ
ხმამალა დაიძახა.

— სტუმრებს მოგვხედე, გრამიტონ!
ოდის უკან ვილაცამ ჩაახველა.

— მობრძანდება, — თქვა გულასპირ-
მა და ეზოში ჩამოვიდა.

— გრამიტონი შინ არ გახლავთ, —
ნაცნობი ხმა გამოეპასუხა და გულას-
პირი შეტოკდა, ხოლო როცა როსტომ
კიკნაველიძე შეიქცნო, თვალები გაუშე-
შდა.

პაუზა.

— როსტო, შეენ?

— მე ვარ, გულო! — მშვიდად თქვა
როსტომ კიკნაველიძემ, კონსტანტინე
კაკუბერი შეათვალაღერა და იცნო.

— როდის ამოხველ? ვინ ამოგიყვანა?
— გაიოცა გულასპირმა.

— თვითონ ამოველ. — ისევ მშვი-
დად თქვა როსტომ კიკნაველიძემ, ჯერ
კაკუბერს ჩამოართვა ხელი, მერე გუ-
ლასპირს, და თხოვა სახლში შემოსული-
ყვნენ.

გულასპირმა გაიკვირვა სხვის სახლ-
ში რომ ეპატივებოდა სტუმრებს როს-
ტომ კიკნაველიძე და სიტყვა ბანზე აუგ-
ლო.

— ჩვენს სტუმარს იცნობ?

— ვიცნობ. მამამისის ცხენით ამოვე-
დი. ლონგი კაკუბერის ცხენი ეგერ ბა-
ლახობს, — თქვა როსტომმა და ხელი
თავის ნასახლარისკენ გაიშვირა.

კონსტანტინე კაკუბერმა როსტომის
ეზოს გახედა, გერშა ჰადრის ჩრდილში
ბალახობდა.

„ნასახლარზედაც ბალახი ამოსულა.
ბალახს და ღურღენს შეუქამია როს-
ტომ კიკნაველიძის ეზო. ვაშლისა და
მსხლის ხეებს ტოტები შეხმობია, კომ-
ში დაბერებულა, კაკლის ხეებიც ბუ-
ხარი კი ღვას. არა, ბუხარი არა, ბუხ-
რის ჩონჩხი, შავი და გარუჭული“.

— გერშა! — ხმამალა დაიძახა კა-
კუბერმა.

ცხენმა ძოვა მიატოვა, თავი მალლა
აალირა და ყურები ასწორა.

— გერშა! — უფრო ხმამალა დაი-
ძახა კაკუბერმა. ცხენმა პატრონი იც-
ნო, კიხინით გამოქანდა და ღობეს მო-
ადგა.

— მაშ, სტუმრად ხარ, გერშა? — ვი-
თომ დაუყვავა ცხენს კაკუბერმა, მერე
გულასპირს გაუსწორა თვალი.

— აქი არავინ ამოსულა ითხვისიდა-
ნო?

პაუზა.

— მიმინო და თინა? — რატომ-
ღაც ცივად ჰკითხა გულასპირმა როს-
ტომს.

... დარჩნენ... ჰო, იქ დარჩნენ! —
ნალვლიანად თქვა როსტომ კიკნაველი-
ძემ და თავი დახარა.

— მარტო შენ? რძალი და შვილიშვი-
ლი ითხვისში დატოვე?

— ჰო, დარჩნენ! ბევრი ეგჩიჩინე, და
მაინც უარზე დადგნენ, არ წამოვალთო
თქვეს და მეც გული მომივიდა, დარ-
ჩით-მეთქი და წამოვედი. გული კი დამ-
წყდა.

— გამოპარული იქნები როსტომ! —
მიმინომ გამოგიშვა?

— ჩემი თავის უფროსი მე ვარ! —
წყენით თქვა როსტომმა და ჯიბიდან
ქისა ამოიღო.

— მერე და მარტო როგორ იცხოვ-
რებთ? — ახლა კაკუბერი შეეკითხა
როსტომს.

— მიცხოვრია... მარტო რატომ ვიქ-
ნები? ბევრი სახლი შენდება ჩვენს უბა-
ნში.

— გრამიტონი სად ბრძანდება? — ვითომ გულმოსულად ჰკითხა გულასპირმა.

— სურამში.

— ცოლშვილი?

— ცოლშვილიც წაიყვანა.

— რა მინდაო სურამში, გრამიტონმა? პაუზა.

— ა, ეს ვაშლი დაკრიფა. ამ დროს სურამში ყოველგვარი ხილი ფასობსო. მანქანით წაიღო.

კაკუბერმა ბლოკნოტი მოიძია და რაღაც ჩაინიშნა.

— წავიდეთ! — თქვა კაკუბერმა და ეზოდან გავიდა.

— შენც მიდიხარ, გულო? — თითქოს კაკუბერის მოერიდაო, დაბალი, ძალიან დაბალი ხმით ჰკითხა როსტომმა.

— აბა სტუმარს ხომ არ მივატოვებ? — ხმადაბლა თქვა გულასპირმაც, მერე როსტომისკენ წაიწია და ყურში ეჩურჩულა — საღამოზე გინახულებო.

კაკუბერის ფიქრი: „არაფერ ამოსულა ითხვისიდანო, მატყუებთ ამხანაგო ჩაფიჩაძე? გუშინწინ, ისიც ჩემი ცხენით ამობრძანებულა როსტომ კიკნაველიძე! ეგებ ეს პირველი მერცხალია, ჰა? წადი და ნახე რა კეთდება ხემაღალში, შენი თვალით ნახე და ნამდვილი ამბავი ჩამოგეიტანეო... ვითომ რძალმა დაუშალა? ვითომ შვილიშვილმა დაუშალა და მაინც წამოვიდა როსტომ კიკნაველიძე? ეგებ რძალმა და შვილიშვილმა უნათხოვრეს ცხენი?“.

— სკოლა კარგად გაარემონტეს, — ამხანაგო გულასპირ?

— ამბობენ, კარგად შეაკეთესო.

— ენახოთ! — თქვა კაკუბერმა და სივარეტს მოუკიდა.

გულასპირის ფიქრი: „დავიძახე და არაფერ გამოქვამხა. კარ-ფანჯარა გამოკეტილი იყო. წამოვსულიყავით. აივნოდან რომ-მარ გადამექმხა, როსტომი ვერ გაიგონებდა. ეწყინა კონსტანტინე კაკუბერს... მაინც მარტო როგორ გამოუშვა რძალმა და შვილიშვილმა? ვითომ მიმინოს თანხმობით წამოვიდა როსტომი? მაშინ რაღათ წაიყვანა ითხვისში? ხალ-

ხის სალაპარაკოდ? შეხედე ხალხო, რა ქალია მიმინო ჭინორიძე! კმკრმა: მიატოვა მიმინო, მაგრამ მიმინომ მამამთილი როდი მოიძულაო, აიღო და ბერიკაცი თან წაიყვანა და მამასავით უვლისო... ეგებ იმედი ჰქონდა ქმრის მობრუნებისა და იმიტომაც ესიყვარულებოდა მამამთილს, ჰა? ჰოდა, არ მობრუნდა ის ობერი ქმარი, იმედი გადაუწყდა მიმინოს და მოსიყვარულე რძალმა მარილიანი კვერი გამოუცხო როსტომ კიკნაველიძეს, ეს იმყოფინეო ჩემგან და გარეთ გამოუდგა ლოგინი... როსტომ კიკნაველიძესთან შეხვედრამდე ხალისიანად იყო კაკუბერი, მერე მოიწყინა და ენა დაიმუნჯა“.

მანქანამ მინდორი გადაიარა და სკოლის ქიშკართან ცაცხვის ჩრდილს შეეფარა. კაკუბერი და გულასპირი მანქანიდან გადმოვიდნენ.

— მოვიჩრდილოთ, — თქვა კაკუბერმა, გულასპირს ჭოგრიტი გამოართვა და ჭინორიძეთა უბანს გახედა.

გულასპირის ფიქრი: „მარტო როგორ იცხოვრებო, ჰკითხა როსტომს, მარტო რატომ? თუ ღმერთი გაწყრა და რძალი და შვილიშვილი არ ამოუვიდნენ, ჩვენ ხომ აქა ვართ და მარტო რატომ იქნება როსტომ კიკნაველიძე? თქვენ ეგებ არ იცით, პატრიცემულო კონსტანტინე და რძალი და შვილიშვილი თავს ევლებიან როსტომს, კარგადაც ცხოვრობდა ითხვისში როსტომ კიკნაველიძე, — ოღონდ ხემაღალის სიზმრები ესიზმრებოდა. ჰო, აგრე მითხრა — „ბიჭო გულო, რაზანია ითხვისში ეცხოვრობ და სულ ხემაღალის სიზმრები კი მგისიზმრებო!“.

სკოლიდან ჩაქუჩის კაკუნი მოისმა.

— ეტყობა ვიღაც ოსტატობს! — თქვა კაკუბერმა და ჭოგრიტი გულასპირს დაუბრუნა.

— უთუოდ დირექტორი.

მინდურის ყურეში კოკი გამოჩნდა, დაინახა თუ არა გულასპირი, გამოქანდა, ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა, მერე კაკუბერს მორიდებით შეავლო თვალი და კისრისტეხით გაიქცა.

— რაო შეილიშვილია? — ჰკითხა კა-
კუბერმა გულასპირს და გაუღიმა.

პაუზა.

— მე შეილიშვილი არ მყავს, პატიე-
ცემულო კონსტანტინე... ჩემი ვაჟი
ომიდან არ მობრუნებულა.

გულასპირმა მოუწვეველი სიგარეტი
მიწაზე ფეხით დაასროსა, ჯიბიდან ცხვი-
რსახოცი ამოიღო და ოდნავ ზურგი შე-
აქცია კაკუბერს.

დუმილი. უხერხულობა.

— ცოტა გაფანტულად ხომ არ ვა-
შენებთ საცხოვრებელ უბნებს? — ში-
ნაურული კილოთი ჰკითხა კაკუბერმა
გულასპირს და ჭოგრიტი გამოართვა.

— არა, პატიეცემულო კონსტანტინე!
— დიწხად, ოღონდ გაბზარული ხმით
დაიწყო გულასპირმა. — სულ ოთხი
უბანია, ერთი ეს — ძველი უბანი, სა-
დაც ჩვენ ახლა ვართ. ამჟამად მთელი
სოფელი ამ უბანში ეცხოვრობთ.

— ყველანი ამ უბანში? — გაიკვირ-
ვა კაკუბერმა.

— ჰო, ამოსულები შევიხიზნეთ. ოც-
დათორმეტი კაცი, ოცი საგზაო ბრიგა-
დაში მუშაობს, თორმეტი მშენებელთა
ბრიგადაში, მოწვეული ხელოსნები ბა-
რაკში ცხოვრობენ.

— გრამიტონ ჯინორიძეც შეხიზნუ-
ლებშია? — ვითომ იოხუნჯა კაკუბერმა
და გაიღიმა.

— გრამიტონი ოცდამეცამეტე გახ-
ლავთ, — გახალისდა გულასპირი. —
— მამ ასე, ეს ძველი უბანი გაშენებუ-
ლად ჩავთვალთ. სამი ახალი დასახ-
ლება. ჯინორიძეთა უბანი ხომ მოვინა-
ხულეთ? ეს ერთი ახალი უბანი — სა-
მოცი მოსახლე. მეორე... ფარდულს
ხომ ხედავთ? ხედავთ, ხომ?

— ვხედავ.

— ფარდულიდან ჯინორიძეთა უბან-
მდე კილომეტრნახევარია, ახლა ფარ-
დულიდან, პატიეცემულო კონსტანტინე,
კილომეტრნახევარი სანისლეს ქედისკენ
წავიდეთ. წავიდეთ, ხომ? ამ ადგილს
ნიგვზიანს ვეტყვით. ესეც მეორე ახა-
ლი უბანი — სამოცი მოსახლე. ახლა,
თუ არ დაიღალეთ, ფარდულიდან აღ-

მოსავლეთით, სატეველას ხეობისკენ
გავიაროთ კილომეტრნახევარი. გავიარ-
ოთ, ხომ? შეეჩერდეთ. ამ ადგილს გან-
თიადი ჰქვია. ახლა კი არ დაგვირქმე-
ვია, ოდითგანვე ასე ეძახიან, ხემალა-
ში შზე აქედან ამოდის. ესეც მესამე
ახალი უბანი — სამოცი მოსახლე. ეს
პირველ სამ წელიწადში, პატიეცემუ-
ლო კონსტანტინე!..

— პირველ სამ წელიწადში ასოთხ-
მოცი ოჯახი. — გაიანგარიშა კაკუბერ-
მა.

— სწორია. — დაუდასტურა გულას-
პირმა და სიგარეტს მოუციდა. — უბ-
ნები სიგრძეზე არაა გაკომული, მომრ-
გვალბებულია, დააკვირდით. გზა გარე-
შემო უღვლის საცხოვრებელ უბანს.
ვხედავთ, ხომ? და ყველა საცხოვრებე-
ლი უბანი, — დამარცვლა გულასპირ-
მა, — თანაბრად და მორგებული მე-
ურნეობას.

— კარგია, ძალიან კარგია! — თქვა
კაკუბერმა და სკოლის ჰიშკრისკენ გაა-
ბიჯა.

— ახლა ცოტა დავისვენოთ.

— ბარემ სკოლაშიც შევიაროთ და
მერე წავალ.

— შევიაროთ, წასვლით კი ვერ წახ-
ვალთ, პატიეცემულო კონსტანტინე!
მართალია, ჯერ კომუნისში არ აგვი-
შენებია, მაგრამ ამ სიშორიდან მო-
სულ სტუმარს...

— მე სტუმარი ვარ? — ვითომ იწ-
ყინა კონსტანტინემ და ჰიშკარი შეა-
ლო.

— საპატიო სტუმარი! — მოთბო-
დიშა გულასპირმა.

— უფრო უარესი! — ვითომ კიდევ
უფრო იწყინა კაკუბერმა და წარბები
შეჰყარა.

კიბეზე კოკი შემოეგებათ.

— ეკატერინე? — ჰკითხა გულას-
პირმა.

— აღუქსანდრე ბაბუამ იხმო, სტუმ-
რები მყავსო, — თქვა კოკიმ და კა-
კუბერი მორცხვად შეათვალიერა.

„როგორ მომივიდა, შვილის დაღუპ-
ვა რომ შევახსენე“ — ინანა კაკუბერ-

მა, კოკის გულიმა და მხარზე დაადო ხელი.

— აბა, დაგვათვალე რებიე შენი სკოლა, კაბუჯო.

• • •

— ჰაიპარად შეუკეთებიათ! — გულმოსულად თქვა კონსტანტინემ შენობის დათვალე რების შემდეგ და ბლოკნოტში შენიშვნები ჩაიწერა.

— ახალ სკოლას ვაშენებთ!

— ვიცი! — თქვა კონსტანტინემ და გულსპირს თვალი გაუყარა, — ეს იქნება სამი-ოთხი წლის შემდეგ. ისე მაინც უნდა შეეკეთებია თქვენს მშენებელთა ბრიგადას, გაისადაც რომ არ დაგვიჩრვებოდა შეკეთება. კედლებში ჰუჭრუტანებია, კარ-ფანჯარა მკიდროდ არ იხურება, მოთითხნილია მასწავლებელთა ოთახი, იატაკი ჭრიკინებს. ფიცარი დაგენანათ სკოლისათვის? არა, არ ვარგა! ეკატერინე კმაყოფილია? ეკატერინე კმაყოფილია.

— არაფერი უთქვამს. — მორცხვად თქვა გულსპირმა და კონსტანტინეს სახე მოარიდა.

— ეს როგორ, ამხანაგო გულსპირ, — კომუნისმს ვაშენებთო და სკოლის შენობა ხეირიანად ვერ შეაკეთეთ? დღედაღამე მუშაობდნენო, ბეჯითად მუშაობდნენო, ძალიან დაქანცულან და დასვენება გიბრძანებიათ მშენებლებისათვის, ისიც ერთი კვირით! — კეთილი და პატიოსანი, დაისვენონ! როცა მოლონიერდებიან თქვენი ნაქები მშენებლები, ისევე სკოლაში მოიყვანეთ და რაც სახელდახელოდ გაუკეთებიათ, საგულდაგულოდ ვააკეთონ. მშენებელთა ბრიგადირს პირადად გადაეცი ჩემი დავალება... იცოდეთ, ამოვალ და შევამოწმებ.

სიცხემ იმატა. ცაცხვის ჩრდილში სასიამოდ გრილოდა და შედგნენ.

— ცოტა დაეისვენოთ. — თქვა კონსტანტინემ, ცხვირსახოცი დაიფინა და მოლზე დაჯდა.

ხემაღალი ხელისგულივით ჩანს. სა-

ნისლეს ქედი, ჯინორიძეთა უბანი, ნიგვზიანი, სატეველას ხეობა და... განთიადი, ზეგნები და დობერებს...

კაცუბერის ფიქრი: „ძალიან დიდი სოფელი ყოფილა ხემაღალი. ჩვენს რაიონში ამაზე დიდი სოფელი არ მეგულებოდა... და კინალამ ამოიშრიტა, კინალამ წავაქციეთ! ნოყიერი ნიადაგი, ჯანმრთელი ჰავა, წყაროები, ხეხილი ვენახი, ტყეები... ბებრებმა გაამაგრეს! დიდმა ეკატერინემ გაამაგრა. ჩაფიჩაძეებმა და კიკნაველიძეებმა გაამაგრეს. — ჯინორიძეებმა კი უღალატეს. პო, ჯინორიძეებმა უღალატეს“...

— ვაზი რამდენი ჩაყარეთ? — ვითომ სხვათაშორის იკითხა კაცუბერმა.

— ზუთი ათასი.

— ჯიში?

— ალიგოტე და ციცკა. ცოტა თაკვერიც.

— გაისად?

— გაისად? — დაფიქრდა გულსპირი, — მერე ამაყად თქვა, — გაისად ოცი ათასი!

— ოცი ათასი? ბევრია, ვერ მოერევით! — თქვა კონსტანტინემ და სიგარეტს მოუყიდა.

გულსპირის ფიქრი: „ოცი ათასი ბევრია? ოცი ათასი ერთი წლისათვის რატომ გვებევრება, როცა ოთხასი ათასი... დიახაც ოთხასი ათასი ძირი დაირგვება ხემაღალის მამულში. ითხვისის შეურნეობაში ორმოცი ათასი ძირია, მორჩა და გათავდა. აქ დაედო საზღვარი, სავენახე მიწა მეტი არცა აქვს ითხვისის. ჩვენს დობერებს გახედე. პატივეცმულო კონსტანტინე, სულ ცოტა ოთხასი ჰექტარი სუფთა სავენახე და ვიანგარიშოთ!“

— ჩვენი მეურნეობა კომპლექსურად გადააკეთეს...

— ვიცი, — თქვა კაცუბერმა, — სამინისტროში მე თვითონ ვესწრებოდი სხდომას.

— თუთა მესამე ნომრად გადმოვიცდა.

— ეგვეც ვიცი, პირველი ნომერი — ვენახი, მეორე ნომერი — ხეხილი, მე-

სამე ნომერი — თუთის პლანტაცია. ძაფსაგრები ქარხანაც ხერგაში აიგება, ხემალაში — ლინის ქარხანა.

კაკუბერის ფიქრი: „ითხვისის მეურნეობა ყურეში მოუთავსდება ხემალას. — ასეთი სიმძლავრის ლინის ქარხანა რაღად გინდათ ითხვისშიო. ხემალას თუთა ვაზს ამოიტყუებს და თქვენი ლინის ქარხანა უქმად რომ არ იდგეს, ხემალალიდან ჩამოგიტანთ ყურძენს... მახსოვს ამხანაგო რევაზ!“

— ბარში რომ ჩასახლდა ვაზი და ხეხილი, მოგვხსენებთ პატივცემულო კონსტანტინე, გემოც დაკარგა და მაწიერობაც. ვაზი და ხეხილი თანდათან ისევ მაღლობებზე უნდა ამოვასახლოთ... აბა ჩვენი ციკვა შეადარეთ რიონის დაბლობის ციკვას, ხემალას ხილი ხევისწყალის ხილს!...

— მაშ, ოთხასი ათასი ძირი? — ისევ ვაზს მოუბრუნდა კაკუბერი. — ითხვისის მეურნეობაზე ათჯერ მეტი?

— ხემალას მამული ითხვისის შემდეგ დაიბადა, — ღიმილით თქვა გულასპირმა, — „ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს!...“

კონსტანტინემ მაგის საათს დახედა.

— პირველი დაწყებულა, წაიღეთ. — თქვა კონსტანტინემ და ადგნენ.

და მათ ადგომას თითქოს საღუტით შეეგება სახერხი ფარდულის დინამომანქანა. ჯერ მაკახელასავით ზედიზედ გაისროლა, მერე გამაყრუებელი თახტახი გააბა.

* * *

სუფრა ოდასახლის აივანზე გაეშალათ. აივანზე საკმაოდ გრილოდა. ხერგადან უხემსოდ წამოსული კონსტანტინე კაკუბერი მაღიანად შეექცა. სუფრაზე ოთხნი ისხდნენ. მასპინძელი — ალექსანდრე ჩაფიჩაძე, დიდი ეკატერინე, კონსტანტინე და გულასპირი. თამალობა გულასპირმა თვითონვე დაილო-

ცა და კაკუბერს რამდენიმე ყანწი შესავა, ისიც ხემალასის სამწლიანე ციკვა. ხემალასის ციკვა კი მამალისა მეთი გრადუსი ხელში გეკაოთ.

პირველად დიდი ეკატერინე ადღეგრძელა გულასპირმა: ქალბატონ ეკატერინეს დამსახურებაზე მთელი დღე შემოძლია ვილაპარაკო, ბრძანა თამადამ, მაგრამ ჩვენს სტუმარს ეჩქარება და ამიტომაც მოკლედ მოვკრიო:

— წაქცევაზე ვიყავით! წაქცევაზე ვიყავით კი არა, წაქცეულივით ვიყავით, მაგრამ დიდმა ეკატერინემ გაგვაშავრა. ჩვენს ოჯახებში პირველ სადღეგრძელოთი დიდ ეკატერინეს ადღეგრძელებენ, მე ტრადიციის კაცი ვახლავართ და ამ ტრადიციას ვერ ვუღალატებ.

გულასპირმა ყანწი კონსტანტინეს გადასცა. კონსტანტინემაც სიყვარულით ადღეგრძელა დიდი ეკატერინე, შეაქო, დიდადაც შეაქო.

დიდმა ეკატერინემ მაღლობის ნიშნად თავი დაუქრა და არაფერი თქვა.

მეორე სადღეგრძელო გულასპირმა ალექსანდრე ჩაფიჩაძეს მიუძღვნა. ალექსანდრეს კაიკაცობაზე მთელი დღე შემოძლია ვილაპარაკო, ბრძანა თამადამ, მაგრამ ჩვენს სტუმარს ეჩქარება და მოკლედ მოვკრიო: მაგარი ყაზახია, კაი შვილიც გამოგვიზარდა. ალექსანდრეს შვილს კაი სახლკარი აქვს თბილისში, შვილმა ალექსანდრე თბილისში გაიტყუა, რძალი და შვილიშვილები შემოახვია, ჩვენთან იცხოვრეო, მარტო რა გაგაძლებინებს ხემალაშიო. მარა ჩვენი ალექსანდრე მაგრა დადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, — და კერ: არ დატოვა. მერე? მერე ყველაფერი ვიციო...

მოიბოდიშა გულასპირმა, სიტყვა ცოტა გამიგრძელდაო, მაგრამ ალექსანდრეს უხარია, როცა აქებენო და მამატეოთ.

ყანწი კაკუბერს გადასცა გულასპირმა და კაკუბერმა ყანწი დასცალა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძე ფეხზე ადგა, კაკუბერს მაღლობა მოახსენა და სამა-

დღობელი შესვა. მეორე ყანწის დაღე-
ვა მოგიწევსო უთხრა ალექსანდრეს
დიდმა ეკატერინემ, ჯერ მე არ დამი-
ღეცია შენი სადღეგრძელო და სამად-
ღობელს რატომ დაეშურეო. დიდ
ეკატერინეს გულასპირმა შეუესო ყანწი.
ალექსანდრეს უსიტყვოდ ვადღეგრძე-
ლებო, — თქვა ეკატერინემ და ყანწი
გამოსცალა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძე ფეხზე ადგა,
მადლობა მოახსენა ეკატერინეს დღე-
გრძელობისათვის და სამადღობელო
მეორედ შესვა.

ჩვენი სტუმრის სადღეგრძელო მიბ-
რძანებიაო, — თქვა გულასპირმა და
ფეხზე წამოდგა. კონსტანტინე კაკუბე-
რის მოღვაწეობაზე ორი დღე-ღამე შე-
მიძლია ვილაპარაკო, მაგრამ კონსტა-
ნტინე კაკუბერს ეჩქარება და მოკლედ
მოუპკრით: ბევრი, ბევრი კარგი რამ ვი-
ციო და გვსმენია კონსტანტინე კაკუ-
ბერზე, ღმერთმა ჭანმრთელად გვიმოყო-
ფოს მისი თავი და დიდხანს გვეოლო-
დეს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელა-
დო. მერე ალექსანდრე ჩაფიჩაძემ შე-
სვა კონსტანტინე კაკუბერის სადღეგრ-
ძელო, — რასაც ერთადერთი ვაჟიშ-
ვილისათვის ფისურვებ, თქვენთვისაც
ის მისურვებიაო.

კაკუბერს სამადღობელო ნახევრად
შესმული ჰქონდა, როცა გაახსენდა,
დიდმა ეკატერინემ ალექსანდრე რომ
დააჯარიმა...

— თქვენც გაჯარიმებთო. უთხრა
დიდმა ეკატერინემ კაკუბერს და გაუ-
ღიმა.

და კონსტანტინე კაკუბერს ლამაზ,
მომხიბველელ ქალად წარმოესახა მო-
ღიბარი ეკატერინე. ლოყები ოდნავ შე-
წითლებია ეკატერინეს, თვალები უღი-
მის, მარტო თვალები რატომ? მთელი
სახე უღიმის ეკატერინეს... ყანწი გუ-
ლასპირმა შეუესო. კონსტანტინე კაკუ-
ბერს ვადღეგრძელებო, — დინჯად
თქვა დიდმა ეკატერინემ, — სრულიად
ახალგაზრდა შეაჭიდეს დიდ და ძნელ
საქმეებს და გაუძლო, კარგადაც გა-
უძლოო. მუშაობაში შეცდომა ვის არ

მოსვლია, — დამარცვლა ეკატერინემ,
და ზოგჯერ ჩვენი კონსტანტინეც შემ-
ცდარა, მაგრამ უბედურება! შეცდომა
კი არ არის, უბედურება შეცდომის გა-
მეორებააო, კაკუბერი კი შეცდომებს
არ იმეორებს და ამისათვის სიყვარუ-
ლით მიდღეგრძელებიაო...

ეკატერინემ ყანწი გამოსცალა, კა-
კუბერისკენ გადაიწია და შუბლზე აკო-
ცა.

კონსტანტინე კაკუბერს დიდი, ძა-
ლიან დიდი სიტბო ჩაუღვარა გულში და
იმ სიტბომ თვალები შეუწამა.

— დაჯარიმებით კი დაგაჯარიმე, მაგ-
რამ ნუ დაღევე, გზაზე დგეხარო, —
უთხრა კაკუბერს ეკატერინემ და მხა-
რზე დაადო ხელი.

კაკუბერმა შორს დაიჭირა თავი, ყან-
წი თვითონვე შეივსო, მადლობა მოახ-
სენა ეკატერინეს და ყანწი გამოსცალა.
პაუზა.

კაკუბერის ფიქრი: „დიდ ეკატერი-
ნეს ახლაც სჯერა, თითქოს განათლე-
ბის განყოფილებისათვის მე მებრძანე-
ბიოს ხემაღალის სკოლის დახურვა.
ზრდილობიანად ვადმომკრა — შეცდო-
მა ვის არ მოუვა, უმთავრესია შეცდომა
არ გაემეოროთო. შეცდომა რომ ჩაი-
დინე, იმიტომ ვიყავი გულმოსული შე-
ნზე და რადგანაც გამოსასწორე, ის პირ-
ვანდელი შეცდომაც მიპატიებიაო“.

რადგანაც ჩვენს სტუმარს დიდად ეჩ-
ქარებაო, — დაიბუხუნა გულასპირმა,
ეინც ჩვენ დავგანაყრა — პატარა ეკა-
ტერინე და დუდუხანა და თქვენი თამა-
და ერთად მიდღეგრძელებიაო.

დიდმა ეკატერინემ და ალექსანდრემ
იუარეს — გულასპირის სადღეგრძელო
ცალკე უნდა შეესვათო, გულასპირმა
თქვა, თამადა მე ვარ, მიბრძანებია და
ჩემი ბრძანება მოვალენი ხარო შესა-
რულოთო და ის იყო სადღეგრძელო
უნდა შეესვა, მაგრამ კაკუბერი დიდ
ეკატერინეს და ალექსანდრეს მიემხ-
რო და გულასპირმაც უკან დაიხია.

პატარა ეკატერინე და დუდუხანა სუ-
ფრაზე მოიწვიეს, დიასახლისობა შეუ-
ქეს და ადღეგრძელეს.

მერე კონსტანტინე კაკუბერმა თვითონ შეიგოს ყანწი, — ჩვენი თამადის სადღეგრძელო, ნება მომეცით, პირველმა დავლიოო, — თქვა და ფეხზე წამოდგა. — ბევრი რამ მსმენია გულასპირ ჩაფიჩაძეზე, მართალია, თქვენს სტუმარს ეჩქარება, მაგრამ ორიოდ სიტყვას მაინც იტყვისო. იყო დრო, როცა გულასპირ ჩაფიჩაძე კორებს უვრცელებდა და აძაგებდა კონსტანტინე კაკუბერს, მინდოდა რაიკოაში დამებარებია და პარტიული სასჯელი დამედო, მაგრამ სამწუხაროდ გულასპირ ჩაფიჩაძე უპარტიო აღმოჩნდა... დღეს შევხვდით ერთმანეთს და პირდაპირ ვიტყვი — ძალიან მომეწონა თქვენი გულასპირი, თავის საქმისა ყველაფერი იცის და იმიტომ მომეწონა. დღეს რაც კეთდება, ზეპირად იცის, მომავალში რა გაკეთდება, ისიც ზეპირად იცის. შემიყვარს ასეთი ხალხი და გულასპირ ჩაფიჩაძე შევიყვარე...

კონსტანტინე კაკუბერმა მარცხენა ხელით ღვინის ჭიქა აიღო და მატარა ეკატერინეს შეავსებია.

— გულასპირს ვთხოვ ნუ შიწყენს, მასთან ერთად მინდა ვადღეგრძელო როსტომ კიკნაველიძე.

გულასპირის გარდა ყველამ გაიკვირვა.

პაუზა.

— დიახ, როსტომ კიკნაველიძე! გულასპირმა და მე დღეს ვნახეთ ითხვისიდან თავის ნასახლარში დაბრუნებული ბერიკაცი. — რძალი და შვილიშვილი არ წამომყვენ, მე მართო წამოვდი, ჩემი თავის უფროსი მე ვარო... მე სიხარულის ცრემლი დავინახე მის თვალში, — ვადღეგრძელოთ როსტომ კიკნაველიძე.

...კონსტანტინე კაკუბერი ლალი და ხალისიანი ბრუნდებოდა ხემაღალიდან, ისეთი ხალისიანი, მოუხრეშავი გზაც ტახტრევიანად ეჩვენებოდა.

თავი მესამე

რუსულანმა კუბეში ვერ მოიხვეწა. ძილის წამალიც-კი დალია, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა.

ნიკოს, თათიას და დარეჯანს მშვიდად სძინავთ. ჯერ კიდევ მატარებელი თბილისში იდგა, როცა სამივენი დაწვენი და მატარებელი დაიძრა თუ არა, დაიძინეს.

რუსულანმა უხმოდ გამოაღო კუბის კარი, ვაგონის ფანჯრები ღია იყო და დარეჯანში სასიამოდ გრილოდა.

ელმავალმა ერთი გაბმულად მიაკვივლა და მატარებელი გაჩერდა.

სადგური წიფა.

„აჯობებდა რეზო და სანდრო ჩამოსულიყვენ თბილისში. თვითონ დამბრეკა, სანდრო და მე ჩამოვალთ და თბილისიდან ერთად წამოვიდეთო. შევცდი, უარი რომ ვუთხარი“.

მაისის დღესასწაულზე რეზო და სანდრო ორი დღე იყვნენ თბილისში, პირველ დღეს რუსულანი უცხოდავით ექ-

ცეოდა მეუღლეს, მეორე დღეს — კი ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, გაუშინაურდნენ, ჩვეულებრივად ესიყვარულდნენ და ესაყვედურებოდნენ ერთმანეთს...

„ახლაც ასე იქნება“...

მაგრამ რუსულანი მაინც ღელავს. სადაცაა ხერგაში ჩაეღენ და ვერ დაუძინია.

„ორი თვე დავრჩებით ხემაღალში. თათია, სანდრო და მე სოფელში ვიქნებით, რეზო ხერგაში, ხშირად კი ამოგვაკითხავს, შესაძლოა შევებულებაც აიღოს. აგვისტოს ბოლოს თათია და მე თბილისში წამოვალთ, სანდრო და რეზო ხერგაში დარჩებიან. მორჩა და გათავდა! ეგებ სხვანაირად ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე? ბოლო წერილში მომწერა: ლაბორატორიისათვის შენობის აგება მთავრდება და ლაბორატორიის ხელსაწყოები ხემაღალში ავითანეთო... უკვე სამოცამდე ოჯახი დათანხმდა ხე-

მაღალში დაბრუნებაზე, ამიტომ საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა შევაჩერეთ, ოსტატები საცხოვრებელ სახლებს აგებენ და სკოლის შენობას არემონტებენო. ააგებენ ოდასახლებს, ლაბორატორიას, მეურნეობის ადმინისტრაციულ სახლს, ხემაღლის სკოლა ისევ საშუალო სკოლად გადაკეთდება და რეზო და სანდრო ხერგას მიატოვებენ და ხემაღლაში დამკვიდრდებიან.

...ახლა მე და თათია მიყვებართ სოფელში, შეეცდება მოგვაწონოს ხემაღალი და თუ მოგვეწონა... მაგრამ თათია? თათია ხომ გაისად ამთავრებს სკოლას? თათია? ნიკო და თექლე, დიდიდღა და პაპა უპატრონებენ თათიას! ჰო, დიასამიძეების ოჯახში იცხოვრებს თათია და ამით არაფერი დაშავდება. ასე ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე, ჰო, თათია, თუ გამოცდას ჩააბარებს, უცხო ენათა ინსტიტუტში ისწავლის და დიასამიძეებთან დაბინავდება... სანდრო ხემაღლის სკოლაში ივლის, რუსუდანიც ხემაღლის სკოლაში იმუშავებს ხატვის მასწავლებლად და ეგებ ხემაღლის სანახებმა და სატყველას ხეობამ კვლავ გაუღვიძოს ხატვის წადილი? რევაზ ჩაფიჩაძე? მეურნეობის დირექტორი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი კიდევ ახალახალ საქმეებს გამოიგონებს: უკვე კულტურის სახლის აგებაზე ფიქრობს. სტადიონის მშენებლობასაც მალე დაიწყებთო, ისე დაბეჯითებით იწერება, ნამდვილად ააგებენ სტადიონს ხემაღლაში... მერე კიდევ ახალ საქმეებს გამოიგონებს რევაზ ჩაფიჩაძე, იმოდღაწებს ამ პატარა სოფელში, მისი სახელი — კი, საქვეყნოდ გახალისდება. მეცნიერმა დაშრეტილი ხემაღალი აღორძინა! იოლი საქმეა? მეცნიერი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და როგორი იყო ეს სოფელი, როცა მეცნიერი დაუბრუნდა? ჰო, როგორი იყო? არ იყო გზა, ელექტრონი, კომპერატივი, ბევრი რამ არ იყო, ნასოფლარს ჰგავდა ხემაღალი: ჩვიდმეტი მოსახლე შემორჩა ხე-

მაღალს, ჩვიდმეტი ბებერი, ჩვიდმეტი მოსწავლე და ორი მასწავლებელი, დიას, ნასახლარს დაემგვანა ხემაღალი... ახლა? მობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ (გაზეთებში ნამდვილად ასე დაწერენ) — გზატკეცილი, ელექტრონი, საბჭოთა მეურნეობა, ახალი ოდასახლები, თუთის პლანტაციები, ვენახი, კულტურის სახლი, სკოლის ახალი შენობა, სამასი მოსწავლე, თორმეტი მასწავლებელი... ეს ამჟამად. ახლო მომავალში? ჰო, ახლო მომავალში კიდევ უფრო გამძღავრდება, დამშვენდება, კეთილმოეწყობა... გაზეთში დაბეჭდილ წერილს ფოტოსურათი დაამშვენებს — ლაბორატორიის დიდი დარბაზი, რევაზ ჩაფიჩაძე ასისტენტებით“...

კუპის კარი ფრთხილად გაიღო. კარებში ნიკო იდგა.

— ჯერ ადრეა, მამი! — ხმადაბლა თქვა რუსუდანმა.

— მაინც?

რუსუდანმა მაჯის საათს დახედა.

— სულ ცოტა — საათნახევარი.

— შენ რატომ არ გძინავს? ჩურჩულით ჰკითხა ნიკომ.

— კუბეში ცხელა.

ნიკომ კარი ღრიჭოდ დატოვა და დაწვა.

სადგურის მორიგემ ზარს ჩამოჰკრა, ელმავალმა შეიკივლა და მატარებელი დაიძრა.

„მართო ოჯახი კი არა, ჩემი გულიც ორად გაიყო და მე ორი გული მაქვს. ჩემი ერთი გული ხერგაში ცხოვრობს, რევაზთან და სანდროსთან, მეორე — თბილისში, თათიასთან.

...ტელეფონის გაბმული ზარი. ვიცი, რევაზი რეკავს ხერგადან და გული შემიტოკდება. სწრაფად ვიღებ ყურმილს.

— რეზო ხარ?

— სანდრო ვარ, დედი!

— როგორა ხარ, შვილო?

— კარგად. შენ? შენ როგორა ხარ, დედი!

— მეც... მეც კარგად ვარ;

— თათია კარგად სწავლობს?

პაუზა.

თათია ჩემს გვერდით დგას და თვალბუნი შემომცქერის.

— პო, თათია? — თათია კარგად სწავლობს.

— მეც ხუთებზე ვსწავლობ, დედი! ახლა მამას ელაპარაკე.

— როგორა ხარ რუსიკო? — მესმის რევაზის ბოხი ხმა.

— კარგად, ძალიან კარგად.

— თათი?

— კარგად.

— ხომ არ გაჯავრებს თათია?

— არა.

— ხომ არაფერი გიპირთ?

— არა.

— კვირას სანდრო და მე ჩამოვალთ, რა ჩამოვითანოთ?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?

პაუზა.

— პო, გასაგებია, ნახვამდის. კვირას ჩამოვალთ.

— ნახვამდის.

თბილისში მცხოვრები ჩემი გული შენიღბულია, ამიტომაც ასე ესაუბრება სანდროს და რევაზს და ნიღაბი რომ ჩამომეხსნა, ასე იტყოდა: ცუდად, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, შეილო! ეიცი, მამაშენი გულისყურით გივლის, ჯანმრთელად ხარ და კარგადაც სწავლობ, მაგრამ მე მაინც მეთანადრება გული. სიზმრები მაფორიაქებს და დარდი მღრღნის. მენატრები, ძალიან მენატრები, ბიჭო, ლამის თათია მარტო დავტოვო თბილისში და თქვენთან წამოვიდე. „თათია როგორ სწავლობს?“ თათიამ სწავლას უკლო და კინოში სიარულს მოუხშირა. მამბრაზეებს და ნერვებს მიშლის მისი საარკესთან ტრიალი...

„როგორა ხარ რუსიკო?“ — თვითონ არ იცი? საკითხავია როგორა ვარ?

„ხომ არაფერი გიპირთ?“

ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიპირს რევაზ... ხატვაზე სამუდამოდ ავიცრუე გული, სკოლაზედაც ავიცრუე გული, მეზარება სასწავლებელში მისვლა, თითქოს ოჯახზედაც ავიცრუე გული...

ვითომ თეატრში დავდივარ, ვითომ კონცერტებზე და კინოებში დავდივარ, ხან თათიასთან, ხან ამხანაგებთან და კინოში, თეატრსა და კონცერტზე ვხივარ დამძიმებული და გაორებული გულით. დარბაზი ხარხარებს, ტაშს უკრავს, მე ჩუმად ვარ, ჩემს გულში ვიხედები და მეშინია.

„კვირას სანდრო და მე ჩამოვალთ, რა ჩამოვითანოთ?“ არაფერი. არაფერი არ მინდა, ოღონდ თქვენ ჩამოდით, აუცილებლად ჩამოდით, თორემ“...

— რუსიკო, კიდევ შორსა ვართ? — კარებში ნიკო იდგა.

რუსულადნი შეკრთა. მაჯის საათს დახედა.

— ნახევარი საათილა დარჩა.

— თათიას და დარეჯანს გავაღვიძებ!

— გააღვიძე!

„გათენებულა. ვაგონის გამყოლს სინათლე გამოურთავს. რკინიგზას ჩხერი-მელა ადევნებია, სადაცაა ხერგაში ჩავალთ და სადგურზე რევაზი დაგვხედება“.

* * *

წუხელ, დაწოლისას სანდრომ მალე-ძარა სასთუმალთან დაიდგა და გათენებულციც არ იყო, მამის ოთახში რომ შევიდა.

რევაზმა თვალეები მოიფშენიბა.

— ადრეა, ბიჭო, დაიძინე! — ჩუმად თქვა რევაზმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

სანდრო უხმაუროდ გავიდა ოთახიდან, დერეფანი ფეხაკრეფით გაიარა და სასტუმროს მორიგესთან ჩავიდა.

ძია იპოლიტე სავარძელში თვლემდა, პირი ოდნავ გაეღო და თითქოს ვილაციის ერიდებო, ხმადაბლა და გამოზომილად ხვრინავდა. სანდრო ნაბიჯების ხმაზე მაინც გამოფხიზლდა, ერთი ლახათიანად გააზმორა და წამოდგა.

— ვითომ მატარებლის დროა? — თავისთავს შეკითხა იპოლიტე, მერე კედლის საათს ახედა და გაიოცა.

— მატარებელი, ბიძიკო, — ცოტა

არიყოს, გაჯავრებით თქვა ძია იპოლიტემ, — ჯერ მარელისში არაა ჩამოსული, — დაიძინე და მე თვითონ გაგაღვიძებ.

სანდრო თავის ოთახში შემობრუნდა, ტახტიდან ჩემოდანი გამოათრია და სოფელში წასაღები წიგნები, დაჩუტული ბურთი, კეტები და ანკესები ჩააწყო.

„ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია, თავდაღმართზე მოექანება და ხერგამდე ერთი საათილა მოუნდება. მამა ახლა რომ ადგებოდეს, წვერის გაპარსვასაც მოასწრებს. წუხელ თქვა, წვერს დილით გავიპარსავო, ეგებ დაავიწყდა?“

ელექტროსაპარსის ღუღუნის შემოვსმა და სანდრო მამის ოთახში შეიჭრა.

— რაო ძია იპოლიტემ? მამას თუ ძიანავს, გააღვიძეო? გაგვიანდებათო?

სანდრომ არაფერი თქვა.

„ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია, თავდაღმართზე მოექანება და ხერგამდე ერთი საათილა მოუნდებაო?“ ასე თქვა ძია იპოლიტემ?

სანდროს ლოყები შეუწითლდა.

„მამაშენი ახლა რომ ადგებოდეს, წვერის გაპარსვასაც მოასწრებს, ავიწუხელ თქვა, წვერს დილით გავიპარსავო, ეგებ დაავიწყდა?“... არა, არ დამვიწყებია! ესეც ასე. — წვერი გავიპარსეთ, — დიმილით თქვა რევანმა, ელექტროსაპარსავი მაგიდის უჯრაში ჩადო და წამოდგა.

მატარებლის ჩამოსვლამდე საათზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ რევანმა სადგურზე წასვლა ამჯობინა.

„აგერ მესამე თვეა სანდროს დედა არ უნახავს და მოლოდინში გული ეწუხრება. წუხელ შფოთიანად ეძინა, თათიას წაეჩხუბა ძალში, ვითომ სავარცხელი წაართვა, მერე დაუყვავა და სავარცხელიც უკანვე დაუბრუნა... ჰო, დედისა და დის მოლოდინშია, ღელავს, წრიალებს და ადგილი ვერ უპოვნია. სადგურზე წავიყვან. იქ დაელოდოს“...

სასტუმროს ეზოში ჩავიდნენ. „ნიკოლას“ სახელდახელოდ რაღაცაწმინდეს მტკერი და სადგურისკენ დააძინა.

...რევან ჩაფიჩაძე სიმამრს არ მოელოდა. გუშინ საღამოს დაურეკა რუსულანს, რუსულანს არაფერი უთქვამს და ვაგონის ფანჯარაში ნიკოს რომ მოჰკრა თვალი, შეეშინდა, მაგრამ შიში უმაღვე გააქრო ნიკო დიასამიძის დიმილმა.

ნიკო პირველი ჩამოვიდა ვაგონიდან და სიძე და შვილიშვილი მაგრა ჩაჰკოცნა, მერე რევანს და სანდროს რუსულანს, თათიას და დარეჯანს შეეშველნენ ვაგონიდან ჩამოსვლაში.

— არ მომელოდით, პა, არ მომელოდით, ხომ? — აბუბუნდა ნიკო დიასამიძე, — ასეა, ხანდახან ისტორიასაც სჩვევია მოულოდნელობა!

რუსულანს ძალზე გაეხარდა სანდროს რომ სადგურზე დახვდა, მაგრამ მეუღლეს მაინც უსაყვედურა, ასე დილაღრიან რატომ გააღვიძე ბავშვიო.

...ოთახები დალაგებული დახვდათ, ფანჯრები ღია იყო და სასიამოდ გრილოდა.

— მამ, არ მომელოდით, ხომ? ვიცი, დიასაც არ მომელოდით! — ისევ აბუბუნდა ნიკო დიასამიძე და სანდროსთან ერთად აივანზე გავიდა.

— ხევისწყალია, — მდინარეზე მიუთითა სანდრომ.

— ვიცი, ხევისწყალში მიბანავია, — თქვა ნიკომ და შვილიშვილს მხარზე დაადო ხელა.

— როდის? — გაიოცა სანდრომ.

— შენზე დიდი ვიყავი. აქ კი არა, ე, ზემოთ, მოსახვევთან რომ მორევია. ჰო, შენზე დიდი ვიყავი, სტუდენტი, კარგადაც ვცურავდი, მაგრამ მორევმა მაინც დამითრია, დამატრიალა, დაბლადაბლა, ფსკერისკენ წამიღო, მერე უეცრად ზევით ამომისროლა და ამხანაგებმა წვალებ-წვალებით გამომიყვანეს ნაპირზე... ძალზე შეეშინდი, — მერე ფეხი არ შემიდგამს მდინარეში... შენ ხომ არ ბანაობ იმ მორევში?

— ვბანაობ! — ამყავდ თქვა სანდრომ



და ბაბუას თვალბუმში შეაქცერდა.
— მერე და, არ გეშინია? მამაშენმა იცის?

— ჩემზე პატარებიც ბანაობენ იმ მორევში, — მამაჩემიც ბანაობს!

— კი, სანდრო და მისი ტოლები თევზებზე სრიალებენ იმ მორევში, მეც ამიყოლიეს, — ღიმილით თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და სიმამრი საუზმეზე მიიწვია.

...ნასაუზმევს დარეჯანი ბაზარში წავიდა. ნიკომ შეიღოშვილები აიყოლია და ქალაქში გაისეირნა.

სიცხიანი დილა იყო და სანდრომ ნიკო და თათია აბაშიძის ნაციხარზე აიყვანა. ნაციხარზე პატარა სკვერია, იქ ყოველთვის გრილა და კარგი სამზეროცაა — ხელისგულივით მოჩანს ხევისწყალის ხეობა, ხერგა და მისი შემოვარენი.

ნიკო დიასამიძეს დიხაც გაუქირდა აღმართის ამოვლა, მაგრამ როცა სკვერში მუხის ჩრდილს შეაფარა თავი და ქალაქს დახედა, დიდად ესიამოვნა.

— არც ისეთი პატარა ყოფილა ხერგა, თათი, — თქვა ნიკომ და ძელსკაშზე დაქდა.

— არც ისეთი დიდი, — თქვა თათიამ და ნიკოს გვერდით მიუქდა.

სანდრომ სიტყვა ბანზე ააგდო.

— ხვალ ამ ხეობით წავალთ სოფელში, — თქვა სანდრომ და ხელი ხევისწყლის ხეობისაკენ გაიშვირა, — ახალი გზა სოფელ მოკვეთილამდე ხევისწყლის სანაპიროს მიჰყვება. ამ გზაზე სიარული ჯერ ნებადართული არ არის, მაგრამ ჩვენ სამსახურის მანქანით წავალთ.

— მერე? მერე საით მიდის ჩვენი გზა? — ჩაჰკითხა ნიკომ შეიღოშვილს და გვერდით მოისვა.

— ხევისწყალი სოფელ მოკვეთილთან დასავლეთით უხვევს, პატარა ხევის გავივლით, სატეველას ხეობაში შევალთ და ჩრდილოეთით წავალთ.

— საიდან იცი? — ჰკითხა თათიამ.

— ამ გზითსამაჟერ ვიყავი სოფელ-

ში. — რაღაცნაირი სიამაყით თქვა სანდრომ.

— შეენ?

— მამამ წამიყვანა.

— მანქანები უკვე დადიან ხემაღალში? — გაიოცა ნიკომ.

— უქირთ, მაგრამ დადიან. საბარგოები და ვილისები დადიან. მთელ გზაზე კი არ უქირთ მანქანებს, მოკვეთილამდე გზა მოხრეშილია, ოღონდ ჯერ უასფალტოა. მოკვეთილიდან ჩვენს სოფელამდე მართო მიწაყრილია, ბულდოზერებმა გაჭრეს გზა, წელს მოხრეშავენ, გზა დაჭდება და გაისად დაასფალტებენ.

— საიდან იცი? — ჰკითხა თათიამ.

— ძია ლევანმა მითხრა.

— ძია ლევანი? ძია ლევანი ვინლაა? — ჩაჰკითხა თათიამ.

— გზის ინჟინერი. ეს გზა ძია ლევანს გაჰყავს.

— დავიხსოვოთ თათი, — თქვა ნიკომ და ხალათის ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო, — ჩაიფწეროთ: ხერგადან მოკვეთილამდე გზა მოხრეშილია, ოღონდ ჯერ უასფალტოა, მოგა დრო და ასფალტსაც დააგებენ.

— ხერგადან მოკვეთილამდე ასფალტს წელს დააგებენ, — დარწმუნებით თქვა სანდრომ.

— კეთილი, — თქვა ნიკომ და განაგრძო: — მოკვეთილამდე გზა მყარია, უტალახო. მერე? მოკვეთილთან ხევისწყალი დასავლეთით უხვევს. გავივლით მცირე ხევის, შევალთ სატეველას ხეობაში და წავალთ ჩრდილოეთით. აქედან ცოტა გვიჭირს, მიწაყრილია, მხოლოდ მშრალ ამინდში ახერხებენ საბარგო მანქანები სიარულს.

— მშრალ ამინდში „ვილისებიც“ თავისუფლად დადიან, — ჩაურთო სანდრომ.

— კეთილი, მშრალ ამინდში „ვილისებიც“ თავისუფლად დადიან. წელს გზას მოხრეშავენ, გაივლის ერთი წელი, გზა დაჭდება და დაასფალტებენ. სანდრო ჩაფიჩაძე ჩაჭდება მანქანაში და ხერგადან ხემაღალში ერთ საათსაც

არ მოუნდება. დავიხსომოთ, თათი, — თქვა ნიკომ, ჩაწერილი გადაიკითხა, ბლოკნოტი დაკეცა და ხალათის ჯიბეში ჩაიღო.

— ახლა ხერვას დავხედოთ — თქვა ნიკომ, შვილიშვილებს მხრებზე დაადო ხელები და ადგა. — მდინარე ვიცი — ხევისწყალი, — ის თეთრი შენობა ჩვენი სასტუმროა. „უღელტეხილი“, ახალ ბაზარსაც ვხედავ... აი ეს დიდი შენობა, ეზოიანი და კრამიტით გადახურული, არ მეცნობა.

— ჩემი სკოლაა, — თქვა სანდრომ.

— ოპო, კარგი სკოლა გქონიათ, — იმ სკოლის გვერდით — კი, საზოგადოება „ცოდნა“ არისო, მითხრეს. პირველ საათზე იქ უნდა ვიყუე, — თქვა ნიკომ და მაჯის საათს დახედა. — თორმეტი გათავებულა. წავიდეთ ნელნელა.

— ხვალ დილაადრიან წავალთ სოფელში, — უფრო სიჩუმის დასაარღვევად თქვა რევაზმა.

— დღესვე წავსულიყავით! — თქვა რუსუდანმა და საეარძლიდან ადგა.

— დღესვე? განა არ დაილაღე!

— რატომ? მთელი ღამე მეძინა.

რუსუდანი აივანზე გავიდა. რევაზმა სავარძელი აივანზე გაიტანა, სავარძელს დაბალი სამფეხა სკამი მიუდგა და რუსუდანის გვერდით დაჯდა.

რევაზის გული: „ვითომ მთელი ღამე ეძინა რუსუდანს? დაღლილი, ძალიან დაღლილი კი ჩანს. ცივი წყლით დაიბანა ხელპირი და თვალები მაინც ელულემა. თვითონ კი ამბობს მთელი ღამე მეძინაო. მიკვირს!“

— თუ გულით გინდა, წავიდეთ! — თქვა რევაზმა და ხელები რუსუდანის მუხლებზე დააწყო.

— დაღამებამდე ჩავალთ?

— ხუთ საათზედაც რომ წავიდეთ, დაღამებამდე ჩავალთ... ოღონდ საბარგო მანქანით მოგვიწევს მგზავრობა, ჩვენი „ვილისი“ თბილისშია.

— იყოს საბარგო მანქანა.

რევაზი ოთახში შემოვიდა და ტელეფონით დაურეკა გზის მშენებლობის

ინჟინერს, თხოვა მანქანა გაემზადებია ხემაღალში წასასვლელად.

რუსუდანის გული: „მეძინა-მეთქი და დამიჯერა. განა ვერ ხედავს დაღლილი ვარ თუ არა? შეხვედრისას მკითხა — როგორ ხარ რუსიკო, კარგად ვარ-მეთქი, ვუპასუხე და უმაღლე დამიდასტურა — „მართლაც კარგად გამოიყურებიო“. ვითომ გამამხნევა? ცუდად, ძალიან ცუდად ვარ, რევაზ. პირველად ვითომ არ გავტყდი და მაგრად დავდექ, არ მეგონა სამუდამოდ თუ გადმოსახლდებოდი ხერვაში, ან როგორ ვიფიქრებდი, სანდროც შენთან წამოვიდოდა? სახლი დაყრუვდა. გული დამიცალიერდა... შენ და სანდრო არ ხეინად ხართ, სანდრომ იოლად დაივიწყა დედა, შენ — კი მეუღლე“...

რევაზი აივანზე გამოვიდა, რუსიკოს გვერდით დაჯდა და ხელები ისევ მუხლებზე დაუწყო.

— მამაშენიც წამოვა სოფელში?

— მგონი, მივლინებითაა ჩამოსული, „ცოდნამ“ თხოვა ლექციების წაკითხვა.

— ხემაღალში?

— არა, ხერვაში.

რევაზის გული: „„კარგად ვერა ხარ, რუსუდან. თვალი გამხელს, ფერი სახისა გამხელს. ვიცი, გული ორად გაქვს გაყოფილი და მძიმეა ორადგაყოფილი გული. ვიდრე სანდრო თბილისში იყო, თითქოს მაგრად იყავ, მერე კი გატყდი. ვიცი, ყველაფერს მე მამბრალეზ. ეგებ მართალი ხარ, მაგრამ სხვაგვარად მე არ შემეძლო ჩემს ადგილზე შენ რომ აღმოჩენილიყავი, ვფიქრობ შენც ასე მოიქცეოდი. მე არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია... სანდრო ი-უ სწავლობს ხერვაში, განა თათიას არ შეუძლია ისაწველოს? დიახაც შეუძლია! უმჯობესიც იქნება! მუსიკა? ხერვაშიც ასწავლიან მუსიკას... თუმცა, თათია აგერ მერვე წელია მეცადინეობს და თავს არ ვუტყდებიო... მე და სანდ-

რო იოლად შეგვლიეთ შენ და თათიას?! ასე რომ არ არის! კინოში რომ წავიყვან სანდროს, აუცილებლად მეტყვის— ახლა დედა და თათია სახლში სხედან, ჩვენ — კი კინოში ვართო; არა-მეთქი, ვეუბნები, დედაც და თათიაც კინოში, ან კონცერტზე იქნებიან, დედაშენს თათია საგანგებოდ დაჰყავს კონცერტებზე... შემომხედავს და არაფერს იტყვის. ვიცი, არ სჯერა ჩემი ნათქვამი, მაგრამ ვითომ ირწმუნა და ჩუმად ზის“.

— თუ სოფელში კარგად ვერ იგრძნობ თავს, შენ და ბავშვები გაგრაში წახვალთ, — თქვა რევაზმა და სიგარეტს მოუკიდა.

გაგრის ხსენებაზე რუსუდანი შეტოვდა. უკვე ორი წელია გაგრაში არ ყოფილან. გაგრა თითქმის დავეიწყდა რუსუდანს. შარშანწინ შეიღებინა კოჯორში მოიაგარაკა მშობლებთან, შარშან კიკეთში, წელს კი ხემალაღში მიჰყავს მეუღლეს... თვითონ? აგერ მესხეთე წელია არ დაუსვენია. ჭერჭერობით მაგრად ხარ, რევაზ! მერე დაგიძახებს და ნახავ...

— გაგრაში? ურიგო არ იქნება! — თქვა რუსუდანმა და გაიღიმა.

რუსუდანის გული: „გაგრა! ვითომ წკიბურტი გადმომკრა? ვითომ დამცინის? ქალბატონ რუსუდანს სოფელში თუ მოეწყინება, რევაზ ჩაფიჩაძე შეიღებთან ერთად გაგრაში გაამგზავრებს... მეუღლესთან და შეიღებთან რუსუდანს სოფელში მოეწყინება? რატომ ფიქრობს რევაზი ასე?“

— საგზურებს პირველ აგვისტოდან დაიბეგებ, შეგიძლია დარეჯანიც წაიყვანო, — მშვიდად თქვა რევაზმა და ჩაუქრალი სიგარეტი იატაკზე დაასროსა.

— დარეჯანი? რა საჭიროა?

— დარეჯანსაც სჭირდება დასვენება, — საყვედურივით თქვა რევაზმა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— წამოვიდეს. დარეჯანიც წამოვიდეს!

რევაზის გული: „მამ გაგრაში გაემ-

გზავრებით, ქალბატონო რუსუდან? თათიასა და სანდროს წაიყვანო? დარეჯანსაც გაიყოლებო? კეფთლოვი მამაჩა ჩემი და მე სოფელში დავრჩებით, რა მოხდა მერე! მამაკაცები მარტოობას ქალებზე უფრო იტანენ.

— დედა როგორ არის?

— დედა? არაუშავს. მოკითხვა დამაზარა შენთან.

რუსუდანის გული: „გვიან გაიხსენა დედაჩემი. ახლაც სხვა რამე უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ ვერ მოიგონა და დედაჩემი მოკითხა. როგორ იქნება დედაჩემი, საკითხავია? სიძე სოფელში გამოექცა, რძალი სახლიდან გაიქცა, ვაჟიშვილი გარეგარე დაეხეტება. საკითხავია, როგორაა დედაჩემი?“

— ეგებ დედაშენიც წამოვიდეს გაგრაში?

— არა. დედა სახლს ვერ მიატოვებს.

რევაზის გული: „ქარგ დროს კი მოკითხა დედაჩემი, უთუოდ ასე თქვა გულში. დილაუთენია ჩამოვედით, აგერ შეაღღემ მოატანა და მაშინდა გაახსენდა სიღედრი. რევაზ ჩაფიჩაძემ არ იცის რა ღღეშია მისი სიღედრი? სიძემ ქალიშვილი და შვილიშვილი თბილისში დაუტოვა და თვითონ ხერგაში დაიღოკრა, ვაჟიშვილმა რძალი სახლიდან გაუქცია და თვითონაც ხანდახან შემოიხედავს შინ. ორი შვილი, ორი შვილიშვილი, სიძე და რძალი ჰყავთ ვითომ დიასამიძეებს და ყველანი განერიდნენ. დაცარიელდა დიასამიძეთა სახლი. მარტოდმარტო დარჩნენ თეკლე და ნიკო. სიჩუმე, მოწყენილობა, დარდი. ეს კიდევ კითხულობს, თეკლე როგორ ბრძანდებო. — გმადლობთ, საყვარელო სიძევ! არის და არც არის ქალბატონი თეკლე. დივლაობს. რუსუდანიც თვეში ერთხელ შემოივლის და მაშინაც ცოტა ხნით, მაინც ოდნავ გახალისდება დიასამიძეთა სახლი, გამოცოცხლდება თეკლე, საუბრეს გაუწ-

ყოფს რუსუდანს და თათიას, ნიკო ბატონიც გამობრძანდება თავისი ოთახიდან, — როგორაა თათი საქმე, წინ მიგლიჯინობს თანამედროვე მუსიკა? — ვითომ გაიოხუნეცებს ნიკო, თათია კი წითლდება და ვერაფერს პასუხობს: „...

— ზვიადი? ლილი? როგორაა მათი საქმე?

— ლილი? ლილი კარგადაა. ვიღაც შეიყვარა და მგონი თხოვდება. ზვიადი? ზვიადი გულს ასკდება. ისევ ფიზკულტურელობს. გალოთდა.

რუსუდანის გული: „ცოლისძმაც მოიკითხა. ყოფილი რძალიც. ლილის რა უკირს? სხვა შეიყვარა და გათხოვდება, ჰო, შეილი არა ჰყავს და გათხოვდება! ოჯახი არ ჰქონდათ და მათი ვაშორებით ოჯახი არ დანგრეულა. რამდენი უშვილძირო ცოლ-ქმარი გაყრილა, მაგრამ ქვეყანა არ დაქვეულა... ზვიადი და ლილი, ჩვენც ასე არ ვართ? შენ ცალკე ხარ და მე ცალკე. გაუგებრობაა? როდემდის ვიქნებით ასე? მე რომ ვაგშორდე, შეილები ამიტორდებიან? ამას ებღაუჭები? ლილი და ზვიადი გაიყარნენ და ამის გამო არაფერ ატირებულა?“

— ცული ამბავია! მიზეზი არაფერი ჰქონდათ. სრული გაუგებრობაა.

რევაზის გული: „ცოლისძმა და ყოფილი რძალიც მოიკითხა. ლილი და ზვიადი უმიზეზოდ გაიყარნენო, თავის ამბავს კი არ კითხულობს. „მე რომ ვაგყვარო, მე რომ ოჯახი დავტოვო, უმიზეზოდ იქნება? ასე რატომ ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე?“ დიასამიძის ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ცხოვრება წინ უძევს! მაგრამ შეილები? სანდრო და თათია? სანდრო მამას მიეკედლა? თათია? რატომ არ არიან სანდრო და თათია ერთად? აბა, მიპასუხეთ, ქალბატონო რუსუდან! თათია ვერ ისწავლიდა ხერგაში? სკოლას გაისად ამთავრებს თათია? იმერგაისად სანდროც დამთავრებს და სტუდენტი და-მამა უჩვენოდ ვერ იცხოვრებენ თბილისში? საკმელს ვერ შეიკაზმევენ და ნიფხავპერანგს ვერ გაირეცხავენ? მე დედა

არ წამომყოლია თბილისში, არც სკოლკარი მქონდა, ინსტიტუტიც არც დავამთავრე, ერთხელაც არ ჩამოტყუებნანგს მამაჩემს, ახლა საბავშვო ბაღიდან ინსტიტუტის დამთავრებამდე კულში ვდევთ, სურთ თუ არ სურთ, შეუძლიათ თუ არა, მაინცდამაინც უმალღეს სასწავლებელს ვამთავრებინებთ, მერე სასმასხურს ეუშოვით, მერე დავაქორწინებთ, მერე სიძესაც და რძალსაც ჩვენ ვარჩენთ, მერე შვილიშვილებს შევეწირებთ!... ჩვენ თვითონ ვამახინჯებთ ჩვენს შვილებს და მერე მიზეზს სხვაგან ვეძებთ! რა მოხდა, რა ვაიუშველებელი დატრიალდა ჩვენს თავზე?“

— დედი! — სანდროს ხმა შემოესმა რუსუდანს და შეკრთა.

სასტუმროს სადარბაზოსთან ნიკო, თათია და სანდრო იდგნენ.

სანდრომ კიბეები კისრისტეხით ამოირბინა, დედას მიეპრა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— ვერ მოასწრებთ, ჩვენ მალე წავალთ! — თქვა რუსუდანმა. სანდრო გვერდით მოისვა და გაუღიმა.

საბარგო მანქანის კაბინაში, მძღოლთან, ნიკო ბატონი დასვეს, ჩაფიჩაძეთა მთელი ოჯახი — კი, ბარგიანად მანქანის ძარაში მოეწყო. ამ საბარგო მანქანას ხერგა-ხემაღლის გზის მშენებელი მუშები გადაჰყავს და გზის მშენებლობის ინჟინერმა თითქოს ავტობუსივით გამართა: ძარაზე საჯდომებად დამაგრებული ფიცრები დერმატინგადაკრულია, ძარა ბრეზენტითაა გადახურული, ბრეზენტის სახურავში ჰუმურუტანებივით პატარპატარა ფანჯრებია დატანებული და იმ ჰუმურუტანებიდან იმდენი სინათლე მაინც ატანს, ოღროჩორლორ გზებზე სიარულისას, როცა მანქანა ნჯღრევანჯღრევიტ მიდის, ძარაში მსხდომმა მგზავრებმა თავები ერთმანეთს არ მიახალონ.



სიცხე. მტვერი. ხრეში დატყვნილი არაა და მანქანა რყევარყევით მიდის.

— მხოლოდ ნახევარი გზაა ასეთი, — მოუბოდიშა ნიკოს მძღოლმა და კაბინის ფანჯარა დაბლა დასწია.

— მე რა მიშავს! — ძარაზე მსხდომნი მებრალეებიან, — თქვა ნიკომ და მძღოლს გაუღიმა.

— ნელა ვივლი, — თქვა მძღოლმა და სიჩქარეს უკლო.

— ამ გზაზე ხშირად დადიხართ?

— ახლა დღეში ორჯერ, დილით ხერგადან მომყავს გზის მშენებლები, საღამოთი — კი ხერგაში მიმყავს. შარშან — კი დილიდან საღამომდე ამ გზაზე ვიყავი გაკრული.

— მაგარი საქმეა, — თქვა ნიკომ. ეტყობა, სიცხეს მტვერი არჩია ნიკო ბატონმა და კაბინის ფანჯარა ბოლომდე ჩახსნა. მერე კაბინიდან გამოჰყო თავი და შეეცადა ძარაში შეეხედა, მაგრამ ამაოდა.

ძარაში მსხდომნი არც ისე ცუდად გრძნობდნენ თავს. კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, თათია და დარეჯანი დერმატინგადაკრულ საჯდომიდან ნელნელა ჩამოცურდნენ იატაკზე, თავები ჩემოდნებს მიადევს და დაიძინეს. რუსულანი რბილ ჩემოდანზე იჭდა, ხელები მეუღლის მხრებზე შემოეწყო, თავი ზურგზე მიედო და თვლემდა. რევაზი კარგა ხანს ფხიზლად იყო, ხმადაბლა ესაუბრებოდა სანდროს, მერე თანდათან მასაც მიებლიტა თვალი. მარტო სანდრო იყო ყოჩაღად, სახურავის კუქრუტანაში იმზირებოდა და ანგარიშობდა — რამდენი კილომეტრი გამოიარეს ხერგადან და რამდენი რჩებოდა სატყველას ხეობამდე.

„სატყველას ხეობაში გზა მოუხრეშავია, რბილია და აღმართიანი, მანქანა ნელა ივლის და გზიდან მტვერი არ ადგება. მანქანის სახურავს გადავხდით და იოლად ვივლით“.

ნიკომ მაჩის საათს დახედა.

„ეს რა მუნჯი მძღოლი ჰყოლია რევაზ ჩაფიჩაძეს, საათნახევარია მოვლი-

ვართ და სულ ორიოდე სიტყვა ვადმონისროლა“.

— სადაური ხარ, მშობილო? — მტვერი ჩუმის დასარღვევად ჰკითხა ნიკომ მძღოლს.

— ქიზიყელი.

— ქიზიყი დიდია.

— სიღნაღელი გახლავართ.

— გეტყობათ, იმიტომაც ლაპარაკობ მძიმედ. აქ როგორ მოხვდი?

— თქვენმა სიძემ ჩამომიყვანა. ჩვენი ხელობა ასეთია — დღეს აქ ვართ, ხვალ — იქ.

— რამე გამორჩენა გაქვს? პაუზა.

— აბა ისე როგორ იქნება, ნიკო ბატონო! — თქვა მძღოლმა და გაიღიმა.

— კარგია. საბარგო ავტომანქანის მძღოლს გამორჩენა თუ აქვს, მაღლია! — თქვა ნიკომ და მძღოლს მხარზე დაუთათუნა ხელი.

— მტვერი, ტალახი, ოღროჩოღრო გზები, მძიმე ტვირთი... დიახაც მაღლია საბარგო მანქანის მძღოლის გამორჩენა. ტაქსის მძღოლებისა — კი, რა გითხრა! — დამარცვლა ნიკო ბატონმა, — ნამეტანს ჩადიან! მეზობელი მყავს ტაქსის შოფერი, დღეგამოშვებით ზის რულზე, პარკეტით ასფალტზე დაასრიალებს მანქანას და პროფესორი ვინაა მასთან? ნამეტანია, ნამდვილად ნამეტანი!

— თქვენზე მეტს ღებულობს? — გაიოცა მძღოლმა და ნიკოს თვალი გაუსწორა.

— ახლოსაც ვერ მივალ! ხმას აუწია ნიკომ. — შენც კარგად იცი და განგებ მეკითხები.

შორს თაღებიანი თეთრი ხიდი გამოჩნდა.

— იმ ხიდამდე სამი კილომეტრია, ხევისწყალი იქ დასავლეთით უხვევს...

— ვიცი, იმ ხიდს გადავალთ, პატარა ხეცს გავივლით და სატყველას ხეობაში შევალთ. — შევიღიშვილმა მითხრა.

— ხიდს გაღმა ნასოფლარია, მოკვეთილს ეტყვიან.

— ეგეც მითხრა სანდრომ. სატეველას ხეობაში გზა ჯერ არ არის მოხრეშლილი, წელს ხრეშს დააყრიან, ზამთარში გზა დაჯდება და მერე ასფალტს დააგებენო, — ასე თქვა გზის ინჟინერმა ძია ლევანმაო.

მძლოლს გაეღიმა და ნიკოს ცერად გახედა.

მანქანამ სიჩქარეს უმატა და თაღებიანი თეთრი ხიდი უფრო მოახლოვა.

— ლამაზი ხილია, — თქვა ნიკომ, კაბინიდან თავი გამოჰყო და ძარას ახედდა.

— ზედასართულს ძინავს, — თქვა მძლოლმა და მანქანა ხიდთან ჩრდილში გააჩერა.

მძლოლმა ძარას სახურავი გადახსნა. მანქანიდან პირველი სანდრო გადმოხტა, მერე რევაზი გადმოვიდა და რუსულდანს შეეშველა.

— თათია და დარეჯანი? — იკითხა ნიკომ.

— ძინავთ. — უხალისოდ თქვა რუსულდანმა.

— ძინავთ? — გაიოცა ნიკომ, — ასეთ ხეობაში მოვდიოდით და დაიძინეს?

— ჩვენ ვერაფერს ვხედავდით! — საყვედურით თქვა რუსულდანმა.

ნიკომ შეატყო, რუსულდანი უტუნებოდ იყო და არაფერი უპასუხა.

ხიდთან წყაროა, გზის მშენებლებმა წყაროს აუზი ამოუშენეს და თალარით მოაჩრდილეს. თალარში ქვის გრძელი მაგიდაა, ქვისავე სკამები, მაგიდაზე დოჭი და თიხის ჯამები. რევაზ ჩაფიჩაძემ კალათი მაგიდის ძგიდეზე დადო, სანდრომ ლიმონათის და ღვინის ბოთლები აუზში ჩააწყო, რუსულდანმა — კი სველი ჩვრით გადაწმინდა მაგიდა და კალათიდან საჭმელი ამოალაგა.

ლევანმა რეზინის სარწყულით მდინარიდან წყალი ამოიტანა და მანქანის მორტორში ჩაასხა.

ნიკომ მანკც მოახერხა თათიას და

დარეჯანის გაღვიძება და თალარში შემოიყვანა.

— აბა წავიხემსოთ და გზას შევტყუოთ, — თქვა ნიკომ და ხაქაპურს წაატანა ხელი, — უკვე ექვსი საათია, დარჩენილ თორმეტ კილომეტრს ერთი საათი მანკც მოვუნდებითო, გვაფრთხილებს მძლოლი — აბა ღვინო დამისხი სანდრო, დავილოცოთ...

გაღმიდან ხიდს „ვილისი“ მოადგა. ლევანმა იცნო რაიკომის მანქანა და თალარიდან გამოვიდა.

„ვილისი“ საბარგო მანქანასთან გაჩერდა და მანქანიდან კონსტანტინე კაკუბერი გადმოვიდა.

— ექსკურსიაზე ბრძანდებით? — მისალმებისთანავე ცივად ჰკითხა კონსტანტინე კაკუბერმა გზის ინჟინერს.

— ჩაფიჩაძეს ოჯახი მიჰყავს სოფელში... ცივადვე მიუტოო ლევანმა.

— რომელი ოჯახი?

— შვილები, მეუღლე, სიმამრი.

— ამ მანქანით?

— დიახ.

კაკუბერმა გარშემო მიმოიხედა.

— მერე და სადაა ჩაფიჩაძის ოჯახი?

— თალარში.

— წავიდეთ, — თქვა კაკუბერმა და ლევანს მკლავი გაუყარა.

რაიკომის ვილისი რევაზ ჩაფიჩაძემაც იცნო, მაგრამ არ ეგონა მანქანაში კაკუბერი თუ იქნებოდა, — კაკუბერის ხმა რომ მოესმა, რატომღაც უხერხულობა იგრძნო და თალარიდან ფეხათრევიტ გამოვიდა.

— რატომ არ მითხარი, ოჯახს თუ მოვლოდი? — თქვა კონსტანტინემ და რევაზს თვალი გაუყარა.

პაუზა.

თალარში შევიდნენ. კონსტანტინე ხალისიანად მიესალმა რუსულდანს და ნიკოს, თათიაც შეიცნო, რამხელა გაზრდილა თქვენი ქალიშვილიო და თათიას გაუღიმა, მერე დარეჯანს დააკვირდა, ძალიანაც დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო და ვერაფერი თქვა, — ჩვენი ნათესავიაო, უთხრა რუსულდანმა, კარგია ნათე-

საიცი სოფელში რომ წამოგიყვანიათო, — თქვა კონსტანტინემ, მერე სანდროს მხარზე დაკვრა ხელი და თვალი ჩაუკრა.

— სიღებრი ცოცხალი მყოლიაო, — ვითომ ირონიულად თქვა კონსტანტინემ და ჭამი აიღო. — მივესალმები თქვენს ჩამობრძანებას, მაგრამ საყვედურით უნდა დავიწყო: თქვენგან არ მოველოდი, ქალბატონო რუსუდან! თქვენმა მეუღლემ დამასმინა? რაო, კონსტანტინე კაკუბერი ცუდად მეპყრობაო? ასე ვითხრათ და თქვენ ერწმუნეთ? თქვენც გულმოსული ხართ ჩემზე? არა? აბა რაშია საქმე? — ერთმანეთს დიდი ხანია ვმეგობრობთ, ხერვაში ჩამობრძანდით და კონსტანტინე კაკუბერის ოჯახი არ უნდა მოგენახლებიათ?

— ნაუცბათევაღ ჩამოვედით, — ბოდიშით თქვა რუსუდანმა.

— ხერვადან დღესვე წამოსვლა აუცილებელი იყო? — აღექსანდრე თქვენ ხელისთვის გელით.

— ჩემი ბრალია, მე ვითხოვე დღესვე წამოსვლა.

— ეს ცუდი გზა გამოვლილი რომ არ გქონდეთ, აუცილებლად უკანვე დაგაბრუნებდით, თქვა კონსტანტინემ და რევას მიუბრუნდა.

— თქვენი ვილისი სად არის?

— თბილისში. ხვალ ჩამოვა.

— ცუდად მოქცეულხარ, ძალიან ცუდად! — საყვედურით თქვა კონსტანტინემ და რევას მწყრალად გახედა.

დუმილი. უხერხულობა.

კონსტანტინემ ღვინო შესვა, ჯამი შეავსო და ნიკოს გადასცა.

— რახან დღეს მოისურვილა ქალბატონმა რუსუდანმა სოფელში წამოსვლა, შენც ადექი და საბარგო მანქანაზე შესვი? ეტრბახები — კომუნისტს ვაშენებ ზემალაღმოდ და ამ ოღროჩოლო და აყრილდაყრილ გზაზე საბარგო მანქანით მიაჯახავებ. ან პატივცემული ნიკო რას იფიქრებს? მე ისიც ვიცი რევას, ძლივს დაითანხმე ქალბატონი რუსუდანი სოფელში ჩამოსვლაზე და...

— პატივცემული კონსტანტინე აენტო რევასი.

— კარგი. რაც მოხდა, მოხდა, ჩემი ვილისით წახვალთ. მანქანებს გავცვლით. — დასტურით თქვა კონსტანტინემ და მძლოლს გასაბა პორტფელი მომიტანეო.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა კონსტანტინემ, — უღრო-ღროს შემოგესწართ, მგონი რევასს ჭამის მადა გავუფუძე.

დუმილი. უხერხულობა.

მძლოლმა პორტფელი მოიტანა.

— დავსხდეთ! — ნიკოს და რევასს მიმართა კონსტანტინემ და თვითონ მათ შუა დაჯდა.

ნიკომ ჯამი შეავსო, ჩაახველა და წამოდგა.

— ნება მიბოძეთ, პატივცემული კონსტანტინე, ვადღეგრძელო ეს ოღრო-ჩოლო გზა. ამ გზას სიცოცხლე მიაქვს მთიან სოფელში. ეს გზა დიდი სიხარულია.

ნიკომ ჯამი გამოსცალა, შეავსო და კონსტანტინეს დაუდგა.

— სწორედ ამ გზაზე მიხდა მოგახსენოთ, — თქვა კონსტანტინემ და პორტფელიდან „საქმე“ ამოიღო. საქალაქებზე მსუქანი ასოებით ეწერა „ზემალაღმოდის მეურნეობა“. ღვინით საცხე ჯამი გადადგა და „საქმე“ გადაშალა. — დღეს სამი ივლისია, ამხანაგო რევას, ამ საქმეში ჩანიშნულია: ხერვადან მოკვეთილამდე — 1-ულ 22 კილომეტრი, 15 ივლისისათვის დამთავრდეს ასფალტის დაგება, მოვაწყრებთ? ზღაპარია! გზა დასაასფალტებლად მოუშზადებელია. სადაა გზის სატყეპნი მანქანები? იმედი გაქა, თქვენს „ვილისს“ ჩამოჰყვება? ვნახოთ!

— ექვსის ნაცვლად, თორმეტი. — და ჯერებით თქვა რევას ჩაფიჩაძემ.

თათიამ დედას რაღაც ყურში ჩაუჩურჩულა. კონსტანტინემ ყური მოჰკრა ჩურჩულს და უხერხულობა იგრძნო.

— ბოდრის მოვიხიდი ქალბატონო რუსუდან, თქვენთანაც პატივცემული ნიკო. სამსახურებრივ საქმეებზე რომ ჩა-

მოვადგე საუბარი, ვიფიქრე, — დამარც-
ვლა კონსტანტინემ, — თქვენთვისაც სა-
ინტერესოა იცოდეთ რამხელა საქმეს
შეეძინა რევანზ ჩაფიჩაძე...

— ძალზე საინტერესოა, — თქვა
ნიკომ და კონსტანტინეს გაუღიმა.

— მხოლოდ თქვენგან თუ გავიგებ,
— თქვა რუსუდანმა და თავი დახარა.

— ახალგაზრდებს შეუძლიათ მდინა-
რეს გაეთამაშონ, — თქვა კონსტანტი-
ნემ და თათიას გაუღიმა.

თათიამ დარეჯანი გაიყოლია და თა-
ლარიდან გავიდა. სანდრო ძია ლევანს
უფრო ახლო მიუჩოჩდა და კისერი წაი-
გრძელა — საქალაქს ჩააცქერდა.

— მაშ, ექვსის ნაცვლად თორმეტს
მოელი? ძალიან კარგი! რამდენი დღე
დასჭირდება გზის გასწორება-დატყუ-
ნას?

— იელისის ბოლომდე მოვასწრებთ,
— თქვა ლევანმა და ჩაფიჩაძეს თვალი
ჩაუტკრა.

— იელისის ბოლომდე, აუცილებ-
ლად! დადასტურა რევანზ ჩაფიჩაძემ.

— ასფალტის დაგება? — ირონიუ-
ლად თქვა კონსტანტინემ, ჯერ ლევანს
და მერე რევანზს გაუყარა თვალი. ჰო,
ასფალტის დაგება?

— ერთდროულად! გასწორება-დატ-
ყვნა და ასფალტის დაგება ერთდრო-
ულად იწარმოებს. გზა დამჯდარია და
გასწორება ძნელი არაა. ასფალტის და-
გებასაც ორივე მხრიდან — ხერგადან
და მოკვეთილიდან ერთდროულად და-
ვიწყებთ. — დარწმუნებით თქვა რევანზ
ჩაფიჩაძემ, მერე ხალათის გულჯიბიდან
ბლოკნოტი ამოიღო, რალაც ჩაინიშნა
და ადგა.

— ყოველშემთხვევისათვის, მე ქუთა-
ისში კაცი გავგზავნე, ორ ბულდოზერს
და ოთხ გზისმტკეპნელს გამოგვიგზავ-
ნიან. ხვალ მანქანები ხერგაში იქნება
და გამოიყენეთ. — მაშ, გზის საქმე
კარგად ყოფილა, დავლიოთ მისი სად-
ლეგრძელო, — ღიმილით თქვა კონს-
ტანტინემ, ჯამი გამოსცალა, შეავსო და
რევანზს გადასცა.

— მოკვეთილიდან ხერგამდე? გზა

გაქრილია, ხრეშიც მოტანილია, ხრეშის
გაშლას რატომ ვაგვიანებთ?

რევანზმა ბლოკნოტში ჩაიხედა.

— ექვსიდან დავიწყებთ. რამდენიმე
ღლით გზისმშენებლები ხუროებს და
კალატოებს მივანხმარე. ლაბორატორი-
ის შენობის დამთავრებას დავეშურე,
ლაბორატორიის მოწყობილობის ნაწი-
ლი მიღებულია, ნაწილიც გზაშია. დი-
ლიდან სადამომდე, ხანდახან ღამეც მუ-
შაობდნენ და ექვსამდე შევებულება მი-
ვეცი გზისმშენებლებს... სოფელში ამო-
სულეებმა ცალკე საგზაო ბრიგადა ჩამო-
აყალიბეს შიდა გზების გასაყვანად. ეს
ბრიგადაც დავეხმარება.

— მაშ, გზის საქმე ძალიან კარგად
ყოფილა! — განმეორებით შეევსათ მი-
სი სადლეგრძელო! — თქვა კაკუბერმა,
ჯამი შეივსო, ადგა და რუსუდანს მია-
წოდა.

— გთხოვთ, ქალბატონო რუსუდან!
რუსუდანმა ჯამი გამოართვა კონს-
ტანტინეს და მეუღლეს ალმაცერად გა-
ხედა.

— ბატონმა კონსტანტინემ ორხელ
შესვა გზის სადლეგრძელო, შენ-
ი ერთხელაც არ დაგიღვევიაო, — თქვა
რუსუდანმა და სასმისი რევანზს გადასცა.

პაუზა.

„მე ვადმომკრა, დიახ, კონსტანტინე
კაკუბერს ვადმომკრა ქალბატონმა რუ-
სუდანმა, — თქვენ გზა ადლეგრძელებთ!
ორჯერაც კი ადლეგრძელებთ გზა! რუსუ-
დანი? მაპატიეთ ქალბატონო რუსუდან!
ნიკო? თქვენც მაპატიეთ, ნიკო ბატო-
ნო? ქალიშვილები? მათ წინაშედაც ბო-
დიშს მოვიხდი, ლევანი და სანდრო?
ესენი ჩვენებურებია. სანდრო და ლე-
ვანი გამიგებენ“...

— გზას იმიტომ ჩავეკირკიტე, ქალ-
ბატონო რუსუდან, — ბოდიშებით დაი-
წყო კონსტანტინემ, — ჰო, იმიტომ...
დიახ, ამ გზას შეუძლია ჩვენი საქმე
წინ გააჰყნოს, შეუძლია ერთ ადგილზე
გააშეშოს, შეუძლია, — სიტყვა გამარ-
თა კონსტანტინემ, — უფსკრულშიდაც
გადაჩეხოს და მერე უფსკრულიდან
ამოსვლა ვაგვიძნელებდა... დიახ, მაპა-

ტივთ! თქვენს ჩამობრძანებას ვაღლეგრ-
ძელუბ, მივესალმებით ნიკო ბატონის
ჩამობრძანებას...

კონსტანტინემ გარშემო მიმოიხედა
და რადგანაც თათიას და დარეჯანს თვა-
ლი ვერ მოჰკრა, ცივად თქვა.

— თქვენს საღლეგრძელოს ესვამ
ქალბატონო რუსუდან.

წყლით საესე ჰიქას წაავლო ხელი,
წყალი გადაღვარა, ჰიქა ღვინით შეავსო
და შესვა.

პაუზა.

„ღიახ, წელს სამოცი ოდა და სამოცი
სამზადი უნდა ავაგოთ. შემოვლობოთ
სამოცი ეზო და სამოცი ჰიშკარი ჩამოვ-
კიდოთ. ამ გზამ უნდა აზიდოს ხემაღალ-
ში ხე-ტყე, ცემენტი, აგური და კრამი-
ტი... ეს გზა ააბარგებს ოჯახებს... ღიახ,
ამიტომ ჩავეკირკიტე ამ გზას, ქალბატო-
ნო რუსუდან! მამატივთ!“

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა.
— ნებას თუ მომცემთ, დაგემშვიდო-
ბებით; — თქვა კონსტანტინემ, რეზოს
მკლავი გაუყარა და თალარიდან გამოი-
ყვანა.

— მამაშენთან ვიყავი, გულასპირიცი
იქ იყო, მერე დიდი ეკატერინე შემოგ-
ვემატა, ცოტა დავლიე და რუსუდანს
და ნიკოს რამე ხომ არ ვაწყენიეო —
სმდადალა, ჩურჩულით თქვა კონსტანტი-
ნემ და რევაზს თვალი გაუყარა.

— რასა ბრძანებთ! — თქვა რევაზმა
და გაუღიმა.

პაუზა.

კონსტანტინემ სიგარეტს მოუკიდა.

— ლევანს საქმე ჰქონია ხემაღალში
და მძლოლებიც გავცვალოთ... დღეს სა-
მია, ხომ? რვაში რაიკომის ბიუროზე
განვიხილავთ მეურნეობის მშენებლო-
ბის საქმეს. მომხსენებელი შენ იქნე-
ბი, თანამომხსენებელი — მე. ღიახ,
დაჩქარებაა საჭირო, სამინისტროს და-
პირებები საქმეს წინ ვერ წაიყვანს...
თუმცა, თვალი ჩაუკრა კონსტანტინემ
რევაზს, — შენ დიდ იმედებს ამყარებ
სამინისტროზე...

„ვილისს“ ლევანმა სახურავი გადახს-
ნა.

მძლოლთან ისევ ნიკო დასვეს.

მეორეხევის ოლოოლოდოებზეც მსუ-
ბუქად გაიარა მანქანამ, გზა სატეველას
ხეობაში შეიჭრა და ლევანმა სიჩქარეს
მოუმატა. აგრილდა.

— როგორი თეთრი ყოფილა სატევე-
ლა! — გაცეცებით წამოიძახა ნიკომ და
თვალი ხეობას აადევნა.

გზა მდინარისპირს მიეჭრა და თვალ-
წინ მილუწ-მოლუწილი ნაციხარი წა-
მოიმართა. სასწაულივით შემორჩენილი
ერთადერთი ქონგური თითქოს ქანა-
ობს, ქარმა ერთი რომ შემოუქროლოს,
მდინარეში გადაისვრის...

„აქ დიდი ბრძოლები გაუმართავთ
თათრებთან. ამ ციხეს ჯავახიშვილი
რამდენჯერმე მოიხსენიებს. გლეხის
ქალმა... ჰო, გლეხის ქალმა...“

ვერა, ვერ გაიხსენა ნიკო ღიასამიძემ,
მრავალი საუკუნის წინათ გლეხის ქალ-
მა რა გვირობა ჩაიდინა თათრებთან
ბრძოლაში და ვერც სახელი გაიხსენა
ნაციხარისა.

„ჩემიანები ისტორიაზე არ ფეთდე-
ბიან, — არც სიძე, არც ქალიშვილი.
თათია და სანდრო?“

— ამ ნაციხარს „უტეველას“ ეტყვი-
ან, ნიკო ბატონო, — თქვა მძლოლმა
და სელა შეანელა.

— ღიახ, გამახსენდა, სწორედ „უტე-
ველი“ ჰქვია, — თქვა ნიკომ და მძლოლს
გაუღიმა.

— სტრაბონი „უტეველად“ მოიხსე-
ნიებს, ვახუშტი ბაგრატიონი „უტევე-
ლად“ და „სატეველად“, ბოროზდინი
ორივეს ეკამათება: „სატეველა“ და
არა „უტეველიო“. მდინარეს სატევე-
ლა ჰქვია, ხეობას — სატეველას ხეობა;
ციხე მდინარე სატეველაზეა აგებული
„უტეველი“ საიდან მოიტანეთო.

— ჯავახიშვილი?
— ჯავახიშვილთან არ მახსოვს ნიკო
ბატონო, საქართველოს ისტორიის სა-
ხელმძღვანელოები — კი არ მოიხსე-
ნიებენ ამ ციხეს.

— მაშ „სატეველა“ ჰქვია და სტრა-

ბონი და ვახუშტი ცდებიან?

— ერთი ხალხური ლეგენდა სტრა-ბონს უმაგრებს მხარს.

— ლეგენდა? რომელი ლეგენდა? — გაიოცა ნიკომ.

— არც ეს ლეგენდაა ჩაწერილი და გამოქვეყნებული.

...თურქთა ჯარი სამჯერ შემოწყობია ციხეს და მეციხოვნეებს სამჯერვე უკუ-უქცევიათ. მერე მეოთხედ შემოწყობია. ამჯერად ციხე დღამილით შეჭვებშია მტერს და მტერს უფიქრია — მეციხო-ვნენი ამოწყვეტილანო. მაინც კანტი-კუნტად უსვრიათ. ციხე ისევ დღმდა. სათოფურებისათვის დაუშენიათ ცეცხ-ლი. არავითარი გამოძახილი. მაშინ კარ-

თან მიჰკრილან. კარი ღია დახვედრიათ, ნამდვილად ამოწყვეტილან. მეციხო-ვნენი, ან გაქცეულან, ან უფიქრად და მტერი ჯგროდ შეჭრილა ციხის ეზოში. მტრის უკანასკნელი ჯარისკაციც რომ შესულა ციხეში, ციხის კარი უცებ გა-დარაზულა და ქონგურებში შემალულ მეციხოვნეებს მტერი ერთიანად გაუფ-ლეთიათ. ციხიდან სისხლის მდინარეს გადმოუხვებთქია და მთელი სატეველაც სისხლად ქცეულაო... ამიტომაც ხალხმა ციხეს „უტეველი“ შეარქვაო.

„საქართველოს ყველა ციხე უტევე-ლია“. თავისთვის ჩუმად თქვა ნიკომ და თვალები მილულა.

მანქანა ხემაღალის ზეგნებზე შეიკრა.

თავი მეოთხე

რევანს ეგონა დილაუთენია ვდგე-ბიო, ოთახის კარი ფრთხილად გამოაღო და აივანზე ფეხაკრფით გამოვიდა.

ღრუბლიანი დილა იდგა ნისლში შე-ხვეულიყო სანისლეს ქედი.

ჭიშკარმა გაიჭრიალა.

ნიკო იყო, ხელში თუნგი ეკავა და სა-ტეველას ბილიკს დაუყვა.

რევანი დაედგენა და დაეწია.

— ცუდად გეძინათ?

ნიკო შედგა და რევანს გაუღიმა.

— ასე მშვიდად დიდიხანია არ მძი-ნებია.

— ეს თუნგი?

— სატეველაზე ჩავალ.

— ასე აღრიანად?

— აღრიანად? გაიკვირვა ნიკომ და ჯიბიდან საათი ამოიღო, — რვა სრულ-დგა, მამაშენი და სანდრო კარგახანია სატეველაზე წავიდნენ, სანდრომ შენი ცხენი წაიყვანა დასაბანაო, თქვა.

რევან ჩაფიჩაძე მუდამ ექვს საათზე დგება. დღესაც უთუოდ ექვს საათზე გამოეღვიძა, მაგრამ ოთახში ბნელოდა და ისევ ძილს მიუბრუნდა.

„ახლა ვეტყვი, ხელს არავინ გვიშ-ლის და ახლა ვეტყვი. ორი დღეა ერ-

თად ვართ და ერთხელაც ვერ დავიმარ-ტოხელე“.

— ხვალ რომელ საათზე გაქვთ ლექ-ცია? — ჰკითხა რევანმა და სიგარეტს მოუკიდა.

ნიკომ თუნგი მიწაზე დადო და წარ-ბები შეჰყარა.

— შენც ზვიადივით დაიწყე?

— მიჩვევაა. თუ არ მოვწიე, ვერც ვისაუბრებ. — რომელ საათზე გაქვთ ლექცია?

— ლექციებისათვის არ ჩამოვსულ-ვარ, რეზო, — დაბალი, შიშნარევი ხმით თქვა ნიკომ.

— კარგია! ათიოდე დღეც რომ დაის-ვენოთ...

— არა! წასვლით ხვალ წავალ. კაცუ-ბერი დილით გამომიგზავნის მანქანას.

— ლექციას წაიკითხავთ და ამობრუნ-დებით.

— ხვალვე თბილისში წავალ, თქვენი მარტოა.

— აქი ზვიადიც თბილისშიაო?

— ზვიადი? ზვიადი არის და არც არის! ზვიადის გამო ჩამოვედი შენთან.

— თქვა ნიკომ და თავი დახარა.

პაუზა.

— რა დაემართა? — გაიოცა რევან-

მა და სივარეტი შორს მოისროლა.

ნიკომ თავი მაღლა ასწია, რევებს თვალეშში შეაკვერდა და ამოიხვნეშა.

— გალოთდა. — დანანებით თქვა და თავი ისევ დახარა.

— გალოთდა? ზვიადი გალოთდა? საოცარია! ვერ დავიჭერებ!

— სახლიდან თუ გავიდა, უსათუოდ გაულშილი დაბრუნდება.

— აკი რუსუდანმა მითხრა, მუშაობსო?

— რუსუდანმა თქვა მუშაობსო? პო, მუშაობს! დღეში ორი საათი და ისიც დღემონაცვლეობით. ფიზკულტურელობს... „მწკრივში დადექით!“ „სწორდით!“ „სმენა!“ „გაითვალეთ!“ „ნაბიჯით იარ!“ მორჩა და გათავდა. ეს არის მუშაობა? რუსუდანმა თქვა მუშაობსო?

კარგად სცოდნია ძმის ამბავი! — საყვედურით თქვა ნიკომ, თუნგი აიღო და გააბიჯა.

— კანტორაში გავიაროთ, მერე მეც წამოვალ სატეველაზე, — თქვა რევაზმა და ბილიკს გადაუხვია.

„სიტყვა ბანზე ამიგდო. არ ესია მოვანა რუსუდანს რომ ვუსაყვედურო“.

— გავიაროთ. — დაეთანხმა ნიკო და რევაზს კვალში მიჰყვა.

სატეველას ხეობიდან ქარმა დაუბერა და სანისლეს ქედზე ნისლი აიშალა.

— შეიძლება გაწვიმდეს, ნარგავეებს მოუხდება. — თქვა რევაზმა და სივარეტს მოუყიდა.

„ზვიადისთვის გაუსწრია. უზმოზე ასე ზედიზედ ზვიადიც არ ეწევა“.

მეურნეობის გზაზე გავიდნენ. ფართო გზაა, მოხრეშილი. ხრეში მაგრად დაუტყეპნიათ. გზის გაღმა-გამოღმა ნორჩი თუთის ხეები.

— შარშანდელი დარგულია. გაისად გზას მოაჩრდილებენ. ადგილობრივი ჯიშია, ძალიან მალე იზრდება. — თქვა რევაზმა.

„რუსუდანს მართალი უთქვამს: ქვეყანა რომ იტყუოდეს, რევაზ ჩაფიჩაძე თუთის ხეებზე ჩამოგივლებს საუბარსო“.

ფარდულს მიუახლოვდნენ.

„სათქმელი მინც ვერ ვუთხარი. არა, თვითონ არ მათქმევინა. შეგიძლია გალოთდა-მეთქი, ვეუბნები. ის: კანტორაში გავიაროთ, მერე სატეველაზე მეც წამოვალ. შეიძლება გაწვიმდეს, ნარგავეებს მოუხდება“.

გზისპირად მორი აგდია. ნიკო მორზე ჩამოჯდა.

— მამ, შარშანდელი დარგულია? ძალიან გაზრდილა. გზას წელსვე მოაჩრდილებენ, ბარაქალა! კარგი ჯიშისა ყოფილა ხემაღალის თუთა... თქვა ნიკომ, შუბლზე ხელი მოაჩრდილა და სანისლეს ქედს გახედა.

— უთუოდ გაწვიმდება და ნარგავეებს მოუხდება.

„გულმოსულია ნიკო ბატონი. ზვიადზე რომ დაიწყო საუბარი, ნიკაპი აუცახცახდა, სახეზე ფერი ეცვალა, ხმა გაეზარა, ამიტომაც განგებ აუფლდე სიტყვა ბანზე. ფარდულსიკენაც განგებ წამოვიყვანე — ვიფიქრე — ვინმე შემოგვხვდება“...

— მამ, ზვიადი დღემონაცვლეობით მუშაობს და ისიც ორი საათი? —

— რუსუდანს რომ უბრძანებია მუშაობსო... მამსადამე მუშაობს. — „დაეწყევით!“ „ნაბიჯით იარ!“ დიახ მუშაობს. — ირონიულად თქვა ნიკომ, ისევ მოაჩრდილა ხელი შუბლზე და სანისლეს ქედს გახედა.

— აუცილებლად გაწვიმდება. ნისლი ვერ გაიფანტა. პირიქით, შეხედე, ღრუბელი შეერია ნისლს. ქედზე უკვე წვიმს. წვიმა თანდათან აქვთ წამოვა, აქაც გაწვიმდება და ნარგავეებს გააზარებს.

პაუზა.

— რუსუდანმა ბრძანა ზვიადი მუშაობსო? დიახაც მუშაობს: სადისერტაციო შრომას სანაგვეში გადაუძახა. დანაკუწა და ისე გადაჰყარა. სადისერტაციო შრომას წიგნებიც მიაყოლა. ხარხარებდა — ეს წიგნები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებს აშუქებენ და ამ წიგნებს მეც მექანიზებულად ვამუშავებო. მერე ლილის სურათებს დაერია, დაფლითა და

გადაჰყარა, სანაცვლოდ ოთახი ფეხბურთელთა, მოჭიდავეთა, მორბენალოთა და კალათბურთელთა სურათებით დაიმშვენა. — აი ასე მუშაობს რუსუდან ჩაფჩაძის ძმა! ერთხელ მთვრალი მიუვარდა სილოვან რამიშვილს — დამღუპე, შენი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის მიმიფურთხებიაო... რამდენჯერმე დაიბარა რამიშვილმა, სათოფეზედაც არ მიიქარა.

— ცოდოა, — დანანებით თქვა რევაზმა.

პაუზა.

— რუსუდანი ფიქრობდა — შეილი არ ჰყავთ და ადვილად დაივიწყებენ ერთმანეთსო, — შემცდარი აზრია. ხუთი წელიწადი იცხოვრეს ერთად. ერთი წელიც რომ იცხოვრებ ადამიანთან, მისი სული შენს სულს შეერთვის, გაგშორდება და სიცალიერე ჩნდება სულში და ეს სიცალიერე თუ არ შეივსო, ხშირ შემთხვევაში, იღუპება ადამიანი. მამაკაცები უმეტესად გალოთდებიან ხოლმე, ვითომ ღვინით ერეკებიან სევდას. ქალები კი საყვარლებს გაიჩენენ, ან... გაკაპასდებიან და მტრისას...

პაუზა.

— თეკლე მებრალბა. შეღამდება და ფანჯარას აეკვრება. შეღამემდღეც რომ არ მოვიდეს, ფანჯარასთან დგას, ქუჩაში იმზირება და ელოდება... თვალს მოჰკრავს თუ არა, თავის ოთახში შეცუხცუხნდება, თავს მოიმიძინარებს და ვითომ ზვიადის შემოსვლაზე გამოედვიძება. ხშირად კი გათენებამდე ელოდება, ჩემთვის ვერაფერი უთქვამს და იმდულდება, დაილია და სადაცაა გათავდება...

— ცოდოა, — ისევ დანანებით თქვა რევაზმა.

— ამიტომაც ჩამოვედი შენთან. ეგებ წერილი მისწერო და დაიბარო.

პაუზა.

„დისერტაცია დაუნაკუწებია და სანაგვეში ჩაუყრია... ლილის სურათები დაუხვევია... ლილი იქადდა — თავის ამხანაგებში ჩემი მეუღლე პირველი გაზდება დიქტორიო და ლილის მეუღ-

ლემ კანდიდატობასაც ვერ მიიღწია... რომელიღაც ქარხანაში ფეხბურთელის წრეს ხელმძღვანელობს ჩველად დღესამდე. მეუღლე გაექცა. ზვიადს ადგილი ვერ უპოვნია, გულს ასკდება და ლოთობს. ორივე ფეხი ერთბაშად დაუსხლტა, ძირს აგდია და ვერ წამომდგარა... ცოდოა, ძალიან ცოდოა ზვიად ღიასამიძე“...

— კარგი, — თქვა რევაზმა, მორიდან ადგა და სიგარეტს მოუცილა.

— წერილი? წერილი არა! ჩამოვალ. თუ ორ დღეს დაიცდით, თქვენთან ერთად წამოვალ თბილისში.

წერილი წვიმა წამოვიდა.

— კანტორაში გადავიწვიმით, — თქვა რევაზმა და ნიკოს მკლავი გაუყარა.

— შინ წავალ. — თქვა ნიკომ, თუნგს დაავლო ხელი და წავიდა.

მთელი დღე ცრიდა.

მეორე დღეს დილიდანვე გაისარკა და პაერი შეიხუთა.

რევაზი სადილად არ მოვიდა. შემოთვალა, ქუთაისიდან გზის ოსტატები ამოვიდნენ და საღამომდე ვერ მოვალო.

ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო და ის მიზეზი მხოლოდ რუსუდანმა იცოდა.

უხალისოდ ისადილეს.

ნასადილეც სანდრომ და კოკიმ ეზოში კარგახანს იბურთავეს. მონაცვლეობით ხან ერთი იდგა კარში და ხან მეორე. ერთმანეთს თერთმეტმეტრიანს ურტყამდნენ. მერე სანდრომ და კოკიმ სატყველაზე წასვლა მოისურვეს, მაგრამ რუსუდანმა დაუშალა — დილით მე ვიყავი სატყველაზე, გუშინდელ წვიმას აუღიდებია და ვერ გაგიშვებთო. საქმე აღექსანდრემ მოაგვარა — ბიჭებთან ერთად მეც წავალ და ვახშმისათვის მურწას მოგართმევთო და წავიდნენ.

თათიამ პატარა ეკატერინეს საკაბე წაუღო. გუშინ პატარა ეკატერინე იყო ჩაფჩაძეებთან, მოკლესახელოებშიანი ცისფერი კაბა ეცვა, თეთრი საყვლოთი გაწყობილი. თათიას ძალზე მოეწონა და როცა პატარა ეკატერინემ უთხრა მე

თვითონ შევიკერო, გაიკვირვა და რატომღაც არ ერწმუნა, მერე-კი თხოვა, ასეთი საკაბე მაქვს და შემვიკერო.

ნიკო და რუსუდანი ეზოში ჩავიდნენ. შვილმა მამას შესთავაზა ჰამაკში ჩაწოლა. მამამ — შვილს, მერე კენჭი ჰყარეს. ნიკო ბატონო ჰამაკში ჩაწვა და რუსუდანმა ჰამაკი დაარწია.

— ნაწვიმარზე ძალიან აცხუნებს მზე, მაგრამ მაინც სხვა ჰაერია, — თქვა ნიკომ და რუსუდანს გაუღიმა.

— მამო, ხვალ წახვალ?

— უნდა წავიდე. ხომ იცი, დედაშენი მარტია.

— ვიცი, ნეტავ მეც მოვდიოდე! — თქვა რუსუდანმა და ამოიხენეშასავით.

„ქალიშვილი სხვაა, დიახ, მაინც სხვაგვარია ქალიშვილის გული. ქალიშვილის სიყვარული მშობლებისადმი ძლიერია! დედამისი ებრალება რუსუდანს“...

— ჩავალ და მეორე დღესვე კოჯორში წავიყვან დედაშენს. შარშანდელი ბინა დავიბევე, — არ დამყაბულდება და ძალით წავიყვან! — გადაკურით თქვა ნიკომ. მერე ხმას აუწია ნიკომ და დამარცვლა — ვაებატონსაც შევთავაზებ ჩვენთან წამოსვლას, წამოვა და კეთილი, თუ არ წამოვა, ეგდოს თბილისში. პაუზა.

— ნეტავ, მე და თათიაც, კოჯორში წამოვსულიყავით, მამო!

„ასეა, ქალიშვილის გული უფრო ესიყვარულება დედ-მამას, ვიდრე ვაჟიშვილისა. თათია და რუსუდანი რატომ უნდა წამოვიდნენ კოჯორში? რუსუდანს შვილები და ქმარი ჰყავს მოსაუღელი, მაგრამ უყურადღებოდ დედ-მამასაც არ სტოვებს, ჩვენსკენ მოუწევს გული, — ზვიადი კი გვაფორიაქებს, არც დედა ებრალება და არც მამისა ერიდება“...

— შენ და თათია კოჯორში? რატომ? დედაშენი და მე როგორმე მოვეუვლით ერთმანეთს! — რატომღაც გაცხარდა ნიკო და ქალიშვილს თვალი გაუსწორა.

— ეგებ კოჯორი სჯობია ხემალას,

ჰა? არ თქვა კოჯორი სჯობიად, არავინ დაგიჯერებს, რუსუდანი! პაუზა.

„ვითომ ვერ მიმიხვდა? დიახაც მიმიხვდა, მაგრამ განგებ ამიგდო სიტყვა ბანზე: შენ და თათია ნუ შეწუხდებით, მე და დედაშენი როგორმე მოვეუვლით ერთმანეთსო, ჰო, გაყევილს გატეხილი სჯობიად და მეც პირდაპირ ვეტყვი“...

— არც კოჯორში წამოვალ და არც აქ დავრჩები! — გადაკურით თქვა რუსუდანმა და ძელსკამზე დაჯდა.

„რაო? რა ბრძანა? არც კოჯორში მოვდივარ და არც აქ დავრჩებიო? მომესმა, არა? არა, ნამდვილად ასე ბრძანა რუსუდანმა“...

— არ ჩამოსულხარ და უკვე მოგწყინა? — გაკვეესა ნიკო დიასამიძემ და ჰამაკში შეიმართა.

— მოწყენა! რევაზივით ლაპარაკობ, მამო!

— დიახაც რომ რევაზივით ვლაპარაკობ და...

— რომელი ჰარიპარალეს მოტრფივლე მნახეთ მე? — შეაწყვეტინა რუსუდანმა. მოწყენა! აქ სიწყენარეა, სუფთა ჰაერი, ხეხილიანი ეზო, კარგი სახლი... თითქოს მშვიდად თქვა რუსუდანმა და გააღიმასავით.

„დამცინის. „მზე ნაწვიმარზე აცხუნებს, მაგრამ მაინც სხვა ჰაეა“, მე ვთქვი, დაუმახსოვრებია და უკან გადმომიგდო. „როგორი სიწყენარეა! სუფთა ჰაერი, ხეხილიანი ეზო“... წუხელ აივანზე რომ ვისხედით, მაშინ ვთქვი, დაუმახსოვრებია და დაცინვით გადმომიგდო უკან“...

ნიკო ჰამაკიდან გადმოვიდა და რუსუდანის გვერდით დაჯდა.

„ადრენილი გული. გახევებული სახე: გაზხარული სმა. ჩამუტებული თვალეზი... რაღაც უმძიმს რუსუდანს, მამას მიკიბ-მოკიბულად უხსნის და ნიკო დიასამიძე ვერ მიმიხვდარა ჰო, ვერ მიმიხვდარა, ახლა ჩაჰკითხავს და გაიგებს“...

— რაო, რევაზმა გაწყენინა?

პაუზა.

„არ მინდა მე ეს სიმშვიდე და სიწყნარე, ხემაღალის სუფთა ჰავა, ეს მოლი... მე გული მინდა, ჩემთვის რომ ძვერს ისეთი გული! რევან ჩაფიჩაძის გული კი დიდხანია ჩემთვის აღარ ძვერს, მამი! დიახ, სოფელს რომ დაუბრუნდა რევან ჩაფიჩაძე, ვავიყარენით, ნამდვილად ვავიყარენით. რევანში — დაშრეტილი დედულმამულის აღმდგენელი, მე — მისი მოწინააღმდეგე. პო, რევანში ცალკე, მე კიდევ ცალკე. ხემაღალი ცალკე და თბილისი — ცალკე. მე და თათია, რევანში და სანდრო. სკოლა იყო ხემაღალში და მოიშალაო, სწუხს რევან ჩაფიჩაძე. სკოლა იყო და მოიშალა? დიდი ამბავი! ხემაღალში სკოლა დაიხურა და რუსულად დიასამიძემ იღარდოს? რატომ? მიშრეტილია ხემაღალი და რევან ჩაფიჩაძე გულს ასკდება... მიშრეტილია ხემაღალი? სულაც დაიშრითოს, ნასოფლარად და ნამოსახლარად იქცეს, ტყედ და ბალახად, — რუსულად არ დაღონდება, გულს არ აიტკივებს, ცრემლს არ ჩამოიღენს: ასე ირწმუნა რევან ჩაფიჩაძემ და მაშინ გაიბზარა გული, მაშინ ოჯახსაც წყალი შეუდგა, ქარი ეძგერა ჩაფიჩაძეების ოჯახს და ჩემი შიში გამართლდა“...

— ამ სახლში გული არ არის, მამი! — ყრუ, დახშული ხმით თქვა რუსულანმა და როცა სიტყვებს დააყურადა, თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამისა და შეკრთა.

„რაო? გული არ არისო ამ ოჯახში? ასე თქვა, არა?“

— როგორა თქვი, რუსულან? ამ სახლში გული არ არისო, ასე თქვი, ხომ? — და რუსულანმა რომ არაფერი უპასუხა, ნიკო ძელსკამიდან წამოიჭრა.

— არაფერი გამეგება! დიახ, არაფერი მესმის!

ჰაუზა.

— რევანმა ყველაფერი იცის! — მშვიდად, ძალიან მშვიდად თქვა რუსულანმა და მამას თვალი გაუყარა.

წუხელ არც მას დაუძინია, არც მენუ გეშინია მამი, შენი ქალიშვილი

საყვარლებს არ გაიჩენს და არც გვაპასუდება... რევან ჩაფიჩაძეც და...
ლოთდება.

და ნიკო დიასამიძე გაწითლდა. ყურებიც კი გაუწითლდა ნიკო დიასამიძეს. შუბლის ნაოჭები შეჰყარა, გაიჩინდა, მერე ფეხებზე მიწა დაერყა და ძელსკამზე დაესვენა.

გაბზარული იყო ნიკო დიასამიძის ოჯახი. ლილიმ გაბზარა. ლილიმ რატომ? ნიკო დიასამიძის ვაჟიშვილია გაბზარა დიასამიძეების ოჯახი. ახლა რუსულადნი წააქცევს.

ერთს დაეჯახება და წააქცევს...

„მე და შენ ხემაღალში ვიცხოვრებთო. მეურნეობის განაშენიანება დამთავრდება თუ არა, მეურნეობის დირექტორად სხვას დანიშნავენ, მე მარტო ლაბორატორიაში ვიმუშაებო, შენ კი სკოლაში, ხატვას შეასწავლი ბავშვებს, შესაძლოა რომელიმე მათგანში ნიჭიც აღმოაჩინო და ამისათვის დიდად დაგაფასებენო... თათია და სანდრომეთი? ვკითხე და მეკვთა: თათია და სანდრო? ავიჩემებია თათია და სანდრო! თათია და სანდრო უშენოდაც იცხოვრებენ თბილისში, ნიკო და თეკლე მიათვალაყურებენ, მორჩა და გათავდაო. შენ ვერ ელევით თბილისს, შენ სოფელი გქვლს, სოფელში სული გეხუთება და თათიას და სანდროს ებლაუქებიო... სიცრუე!“

ეგებ აჩქარდი? არა! ყველაფერი ავწონდავწონე და მერე გადავწყვიტე. მძიმეა ეს გზა, მაგრამ ამ გზაზე ბევრს გაუვლია და მეც გაველი“...

— ხომ არ აჩქარდი, რუსულან? — შიშლადკარული ხმით თქვა ნიკომ და თვალები დახუჭა, თვალდახუჭული უფრო გავიგონებ რუსულანის ხმასო.

— არა! ყველაფერი ავწონდავწონე: რომ შენი შვილი ვარ.

რევან ჩაფიჩაძის მუხლზე.

თათიას და სანდროს დედა...

ავწონდავწონე და მერე გადავწყვიტე.

ყოველი სიტყვა გარკვევით გაიგონა ნიკომ და თვალები უფრო დახუჭა, —

გული ეკარგება ნიკო დიასამიძეს, გონება ეხშობა, ყური უყრუვდება, ენა უშეშდება, ძელსკამი ირყევა და ძელსკამთან ერთად ნიკოც ბარბაცებს, სადაცაა ძელსკამიდან გადმოვარდება, შეეშველეთ!

— მამი! — ხმამაღლა თქვა რუსუდანმა, ნიკოს მკერდზე დაადო ხელი და ოდნავ შეარყია.

ნიკომ თვალები გაახილა, შუბლზე მიმოისვა ხელი, თავი გააქან-გამოაქანა, თითქოს ფიქრები შემოიბერტყაო და ძელსკამიდან ადგა.

— ჰო, ჩემი თავი ჯანდაბას! დედაშენი? დედაშენი ისედაც შერყეულია და ასლა გაგიყდება...

— ყველაფერი ძველებურად იქნება, მამი, — მშვიდად თქვა რუსუდანმა. — მე და თათია თბილისში ვიცხოვრებთ, რევანი და სანდრო ხემაღალში. წინანდელივით ხანდახან ჩამოგვაკითხავენ თბილისში მამა და შვილი... ჰო ყველაფერი ძველებურად იქნება, მამი...

— რევანი ჩემთან ერთად რომ მოდის თბილისში?

— ვიცი. ზვიადს მოელაპარაკება. ეგებ

ხემაღალში ჩამოიყვანოს ზვიადი, რევანს აგრონომიც კირდება და ფიქრულ-ტურულიც.

რუსუდანი ძელსკამიდან ადგა.
— თქვენ ხეალ თბილისში გაემგზავრებით, თათია და მე ზეგ გაგრაში წავალთ.

— სანდრო და დარეჯანი?

— სანდროს აქ ურჩევნია. ცხენი, სატველა. ბურთაობა. კოკი. თათიას და მე დარეჯანი არ გეკირდება და დარეჯანიც აქ დარჩება.

ჭიშკარი გაიღო. ეზოში რევანი შემოვიდა. ოდისკენ წავიდა, მაგრამ ნიკოს და რუსუდანს რომ მოჰკრა თვალი, მათგან გადმოუხვია.

რუსუდანი სამზაღში წავიდა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც რუსუდანმა თქვა:

ნიკო და რევანი თბილისში გაემგზავრნენ.

რუსუდანი და თათია გაგრაში.

სანდრო და დარეჯანი ხემაღალში დარჩნენ.

თავი მესამე

პატარა ეკატერინემ სატველადაც თეთრი ქვები ამოაზიდინა და ჭიშკარიდან ოდასახლის კიბემდე ისე დააწყო, ქვაფენილი გეგონებოთ.

მერე პატარა ეკატერინემ მეურნეობიდან თუთის ნერგები მოიტანა და ჭიშკარიდან ოდასახლის კიბემდე ჩამოწყვიტა.

ახლა დათოვილია თუთის ნერგები.

წელს ოქტომბერიც არ იყო მიწურული და სანისლეს ქედი გადაითეთრა.

მერე ხემაღლის დობერებსა და ზეგნებზეც ჩამოთოვა მსუბუქი, მშრალი, კრიჭინა თოვლი.

წაიშალა ბილიკები და ორშარები, გაიბარდა ეკალნარი და ძეძვიანი, აქახახდნენ სუროებში შებუღრებული შამგები.

ბუხარში ნაკვერჩხალი ღუის, დაბალ

სამფეხა სკამზე ზის დიდი ეკატერინე, მაგიდაზე რვეულები დევს, მაგრამ რვეულებისათვის არა სცალია დიდ ეკატერინეს, გაღუებულ ნაკვერჩხალს ჩასცქერის და ფიქრსა ფიქრობს.

„გუნება გამოეცვალა ჩემს ეკას, ნამდვილად!“

ბუხარში ნაკვერჩხალი ღუის, ზალაში თბილა და მაინც ზურგზე შალი მოუხურავს დიდ ეკატერინეს.

ეს შალი პატარა ეკატერინემ მოუქსოვა, თბილია და რბილი.

გაუსწორებელი რვეულები ვანზე გასწია, საქსოვი მოიძია, წინდიჩხირებს შეეთამაშა და ისევ ნაკვერჩხალს გაუსწორა თვალი.

„გუნება გამოეცვალა ჩემს ეკას. ნამდვილად.“

თვლებში ლიცლიცა სხივი ჩაუდგა. წარამარა ეცვლება ფერი სახისა.

ტუჩის უბეები უტოკავს.

შფოთიანად ძინავს.

ახალი კაბები შეიკერა. წინანდელივით, თვითონ კი არ შეიკერა... სამსახურის საქმე მოიმიზეზა და თბილისში წავიდა. ვითომ გამოაპარა ეს ამბავი დიდ ეკატერინეს? კარგად მეყოლეთ, მაგრამ დიდმა ეკატერინემ კრინტიც არ დაძრა, არც კი გამოუქოთხავს თბილისის ამბები.

სიარულიც რომ გამოეცვალა?

ასეთი შეშინებული ნაბიჯებით არ დადიოდა პატარა ეკატერინე. ეზოს მოაჯლოებული, გამოიქცეოდა, სიმღერით შემოიჭრებოდა სახლში, ახალ ამბებს ჩაუმარცვლავდა დიდ ეკატერინეს და ხელსაქმეს გამოსტაცებდა — პატარა ეკა რაკი მოვიდა, დიდმა ეკატერინემ დაისვენოსო და ტრიალებდა და ტრიალებდა ოდაში და სამზადში, ეზოსა და ბოსტანში.

ახლა?

კარგა ხანია მისი სიმღერა არ გაუგონია დიდ ეკატერინეს. უხმაუროდ შემოაღებს კიშკარს, ქურდული ნაბიჯებით ამოივლის კიბეს და უხალისო შემოდის სახლში.

მადაც დაეკარგა პატარა ეკატერინეს.

ბელურასავით იციცქნება. ხან ის პატარა ლუკმაც გაუქვავდება პირში, თვალები აემღვრევა და გაოგნებული ზის, მაშინ დიდი ეკატერინე განგებ ჩაახველებს, ან ჯამჭურჭელს გადაადგილებს სუფრაზე და ხმაურზე შეტოკდება პატარა ეკატერინე, პატარა ტუჩებს ააცმაცუნებს, ვითომ ხალისიანად ილუკმება, — მერე დალღას მოიმიზეზება, ზანტად წამოდგება, თავის ოთახში ლასლასით შევა, ტახტზე მიწვეება და თავს მოიმიძინარებს.

შარავგაზე ვინმემ თუ ჩაახველა, ტახტიდან ფეთიანივით წამოიჭრება და აივანზე გაეარდება.

ვილაცას ელოდება პატარა ეკატერინე...

დღეს ადრე დაწვა.

შელამდა თუ არა, თქვა თავი მტკივაო და დაწვა.

...ნაკვერჩხალი ინავლებდა და სიტბო უნელდება ბუხარს, სანაცულოდ შალს ემატება სიტბო, ბუხართან შალმობურული ზის დიდი ეკატერინე და წინდიჩხირები თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს.

„აცივდა. ეკას ოთახში ბუხარი არ ანთია და უფრო ეცივება“.

საქსოვს ხელი შეუშვა, უხმაუროდ გამოალო პატარა ეკატერინეს ოთახის კარი.

ოთახში შუქი ანთია, ეკა პირაღმა წევს, მარცხენა ხელი თავქვეშ ამოუღვია და მკერდზე საბანი გადაძრობია. მშვიდად, მსუბუქად სძინავს, პერანო ქვეშ რიტმულად უტოკავს ძუძუსთავები და პატარა ტუჩებზე ოდნავი, სულ ოდნავი ღიმილი დაჭდობია.

ფანჯარა ღიად დაუტოვებია, ღამის სიცივე შემოჭრილა ოთახში, მაგრამ პატარა ეკატერინეს არ სცივა.

დიდმა ეკატერინემ ფანჯარა დახურა, შუქი გამორთო და აჩრდილივით გავიდა ოთახიდან.

„უბედური! საწოლთან რევაზ ჩაფიჩაძის სურათი უკილია... ვკითხე. ევ სურათი საიდან გაჩნდა-მეთქი და გაწითლდა, გაწითლდა და ვერაფერი თქვა. ხელახლა რომ ჩავკითხე, სანდრომ მომიტანაო, იცრუა. ნამდვილად იცრუა... ვთქვით და სანდრომ მოუტანა მამამისის სურათი, პო, ვთქვით მოუტანა, სასთუმალთან სანდრომ ჩამოუკიდა? ვითომ რევაზ ჩაფიჩაძემ არ იცის, მისი სურათი ეკას სასთუმალთან რომ უკილია?“

აქანდაზით ნაკვერჩხლები მიმოჩხრიკა, წიფლის ნაპობი შეაგდო ბუხარში და მაგიდას მიუჭდა.

„ნამეტანი მოიშინაურა სანდრო და უთუოდ რევაზის სიყვარულით. სანდრო ნიჭიერი მოწაფეაო, მერე რა? იყოს ნიჭიერი! მოწაფის გამორჩევა მასწავლებლის მიერ არაპედაგოგიურია. გულში შეიძლება მოესიყვარულოს ნიჭიერ მოწაფეს მასწავლებელი, თვალე-

ბით და სიტყვით — კი, არა, არავითარ შემთხვევაში! ეს კი სულში იძვრენს: დილით სანდრო გამოუვლის და სკოლაში ერთად მიდიან, დაუმთავრდება სანდროს გაკვეთილები და ეკაც ვერ ჩერდება, სანდროც საჯარისოზე ტრიალებს და ეკაც ელოდება... კლასებს შეგიცვლი, ეკა! ჰო, კლასებს შეგიცვლი! მეშვიდე კლასს გურგენიძეს ჩავაბარებ, შენ — კი მეხუთეში დაგაბრუნებ. — ეგრძნობ, გურგენიძე უკმაყოფილოა, მაგრამ ჩემი ერთგობა და არაფერს ამბობს, ერთხელ კი შემახსენა — ხერგაში მეშვიდე და მერვე კლასებს ვასწავლიდი და კლასები რატომ შემიცვალეთო. შენი ბრალია, ეკა, ჰო, შენი ბრალია. შენ შემაცდინე და ხვალვე გამოვასწორებ შეცდომას“...

ხალაში ეკა შემოვიდა.

— რაო, სიზმარს აყევი? — ცივად ჰკითხა ეკატერინემ.

პაუზა.

— რაო, ახლაც გძინავს? — შეუწყურა ეკატერინე.

— საუბარმა გამომაღვიძა, დედი! — მშვიდად თქვა ეკამ და ირგვლივ მიმოიხედა.

— საუბარმა? — შეიკვირვა ეკატერინემ.

— ვილაც ხმამალა გელაპარაკებოდა, დედი!

დედი ეკატერინე შეკრთა.

— მერე-და სტუმართან, პერანგისამარა გამოდიან?

— ვინ იყო, დედი?

— არავინ ყოფილა და არც არავის ველოდები! წადი და დაიძინე, დილით წისქვილში ხარ წასასვლელი.

— ვიცო, სანდროსაც წავეყვან.

— სანდროს მოეშვი! — იფეთქა ეკატერინემ და თვალი გაუყარა — ხვალედან მეოთხე და მეხუთე კლასებში გადაიწველებ, მეშვიდეს — მერვეს...

— ხვალ კვირაა, დედი! — შეაწყვეტინა ეკამ.

— ბოდიში! მპატიეთ! ზეგ იყოს, დიახ, ორშაბათს, — უფრო იფეთქა ეკატერინემ, — ლია გურგენიძეს შე-

უცვლი კლასებს. თავიდანვე შეცდომა იყო. წადი, დაიძინე.

ეკა თავის ოთახში შეიჭრა, სწრაფად აანთო და ლოგინში ჩაწვა.

კედლისკენ გადაბრუნდა, კედლიდან რევან ჩაფიჩაძის თვალებმა შემოხედეს და ეკა შეშინდა, შუქი გამოართო და თავზე საბანი წაიხურა.

და სიბნელეშიც იმზირება რევან ჩაფიჩაძის თვალი, ლოგინში შემოკურა ეკას, მკერდზე დააკეჭრდა და ეკამ ხელები დაიფარა ძეძუებზე და რევან ჩაფიჩაძის თვალი მაინც ხედავს, როგორ უტოკავს ეკატერინეს ძეძუსთავეები... მერე თვალში გაუყარა თვალი და ეკას თვალში შემალული ცრემლი დაინახა რევან ჩაფიჩაძის თვალმა. გაუღიმა, გაუღიმა და წამწამები წამწამებზე მიადო — „ნუ გეშინია, ეკა!“ ჩურჩულით თქვა რევან ჩაფიჩაძის თვალმა.

...სიმღერა. ტაში. გულასპირ ჩაფიჩაძის ოლასახლის აივანი. რევან ჩაფიჩაძე და პატარა ეკატერინე ცეკვავენ... რევან ჩაფიჩაძის თვალმა ეკას სულში ჩაჰხედა და შეატოკა და მერეც, ცეკვარომ დამთავრდა და სუფრას შემოუსხდნენ, პატარა ეკატერინეს გულში ისარივით იყო ჩარჭობილი რევან ჩაფიჩაძის თვალი.

...მერე? სამი წლის მერე, სწორედ წელს, ერთი თვის წინათ, რევან ჩაფიჩაძის კაბინეტში შევიდა პატარა ეკატერინე.

— ძია გულასპირი არ ბრძანდება?

— სახერხშია, — თქვა ჩაფიჩაძემ და გაუღიმა.

— სახერხში წაველ...

— მეც იქ მივდივარ. — წავიდეთ, თქვა რევან ჩაფიჩაძემ და წავიდნენ.

ოლაგე. ეკა შედგა.

რევან ჩაფიჩაძემ მკლავებში ჩაავლო ხელები. ლონივრად ჩაავლო, ასწია და ოლაგეზე გადასვა.

— გულასპირს რისთვის ეძებ?

პატარა ეკატერინე გაწითლდა და გაირინდა.

— რომ არაფერი ეუთხრა, იფიქრებს.

გულასპირთან არაფერი ესაქმება, ჩემს სინახავად მოვიდაო“.

— ხერგაში მიდის და რალაც მინდა დაეაბარო.

— გულასპირი კი არა, ხერგაში მე მიედივარ, დამაბარეთ! — თქვა რევანმა და პატარა ეკატერინეს მხარზე მსუბუქად დაადო მარჯვენა.

პატარა ეკატერინე კვლავ გაიზინდა და ლოყები გაუწითლდა... უფრო დაბლა დახარა თავი.

— თქვენ ვერ შეგაწუხებთ! — ჩურჩულით თქვა პატარა ეკატერინემ.

— რაო, მე ვერ შემაწუხებთ? — ვითომ გული მოიყვანა რევან ჩაფიჩაძემ. — დედაშენს ვეტყვი ასე უცხოსავით რომ მექცევი, მე ჩემიანად მეგულეები! — თქვა რევან ჩაფიჩაძემ, ორივე ხელით თავი მაღლა აუწია პატარა ეკატერინეს, თვალბეჭებში ჩახედა, ჯერ შუბლზე და მერე ლოყაზე აკოცა... პატარა ეკატერინე გაიტრუნა, მერე მხრებზე შემოაქვლო ხელები რევან ჩაფიჩაძეს, მიიზიდა, ტუჩებში აკოცა და გაიქცა. ჩიტივით გადაფრინდა ოლაგეზე და გაიქცა, ოღონდ სახერხისკენ კი არა, საბლისკენ მიფრინავდა პატარა ეკატერინე.

„უთუოდ დედაჩემს უთხრა, ამიტომაცაა აღრენილი, დედა“.

ბუხართან შალმოსხურული ზის დიდი ეკატერინე და წინდინხირები თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს.

„მომიგონა, ხმამაღლა ლაპარაკობდიო, სინმარს აპყვა და დაირცხვინა. გამიეშმაყდა პატარა ეკა! პატარა? ალუ-ალუ ოცდაშვიდი წლის ქალო. ეგებ ჩემი ბედი გიწერია, უბედურო!“...

და საიდანღაც ზურაბ ბარბაქაძე გამოეცხადა დიდ ეკატერინეს, გვერდით დაუქდა, ჯერ მწყურალად გამოხედა, მერე თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

— დავიჯერო, არავის უყვარხარ, ეკა? — ცოცხალივით შეეკითხა ზურაბ ბარბაქაძე.

და დიდი ეკატერინე შეტოკდა, თვა-

ლი გაუშეშდა, ლოყები შეეფუკლა, ენა დაუმუნჯდა და ვერაფერს ამბობს.

— მაშ არავინ შეგიყვარა? — თვალი ისევ ჩაუკრა ზურაბ ბარბაქაძემ და დამცინავად გაუღიმა.

— არავინ! — ხმამაღლა თქვა ეკატერინემ და გაიღიმა.

— საღიმილო არაფერია, ეკა, მამიდაშენის გზაზე დამდგარხარ.

პაუზა.

— მი-წა. წყა-ლი. პაე-რი. ცე-ცხლი. — დამარცვლა ზურაბ ბარბაქაძემ.

— ეპიკურე! — წამოიძახა ეკატერინემ.

— დიახ, ეპიკურე! — ეპიკურე ჰგმობს ქედმაღლობას და სიამაყეს, — შენ — კი, ამაყი ხარ! ჰო, მამიდაშენმა გაგზარდა ასეთი ამაყი! მერე ყურში ჩაუჭურჩულა — მამიდაშენი კარგი ქალი იყო, ეკა, მაგრამ უკარებელი და მის ხელებს არავინ გაუთბია... ჰო, მამიდაშენის ხელებს არავინ გაუთბია, ეკა!

და ზურაბ ბარბაქაძე ადგა, მხარზე დაუთათუნა ხელი ეკატერინეს, მოეფერასავით. — თენდებდა და სატეველაზე მეჩქარებო, — თქვა, უკანა კარიდან გავიდა და კარი ღიად დატოვა.

...ბუხართან შალმოსხურული ზის დიდი ეკატერინე, წინდინხირები თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს და მაგიდაზე გასასწორებელი რვეულები აწყვია.

სუსხი და სინათლე შემოპკრილა ზალაში.

„ეკას ოთახში ბუხარი არ ანთია და უფრო ეციება“.

შეშისათვის უკანა აივანზე გავიდა.

გათენებულა. წუხელ მოუყინავს და ხემაღლის ცა გადასარკულა. ანათებს დათოვლილი სანისლეს ქედო, სერებს და ქაობებს ამომავალი მზის შუქით ამაშებდა.

ქვევით წაივიდეთ!

რევან ჩაფიჩაძის ხმა შემოესმა ეკატერინეს, თვალები მოისრისა და კიშკარს გახედა. კიშკართან სანდრო და რევანზი, სანდრო თბილამურებზე შემდ-

გარა, ზურგზე ნაკრულა ჰკიდია და ეკატერინეს ოდისკენ იმზირება.

— ქვევით მივდივართ, სანდრო! — ხმამალა თქვა რევან ჩაფიჩაძემ.

სანდრო ნელა, სულ ნელა გასრიალდა მოყინულ თოვლზე და უკან რევანში მიჰყვა.

— სანადიროდ მიდიან. — თავისთვის, ჩემად თქვა ეკატერინემ და შუბლზე ხელი მოიჩრდილა.

„მართალი ნაბიჯებით მიდის... ჰო, მართალი ნაბიჯებით მიაბიჯებს რევან ჩაფიჩაძე მოყინულ თოვლზე. დიახ, სიარული! სიარული საოცრად ამხელს ადამიანის ბუნებას: შემტევი ნაბიჯით მოსიარულე ადამიანი საშიშია, ძალზე საშიში, მას უკმარი ბუნება აქვს, ის ყოველთვის უკმაყოფილოა, ამის მიზეზად სხვას სთვლის და ის სხვა ხელში თუ მოიგდო, მოგუდავს, გასრესს, გააჩანაგებს... ფრთხილი, მორიდებული და გამოზომილი ნაბიჯით მოსიარულე, შემტევი ნაბიჯებით მოსიარულეზე უფრო საშიშია, — შენიღბულია მორიდებული ნაბიჯებით მოსიარულე, კეთილშობილი, უმწიკვლო ადამიანის როლს თამაშობს, სახე ყოველთვის საღიმილოდ აქვს შემზადებული, თითქოს დიდად გაიხარა შენთან შეხვედრით, გულში — კი, ღვარძლი აქვს ჩაგუბებული და გაძაგებს... უხმაუროდ მიაბიჯებს, ვითომ არაფერ შევაწუხოო, ნამდვილად — კი ყველანი და ყველაფე-

რი ფეხზე ჰკიდია.. დიდად საშიშია მორიდებული ნაბიჯით მოსიარულე ადამიანი. ეს ჩინებულად ვიცი, არ მოვტყუვდები!.. რევან ჩაფიჩაძის ნაბიჯი ხან სწრაფია, ხან შენელებული და ფიქრიანი, ხანაც უღარდელი, — და ეს ბუნებრივია — ზოგჯერ გვეშურება, ზოგჯერ გულმოსული ვართ, ზოგჯერ მზიარული. — დიახ, მე სიარულში გამოვიცნობ ადამიანს“...

წუხელ მოუყინავს და ხემაღლის ცა გადასარკულა, თეთრად ანათებს სანისლეს ქელი, მზის შუქი დასდგომია ხემაღლის დობერებს და დიდი ეკატერინე ხედავს თოვლში თავამოყრილ ვაზის ლერწმებს, თითქოს ვერძების ურიცხვი ფარა დაბანაკებულია ხემაღლის დობერებზე, თოვლში ჩაწოლილან ვერძები და რქები ზევით აუყრიათ და ეს დაგრეხილი რქები ცისა და მიწის შემაერთებელ სითეთრეში ყავისფერად გამოსჭვივან.

„ჰო, წუხელ მოუყინავს და ცივა. ეკას ოთახში ბუხარი არ ენთო და უფრო ეციება“.

წიფლის ნაპობები ამოიღლივა და ეკას ოთახში შევიდა.

ისევ პირალმა წევს ეკა. მარცხენა ხელი თავქვეშ ამოუდვია, მკერდზე საბანი გადასძრობია და მსუბუქად სძინავს, პერანგისქვეშ რიტმულად უტოკავს ძუძუსთავეები და პატარა ტუჩებზე ოდნავი, სულ ოდნავი ღიმილი დაკდობია.

□ პირველი წიგნი დასასრული □

მედიკალიზაცია

კალეზის გლოვა

მოთხრობა

მანგიამ უკანასკნელმა გამოიხურა ბოსლის კარი, ურმისკენ წავიდა, მერე შეჩერდა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა იქაურობა და ხელმოჩრდილულმა ახლა ცას ახედა.

მზე საშუაღლეოდან დანათოდა ქვეყანას. თბილი, ნამდვილი სამგზავროდღე იდგა.

შებენილი ცხენები მოთმინებით უცდიდნენ პატრონს. მანგია არ ჩქარობდა, გულსტიკივით ათვალე იერებ და ცხვარ-მწყემსის ბინებს, სადაც მთელი ზამთარი გაატარა. ეს ერთი წელიწადიც გადააგორა, როგორც იყო, ეს ერთიც... შემოდგომაზე კი აღარ წამოვია. სადღა აქვს ცხვრის დევნის თავი! აქაური ზამთარიც მწელი გასაძლისი გახდა. თებერვალში იყო, კინაღამ საიქიოს წერილი წაიღო...

იანვარი უფრო მშვიდობიანი წავიდა, მაგრამ აი, დადგა თებერვალი, მოსცა ქარები და, ცოტას გასწყდა, სული არ გააცხო, მწყემსების დასატირებელი არ გახდა.

— რაკი ეს ზამთარი გავაძალდე, ეხლა რაღა მამკლავს!..

ურმის თვალთან ჩამომდგარი წასვლას არ ჩქარობდა. იდგა და ხან ერთ ბოსელს გახედავდა, ხან მეორეს. ვინ მოთვლის, აქ რამდენი ზამთარი გაუტარებია! ის დაწყევლილი დროც ასხოვს,

როცა ცის ქვეშ, ქარსა და თოვალში, დარსა და აედარში, დღეღამ გარჯთ ედგნენ ცხვარს და ათასგვარი ქურდებისა და ავაზაკებისაგან იცავდნენ. მაგრამ მაშინ ჭეილობით იტანდა ყოველგვარ ვაგლასს, ახლა...

ახლა ძველებურად ველარ უცრის თვალი და მუხლი, თორემ ვინ თავმკედარი, კომბალს სამუდამოდ გადააგდებდა.

არა, აღარ იზამს აქეთ პირსა! რაც უნდა საქმე გაჭირდეს, აღარ წამოვია. ბოლოს და ბოლოს, ერთი ზამთარი მინც გაატაროს საკუთარ ქერ ქვეშ, მართო ერთი, რომ სათქმელად მაინც დარჩეს.

— აბა, მშვიდობით, ბოსლებო და ქობებო, აქაურო წყალო და ჰაერო, მიწაც და ცაო, კარგად და მშვიდობით იქნით, სასიკეთოდამც ნუ მოეშლებით ხალხსა და ცხვარსა! ჩემ თავად კი მადლობელი ვარ თქვენი და კარგადამც და მირჩენიხართ! — ჩაილაპარაკა და ჩამუკნარ უბეებში თითქმის ძვლივით გაშვებული ხელისგული ამოისვია, მერე ცხვირი მოიხოცა, ცხენებს მიუბრუნდა, ცალი ფეხი ხელნაზე დინჯად შედგა, თან ხელი ჭალს ჩაავლო, ნელა აიწია და ურემზე ავიდა.

ცხენებს ფეხიც არ მოუცვლიათ ადგილიდან. ამ დილას კარგად აბალახა

ისინი, მერე მორეკა, დაწმინდა, დაბერ-
ტყა, დაარწყულა და შეაბა.

მანვიამ დაკეცილი ნაბადი ძირს და-
იგო, ზედ დაჯდა, გასწორდა, მერე სა-
დავეები აკრიფა და ცხენებს გაუჯავრ-
და. წითლამ და შავრამ დაიფრუტუნეს,
თავეები ასწიეს და ოთხთვალა ხელის-
გულივით სწორსა და რბილ გზას თით-
ქმის უხმაუროდ გაუდგა. იგი ნაბლებით
იყო გადაკამარებული და შიგ მწყემსე-
ბის ბარგი-ბარხანა ელაგა. დილას, რაც
სახედრებს ველარ აპკიდეს, მანვიას და-
უტოვეს წამოსაღებად.

— აა-ჩო! — ერთხელ კიდევ დაჰკიე-
ლი, თან ჰალს ხელი ჩააელო, ოდნავ
წამოიწია და უკან მიიხედა. ბოალები
ახლა პატარა ხუხულებივითა მოჩან-
და. მოხუცი მათ თვალმოუშორებლივ
უყურებდა და რატომღაც გული სწყუდუ-
ბოდა, რომ სტოვებდა. აღარც კი ახ-
სოვს, რამდენჯერ აყრილან და წასუ-
ლან. და არც ერთხელ ამდენი სინანული
არ უჯრძენია, როგორც ახლა. ალბათ,
იმიტომ, აღარასოდეს მობრუნდება
ეიზლარში... ეგ არის, მორჩა!

ისევ გასწორდა და ცხვრებისაგან გუ-
დაგლილ ტრასას გახედა, რომელიც
შორს, იმსფერ სივრცეში იკარგებოდა.
ახლა უკვე მთიულეთშიც გაზაფხულ-
დებოდა. ყველაზე გვიან მლეთლები-
სა და ხადლებს ცხვარი იყურება ხოლ-
მე ბაჭიგანიდან. ფარებს ნელნელა მო-
აყოლებენ, ისე რომ მაისის ნახევრისა-
თვის მაინც მთებში იყენენ. მანამდე
არასოდეს მოსულა ბალაბი იალადებ-
ზე. თუმცა წელიწადსაც გააჩნია, ზოგ-
ჯერ გაჰიანურდება ზამთარი, თიბათვის
დამდეგამდე არ აბიბინდება მთა-ველი.
წლელს კი...

მოხუცს ცხადევით წარმოუდგა სამ-
შობლოს გაზაფხული, ერთიანად ამწყა-
ნებული მთები, ხეებში ამღერებულ
წყლები და მუქლურჯად მოკამკამე ცა...
ნოღათეში ექვსი შეიდი თვის ყოფნით
გაბეზრებულს სულ თავის სოფელ-ქვე-
ყანა და სახლ-კარი ესიზმრება. დაუძძი-
მდება ხოლმე გული, დაუძძიმდება და,

მხოლოდ მაშინდა მოეფონება, როცა
საქართველოსკენ იზამენ პირს-მერე
თანდათან უქარვდება სვედა-
თანდათან... და, როცა დარიალში შე-
მოვლენ, ერთიანად იგრძნობს შგებას.
შეხედავს ქვეყნის დარაჯად წამომარ-
თულ მყინვარებს, მშობლიური მთები-
დან გამოქცეულ თერგს, ღრმად ჩაისუ-
ნთქავს იქიდან გამოჭროლილ ნიაგს და
გული სულ სხვა რიგად დაუწყებს ცე-
მას, თითქოსდა მოქარბებულ ძალსა
და ენერგიას იგრძნობს, ერთბაშად გა-
ხალისდება, მთლად გამოცოცხლებდა
და ლომისურს წაიღიღინებს.

არა, წლელს აღარ წამოვა ეიზლარ-
ში! როგორც კი შევა დარიალში, გვე-
ლეთთან ჩამოხდება და ერთ კვი დიდ
ქვას უზამს აქეთ პირსა. განა რამდენი
წლის სიცოცხლეა დარჩენია, რომ
ესეც ვაი-ვავლანში გაატაროს? თუ თავს
შეუწყობს ხელსა, იქნებ ერთ ათიოდე
გაზაფხულს მაინც კიდევ შეესწროს.
იმდენი შვილები, შვილიშვილები, და
ნაშვიერები ჰყავს, რომ სულ იმათთან
უნდა იაროს სტუმრად, მათი სიყვარუ-
ლით გაძღეს და მერე აღარ დაენანება
თავი. არა, არც ახლა ენანება, თუკი სა-
ქმე მოითხოვს, არც ახლა დაიზოგავს
ჯანს, მაგრამ...

ამ ზამთარს ცხვარში გაცივდა და ფე-
რდიქრის ტყვილი აუვარდა. საღამოს
ძლივს მიაღწია ბოსლებამდის. იმ ღამეს
ჩადგა ჭინჭიხ წყალში ფეხები, დალია
პიტნის ცხელი ჩაი, დაწვა თბილად და
ძლივს გადარჩა. მოჰკვარეს ექიმი ბი-
ქებმა და, როგორც იყო, სიყვდილს პი-
რიდან გააგდებინეს. მკურნალმა კიდევ
უსაყვედურა: რაღა დროს შენი ცხვა-
რია, ძია კაცო, დაჯე შინა და დაისვე-
ნეო. ეჰ, ვინ მასვენებს, შეილოო. მთე-
ლი ჭეილობა ქალაქებში მიხვეტება,
თავმჯდომარესა და ბრიგადირებს შემო-
დგომობით აქ გამოსაგზავნი კაცი გაუხ-
ლებათ ხოლმე სანთლით საქებარი. იე-
ლიან, ივლიან და ისევ მე მომადგებიან
ხოლმე კარზეო. შემეხევეწებიან: აბა,

ძია მანგიაე, ისევ შენი იმედი, კაცო, თორემო...

და ველარ უტეხს ხათრსა. თან ესეც არის, გული ველარ უშერება, გული! უყვარს ცხვარი და რა ქნას! მამამ თითისტოლა გულა რომ წამოჰკიდა, მას აქეთ აღარც გაუგდია კომბალი. მართალია, კოლმეურნეობას უჭირს მწყემსები, მაგრამ მარტო ამის გამო არ არის, რომ მანგიას ველარ ეხსნებოან. ისეთი თვალი და გუმანი აქვს, ორ ათას სულ ცხვარ-ბატკანში არც ერთი არ შეეშლება. ეს რომ არა ჰყავდეთ, ვაი ცხვარ-მწყემსის ცოდვა-ბრალი!

რაც იყო იყო! ხომ გადარჩა, ეხლა არაეის მოეხატრება, აღარ წამოვა! თავისებს ზოგს დაჰყიდის, ზოგსაც მოკეთებებს დაახიარებს.

უჰ, რა კარგი დღეა! მწყემსი ამაზე უკეთესს რას ინატრებს!

მანგია მძალა აიხვდა. თხელი, გაიშვითებული ბურუსით ამღვრეულ ცაზე კალონოდენი ბაკმის შუაგულში მზე ოქროსფრად ბრღღვიალებდა. ქარი იქნებო, დაასკენა და მერე თვალუწყდენელ ტრამალს გახვდა. ქარი იქნებო, კვლავ გაიმეორა და ინატრა, რომ წინათგრძნობა არ ასცხადებოდა.

ამინდის გამოცნობის საოცრად გამახვილებული ალლო ჰქონდა. იშვითად მომხდარა, მისი ვარაუდი გაცუდებულ იყოს. ამ ოციოდე წლის წინ, ჯერ კიდევ შემოდგომაზე, თავმჯდომარე გააფრთხილა: წლეულს ცუდი ზამთარი დაგვიდგებო, დიდი თოვლია მოსალოდნელი და თევა ბევრი იხანეო. თავმჯდომარემ დამცინავად ჩაიჭირჭილა... გულმა თუ გაუგო იმ ოჯახქორს, მართლა აღარ დასჭირებია ცხვრის საკვები, მარტიდან აირია ცა და იმდენი თოვლი ჩამოყარა, ტანკებსაც კი გაუჭირდათ თივით დადებული მარხილების თრევა. გაწყდა, დაიღუპა იმდენი ცხვარი! საქართველოდან გასული ფარების მაგიერ თითებზე ჩამოსათვლელიდა დაბრუნდა. ზოგ კოლმეურნეობას მბღვაინიც აღარ გადაურჩა. თავად მანგია და მისი ფა-

რის მწყემსები შინ ხელცარიელები გადავიდნენ.

„ქარი იქნება ტიალი, სუტაე ცემიტყუნებოდეს გუმანი. ღმერთო, მშვიდობით გვატარე და უდავიდარაბოდ ჩაგვიყვანე საქართველოში“, ჩაიბუტბუტა და ცხენებს ყასიდად შეუწყრა. ფიქრებში წასულს იმათი ბედი შეეხარბა, ეინც ამ ორიოდე კვირის წინ გაუდგნენ გზას, გუშინწინ ხადლებმაც აიკრეს გულანაბადი. დღეს კი თვითონ უკანასკნელებმა დატოვეს ბაჯიგანი. მერე რა ქარი იცის ამ ოხერში, ერთი რომ დაუბერავს, ტყუილია მერე, ნაბადიც ველარ გიშველის, ძვალ-რბილში ერთიანად გაგიჯდება სიცივე და ავაბაბანებს. ეჰ, მანგია იკითხოს, თორემ ჯეილუმს რა უჭირთ!

აფსუს, დილას რა კაი გუნებაზე იყო! ახლა ისეთი ნადლევი შემოაწვა, თითქოს შინ დასაბრუნებელი გზები ვილაკამ ჩაურაზო. ცხენები კიდევ უფრო აჩქარა. საამოდ მიგოგმანებდნენ წითლა და შავრა, თვალუწყდენელი ტრამალის მღუმარებაში ხანგამოშვებით დაიფრუტუნებდნენ და ფლოქვების რიტმულ თქათა-თქუფში ზოგჯერ მათი ლაგმების ხრამუნიც კი ისმოდა.

ოფლის მომეგეო, მძალე სუნი შეიგრძნო მანგია. ცხენებს უმაღვე ზურგზე დახედა, მერე გადაიხარა და გაევაზე ჯერ ერთს მოუთათუნა ხელი, ახლა მეორეს. სველები არ იყვნენ, ოფლის სუნი თოქალთოების ქვეშიდან გამოდიოდა.

შორს, ჰორიზონტზე, ბუნდოვნად ძლივს გააჩნია შავი სილუეტები. უმაღვე გუმანით მიხვდა, რომ თავისიანები უნდა ყოფილიყვნენ. ფარას ყველანი უკან მიჰყვებოდნენ და ცხვარს ფეხად მოაძოვებდნენ. მოახლოებისთანავე ცხენებმა ნაბიჯი შეანელეს. მანგია გვერდით ჩაუარა, სადავეები მოზიდა და დაუძახა: ხო არა გინდათ რაო. არაო, უთხრეს და ცხენებს ისევ გაუჯავრდა. „აქ თუ ვიარეთ, მალე გადავალთ შინ, ალბათ, მაგათაც ჩემსავით ეჩქარებათ“, გაიფიქრა და ბოლოს და-

უმეტა: „რა გასაკვირია ეჩქარებოდეთ, ამდენი ხანია, ცოლშვილში არა ყოფილან... ეპ, დაწყველილია მწყემსის ცხოვრება დაწყველილი...“

მზე შუბის ტარზე იქნებოდა-შემდგარი, როცა ურემი შეაჩერა. ჩამოხდა, ცხენები ცალულებიდან გამოხსნა, ორივე დაადუნა და გოუშვა. თვითონ კი ურემს ირგვლივ შემოუარა, ოთხივე თვალს შეხედა, ფერსოები, მორგეები, ღერძები, კინკილაქები... ყველაფერი თვალთა და ხელით კარგად გასინჯა, მერე გაიარ-გამოიარა და კვლავ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ვინ იცის, ამ ტრასაზე რამდენს გაუვლია, რამდენი დაბრუნებულა, რამდენი — ვეღარა. ახლა, ვინც კი საქართველოდან ნოღათში მწყემსად მოდის, ყველაზე უბუცესი მანგიაა. მისი კბილა ხალხი მწყემსებში კი არა, სოფელშიც იშვიათად ვინმეა. როგორც იტყვიან ხოლმე, თორმეტ-ცამეტი წლისა წაიყვანეს ცხვარში. ჰოდა, მას აქეთ, ვინ იცის, რამდენი წელი იქნება გასული. აღარც კი უნდა ახლა მოთვალოს. უბრალოდ, არ უნდა ამაზე დრო დაკარგოს, მარტო იმაზე ფიქრით უნდა დატყბეს, რომ სიცოცხლე კარგია, ლამაზია, და ყველაფერი, რაც ბალობიდან დღემდის ახსოვს, თითქოს გუშინ იყო. აღამიანს, ვინდაც ორასი წლისა გახდეს, მაინც არ ბეზრდება სიცოცხლე. ო რა ლამაზია ახლა ეს ცისქვეშეთი, ეს უკიდვგანო ტრამალი, ეს ჩამავალი მზე, ეს ნედლი მიწა და ღორთქო ბალახი... ფრუტუნით ინაცვლებენ ადგილს ცხენები და დახარბებულები სძოვენ ბალახს. რა კარგად ისმის მათი ფეხის ხმა და ხრამხრემი. მაგრამ სიცოცხლეს მამინა აქვს აზრი და სილამაზე, თუ მოძრაობამია. ქვა რომ ქვაა, თუ ერთ ადგილზე აგდია, მკვდარია და არაფრის მაქნისი. მასზე თვალცი კი არ მიგვივა. მაგრამ საკმარისია ოდნავ ხელი უბიძგო, დაღმართზე დააგორო, რომ უმაღვე აზრი, შნო და ლაზათი მიეცემა, საყურებლად ლამაზი გახდება.

ურმიდან ტიკით წყალი გადმოიღო, ხელები დაიბანა, მერე ხონჩა ჩამოიღო, ტყავში გახვეული ხორცი წაიჭინა და ხანჯალი იმიშვლა. დადებს ნაბერწალი შიშაქის ბეჭს ხონჩაზე, დაარტყამს ხანჯალს და კნაც! მერე ამას კიდევ ორად გადაჭრის და ეგრევე ჩაუძახებს ქვაბში. კიდევ და კიდევ... რა კარგად სჭრის ხანჯალი! მანგიას იმ თავითვე უყვარდა იარაღის მოვლა, ლესვა, წმენდა...

ქვაბი თითქმის სულ გაავსო, მერე წყალი დაასხა. არც შეშისა და წივის წამოღება დაეწყებოდა ბოსლებიდან, ნაჯახით ორი ღერი დაანაფოტა, მისახა ნავთი, გაკრა ასანთს და ცეცხლი დააგზო. მერე მოიტანა ნაბადი, იქვე გაშალა და ქვაბს გვერდით წამოუწვა.

რამდენი დღე დასჭირდებოთ გზაში? სულ ორი კვირა უნდათ, ორი... ესე იგი, თოთხმეტი დღე. ეს ერთი უკვე გადაგორდა. დარჩა კიდევ ცამეტი. მაინც ბევრია, როდის გავა ცამეტი...

უეცრად ძაღლებმა მოიბინეს. მანგიამ ზეზე წამოიწია, ველზე გაიხედა. ტრასას ძოვნით მოჰყვებოდა ფარა. მწყემსები წინ მოუძღოლნენ...

ძაღლებმა ჩუმი წკმეტუნით მოხუცს ირგვლივ შემოუსუნსულეს, მერე აქეთ-იქით წამოუწვენ.

მანგიამ წამოიწია; ცეცხლს შეშა მიუმატა და მღულარე ქვაბს დახედა. წყალს თავზე მოწითალო ქაფი მოეგდო. მანგია ისევ ცეცხლს მიუტრიალდა. იმ დროს ერთი ნახეჩიდან ალი ერთბაშად აგუზგუზდა. თითქოს ვიღაც მძლავრად უბერავსო, ისეთი ხმა გამოსცა „ხო ვთქვი, ქარი იქნებოთ“, ჩაილაპარაკა და გაიხედ-გამოიხედა. მზე უკვე ჩაღლიდა და მიდამოს მკრთალი ბინდი ეფინებოდა. გვერდებშეწითლებული ღერებლები აღმოსავლეთისაკენ ნელა მიცურავდნენ.

ქვაბი უფრო ხმამაღლა აჩუხჩუხდა, თავზე მოგდებული ქაფი ბურთივით შეიკრა, ნაპირზე გადმოვიდა და მუგუზლებზე ამხიტინდა. მანგია მხარეთქოზე იწვა და ფიქრებში გართულს თავი-

სი წარსული ეხატებოდა. ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთევია ამ ცის ქვეშ. რამდენჯერ დასხმიან თავს ავაზაკები. დამდგარა თოფების ბათქა-ბუთქი... ეჰ, რამდენი უბედურება ახსოვს, რამდენი შავი დღე!.. წინათ ათასი მტერი და მგელი ეტანებოდა ცხვარსა და მწყემსს, ეხლა...

ყველანი ცეცხლთან მოგროვდნენ. ახლა აქ დაუდგნენ ცხვარს და მთელი ფარა ზედ ურმის გვერდით შეავუბეს, წინ არცერთი აღარ გაუშვეს. სახეღარებს ტვირთი მოხსნეს, ბარგი ურემთან დააწყეს, მერე ცეცხლს შემოუბმყარივდნენ.

— რა კარგი კაცი ხარ, მანგიავე, კოცო, რა კარგი! — უთხრა ქოთილამ და ხელების ფშენეტით ქვებს ჩახედა.

მოხუცს სიამოვნების ღიმილი გაუკრთა ჭფყარ უღვამებში. კარგია კაცი სიტყვა! კაცს რომ ამაგს დაგიფასებენ, მაღლს დაგინახავენ, ამას რა სჯობია! ქაფქირს მიეტანა და ქვებს ამოურია.

— მოხარშვას ბევრი აქლია? — იკითხა ხეთისომ და მოსაპარსი ყბები მოიფხანა.

— ვნახოთ! — თქვა მანგიავე, ერთი ნაჭერი ამოიღო და სოსიკას მიაწოდა.

— შენ თავათა ნახე, მანგიავე!

— გამოპართვი!

სოსიკამ ხორცი ჭუჭყიანი ხელებით აიღო, დაკეცეცებულ თითებში ვადაბრუნ-გადმოაბრუნა, შეუბერა და ჩაებიჩა.

— მოხარშულა, ეყოფა!

ქვაბი ძირს გადმოდგეს და გულებიდან პური ამოიღეს.

— წვენი ხო არავის გინდათ? — იკითხა მოხუცმა.

— არა.

ქაფქირი ქვაბშივე ჩატოვა და იქვე, საპატიო ადგილას ფერხთ მოირთხა. პური გატეხა, ხორცი აიღო და ლუკმა გაცოხნა. ერთი ეს ხეირილა აქვთ მწყემსებს, ახალი ხორცი არ აკლიათ. რა ძალიან უყვარს ეს დალოცვილი, ამას მარტო ხინკალი და ყაურში თუ წაუდ-

გება წინ, სხვა არაფერი. ცოტა ეს არის, კიბლები მოერყა და გრუმეჭურდა, თორემ...

გინჯილიყინჯი

ივანშემს თუ არა, ნაბდები აიღეს და ფარას აქეთ-იქით წამოუწვენენ. ურემთან მარტო მანგია დარჩა. შემღვრეულ ცაზე ვარსკვლავები ფერფლში მიმალული ნაკერჩხლებივით ბეუტავდნენ. მყუდრო ღამე იყო და სიჩუმეში მხოლოდ ცხენების ხრამახრუმი ისმოდა. იქვე ახლოს ძაღლები ძელებს აცნატუნებდნენ.

მანგია ნაბადში გაეხვია და ურმის ქვეშ მიწვა. დახუტა თვალები, მაგრამ ფიქრებმა ძილი აღარ დაანებეს. უმაღლესე თავის ბებრუხანასთან გაჩნდა. ვინ იცის, ახლა რას შერება. როგორ არის. მერე შვილებისა და შვილიშვილებისაკენ წაუვიდა გული. ცხრა შვილი გაზარდა მანგიავე, ცხრა! ყველანი ისეთი ჭამსალები დადგნენ, თითოეულს მთის მოღრეკა შეეძლო. ეჰ, არცერთი კი აღარ დაუტრია კერაზე და!.. იმდენი ნაშეირი ჰყავს, ერთი კი საშუალო სოფელი გამოვა. ახლა სულყველა გვერდით შემოიკრიბა ისინი... ერთი შვილი პრახლადნას დაუსახლდა, მეორე — ძაუგს. მესამემ და მეოთხემ თბილისი ირჩია, მეხუთემ — თელავი. მეექვსეს და მეშვიდეს შირაქი დაუჯდათ ჭკუაში, მერვე დუშეთში დარჩა, მეცხრე გორში ჩაესიძა. ახლა იმათი შვილები და შვილთა შვილები!.. აბა ერთი, კარგად მოთვალოს. ხუთი პრახლადნელს ეყოლა, ოთხი — ძაუგელს. შირაქელებმა თითომ ექვს-ექვსი გაზარდა. ცოტა თბილისელებმა ითაფეს, თორც... სამ-სამზე მეტი არ ზყოლიეს იმ გამჩენძალებმა. თელაველს შეიძი ჰყავს, გორელს ხუთი. დუშელმაც კარგა დააწყვილა — რვა ბაღლი იმან გაზარდა. ეს სულ რამდენი გამოუვიდა?... სათვალავი აერია. მეტი გზა არ არის, ისევე თავიდან უნდა დაიწყოს. თუმცა რაღა ბედენაა, მთავარი ეს არის, რომ ბლომად არიან. ახლა კიდევ შვილების შვილთა შვილები!... არა, კი ბლომად ხალხი შეიყრება.

ამ ზაფხულს, როცა შინ კარგად დასვენებულს, უნდა წავიდეს და ყველანი დედაბუდეში დასვენდნენ. რამდენი ხანიც უნდა დასკირდეს მათთან სტუმრობას, არ აუჩქარდება გული, საშინაოდ აღარ გამოუწევს. არა, უნახველს არცერთს არ დატოვებს... მაინც, რა იღბალი დაჰყვა, ჰა? ნიკოლაის ომში ხუთი წაართვეს და ხუთივენი საღვთო-მათები დაუბრუნდნენ. მერე ამ ომში... აღარც კი ახსოვს, რამდენი შვილი-შვილი წაუვიდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, არცერთი არ დაჰკლებია, თავიანთ კერას ყველანი მშვიდობით დაუბრუნდნენ. ალაღმართალი კაცია მანგია და, ალბათ, ამან უშველა. შვილებიც თავისავით მართლ-მაგრები და მადლიანები გამოხარდა და ისინიც, მამისაგან მიღებულ სულიერ სიკეთეს, რა თქმა უნდა, თავიანთი ნაშეურებისათვის არ დაიშურებდნენ.

დამშვიდებულსა და მოსვენებულს ჩაეძინა და საანუტარო სიზმრებში გაერთო. კარგა კი არცერთი არ დაახსოვდა. მარტო ერთი ნახვაზე შეშფოთდა და გამოეღვიძა. იმისთანა ცივი, გამჭოლი ქარი ჰქოდა, რომ აღარც მოუხტავს თვალი. ერთიანად ამაგმაგებელი წამოდგა. ეგება ცოტა მაინც როგორმე გათბეო, გაიფიქრა და გაიარ-გამოიარა, მაგრამ მაინც არა ეშველა-რა. მერე ისევ ნაბაღში გაეხვია, ურემზე ავიდა, ცალქ-ლებსა და უნაგირებს შორის მოიბღუნდა, მაგრამ მაინც ვერ ჩათბა. მერე ფერდობის მწვევე, მხვლეტავი ტყვილები დაეწყო და მაშინ კი წამოდგა გამწარებულად. ურმიდან დაბლა ჩავიდა, თან შეშა ჩაიყოლა და ცეცხლი გაახურა, მაგრამ ისეთ ქარიან აბინდში რას გაათბობდა... ინანა, რომ ტყუილად ნეთი და შეშა დახარჯა. ნარჩენი ხორც-წვენი გააცხელა და თენების მოლოდინში წუხანდელ ნახულ სიზმრებზე დაფიქრდა. როგორც იყო, ერთი ძლივს გაიხსენა. ვითომ შინ იყო, პანტის ქვეშ ეწოში იჯდა და ჯარბატარს თლიდა. უეცრად ერთი ლაწულაწი და ჰაბაჰუხი

ატყდა. გაიხედა და რა დინება: სახლის საყუდელ ჩატეხილიყო და მთელი კაფიქრამიტი ძირს ჩამოხობილიყო. გულს შემოეყარა და დაფიქრდა, მერე ჩახლეჩილი ხმით დაიძახა:

- სოსიკ!
- არავენ გამოუპასუხა.
- უფრო ხმამაღლა დაიძახა.
- რაო?
- მოდი აქ!
- სადა, ვინა ხარ?
- მანგია!

სოსიკა ერთხანს მიუტჩნდა. „ალბათ, ნამძინარევი თანდათან მოდის გონთ“, გაიფიქრა და ის იყო კიდეც უნდა დაეძახნა, რომ მთქნარეებითა და გვერდების ფხანით ნახდინი კაცის აჩრდილი მოხანდალდა.

— რა ტიალი ქარია, კაცო! — თქვა და ცეცხლს გვერდით წამოუწვია.

— რა დრო იქნება?

— რა ვიცი. ამა ერთი, საათი ენახო, — თქვა, სახელო წაიწია, ცეცხლის ათინათზე კარგად გამოაჩინა და დახედა.

— ექვსია, თქვა და ისევ ნაბაღში გაეხვია.

— მალე გათენდება?

— დიდხანს აღარ დაიგვიანებს.

— ნეტა როდის იქნება... — ჩაილაპარაკა და აღმოსავლეთისაკენ გაიხედა. სადღაც შორს, თვალუწვდენელი სივრცის მიღმა, უკვე გაფერმკრთალებულიყო ცის პირი.

სოსიკამ ხვრინი ამოუშვა. მანგია კი ჩაჰკიდა თავი და ისევ ფიქრებში გაირინდა. ახლა ერთი კვირის თბილი ოთახი და ქათქათა ფაფუკი ლოგინი, ტაშტით კვირის წყალი და თანაც ზედ ერთი ჭიჭი პიტნის ჩაი! ეჰ, ვინ მიაშვა მწყემსს ეს ფუფუნება! თუ როგორმე გადაურჩა ამ ტყვიებს, თუ როგორმე მიიტანა შინამდე სული... ღმერთო უშველე, ღმერთო!.. და მოხეცი მთელი მთიულეთის, გუდამაყრისა და ხევის ჯვარანველოვებს შეეხვეწა. ხატ-ღმერთის სხენებაზე თითქოს როგორღაც შეგება იგრძნო. ტყვილი ცოტა მიუყუჩდა.

თითქოს ქარმაც იკლო, ისე ძალიან აღარ სციოდა. არა, აქ არ მოკვდება მანგია, არ გახდება სხვისი ხელით წასაღები. შინ თავის ფეხით უნდა გადავიდეს. ჯერ არ სცალია სიკვდილისთვის, ჯერ უნდა შევიღები და შევილიშვილები, აგრეთვე მათი ბარტყები მოინახულოს, ყველას ცქერითა და სიყვარულით გული იჭეროს და მერე, რაც უნდა დაემართოს, აღარ ენადვლება.

როგორც კი ირიტრაცა, ყველანი წამოდგნენ და აფუსფუსდნენ. მათიამ წვენი გაათბო, ტაშტებში ჩაასხა და ძალღებს ჩაუსვარა. მუდამ ასე იცოდა: არავის დაანებებდა ცხენებისა და ძაღლების მოვლას. საერთოდ, საქონელი უყვარდა და მათი მზრუნველობისას რაღაც გამოუთქმელ კმაყოფილებას გრძნობდა. ხანდახან განზრახ დიდ ხანს გააქიანურებდა ზოღმე ცხენებისა და ძაღლების კმევას, რომ კარგად დამტკბარიყო იმ დროს განცდილი სიამოვნებით.

ტოტიასა და ბასარას ერთ ტაშტში ჩაუსვარა, კვესიასა და ყურშას — მეორეში. ძაღლებისა და ცხენების ყადრი ათი წლისას დიდმა პაპამ ბოიგარმა ჩააგონა. ცხენზე ჯირითიც პირველად მისგან ისწავლა. უბელოზე შესვამდა და აუქნევდა მათრახს. პატარა ბიჭი ტყიანსავით ჩააფრინდებოდა გაპენებულ ცხენს ფაფარში...

მანგიას ერთალია კიდევ წამოთარა ტყვიელმა, ორივე ხელი მუცელზე მიიჭირა, სიმწვავისაგან კბილები გაახრქილა, ჩაიღუნა და რამდენიმე წამს ეგრე გაიჩერდა, მერე ფრთხილად გასწორდა და ცხენებს გახედა. აქეთ გამორეკო, ძლივს გასაგონი ხმით დაუძახა ქოთილას და აკაზმულობის გაწყობას შეუდგა.

ბიჭებმა სახედრები ისევ დაზურგეს. მოხუცს ხაზმუხიანობა შეატყეს და შებემაში მიეხმარნენ.

მანგია ფრთხილად ავიდა ურემზე, აკრიფა სადავეები და ცხენებს მათრახი

გაუტყლაშუნა. წითლა და შვერა ჩვეული ქიპქივით გაუღგნენ.

— კეთილი მგზავრობა! მანგიანჯა!

— თავადაც კეთილად იარეთ! — დაუბრუნა პასუხი, მერე საბალახოდ გაფენილ ცხვარს გახედა და მანამ უყურა, სანამ იქაურობას კარგა დიდი მანძილით არ გასცდა. ისევ გასწორდა და კვლავ ააჩქარა ცხენები.

ნეტა როგორმე გაუყურდებოდეს ტყვიელი. შინამდის როგორმე დააცოდეს გადასვლას და მერე... ეხლა მაინც გადაახედა თავის სახლ-კარსა და ეზო მარჯვ. ნეტა რას იზამდა მარტოხელა ბებერი? თვითონ რაღა შეუძლიან, მაგრამ სოფელი მოუხნავდა და დაუთესდა. ახლა აყვავებულაც იქნება კარტოფილი. არა, ჯერ რა ღიროსია. ისე, ცოტა კი იქნება ამოხუხუჩებული. გადავა თუ არა, ფეხშიშველა ჩავა ეზოში და მიწას თოხს გამოუხვამს, კარტოფილს ძირებს გაუფხვიერებს... კარგია შინ ფუსფუსი და ტრიალი, რაღა დროს ამის ყიზლარში სიარულია, შინა საქმე, თბილი ქერი, სუფთა და ფაფუკი ლოგინი, თავისიანებში ლხინი და მხიარულობა არა სჯობია!

ცხენებს ახლა კი გამეტებით გადაუქნია და დაათხა. გული აუჩქროლდა და გაბრაზდა, რომ ნელა მიზოზინობდნენ. ნეტავი ახლა დარიალის ყელში მაინც იყვნენ, დღეს საღამოსვე შინ გადავიდოდა.

გუშინწინ აიყარნენ ხაღლები, ძალიან შორს წაეიდოდნენ? როგორმე რომ დაეწიოს... ვინ იცის, როგორ გაუარჯალდება ფერდიქარი, იქნებ ხელიც დარიოს და ამ უკაცურ ადგილას...

ხანდახან, როცა ნოღათში რაღაც სენს შეუწუხებია, როგორც კი მისულა თავისი სოფლის კარიბჭესთან და იქაური წყალი დაუღვევია, მშობლიური მთების ქორთა ჰაერი ჩაუსუნთქია, სულ დაჰკარგვია ყოველგვარი სატყვიარი! მუხლებში გამაერებულა, წელში გამართულა, რაღაც კარგი და კეთილი

შეპმატებია. იქნებ ახლაც ასე მოხდეს!
— ააჩო!

ოთხით მიჰქნაობდნენ ცხენები. ამაზე მეტი, ალბათ, აღარ შეუძლიათ. მაგრამ უნდა შეიძლოს, უნდა!.. ჩქარა, ცხენებო, ჩქარა!

მანგიამ უკან მოიხედა. ქანცგაწყვეტილი ძაღლები ძლივსღა მისდევდნენ. გაუკვირდა, თანაც გაუხარდა და ცხენები აღარ დაასადავა, ესენი ჩემ გზას მაინც არ დაჰკარგავენო, გაიფიქრა. აქედან ნამცეცისოდენიც კი აღარავინ მოჩანდა. მხოლოდ სივრცე, უკიდევანო სივრცე, ხელისგულივით სწორი, უსასრულო ველები და ველებზე დამზობილი იასამინისფერი ცა!..

აუ ჩქარა როგორ მიდიან ხაღლები, რომ ვერა და ვეღარ წამოეწია? დიღას აღრე დაემშვიდობა თავისიანებს, მას აქეთ ერთი გაძალბებული მოერეკება და, ჯერ საღ არიან...

ცას ახედა. ფერშეცვლილი მზე უღიმამოდ იყურებოდა. „შუადღე წამოსულა“, გაიფიქრა და გაუკვირდა, რომ მზის ფერი ეუცნაურა. მერე გული დაიშვიდა, ალბათ, ჩემს ბებრულ თვალს ასე ეჩვენებოა.

სალამოდის რომ ოთხით არბენინოს, წამოეწევა ხაღლებს, მაგრამ თავისიანები? ეჰ, არა, დასკდებიან ცხენები. ძაღლებიც ცოდონი არიან. დაე, თვითონ შეანელონ სელა წითლამ და შავრამ. როგორც უნდათ, ისე ირბინონ. მეტად აღარც გაუჭავრდება, აღარც დაასადავენებს.

ცხენები კარგა ხანს მირბოდნენ ღთხახხით. მერე დაიღალნენ, მთლად ოფლში გაიწურნენ. სირბილს თანდათან მოუკლეს და ბოლოს ისევ დინჯი ჭეჭეჭევი დაიწყეს.

ტკივილები თანდათან გაუმწყავდა, მაგრამ არ შეეპუა, გაუჭიქდა. როცა უფრო ხელი დარია, მაშინ კი შეაჩერა ცხენები, ურმიდან ძირს ფრთხილად ჩავიდა და წელში წახრილმა აქეთიქით დაიწყა ნელი სიარული. ბოლოს წამოწევა, მოიბღუნა და იმხელა მოხუცი ერ-

თიანად დაპატარავდა, წლობით გამოგაღულ რცხილის დაჯღარებულ კუნძულს დაემსგავსა.

ცხენები არ იძვროდნენ ადგილიდან. დაღლილი და აქსქასებული ძაღლები კი თავით და ფერხით წამოუწყნენ. მანგია ხმაჩამენდილი იწევა. საოცარია, ისეთი რა სატყეივარი ჩაუძერა გვამში, რომ ასე უწყალოდ აწუხებს? თითქოს ნაწლავებში ხანჯალს უტრიალებენო, ისე ედაგება გულ-მუცელი. არ უნდა აქ სიკვდილი, არ უნდა, მაგრამ დაე, რაკი ღვთის ნებაა, მოვიდეს!

შინ მაინც იყოს, ლოგინში იწვეს. გარს თავისი დიდი ხნის უნახავი შვილები, შვილიშვილები და იმათი ნაშვილები ეხვივნენ. ხომ გაუნელებელი ცეცხლი უდაგავს გულ-მუცელს, მაინც დატყებოდა მათი ყურებით, მერე თვალს კმაყოფილი დახუქავდა! ეჰ, ალბათ ასე არ ეწერა! მთის კაცს ვინ აღიარსა ასეთი სიკვდილი. ან ცხვარში უნდა გასძვრეს სული, ან გზაში. მაინც, რა არის, რომ ასე აწუხებს? რა დააშავა, რა ცოდვა მიუძღოდა?.. ფიქრით მთელ თავის გრძელ გზას გახედა და იოტისოდენიც კი ვერაფერი აღმოიჩინა სულის საქენჯნი.

არა, ბოროტი კაცი არ ყოფილა მანგია. კეთილი, მადლიანი, პირდაპირი და მართალ-მაგარი იყო დიდებთანაც და პატარებთანაც. არასოდეს უჭურდნია, არც ვინმე გაულახავს, არც ვინმე გაულანძღავს, არც არავისზე ძვირი უთქვამს, არც ვინმე დაუბეზლებია... მექალთანეც კი არა ყოფილა. განა იმიტომ, ფხა და გერგილი აკლდა, ან ვაჟკაცად არ ვარგოდა! მკაცრ წესებზე აღზრდილს, ასე ეგონა, ამ საქმის მიმყოლს ოჯახი დაეცარებოდა. ასეთი ყაიდის ხალხს რომ აკვირდებოდა, არც ერთს არ გააჩნდა ბარაქა და ნიათი. სიმშლი-სიტეტვლეში პირკოდებოდნენ და შეილებიც სილიან-პირიანები უჩნდებოდათ. რაღა დასამალია, ისეთების ცოდვებიც ეშმაკის გზას ადგებოდნენ.

არა, არავითარი ცოდვისა და ყალ-

ბისმქმნელი არ ყოფილა მანგია. მადლი კი, ვინ იცის, რამდენი უქნია. და რა არის ეს, რად უყელა წერამწერელმა ამ უადგილო ადგილას? იქნებ მორჩეს, იქნებ გაუაროს და წამოდგეს? მაგრამ ვაი თუ სული ამოჰქრეს და ასე საცოდავად მობღენძელი რატომ დარჩეს? გასწორდება, თუ გადარჩა, ხომ რა კარგი, თუ არა და, ლამაზად მაინც მოკვდება.

პირქვე გაიშობა, ფეხები ერთად მიატყუმა, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელები მკერდქვეშ ამოიღო, შუბლი ორადმოკეცილ ფაფახზე დადო, თვალები დახუჭა, პირი დაკუთმა და ვერაფერი გაიერდა. ახლა მოვიდეს, თუ ვაჟაკია სიკვდილი! განა მისი ეშინია? ერთხელ ნაშობი ერთხელ ხომ უნდა მოკვდეს! აქ არ ეწადა, შინ უნდოდა, შინ, თავის საკუთარ ჭერ ქვეშ, თავის ნაშიერებთან მშვიდად და უშფოთველად დაეღია სული და, რაკი სიკვდილს ამდენი სინდისიც არა ჰქონია, დაე, მოვიღეს!

იწვა და უღრტვინველად ებრძოდა გულმეტყელში გამდგარ ცეცხლსა და გენიას. თავ-ფერხთით ძაღლები უწნენ, გვერდით ურემი ეღგა და ცხენებიც მოთინებთ ელოდნენ.

როცა აღარა და აღარ აღგა, ძაღლებმა წამოიწიეს, კუდის ქიციანით ირგვლე შემოურბინეს, დასუნეს და ყურის ბიბილოები აულოკეს. უკვე გაციებულ იყო მოხუცი, ერთიანად გაშეშებულიყო, კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

ბასარა თავით დაუყუნცდა და შემზარავად დაჰყმევლა, მერე ტოტიამ მოსცა ბანი და აღარც გაჩერებულან. რიგრიგობით დაჰყმუოდნენ თავიანთ მოამაგეს, ხან ხამაღლა, ხანაც — ყრუდ.

ცხედრის სუნი აიღეს თუ არა, მახლობელი სოროებიდან თავგები გამოქვრნენ, მაგრამ ძაღლების შიშით ახლოს მისვლა ვეღარ გაბედეს. ამ დროს აირიენენ ყორნებიც. მაგრამ ძაღლებმა მოხუცის პატიოსან გვამს არცერთი არ გააყარეს. ის კი არა, დამშეული ცხენებიც

კი არ გაუშვეს საბალახო, ჩაუდგნენ წინ და ადგილიდან ფეხიც აღარ მოკაცულევიან.

ბივი ზუთასი

• • •

მწყემსებმა მთელი დღე ფეხად ატარეს ცხვარი. ბინდისას ბინა ერთ ადგილას დაიდეს, მოხსნეს სახედრებს ტვირთი და ღამის სათევად მოეზადნენ. უკვირდით, რომ მოხუცს ვეღარ წამოეწივნენ.

მეორე დღით ადრე აიბარგნენ და საქართველოსაკენ მიმავალ ტრასაზე ძოვნით გააყოლეს ცხვარი. შუაღლისას, ცისა და მიწის გასაყარზე, რაღაც შავი წერტილი დალანდეს. ნელ სიარულში ის წერტილი თანდათან გაიზარდა, გადიდდა და, ბოლოს, როცა მიუახლოვდნენ, ცხენებშებმულ ურმად იქცა. მერე ძაღლებიც გაიანინეს და მათი გაბმული, გულისსიღრმეზე ჩამწვდომი ყმებილიც გაიგონეს. ამბის გასაგებად ორნი წავიდნენ. ზედ მისულებს თვალწინ ასეთი სურათი წარმოუდგათ: მანგია პირქვე ჩამხობოდა გაზაფხულის მზით გამთბარსა და სურნელოვან მიწას. თეთრთმიანი თავი ორადმოკეცილ ქულზე ედო. აქეთ, ერთმანეთის გვერდით, უკანა ფეხებზე ჩაყუნცული ძაღლები კი გულსაკლავად დაჰყმუოდნენ. ფერდებჩალასტული და მშვირი ცხენები როგორც გაჩერებულიყვნენ, ეკრევე იდგნენ და სადამღისაც პირი მიუწვდებოდათ, სულ ერთიანად გაეძოვნათ ბალახი. იმ ადგილას მოშისვლებული მიწის პირი ცეცხლის ნანთებოვით შავად მოჩანდა.

ქოთილამ და გიორგამ უძალე ქულეები მოიხადეს, ცხედართან მდუმარედ ჩაიხუხლეს, ფრთხილად შეეხნენ.

გვამი იგი იყო გაშეშებული, გაყინულს ჰგავდა. გულაღმა რომ ვადმოაბრუნეს, მოხუცს არც ხელი განძრევიდა, არც ფეხი. მწყემსებმა უხზოდ დაადინეს ცრემლები. ძაღლები კი, როგორც ერთ-

ზურაბ გეგეზაშვილი

გელთავე გეუე

სახანო ძალაძის, დავითის

მოთხრობა

სისხლში ამოვლებული მზე გადაიწვერა და ბრძოლაც შეწყდა. ისეე მიუვალ ციხის კედლებს შეაფარა თავი მტრის ლაშქარმა. მიწყდა ომის გნაისი და უფრო მკაფიოდ გაისმა დაქრილთა კენესა, გმინვა. აქეთ-იქით უხვად გაბნეულიყო დახოცილ მებრძოლთა გვამები. დაღლილი თვალი მოავლო „მეფის ყურმა“ ომანმა ბრძოლის ველს. შემდეგ ციხეს გახედა კოპებზეყრილმა. ზვიადად გადმოსცქეროდა დაბალ მიდამოს კლდის დაღრენილ ქიმებსა და ნაპრალებში ჩაკირული კალას ციხე. უკვე რამოდენიმე დღეა უშედეგოდ აწყდებოდა ქართველთა ლაშქარი აუღებელ ციხე-სიმაგრეს. ჯიქურად მიჰქონდა იერიში-იერიშზე, მაგრამ ასე ჩანდა მიინც და მიინც დიდი ჯაფა არ ადგებოდათ სპარს მეცხიოვნეთ მათ მოსაგერიებლად. მხოლოდ მთიელნი თუ აყენებდნენ მცირე რამ ზიანს, კლდის ვეფხი მთიელნი, რომელნიც კლდეზე ქარივით დაქროდნენ. სხვანი კი უღონოდ ებლოტებოდნენ მორიელებით სავსე კლდე-ღრეს. ბოლოს ისე გაკანდიერდნენ სპარსნი, რომ ციხიდანაც კი გამოუხდნენ მომხვედურ ლაშქარს. დილიდან გვიან საღამომდე არა წყდებოდა ომის ზრიალი. დაიქანცა, დაითენ-

თა სიცხისაგან შეწყუბებული ლაშქარა და დრეკა ვერ უყო ციხეს. რაც დრო გადიოდა მით უფრო ძნელდებოდა ყოველ სისხამ დილით ლაშქრის აყრა და ციხეზე მისვლა.

ერთხელ კიდევ მოატარა ომანმა ბრძოლის ველზე თვალი, შემდეგ კედელზე შეხუნძლულ მოყრანტალე ყვავე-ყორანს ახედა. ბრძოლის ყიყინაზე დამფრთხალი შავოსნები ჯერ ვერ ეკარებოდნენ გვამებს. — „თავის ჯერს ელიან სიბნელის მზღებელნი...“ — უსიამოვნოდ გაიფიქრა მან. — „ალბათ, ამიტომ არის, რომ სწორედ შეუქის წყაროს, თვალებს ამოკორტინიან ხოლმე კაცს პირველად ტიალი...“

ცხენიდან ჩამოქვეითებულ, მძიმედ შეაბჯრულ რაინდებისაკენ იქცია პირი. ზოზინით იკრიბებოდნენ მეფის გარშემო მთავრები და დიდ-დიდნი აზნაურნი. ომანმა მათკენ წაიყვანა ცხენი. შორიახლო ჩამოქვეითდა, ჩვეულებისამებრ შეავლო თვალი გახვითქულ ბედაურს. აქა-იქ მსუბუქ ნაკაწრებზე სისხლი შეხმობოდა, ზოგან კი ჟონავდა ოფლში შერეული. მჭრქალი ორთქლი ასდიოდა ერთიანად ოფლში გაცურებულ ტაიქს, ყბებს ქვეშ ალერსით გამოუსვა ხე-

ლი გონიერ პირუტყვის, აღვირი კისერზე გადაუგდო, ლაგამი წააყრევინა და მეფის ირგვლივ შეკრებილ დიდებულულები-საკენ გაემართა. თვინიერად მიჰყვა სინიბი პატრონს.

ჯუანშერ სპასპეტს უხმობდა მეფე. დაღლილი ნაბიჯით ეახლა სპასპეტი, მოახსენა:

— მე ვბრძანე მოაგროვონ, ლელვთა ზევის პირას ტაფობში საერთო სამარე გათხარონ და დახოცილნი მიწას მიაბარონ. ვიცი დაქანცულნი არიან მებრძოლნი, მაგრამ... — სიტყვა გაწყვიტა, გაბნეულ ლაშქარს გახედა. — იმათ მეციხოვნეთაც შევეუთვალე, რომ მიხედონ. თავის მკვდარს.

იციოდა მეფემ ამის დრო არ იყო, მაგრამ ისიც იციოდა, რომ ომის თაღარიგი არ შეეშლებოდა სპასპეტს ჯუანშერს. ორ-სამ დღეში თავიარა მზეზე აქოთლებოდა ყველაფერი, ბუზი და ჭია-ლუა დაეცეოდა. ალყა კი ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა. მთლად გაწვალდებოდა ისედაც სიცხისაგან გათანგული ლაშქარი. აღარაფერი თქვა. უხმოდ დაუკრა თავი.

გვამები ქვემოთ ტაფობში გვიან ღამემდე გადაჰქონდათ მთიელნი უცებ აღრტივდნენ. შემდეგ ჩუმი ბჭობა გამართეს ერთმანეთში. მოახსენეს სპასპეტს, — ჩვენ ვერ დავმარხავთ დახოცილთ, სად გაგონილა წმინდა მიწის წაბილწვა ცოდვილთა გვამებითო. ისევ ჩვენი რიგით აუუგებთ წესსო.

ციხიდანაც დაბრუნდნენ წარგზავნილები, — ჩვენ არ გვაწუხებებს დახოცილები, რაც გინდათ ის უყავითო, — შემოთვალეს სპარსთა.

წარბი შეჰკრა სპასპეტმა.

— ერთად შეაგროვეთ და ცეცხლს მიეციტ! — მკვახელ ბრძანა მან.

ამის გაგონებაზე მთლად აღშფოთდნენ მთიელნი და გარეკახელნი, — ვითარ იქნების ცეცხლის წარყვანა!

გაწყრა ჯუანშერ სპასპეტი, მაგრამ სიბრაზე დაიოკა: საქმე-საქმეზე რომ მიდგებოდა სულ წყალში იყრებოდა ამდენი ნაჯაფი, — ქრისტეს ჭეშმარიტი სჯული

დნელად იკიდებდა ფეხს წერილ ერში.

— მე ჩემს თავზე ვიღებთ ღმერთ ჩაღენილ ცოდვითა სიმძიმესს დაჟმებ, ქრისტიანს, მომიზღონ სამაგიერო იმ თქვენმა ცრუ კერებმა აინინიმ თუ ითრუჯანმა... — გატრიალდა და მეფის კარვისაკენ გაემართა.

დაღვრემილი იჭდა ვახტანგ მეფე ტყავწაფარებულ ლოდზე. ნიკაბი მუშტზე ჩამოედო და ნიდაყვით მუხლს დაჰყრდნობოდა. ჯუანშერის შესვლაზე წარბი ასწია და სპასპეტს პირდაპირ შეხედა. ერთხან იყუნა. შემდეგ ხმა ამოიღო:

— ციხეს გავტეხთ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ძვირად დავგიჯდება, სპასპეტო.

გაუკვირდა ჯუანშერს, სხვისი თანდასწრებით თუ მიმართავდა ხოლმე ხელმწიფე მას ასე წოდებით.

— სადაც ღმრის თათი ვერა სკრის, იქ მელიის კულია საკირო, მეფეო. — ჩაილაპარაკა მან.

— ...ციხე შიგნიდან უნდა გატყდეს, ბეჭედია შენი სიტყვა, სპასპეტო, — გაწყვიტილი ფიქრი განაგრძო ვახტანგმა. — სპარსელ დიდებულთა და მარზანთა განებივრებულ ვაჟიშვილებს ომი თამაშად მიაჩნიათ, თუმცა ყმაწვილ კაცთათვის ეს ჩვეული ამბავია.

კითხვის თვლით შეხედა ჯუანშერმა. მეფემ განაგრძო:

— უკვე რამოდენიმეჯერ გამოგვიბტენენ შუალამისას და იჯერეს კიდევ გული მძინარე ლაშქრის დაწიოკებით. თუ ამაღმაც ინებებს გართობა, მაშინ გასკრის იმ შენი მელიის კული.

მეფე ისევ დადუმდა. სადღაც ცხენმა დაიხეხეინა. ღამეს თანდითან ღამეულთა ხმები ეპარებოდა. სადღაც ჭუჭუნ-კალიამაც მომართა თავისი ჰიანური. უფრო ნათლად გაისმა მტკვრის ბუტბუტი. „ბრძოლის ამბავს თუ იმახსოვრებს... მომავალ თაობათათვის... — თავისდაუნებურად გაჰკრა გონებაში ჯუანშერს. უფერული ღმირის მსგავსი რაღაც გამოეხატა სახეზე. ვერაფერი გაუგო მეფეს, ვერც მის ნააზრევს ჩასწვდა და ვერც მისი სახის იერი დაღანდა.

ვახტანგი სანახევროდ წამოწვა მხარეთმცოდნე. კარავში მონა შემოიპტურწა, შუა ბოშზე კვარი დაამაგრა. აფარფატდნენ, აროკდნენ ლანდები კარავის ჰრელ კედელზე. საიდანლაც ორი ფარვანაც გაჩნდა, ჯერ გაუბედავად დაიწყეს ალის ირგვლივ ტრიალი, მერმე უფრო გაბედულად მიაწყდნენ კვარს. მალე ძირს ჩამოკვიდნენ ფრთებ ატრუსული, ერთი უსულოდ დაეცა, მეორე ჯერ ისევ ასავსავებდა ფრთების ნაშფეგებს. თვალმოკუბტული უცქეროდა ვახტანგ მეფე ფარვანების თავგანწირვას. ფიქრმობეზრებულ, დაღლილ გონებას ფარვანასავით დაჰფარფატებდა ფიქრი:

„...დიდ სურვილს ეწირება, დიდ წადილს, მაგრამ ამოს, მისი დარდი არ ამღევს მოსვენებას და მისი დარდივე ჰკლავს...“

— დიდი წადილი თავს გააწირვინებს კაცს სასახელოდ, დარდი კი უსახელოდ მოჰკლავს, ჰა, ჯუანშერ?

თავი ასწია გორგასლის სიყრმის მეგობარმა. ჯიქურ შეხედა მეფეს. იგრძნო, საუბარი მოსწყურებოდა, უბრალო, გულ-მოსაფონებელი...

— მთლად ეგრე არ არის, მეფეო, — ეუბნება ჯუანშერ. — დარდი ყველაფერს როდი ერევა.

— მაშ როგორ არის, ჯუანშერ ჩემო, — თვალი მილულა მეფემ.

— ცხოვნიდი, მეფეო, უკუნისამდე, მახსოვს ჩემს მამამძებეს, ჰერეთისა და კახეთის დიდ ერისთავს, კარზე ერთი სვეგამწარებული კაცი ჰყავდა ხუშარას დარად, იმან იცოდა ეს არაკი.

კარავში უხმოდ შემოვიდა გორგასლის „ყური“, პირადი მცველი ომანი და იქვე კართან აისვეტა.

— „დიდი ზეიმი ჰქონდაო მზეთუნახე ბუნებას. უხვად გასცა საბოძვარი: სიცოცხლე და სიყვარული, სიხარული და ბედნიერება, სიკეთე და სინარჩარე, სიუხვე და ბარაქა, და ბოლოს დაღლილმა მოსაყენებლად თავის სავანეს მიაშურა. დაცარიელებულ საგანძურში ერთი პატარა შავი ყუთი შეინიშნა

მზეთუნახემა. მეჭურჭლეოუბნებს დამიწას ჰკითხა, ეს რა არეყოყნულაა! — დარდიო, დედოფალმა...“

შეწუხდა მზეთუნახევი. სევდიანი იერი დაედო მწყახარ სახეზე. ვისთვის მიეცა? ვინ გაემეტებინა, მძიმე დარდი შეზოაწვა გულზე.

მთის ჩქარ მდინარეში მოისროლა ყუპრის ფერი ყუთი, ის გაუძღვებს, სადმე გარიყავს, მომამორებსო...

აფორიაქდა მთის ბროლივით წმინდა მდინარე. შავად აემღვრა ანკარა წყალი. მოდიოდა, მოსკდა, წალეკა მთა და ბარი, დაღწა ხიდეები, დაახრჩო პირუტყვი და... დაშრა, დარდს გადაჰყვა.

უფრო ძლიერ დაღონდა ბუნება მზეთუნახევი. — სალ კლდეს მიუგდეთ შავი დარდი, მის პიტალო გულს ვერას დააკლვებსო.

ატორტმანდა სალი კლდე, ავად აგრუხუნდა, გავარვარებულ ლავად ამოანთხია ბოლმა და ნაღველი. დასწვა დაფერფლა გარემო, ნაცარტუტად აქცია, იბორგა, იშფოთა და... ქვიშად ჩამოიშალა დარდისაგან დაღრღნილი, მტვრად იქცა, გასწორდა მიწასთან.

ზარი დაუდგა მზეთუნახე ბუნებას. სევდით დაელარა სახე და შავი ყუთი თავის ყველაზე პატარა და ყველაზე გონიერ პირშმოს, ადამიანს მისცა.

ავაგლახდა ადამიანი, ჩამოიხოკა თავპირი, ცრემლად დაიღვარა, აღარ იცოდა ვის სცემოდა სასოწარვეთილი...

გავიდა დრო.

— რა უყო დარდმა ადამიანს? — იკითხა ბუნებამ.

— არაფერი, შეეგუა, მბრძანებელო. — მიუგეს მზეთუნახავს.

სპასპეტი გაჩუმდა. კარავში ჩამოწოლილი დუმილი საამოდ ელამუნებოდა ყურთასმენას. მერმე შორიდან ჩოჩქოლის ხმამ მოაღწია. კარავში მყოფთ ყური მიუგდეს. ხმაური გაძლიერდა, ჯერ ღრინაცულად იქცა, შემდეგ კი საერთო ღალადისად. ომანი კარვიდან გაქრა. მეფე წამოდგა და კარავიდან გავიდა. ჯუანშერიც მიჰყვა. ქვემოთ ტაფობის მხრი-

დან ისმოდა შფოთი და შეხლა-შემოხლა. მაშინვე გაარჩია მეფემ ომის ხმას რომ არა ჰგავდა ეს სოლომ-გომორი. შეშფოთებულ მცველებსაც ტაფობისაკენ მიეპყროთ თვალი. მალე მაცნეჲაც მოაგდო ცხენი, დაქვეითდა და მეფეს თაყვანი სცა.

— ამაჲეი! — ბრძანა მეფემ.

მოსულმა სული მოითქვა და სხაბასხუპით მიაყარა:

— სასწაული, მეფეო, სასწაული... ის ის იყო ორმოში პირველი ცხედარი ჩავასვენეთ, რომ წყალმა გამოჲონა ძირიდან, შემდეგ კი იფეთქა და მდულარე შემოგვასხურა, აქეთ-იქიდანაც დასკდა წყალი, სულ აქაფქაფებული მტუტე ტალახი ამოასხა, დაფრთხა ლაშქარი, მთიელთ კი ლოცვა აღაღონეს, — ბილწს იბანსო დედამიწა... წყალი კი მოდის და მოდის, მოქაფქაფებს...

კოპები შეჲკრა მეფემ, შემდეგ ხელის გული გადაისვა შეჲმუხნულ შუბლზე. ომანმა მოაგდო ცხენი ჰენებით. სწრაფად ჩამოქვეითდა და ეახლა მეფეს. უხმოდ შეხედა ვახტანგმა. ომანმაც იგივე მოახსენა და დაამატა:

— მთიელნი და გარეკახელნი თავისაზე დგანან... არაჲის ანებებენ დახოცილთა ჩასვენებას საფლავში...

ომანის თავს მიღმა ტაფობს გაუშტერა მეფემ თვალი. მთვარემ შავ ღრუბელს თავი დაადწია და ლალად გასრიალდა ცის კაბადონზე. უხვად ჩამოაფრქვია მიდამოს სხივები და გააკჲაჲაშა არემარე. ნათლად გაარჩია მეფემ შორს ჰქემოთ აღუსუფუსებული ლანდების ჯგუფები.

— ვინ ჩაასვენეს პირველად სამარეში? — თავმოუბრუნებლად ჰკითხა ომანს.

— სპარსთა დახოცილები ჩაჲყარეს, რაკილა ყველა უარზე იდგა...

აღარ დაამთავრებინა სიტყვა მცველს და ცხენის მიგვრა ბრძანა მეფემ. სწრაფად მოველო ბედაურს და ღარტაფებიისაკენ გაჲქუსლა. დგრიალით მიჲყვნენ ჟღანწერ სპასპეტი, ფარნავაზი, ოძრახეს ერისთავი ბივრიტიანი, წუნდის ერისთავი ნასარი და მთავართა მცირე ჯგუფი.

უზარმაზარ ჰედრებს შორის, ფერდობის ძირში გაეთხარათ მოგრძო ჰემარეები. მეფემ ცხენი შეაყენა მკლავრამა უხვ გამი, გაღეჲა და მიწას მაგრად დაჲკრა ფლოქეი. ლაშქარმა მაშინვე იცნო მეფე და ხმა გაჲმინდა. ხმაურმა ნელნელა დაიხია უკან და მებრძოლთა თავებს მიღმა სადღაც სიბნელეში ჩაიკარგა. ირგვლივ გაირინდა ყველაფერი. ისევ მკაფიოდ გაისმა ღამეულთა ხმები. ვახტანგმა დაკვირვებით მოატარა მზერა. რამოდენიმე კაცი გრძელ, დიდ საფლავთან იდგა, თავადერილნი შესცქეროდნენ მეფეს. უცნაურად კრთოდა მათი სახეები მთვარის შუქზე. მიცვალებულნი ცალკალკე ჯგუფად ესვენა. მთიელები ცდილობდნენ წინ აფარებოდნენ თავის მკედრებს. ოდნავ მოშორებით უპატრონოდ ეყარა სპარსთა გვამები, რომელნიც ალბათ დასაწევად გაემზადებინათ, მაგრამ შემდეგ გადაეფიქრათ. ზედ ჰაიპარად ეყარათ ხმელი ჩინჩხვარი და გამხმარი ტოტები. შავ, გრძელ სამარეში წყალი მოქაფქაფებდა, თითქმის ნახევრამდე ამოევსო ორმო. მორევით ტრიალებდა ჰუჲყიან-ჲაფმოგლებული წყალი. რამდენიმე გვამი ამოეტრეტივებინა. დროდადრო გულაღმა ამოატრიალებდა მოკლულის სხეულს და ისევ ძირს ჩაიტანდა. მიყრუებული, გაუბედავი ჩუმი ღალადისი და წყლის ბუებუყი საზარლად ირხეოდა ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში. იგრძნო მეფემ, ცოტაც და მიწის და წყლის სადიღებელს აღაღლენდა კერპთაყვანისმცემელი მთელი ლაშქარი. ველარაფერი დააკებდა ალტკინებულ ხალხს. გრგვინვასავით დაირხა მისი ბრძანება გაირინდულ მებრძოლთა თავზე.

— აგერ იმ მეორე სამარეში ჩაასვენეთ ჰართველ მეომართა გვამები!

მეხდაკრულივით დაიხიეს მებრძოლებმა უკან, დიდი წრე დაავდეს მინიშნებულ სამარესთან. ისევ ჰართლელთ ვაბედეს, რამდენიმე ახოვანი მეომარი წამოდგა წინ. უხმოდ მოჲკიდეს ხელი და სამარისაკენ წაასვენეს მოკლული მეომარების ცხედრები. სამარისპირას ერთ-

ხანს შეყოყმანდნენ და შემდეგ ფრთხილად ჩაასვენეს შიგ.

სასწაულის მოლოდინში მთლად გაირინდა შეძრწუნებული ლაშქარი.

უზანგებზე წამოიშრათა ვახტანგ მეფე. ქვის ქანდაკებასავით აისვეტა მისი მძლე ტანი.

სამარის ფსკერიდან ცვარიც არ დაძრულა.

სახტად დარჩენილი და დაბნეული ჯარი მოკაღოებულებით მიაჩერდა თავის მეფეს.

— მამულიშვილნო, ქართველნო, მამაპაპათა მიწა უღრტვინველად იკრავს თავის შვილებს მკერდში.— მეფე შეჩერდა, ხელი გაიშვირა მღვრიე მორევისაკენ და მტკიცე, მქუხარე ხმით დასძინა.— ეს მტრის სისხლია, რომელსაც არ იკარებს ქართული მიწა. ამიტომაა მას ბილწს რომ ჰბანს წყალი წმინდა. მამ განვბანოთ სამშობლოს ჩვენი სისხლითა ჩვენითა საძულველ მტრისაგან!

ღრტვინვით აიშალა ლაშქარი, აღტიკნებულმა, თვალანთებულმა მხედრებმა. მაგრად ჩაბლუჯეს ხმლის ვადები. ზვავივით ატორტმანდა ლაშქარი. საომარი ყიყინა დასცა:

— სიცილი მტერს!

ლაშქრის ბოლოში რაღაც ჩოჩქოლისა და დავიდარაბის ხმა გაისმა. მალე მას საკურვლის უღრიალი, ხმალთა ჩახაჩუხი და დამფრთხალ ცხენთა კიხვინი შეერია. უცებ მოვარდა ხმალგაშიშვლებული ომანი მებრძოლთა მკირე ჯგუფით.

— მეციხოვნენი გამოგვიტნენ, მეფეო, ჩვენი მოწინავენი აჰკატეს, ხელჩართული ბრძოლაა, დიდი ლაშქარი არ უნდა იყოს.— მოახსენა ომანმა.

მეფემ ერთ წამს იყუჩა. სახეზე ეტყობოდა, რომ სწრაფად მუშაობდა მისი გონება, თვალები უელავდა. პირდაპირ სახეში შეხედა ჯუანშერ სპასპეტს.

— დადგა ეამი გამარჯვებისა!— მტკიცედ თქვა ბოლოს.— შე და ოძრახეს ერისთავი ბიერტიანი ციხისკენ დასახევე გზას მოვეუქრით გამომხდართ, ვეცდებით ცოცხლად შევიპყროთ ერთი ჯგუფი; ფარნავაზ!

— გახლავარ, მეფეო, — წინ წარსდგა ახოვანი რაინდი, საურმეგსქმესპეტის ძე, ძუძუმტე მეფისა.

— არ შეაწყვეტინო ლაშქარს ომის ორმოტრიალი და ოდიგარი ბრძოლის მოთავეების შემდეგაც. ჯუანშერ სპასპეტი და სამნალირ ერისთავი სვანებისა და ეგრისელთა ლაშქრით მდევრად დაგვედევნება, როცა ჩვენ უკან დავიხვეთ ციხისაკენ. გასაგებია?!

გაშტერებული შეჰყურებდნენ ერისთავნი თვალაბრიალებულ მეფეს.

— დატყვევებულ მტრის ლაშქრის ჯგუფს ჩვენს ნებაზე დავიყოლებთ. ჩვენი მხედრები მტრის მებრძოლთა წამოსასხამებითა და მუზარადებით შეიმოსებიან. მათთან ერთად დავიხვეთ ციხისაკენ, კარს რომ გავვიღებენ, შიგნით შევიქრებით და აღარ მივცემთ კარიბჭის ჩარაზვის საშუალებას, და მოგვისწრებს კიდევ მდევარი — ერისთავ სამნალირის ლაშქარი.

მეფე გაჩუმდა, თვალი მოავლო ყველას და დასძინა:— ეს ყველაფერი ელვის სისწრაფით უნდა მოხდეს. ღვთის შეწევნით!

სწაფად დაიშალნენ ერისთავნი ბრძანების ასასრულებლად. იმატა ომის დრიანცელმა, ირგვლივ უჯუნეთი სიბნელე იდგა: ამაოდ ცდილობდა პირმკრთალი მთვარე გამოცურებულებიყო ჩაშაგებულნი, ყომრალი ღრუბლებიდან. ზოგჯერ მუჭი ნაცრისფერი ღრუბელი დაბასმული ლეჩაქივით გაცრიაგდებოდა, გამოაჰყუტდა მთვარეს, მაგრამ ისევ მალე შეიკრავდა პირს და შავი ჩადრივით აეფარებოდა სახეზე. ლანდებივით მიიპარებოდა რჩეული მხედრობა უსიერ ტევრში. მდინარის პირას, მთის ფერდობთან გამოვიდნენ ტყიდან. ვახტანგმა ცხენი შეაყენა. ახლა ზურგის მხრიდან ისმოდა ბრძოლის ხმა. გზა მოჭრილი იყო. ოტეზულ მტრის მხედრობას აჭეთ უნდა ჩაევილო. მოხერხებულად ჩასაფრდა ქართველთა ლაშქარი. იმატა აყალმაყალმა, დგანდგარით მოახლოვდა უკანდახეული მხედრობა. გამოჩნდნენ დევნილ მხედართა ჯგუფებიც, სოლივით შეიქრნენ

საფარში განაბულ ლაშქრის შუა და ყვირინა დასცეს კიდევ ჩასაფრებულებში:

— ჰკა მაგას!

მთლად შეავიწროეს არეულდარეული მტრის მხედრობი, კლდესავით აღიმართნენ სამი მხრით. მეოთხე მხრიდან სვანებისა და ევრიელთა ლაშქარი უტევედა. მალე დამთავრდა ბრძოლა. მომხდურმა ციხის ლაშქარმა ფარ-ხმალი დაჰყარა. მხოლოდ ერთი მცირე ჯგუფილა განაგრძობდა თავგანწირვით ბრძოლას, მაგრამ ისინიც მალე დასცეს ძირს გათოკილნი. ბრძოლის ზრიალს არ წყვეტდნენ ფარნავაზის მხედარნი, ყასიდად უხატულებდნენ ერთმანეთს ხმალ-შუბებს ვიგრის ტყავის ფარებსა და მუწარადებზე.

სწრაფად ჩამოქვეითდა თვით მეფე, ჩამწყრივებულ ტყვეებს შეავლო თვალი. არწივულად, მაღლიდან დაჰყურებდა გოლიათი მეფე დამარცხების სიმწრისაგან წელში გატეხილ მეომრებს. თავადურილი მხოლოდ ორიოდ სპარსი იდგა. უფრო ახლოდან შეათვალიერა მეფემ ტყვენი. მდიდრულ აბჯარში ისხდნენ. ვარსკენ პიტიახშის ძმისწული, ჯოჯიკის ძე შეიცნო. სპარსულად გაცსაუბრა. მოკლედ უბრძანა რასაც ითხოვდნენ მათგან. უკუდგა ვარსკენის ძე და უპირ თქვა.

— ცხენი! — ბრძანა ვახტანგმა, ელვის სისწრაფით მოახტა ჯაფთურს, ერისთავ ბივრიტიანს მიუბრუნდა და სპარსულადღე უბრძანა დინჯი ხმით:

— თავები მოჰკვეთეთ!

გმინვა აღმობდა ტყვეებს, ვილაცეებმა ბლარძენი გაბედეს.

— ჯერ მაგათ მოსპერით თავები, — ბრძანა ჯუანშერმა. მიუხვდა მეფეს განზრახვას სპასპეტი. ისიც იცოდა ტყვეთა დახოცვას არ აპირებდა ვახტანგი. მხოლოდ მათი დაშინება უნდოდა. დრო აღარ ითმენდა. მთვარემ ერთი პირობა როგორც იქნა დააღწია ღრუბლებს თავი და გატრეცილი შუქი მოჰფინა თავმოკვეთილ გვამებს. თავწაჭრილ მამლებივით ბტოდნენ მიწაზე თავწასხებილნი. კის-

რებიდან თითის სიმსხო ნაკადად ასხამდა სისხლი.

ჯოჯიკის ძემ რამდენიმე წახიჯი წარსდგა მეფისაგან. მთვარის შუქზე მკვდრის ფერი დასდებოდა ისედაც ფერწასულს. ახლად შედინილილი ნიკაპი თითქოს უთრთოდა ასხლეტილ ჰვამებს.

— სიტყვა მაქვს სათქმელი, — მიმართა მეფეს. ვახტანგი არც შერხეულა, მისთვის არც კი შეუხედავს, ჯუანშერს მიუბრუნდა.

— ჰკითხე, რა უნდა.

ისევე ჩამოქვეითდა სპასპეტი. ტყვესთან ახლოს მივიდა.

— რას პირდებით სამაგიეროს იმათ, ვინც მე გამომყვება. — ძლივს ამოღერდა ტყვემ და თავის მებრძოლებს გადახედა.

შეყოყმანდა სპასპეტი, მეფეს შეხედა.

— სიცოცხლეს და თავისუფლებას. — მეფის ხმაში მოუთმენლობა ამოიყნო ჯუანშერმა.

— ეს იცოდე მხოლოდ, — წარბი შეკრა სპასპეტმა და მრისხანე თვალი თვალში გაუყარა ტყვეს. — არას გარგებთ, ჯოჯიკის ძე სპარსთა ფოლორცი, თუ სიტყვას გადახვალთ იქვე აგუწუწავთ ციხის კარებში და ხვალ დილით ყვავ-ყორანთ მიგუყურით თქვენს გვამებს.

— თქვენი პირობა? — კითხვა დაუნაცვლა ტყვემ.

— მეფური სიტყვა! — მეფური სიტყვა-მეთქი! — მრისხანედ დაახვედრა სპასპეტმა — გადარჩიე ვის წამოიყოლებ. დანარჩენებს უკან გავგზავნით.

ოციოდე მხედარი გამოჰყო ჯოჯიკის ძემ. სწრაფად მოჰგვარეს ცხენები და თვითონაც შიგ გაერივნენ ქართველი მხედრები. იმატა ყვირინამ და დგრიალით დაიძრა მეწინავე რაინდთა ბედაურები ციხის მისადგომებისაგან. ჰენებით აიარეს შუა კარიბჭის ვიწრო გზა. დახშულ კართან შეტბორდნენ. პირქუშად გამოიყურებოდა ციხის მძიმე კარი.

— ეპეი, ვინა ხართ? — გადმოჰყივლეს გუშაგებმა.

შორიდან ყრუდ მოაღწია მღვერის ხმაურმა. უცებ, ერთის წამით სახარელი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინა ხართ მეტქი? — გაისმა ხელმეორედ.

— ჯოჯიკის ძე ვარ, ძალღის შვილებო, ჩქარა გააღეთ კარი! — იღრიალა ციხისთავისძემ.

ქონგურებზე აჩოჩოლდნენ.

— მშებო, არ გაალოთ... — განწირული ცხოვლის მისუსტებული ხმით დაიხავლა ერთ-ერთმა სპარსმა მხედარმა, მაგრამ ისივლა ომანის მახვილმა, და ზედ კბილებზე გადაუქრა თავი.

ჭრიალით გაიღო ციხის კარები.

* * *

ალიონამდე გასტანა ბრძოლამ. გაქირდა ციხე-ქალაქის ვიწროებში ომი. ბურბუშელასავით აბრიალებული ციხის გარეთ, ფერდობზე შეხუხულაგებულ ქონხახების ფონზე და რიყრაყზე ბინდდაკარგულ, რძისფერ სინათლეზე დაღანდეს სპარსთა მეომრებმა ბუმბერაზი რაინდის მძლე ფიგურა, რომელიც სწორედ იქ მიაგდებდა ხოლმე თავის მუხლმაგარ ჯაფიერს, სადაც ბრძოლა სჭირდა, და უზარმაზარი ხმლის ერთი დაკვრით ჰკვებდა ვიწრო შუკებში ლამბის ძაფივით გახლართულ სპარს მეციხოვნეთ. რამეთუ უშიშ იყო რაინდი მეფე ვითარცა უხორცო. აღის შუქზე საზარლად ლაპლაპებდა მგლის დაღრენილი ხახა. მეფის სახის მიხედვით თითქოს მისი ზუჩიდან გადმოშვირალი კბილაღესილი მგლის თავიც იერს იცვლისო — ეს გაიფიქრა ომანმა, და კიდევ მოესმა მისთვის ასე კარგად ნაცნობი ჩხაველი დამფრთხალი მტრისა:

„ღურ აზ გორგაზარ!“ (შორს, ერიდე მგელთაჲს!)

შიგ ციხეშიც გაჩნდა ცეცხლი. გაბოროტებული სპარსნი ყველაფერს სწავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ. ლელვთახვისა და წყალსადენის მხარეს ადვილად გადაანგრიეს ძველი, დახაესებული კედლები.

მზის სხივებს ჯერ კიდევ ვერ აეკრიფა დილის ცვარ-ნამი, რატუნზედმ ციხეში ბრძოლა მიწყდა. *ბიზლურიქთქა*

პიტიახშისეულ სასახლეში მძიმედ შეკურვილი ჰერეთის ერისთავი გრიგოლი ეახლა მეფეს. ეახლა და მოახსენა, ციხე-ქალაქის ღვთის მსახურნი გეწვიენენო.

დიდად მორწმუნე კაცი იყო ახალგაზრდა ერისთავი. სახეზე სპეტაკი იერი ედო სისხლით გაწუწულ რაინდს. გრიგოლს სხვა მთავრებიც შემოჰყვენენ, და სასახლის ტალავერებში ქრისტიანული ლოცვა-კურთხევა გაისმა.

მეფე წინ შეეგება მოლაღატე მღვდელმთავრებს.

მოულოდნელობისაგან აღტყინებულ მოხუცებს ცრემლი დაჰაღუპით ჩამოსდიოდათ თეთრ წვერ-ულვაშზე. წინ აფოც და იოვანე ეპისკოპოსები მოუქლოდნენ. გვერდით მოსდევდათ ახალგაზრდა, მხარგანიერი, კუნაპეტ დამესავით შავწვერულვაშიანი იაკობ ხუცეაი. ბეკებზე შემოტმასნილ დაცრეცილ ბერულ ჩოხის ქვეშ ეანგმოდებული თორი უჩანდა ვაჟაკ მღვდელს. ხშირ-ხშირად ჰუტავდა ვეებერთელა აღზნებულ თაილებს, რათა სიხარულის ცრემლი უპეზევე შეეშრო. უკან რამდენიმე მოხუცი მღვდელი და დიაკონი მოსდევდათ. მეფის დანახეაზე, იქვე დარბაზის შესასვლელში აღაპყრეს ხელნი, გულმხურვალედ სწირადნენ განმგებელს უსჯულოთა დათრგუნვისათვის.

„რომელთა გარდაჰციენეს სისხლად მდინარენი ჩუენნი და წვიმანი ჩუენნი, რათა არ გუესუა;

მისცა გესლსა ნაყოფი ჩუენი და ნაშრომი ჩუენი მკალსა;

მოსრა სეტყეითა ვენახები და ლელუსულელნი თრთვილითა;

საცხოვარი ჩუენი სიკუდილსა შეაყენა,

და განუხეტქეთ აპეტური მათნი და განვაგდეთ ჩუენგან უღელი მათი,

რამეთუ შენ ღმერთი არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა უსჯულოებაი;

არა დაიმკვიდროს შენ თანა უკეთურმან,

არცა დადგნენ უშუალონი წინაშე თუ-
ალთა შენთა: მოიძულენ შენ ყოველნი
მოქმედნი უშუალოებისანი.

ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობ-
დეთ მას ძრწოლით...“

ერემიას ღაბღაბით შესწირა მადლი
ქრისტესათვის წამებულ დედოფალს,
წმინდა შუშანიას, რომელმაც „აქურთხა
ჯოჯიკ და ცოლი და შვილი მისნი და
მონაშხვეალი მისნი და ყოველი ეზოი
და პალატი მისი და მაცნებდა სლვად
გზათა ღმრთისადა და ეტყოდა, ვითარ-
მედ „ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარ-
ცა ყუაველი ველთაი წარმავალ არს და
დაუგრომელ და ვინ სთესა შოიშკო და
ვინ განაბნია გლახაკათვის — შეიკრი-
ბა, და რომელმან წარწყმიდოს თავი
თვისი, მან პოვოს იგი, რომელმან აღი-
და იგი.“

წმინდა შუშანიას კურთხევამ მოაქ-
ცია ჯოჯიკის ძე ნამდვილ ჰუაზე და ისხ-
ნა მისი ოჯახი განსაცდელისგანო, — ლა-
ლაღებდნენ ეპისკოპოსნი. ხოლო, მერმე
„სრულიად საქართველოს მეფე“ შავჩე-
დრეს უფალს მხცოვანმა ეპისკოპოსებმა:

„...მოხედე ხმასა ლოცვასა ჩემსა, მეუ-
ფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რამეთუ
შენდამი ვილოცო, უფალო და შეივედ-
რე სრულად ქართველთა მეფე ვახტანგ
პირველი...“

ლოცვა დამთავრდა. ხელზე ეამბორა
ეპისკოპოსებს გრიგოლ ერისთავი. ერთ-
მანეთს აღარ აცლიდნენ ტანმომცრო აფ-
ოც და ბეჭაქუზული იოვანე. ზედ აფო-
ფხდებოდნენ გოლიათ რაინდ მეფეს,
ეწადათ აკანკალებული ტურებით შეხე-
ბოდნენ მგელთავა მეფის მაღალ შუბლს.

* * *

კვირის თავზე გამარჯვების აღსანიშ-
ნავად ნადირობა ბრძანა მეფემ. უფრო
კი შემოგარენის დათვალეობებს აპირე-
ბდა ჯუანშერ სპასხეტთან ერთად. წინა
დღით მცხეთიდან ჩამოაყვანიანა ქორ-მე-
ძებრები და თავისი რჩეული მიიმინო,
რომლის წრთენა-დაგეშვას თვითვე აღე-
ვებდა თვალს ჯერ კიდევ უჯარმაში.
მთელი ეს დრო მოუსვენრად იყო გორ-

გასალი, ცხენიდან არც ჩამოსულა; არ
შეუსვენია. კუთხე-კუნჭულამდე დაათ-
ვალიერა ციხე-ქალაქი. რამდენჯერმე ჩა-
ვიდა საქარავნო გზაზე. ფიქრით დამძი-
მებული თვალთ ზომავდა მტკვრის
გალმა აყუდებულ პიტალო კლდეს,
მოსახვევის ვიწროებში მოქცეულ აქა-
დებულ მდინარეს.

„ციხე ქალაქი სწორედ ამ უდიდეს და
უძველეს სავაჭრო გზებზე დგას, მდინა-
რის პირას, — წყლის დიდ სავაჭრო გზაზე-
დაც. ადვილად ჩასაკეტია მისი მისად-
გომები, მისი მთებითა და მტკვრის მა-
ღალკლდოვანი ნაპირებით. ამ ადგილ-
მდებარეობის მფლობელს ძალი შესწევს
თვალყური აღევნოს მთელ მიმოსვლას.
ერთიერთმანეთს ეგნაცულებით. ერთ-ორ ადგილას სროლა ავტიტებეს. როგორც იყო ჩვენს ბატალიონს მივაგვინი. გვეგვინა, სამშვიდობობზე ვამოვედით, მაგრამ რა სამშვიდობობა, ისიც მტრის ვარემოცავაშია მოჭყეული. ცოცხლები აღარ ვეგონებო. მავედით თუ არა ბატალიონის წ. „მნათობი“, № 5.

მეთაურმა უფროსმა კაპიტანმა ლაფშინიმ რამდენიმე მებრძოლი ამოგვარჩია და ცალკე გავვიტოვა.

კაპიტან ლაფშინის მარჯვენს მკერდში მამისმამის ფარაქამი აქვს მოჭყეული, თავიც შეხვეული აქვს. მისი შავგვრემანი სახე და გრძელი უღუგაშები ერთი შეხედვით ვაფეგრბინებებს, რომ ის კაცასიელი უნდა იყოს, მაგრამ ურალიდანაა. დახალ-დახალა და ჩისკენილი, საოცარი გამოხედვა აქვს, ახლა მითუმეტეს, ქორივით აბრახლებს თვალებს, ეტყობა, კრილობებიც ძალიან აწუხებს, წამდაუწუმ ტუჩებს იკუნებს და კბილებს აღრუილუებს.

მეთაურებს ცალ-ცალკე გამოკითხა, ვის რამდენი მებრძოლი-და ჰყავდა დარჩენილი.

—ამხანაგებო, მველომარტობა ნათლავია, ჩვენს ვარშონი მტრია, გათენებამდის უნდა როგორმე ვავიდეთ აქედან, ამ ზევს დაუყვებოთ, ვოლგაზე ვაგვიყვანს, იქ კი ნაპირ-ნაპირ უნდა აფუფუვით მდინარეს. თუ მტრის შეეფუფეთ არ სიციცხლე ამ სიკვდილი ორი შეტყეობა-მტრატყევა მაღლა, ზევის მარჯვნივ და მარცხნივ დაადებოან, ცეცხლს გახსნიან, ამით მოწინააღმდეგის შთელი ყურადღება მათკენ გადავა, ჩვენ ამ დროს დაეტოვებთ ზევს.

კაპიტანმა იუთხა თუ უყუთესი წინადადება გავით, წამოაფენეთო. ფარის ნიშნად წამებრი დემილა ჩამოვარდა. შევუღლიეთ თაფარიკს. შეტყეობამტრატყევეები ტატიანოვი და მესამე ასეულის მებრძოლი დოლოგოვი კაპიტან ლაფშინამ თავისთან დაიტოვა, აღბათ ამით დაავალუებს ცეცხლის გახსნას!

გარემოცვიდან სამშვიდობოზე გასელა ადგილი როღია, მაგრამ ტატიანოვისა და დოლოგოვის ამოცანა ახლა ყველაზე მძიმეა, ორმოცი კაცის სოცოცხლეს ორი კაცი უნდა შეეწიროს, სხვა გამოსავალი არ არის.

ტატიანოვს ერთი შეხებე და მყერდში რაღაცა ჩამწყდა. ნუთუ ეს შეხედვა უკანასკნელია?

ტატიანოვმა ბირველად მოკინოვი გადაკოცნა, მე და ფილონოვს ერთად მოგვხვია მკლავები, ლუკა ლოლავ შეგვავლო, ცხერიი ნიკათან ამოგვარა. შეგვავანჯლარა, პატარა ბავშვებივით თმაზე ხელი გადაგვისოვა, დაგვკოცნა და ტყვიამტრკეკეს დაწწდა. ამ სიცივეში ტრტველი ხელები რომ დაეუხანებ ჩემი ტყვის ხელთათმანები წაიღებო და ვაუფუოდე. არ აიღო, უბზოდ მანიშნა, მე რაღად მიდილო. როგორც იყო ჩავაცი ხელთათმანება.

ღამის ოთხ საათზე ზევის მარცხნივ და მარჯვნივ ტყვიამტრკეკევეები აკაცანდნენ. მტრებმა პასუხი არ დაგვიანეს. ჩვენს მაღლა ცეცხლის დუღლია, მტრის მთელი ყურადღება იქ არის გადატანული. ჩვენ დაბლა მივღვეთ ელოგისაკენ დაქანებულ ხეებს. ვაზაფხულზე წამოსტულ ნაკადლივით ემისხვრავით, ხან რას წამოგვრავთ ფეხს და ხან რას, მივლოდავთ, მივეცოცავთ, მივსწრია-

ლებთ... დატრიალებს ხომ ამ ხევ-ხეუბნში სიარულთ უფრო უბედურ დღეში ჩაცვიფდნენ.

მოკინოვი ხმას არ იღებს, იტანს, უძლებს ტივილებს, ჩემს კისერზე, მისი შემოუღობილი ხელები ისე ვარჯერებენ, ასე მგონია, ცეცხლ მკვებს შემოვლებული. მის ტარებაში მე და ფილონოვი ერთმანეთს ვენაცვლებით.

ხევის ერთ მოსახვევთან წყურულებმა ტყვია დაგვიშინეს. პასუხი არ გავცეთ, შევწერდით, ცოტახინ შემდეგ განვარჯებთ გზა. ცეცხლი კიდევ განმეორდა, მისწყდა. ეტყობათ, იმის გამო კი არ გვიშინდა ტყვისა, რომ ჩვენ შეგვაძინეს, ისინიან მხოლოდ სივრთხილიანათვის, როგორც კი ეოღვას მოვატანეთ ქვარდინი ცეცხლი გადაგვეღობა წინ, პასუხი კვლავ არ გავცეთ. ლოდებს ამოვეფარეთ. კარგახანს იუყფეს ძაღლებმა, როგორც იყო ხმა ჩაიწყვიტეს. კაბიტანი ლაფშინა მარკვენა ფეხში დაიჭრა, სიარული უჭირს, სტაროკოვსკი ამოღება მხარში. ჯერ რა ვიყავით და გზა-გზა კიდევ უფრო შეთხზვდით, ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ... ერთმანეთს ვამაგრებთ. ვეშველებით... ვინც ყველაზე ზემოდან თავისივე ფარაფას ვაფარებთ, ამითლა ეხდით ჩვენს უანასკნელ მოვალეობას. ვჩქარობთ, ღამეს ვემუარებთ. ვავალთ თუ ვერ ვავალთ? ვავედით! მარგამ ერთი საოცრება მოხდა, როგორც კი ეო-უჭირეთ ახლა კი სამშვიდობოს მივაღწიეთო, უცერად თავს ჩვენი დივიზიის მებრძოლები დაგვესხნენ, კინალამ ამოგვეწყვიტეს. საიდუმლონი-შინა რაი ვერ ევთხარით არ გვერდნენ. ზელები აგვაწივებდა, რას ვიზამდით, ხელაწეულები მოგვიუყვანეს. შტაბში. იქ კი ფილონოვმა ვედარ მოითმინა და ავიტრდა, ექიმიო, თანაც მავარი შეიკურნება, ფოლონოვს მივევარდი, მიწოდდა მივშველებოდი მოკინოვის ძირს დასვენებაში...

როგორც იყო ძლიერ ავსხენით სიცოცხლეზე ნახლავებულნი მოკინოვის ვატივებულ ზღუაბი. ეპ, საწყალს, სიცოცხლე უყვარდა. ეს გარმონი დაქონდა იმითომ რომ სიცოცხლეზე გულერა.

მიწას თხრა დაეწვევით. ვერა და ვერ ვათოსართ. ისე იყო ვავინდელი. ბოლოს თოვლით გადაიმჭრელი სანგარი ვავასუთყავით, შვგ ჩავასვენეთ მოკინოვი. ვერ ვიუჭირეთ გარმონივ შვგ ჩავატანითო, მავარამ ფილონოვმა არ დაგვანება. ეგ ისეთი ვაგაკის ზელში იყო მავის დადღეშება ცოდლოა. გარმონმა უნდა იმღეროსო. მებრძოლებს შორის მოვიკითხეთ, გარმონზე დავკრა ვინ იყოლა, ერთი დაბალ-დაბალი შეატება ბივი მოგვიყვანეს, ახალმოსული იყო.

ფილონოვმა გვარი და სახელი გამოჰკითხა, მერე უცნაურად ჩაშხედა თვალეში და დაბალი ხმით მიმართა:

— აბა, შენ იცო, ზორის მიხაილოვ, ეს გარმონი კარგ ბიჭს ევირა ზელში, სულ სიცოცხლეზე მღეროდა. შენც სულ სიცოცხლეზე უნდა იმღერო, ამ გარმონს ბერლინაშდის თუ მი-

ტან და იქ იტყვი სიცოცხლის გამარჯვების სიმღერას, მავის პატრონივ ვაცოცხლდები.

ფილონოვმა ხიშტი წაადრტო. თანაც ვარმონს ერთ ადგილზე წააწერა „მოკინოვი“ და „ვახტანგ-გზაღ“ და გარმონი ახალ პატრონს ვაღასცა, თან სთხვა :

— გაწევე ახლა...
გარმონის გულსმთუთქველ ხმებში მიწა მიეყარეთ სიცოცხლით გაუმძღარ მეგობარს.



ბატალიონი ახალმოსულებით შეივსო. ჩვენს ასეულში მარტო ლეიტენანტი სტაროკოვსკი, ფილონოვი და მე ვართ ძველი, დანარჩენები ახლები არიან.

ბატალიონი რომ შეივსო ახალი ნაწილებით, ძველებს გული მოგვეცო, ნუგვეში მოგვეშტაფილონოვი, თითქოს მეორედ დაიბადა.

— დიახ, მტერს რომ მგონია ისე არაა საქმე, ჩვენი ძარღვები სისხლით ივსება, მტრის ძარღვები სისხლისაგან იწყრიტებიან, როგორც არ უნდა გაათორღეს სიყვდილი არ ასცდება.

დავალება მივიღეთ: შევიკეთო მტრის ძაღვბის განლაგება, რა ნაწილები ჯგანან ჩვენს წინააღმდეგ, მტრის ზურგში ტყვიაწამლის საწყობი უნდა ავაფეთქოთ.

ამ ამოცანის შესასრულებლად სტაროკოვსკი ფილონოვი და მე გამოვუკო. ახალმოსულებიდან ორი კაცი დაასახელა — ბატერიანი და კრატკოვი. ერთი შეხედვით მარჯვე ბიჭები არიან, დანარჩენს საქმე გვიჩვენებს.

მთუხედავად იმისა, რომ მტრისაგან დიდ წინააღმდეგობას ველოდით, ფრონტის ხაზი ისე ვადღეაბეთ, ერთი თოფი არ ვავარდნილა.

ფილონოვი მეუბნება:
— წყურულებმა გული დაიმშვიდეს, განაღვტრებული თუ ვკონივართ.

სტალინგრადის ვანაპირა უბანს მივადწიეთ, მავარამ საღლა უბანი სახლები მიწასთანაა გასწორებული. ქვეშით მიმავალ გზისაკენ აქეთ და იქით თეთრად რაღაცეები მოჩანს, იტყვი ქანდაკებება ჩამწკრივებულიო. ფრთხილად, ცოცხლით მივედით, ღმერთო ჩემო! გამიშველებული, მაჩინელი, თავდაყირა დაყვნიბული ადამიანება! ღუთხელეთ — ოთხთა, ოთხივე ქალი. ვანა ასეთი რა დააშვეს ამ საყოღავებმა? თუმცა, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის ფაშისტების მიერ ჩადენილი? არაკაცები უოველგვარ საზოზრობას ჩადიან, რომ სულეგრად გავეტებონ, დავვიმორჩილონ. მავარამ ამოად. ჩვენს გულში უფრო ჩაღდება შურისძიების ცეცხლი. ერთხანს მღუშმარტე ევგევარტო, რა ეწნათ, დრო არა ვაქვს იმღერო, რომ მიწს მივაბეოთ. ასე დაატოვება კიდევ გვეუზურხულება. ღამადები მოვიხსენით და ვადავაფარეთ ცხედრებს. როგორც კი წამოსვლა დავაპირეთ ფილონოვს გულმა აღარ მოეტიმინა, და ხმაშაღლა თქვა: — ეს ბორიტებაც მტრის დამარცხების დასაწყისია.



ღამის სიზნევს შევეჩვიეთ. როგორც კი ბუქობი ავირეთ და უნდა დავშვებულყოფიყთ, ლეიტენანტმა შეგვაჩერა: ხედავთო, ტანებს! მიწას ვავეყარით. შერე და... ჩამდენი არიან ის ობრები! დღის შეტვეისათვის რომ არ ეშხადე-ბოდენ ფრონტის ხართან ასე ახლოს არ მოუყ-ვანდენ ამ ურჩხულებს.

მთერის შუშუ ჩვენგან მოშორებით მოძრა-ობა შეინიშნება, რაღაცას მივაგორებენ, წყუ-ლები, მგონი არტილერიაა. მარჯვნივ, ვეება ტა-ფობში ჰიანწყველივით ირვიეთ ადამიანები

— ქვევით შენაერთები — დაბეჯითებით გვეუბნება სტაროკოსვი. მაქის საათს დახედო ფოსფორი ხეთს უჩვენებს.

— კრატკოვი და შენ, — მუბუნება ლეიტენან-ტი — უყან უნდა გაბრუნდეთ, ხომ ხედავთ, შეტვეისთვის ეშხადებიან, ყველაფერი დაწერი-ლებით მოახსენეთ.

— თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო?
— საწყობს ავაფეთქებთ!

წაბრველი, მაგრამ ჩემი გული იმითთან დარ-ჩა, თითქოს ვიღაც ჩამძახის ეს განშორება უყა-ნასყელია, რატომ შეგობრებს არ დაეშვიდო-ბეთ.

ჭერ არც კი ვიყავით მე და კრატკოვი შტაბ-ში მისულები, რომ ისეთი აფეთქების ხმა მოყ-ვესმა ჰაერი ტალღასავით შექანდა.

გულში სიხარული ჩაგვეფინა, დავლოცეთ სტაროკოსვის გამბრღელი მშობელი და ფეხს აეუჩქარეთ.

შტაბში ყველაფერი დაწერილებით მოვახსე-ნეთ.

სასწრაფოდ გაცოა განჯარგულება, ეიღრე მტე-რი დავასწრებდა შეტევას, ვახსნათ ცეცხლი. ჰეა ჰეაზე დადღდა. დაიწყო ისეთი შეტევა რომ გაცილებელ დარჩნით.

ამდენი უქანდახევის შემდეგ ასეთ ელვისე-ბურ შეტევას რომ ვუყურებდა, თითქოს მიყ-ვირდა კიდევ.

სიხარულისაგან ვეღარ მოვითმინე და კრატ-კოს კოცნა დავუწვეე.

ჩვენებმა მტრის სიმაგრეები გაარღვიეს. ენა-ხით შერე რა იქნება!

წინ მივიწვეეთ. ჩემს მხარდამხარ კრატკოვი მოდის.

აი, ის ადგილები, სადაც სტაროკოსვი, ფილო-ნოვი და ბატერინი წუხელ დაეტრვეთ. ნეტავ სად არიან? მინდა დავიფვირო: სტაროკოსვი... ფი-ლონოვი... ბატერინი... მაგრამ ამდენ ორომტრო-აღში განა ვისმე რამეს ვააგონებ! შევძრები შევძრებუნა, დაჭრილები დაჭრილებზე. სათაყ მივდივარ კრატკოვიც იქით მომდევს. რა ქნას ახალბედაა, ვაჰოუტველი. ყოველ ვასროლზე მანაშებს, შეხედე, ფრაცო, როგორ ვადაჯარო-ალო.

ჩვენებმა ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს; ღროებით გამაგრდენ. ედებთ სტაროკოსვის, ფილონოსა და ბატერინს, ალბათ, რაღაც დე-

მართათ თორემ, ჩვენ თუ არა, ისინი მარცხ ვე-პოვნიდენ. ერთ ვორმხთან ცხედარს წავეყუ-დით, კრატკოვმა იცნო ბატერინის გეგმის სისხლით ჰქონდა შეღებლი, ოცნა ნახარის მქ-ით სტაროკოსვის მივავენიო, ისე იყო პირვე-დამზობილა, თითქოს მიწასა ჰყოცნიდა. ხელში რაღაც დაქმუქნული უქირავს, თითები ძლიე-ძლიეობით ვავეხსენით, დაქმუქნული ქაღალდი მისი ცოლ-შვილის ფოტოსურათი იყო.

ო, სტაროკოსვი, ალბათ ეს სურათი მაშინ ამოიღე, როცა ჩვენებმა გაარღვიეს ფრონტის ხახა და წინ წაიედენნ შენ რომ ვეღარ შესძელი ბრძოლის გაგრძელება სურათი ამოიღე და ცოლშვილს უთხარი ამა, დიანახეთ, როგორ ვარ-ბიან ჩვენი მტრები!

ლეიტენანტი სტაროკოსვი და რიგითი ჭარის-კაცო ბატერინი მიწას მივაბარეთ.

ფილონოვი მესამე დღეს, როგორც იყო, ევიო-გნეთ, ზედ წელზე იყო ვადაქრალი. ვაი, რა ვაყვაც დაიღუპა! როგორ მინდოდა ერთი წუთი-თი წამომდგარიყო და თავისი ავტოტებული სიტყვები გაემორავებინა: დაიბ, მტრის რომ ჰგონია, ისე არაა საქმე. ჩვენი ძარღვება სისხ-ლით აგსებია, მტრის ძარღვება სისხლისაგან იწრიტებიან. როგორც არ უნდა ვააფთრდეს სიყვდილი არ ასეღება

გამართლდა მისი გუმანი, მაგრამ ვაი, რომ ის ებრ შეესწრო ამ დღი ვამარჯვების დასაწყისს.



ვათენებამდის, რაღაც საოცარი დეშილი იღგა ფრონტზე, ხანდახან არტილერისტების დედეო თუ დაარღვედა ამ დეშილს. როცა ოღნავლა-ფერი გაერა ჩამავეუბლ ლავარჯებს თეით-მჭირანებმა ვადაგვიარეს გამაურებელი ხმით. ვოლგის გაღმიდან ცეცხლის შადრევენები ავარ-და — ეს ჩვენები აძღვეენ პასუხს მტრის ბომბ-დამშენებს.

შტაბიდან დავვირეკეს, მზად იყავით და დაე-ლოდეთ ბრძანებასო.

კოცხანის შემდეგ ისევ დარეკეს.

დავალბა: გავიდეთ ბატალიონის მარჯვენა ფლანგზე და ვაგხსნათ გამუღმებელი ცეცხლი ახალი ძალებს მოსვლამდის.

სულ თორმეტნი ვართ. ადგილები შევარჩიეთ. დაწოლალებმა ვავთხარეთ სანგრები და ვაფრი-ნეთ მტრისაყენ სიყვდილის მოციქულები.

ფრიცები ჭერ ჩვენსკენ შეშლილებივით წამო-ვიდნენ, ისე იყენენ აწითლებული, ეტუბობდათ მთერალები იყენენ. ძლიერ ცეცხლს რომ წააწყდენ ევიო იყვალეს, მარცხნივ დაეშვენ, დაუადვენთ ტყვია, მტრის ტანევი, როგორც კი ვამონდენ ჩვენი ახალი ნაწილებიც მოვი-დნენ, აქეთ და იქით ცეცხლია. ჰურეზე ჰურეი მოდის. და მიდის. მტრის ერთი ტანევი დაწინა-ურდა, საცაა ზედ ვადაგვიელის, მაგრამ მიხი-ლოვმა ისე მარჯედ ესროლა ცეცხლგამძენი სი-თხით საესე ბოთლი, რომ ტანევი აღში ვაგხვია და

ადგილებზე გაქვავდა. მეორე ტანკაც ეს ბედი ეწვია. მესამე ტანკა იყარა უკან გატრიალება, მარცხნივ დაუშვა. სხვა დანარჩენი ტანკებიც უკან მიჰყვნენ. მოვიგერიეთ ჯერჯერობით ეს შეტევა, ენახოთ, მერე რა იქნება!

შვედარეებს ნაბრძანები გვექონდა, როგორც კი მოვიდოდა ახალი შენაერთი უკან უნდა დავბრუნებელიყავით, ამის საშუალება მაშინვე არ მოგვეცა, ახლა, როგორც კი ვიხელბოთ დრო, დავიბაროთ. უკვე კარგად გათენდა. ფეხზე ადგომა არ შეიძლება. დაგვიანხავენ, მიწაზე ვართ გაკრძლები და მიუცოცავთ. ისევ დაიწყო შემობრუნება. პტრები პტრებზე მოდის, ჩვენს ირგვლივ ტყვიების შემზარავი წივილია.

ვარშემო აღარაფერი ჩანს, ყოვლობითა ნამდვილი. ჯერ თითქოს არაფერი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რაღაც მწვანე ტყილეუბი ეიგრძენი, ავიწივ და აეტრიატი. გამიფარდა ხელიდან, აეტრიატს მეორე ხელი ეტაცე. თორმეტნი ვიყავით, აქედან ოთხსლა ვხედავ. მათ შორის ორი დაჭრილია. გაჩერება არ შეიძლება, ვიდრე ახალი პტრები წამოვიდოდეს უნდა ადგილი ვიკვალოთ, თორემ... დაჭრილებს მიტუხბლიავე და მიხაილოვი გვეხმარებიან. ცოტაღა გვაკლია, საცა მივალთ ტრანშეებამდის, მაგრამ თვალთ დამიბნელდა...

როცა გაეახილე თვალი უკვე საველე ჰოსპიტალში ვიწექი. მეორე დღეს ზურგში გამავზავნეს სამეტრნალოდ.

1943 წლის 31 იანვრის ღამით ქალაქ ორსკში გავიგე სტალინგრადში ფელდმარშალ პეტლიუ-

სის დატყვევებისა და მისი საშახლევტაშიათასიანი არმიის განადგურების ამბავი, აღარ ვიციოდი სიხარულისაგან რა მექნა. როგორ შეძლო იმ წუთის იქ უოფილიყო ფილმის გადაღება ატეხული სიტყვა-პასუხით:

როგორ მინდოდა მოკონოვა იმ წუთის იქ უოფილიყო თავისი გარმონით და მასთან ერთად ცეცხლ-სიბღერით მოგვანცულყავი;

როგორ მინდოდა ლეიტენანტ სტარაიკოვისკოსათვის მიმელოცა ეს დიდი გამარჯვება!

მაგრამ რას ვამბობ, მათ ისეთი კეთილი გულუბი ჰქონდათ, რომ არ შეიძლება არ იგრანონ ამ ბედნიერი დღის აღტაცება მათ ხომ სტალინგრადის მიწაში სძინათ!

სტალინგრადი იქცა ჩვენი ქვეყნის გამარჯვების ტრამბლინად. იქიდან დამრული ჩვენი მხედრონი რაიხსტაგამდის აღარ გაჩერებულა.

1945 წლის 9 მაისს, როცა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია გამოცხადდა, მე მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი და ისევ ფრონტიდან მოყოლილი მეომრის ფორმა შეცვა, დამთავრდა ომი და აღარც ჩამიცვამს.

იმ დღეებით მოსილ ცხრა მაისის განუთში ერთი სურათი ენახე: დამარცხებული რაიხსტაგის წინ საბჭოთა მებრძოლებს ზეოში აქვთ, ერთ მეომარს ხელში გარმონი უქვირავს, რაც შეუძლიან სწევს და სწევს. იგი ისე მოხდენილად უქვირავს, რომ მგონი მოკინოვის გარმონია, გარმონის რომ უქრავს ის კიდევ მიხაილოვია.

მართალია, მართალია, მოკინოვის გარმონია!

მსოფლად შეხვედრები

იხუც ჩემი თბილისი

მწერალთა კავშირის კლუბში კრება იყო. სოსო გრიშაშვილმა გამომიხმო, საქმე მაქვს შენთანო და ბაღში გამიყვანა. სუროიან აღზის პირას ჩამოვჯექით, ჭერ შორიდან დაიწყო, სოხუმის ამბები გამომეიტხა. მერე გამომიტყდა:

— მეც მინდა დაესაბლდე სოხუმში, მირჩიეს, ჩემი ხნის კაცისათვის იქაური პაერი მალამოაო. მიწას მომცემენ?

— როგორ არა, უარს ვინ გეტყვის.

— მე ზედ ზღვის პირას მინდა.

— თქვენი ნებაა.

— მაშ, გადაწყდა, ერთად წავიდეთ, იქ ხამად ვიქნები, მეგზურობა გამიწიე. შევთანხმდით. ჩვენი საუბარიც ამით დამთავრდა, მეორე დღეს სოსო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შენობის წინ შემთხვევით შემხვდა და მითხრა:

— დასაბლება იოლი საქმე არ არის. წუხელის დამე ამაზე ვფიქრობდი და გადავწყვიტე აშენების ნაცვლად პატარა სახლი ვიყიდო. ხელსაყრელ ფასებში ვიშოვნო?

— მივიკითხ-მოვიკითხავ, აღმოჩნდება.

— ჰოდა, ეგრე აჯობებს. ორი-სამი დღით ახლა რომ წამოგყვე, რას გავხედები, ისევე შენ უნდა დატრიალდე, თუ

კაცი ხარ, არ გეწყინოს, შენ თვითონ ნახე. თუ მოგეწონა. მიდეპეშე და იქ გაეჩნდები.

— კარგი.

— მაშ, დაჰყა ხელი! — მერე უბის წიგნაკი მომთხოვა და თავისი მისამართი ჩამიწერა.

— ასე ჯობია, არ დაგავიწყდება, თუ-მცა გულმაეიწყია არა ხარ, მაგრამ მაინც.

ყველა ქალაქს ჰყავს თავისი მაცლებები. ამ აკრძალულ ხელობას სოხუმშიაც მისდევენ ზოგიერთნი და მეც მათ დაევალე, ზედ ზღვის პირას შესაფერი სახლის აღმოჩენა.

ეს რომ თბილისში სოსოს ვეთხარო, გაეხარდა და მეკითხა:

— გასამრჯელოს ზომ შეჰპირდი?

— როგორ არა.

— მაშინ გაკეთებულა საქმე... ამ ხნის განმავლობაში არც მე ვყოფილვარ გულ-ხელდაკრეფილი, ბუკინისტთან საშენო წიგნი შემხვდა და სახსოვრად გიყიდე. შემიყვანა მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში და მიბარებული წიგნი გამოართვა.

— აი, შენ, ნარკვევებს რომ წერ, გამოგადგება, ახალ აფბაზეთს ზომ ხედავ



რის წახედულობითაც ეტანებიან თამბაქოს.

— შესაძლოა, მაგრამ თამბაქოს მწველი ქალი საკონუნელად არ ვარგა.

— ამაზე ვერაფერს გეტყვი! — მივუვებ მე. სოსო დააკეჭრდა ნამწვს და მითბრა:

— ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა... როცა მოქარნახედ ვიყავი, ერთი მუშა-მსახიობი ქალი მომივიდა თვალში, ეფინეიანცის ფაბრიკაში მუშაობდა, რეპერტიციანზე ვხვდებოდი, საამო ხმა და მიხერა-მოხერა ჰქონდა, არც სახის ეშხი ავლდა. მაგრამ ყველაფერს თამბაქო აფუჭებდა. პაპიროსს ვერ ვლეოდა. მის ირგვლივ მუდამ კვამლი იდგა. ერთხელ, შინ რომ მივაცილებდი, მეგობრულად ეურჩიე, პაპიროსზე ხელი აელო, იწყინა. მაშ დარდს რა ვუყო, ხომ შემქამაო. იმ მსახიობმა დამაწერიდა სიმღერა თუთუნის ფაბრიკაში მომუშავე ქალისა. ამ ლექსზე დიდხანს არ მიფიქრია, იმავე დამეს, ერთი ამოსუნთქვით დაიხატა ქალადზე.

— იმ ქალს რა მოუვიდა?

— სცენას დაანება თავი და პოლიტიკას მოეკიდა. მეტეხში ჩასვეს, იქ ქლექმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

იმ ზაფხულს მწერალთა კავშირის კლუბმა ექსკურსია მოაწყო საგურამოში. მთელი გზა მზიარულად მივდიოდით, სოსოს თავისებური მანერით ნათქვამი ლექსებით აღტაცებაში მოვყავდით, ვინ რა ანეკდოტს ამბობდა და ვინ რას, მაგრამ წიწამურთან, გულში სადღაც მიძინებულმა ნაღველმა თავი აიშვა, დაღვრემილნი გადმოვედით მანქანიდან, ილია შავვაძაძის შველელობის ადგილმა სევდა და შში ჩავვისახა გულში, ასეთ დროს ძნელია ენის დამერა. ჩვენი ვლუმიდით.

გვიან დაეკავეთ ავტობუსში ჩვენი ჩვენი ადგილები. მე ხელში ქართულად გამოცემული „კუხლია“ მეჭირა, გადავფრცლვ წიგნი და კითხვას შევუდექი,

მაგრამ ავტობუსის ჯაჭგურში თვალში ამიჭრელდა.

— რას კითხულობ? — შემკობნი მსახიობმა და წიგნი გამომართვა. — ქეთო ირემამძეს უთარგმნია, კარგი მოქართულეა, წაიკითხე?

— ჯერ არა, დღეს ვიყიდე.

ვიყავით საგურამოში, ილიასეული სახლი დავათვალიერეთ, მის კაკლის ხეების ჩრდილში შევისვენეთ, შემდეგ ზედაზენზედაც ავედით, იქ მონასტერში კამკამა წყალი დავლეეთ. სოსო გავიდა კარტოფილის მინდორში. ერთ კარტოფილის ბუჩქს ღია ვარდისფერი ყვავილი მოწყვიტა და პიჯაკის ჯიბეზე გაიკეთა, მერე სადღაც მისი საყვარელი ქიამია დაიჭირა და ისიც პიჯაკზე დაისვა.

— ამ ნაკვეთიდან ბევრ მოსავალს დებულობთ? — ჰკითხა სოსომ დარაჯს, რომელმაც მონასტერი დავათვალიერებინა.

— რაღას მივიღებთ, ბატონო. შეელი შემოგვეჩვია და გავიფუქა ყანა.

— შეელი ბინადრობს აქ?!

— როგორ არა. ნაკრძალიდან მოდის.

— აბა, მაჩვენე რა ადგილას წაეტანა. დარაჯმა გადამოვილ კვალთან მიიყვანა. სოსომ თავი გაიქნ-გამოიქნია და უთბრა:

— შეარგოს ღმერთმა.

— შეარგოს, მაგრამ მე ცოდვა არ ვარ?

სოსომ საფულე ამოიღო, ტკიცინა თუმნიანი გაუწოდა ბერს, რომელსაც შერცხვა და არ მინდოა თქვა. მაგრამ პოეტმა ხალათის ჯიბეში ჩაუღო.

— ამით სულ კარტოფილი იყიდე და, თუ კაცი ხარ, შეელი არ დაწყველო.

ზედაზნიდან წამოსულნი მცხეთაში შევედით, სოსომ გადმოგვძახა:

— ხალხნო, ასე მშრალად შევიდეთ თბილისში, ან არ გშიათ, ან არ გწყურიათ?

ხმა არავის დაუძრავს, ზოგმა ჩაიცი-ნა. ზოგს გაელიმა. სანდრო ეულმა კი თავისი ბოხი ხმით დაიგუგუნა:

— შენ გელოდებით.

— მე რა შეუმი ვარ?

— ექსკურსიის ხელმძღვანელი ხარ.

— შენ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ხარ, სამაღარიჩო საქმე შენა გაქვს.

— შენს ჯიბეში იმ ტომეულის ჰონორარია, ახლა რომ გამოეცი.

არ დათმო სანდრომ, სოსომაც ხელი ჩაიქნია. ილია ვადღეგრძელოთო და ავტობუსი სასადილოს წინ გააჩერებინა.

სოსოსათვის ორი ერთიმეორეზე უკეთესი სახლი აღმოვაჩინე, პატრონებსაც მოველაპარაკე, გაუხარდათ, რომ მუშტრად საყვარელი პოეტი მოეველინათ. ერთი ძველებური სახლი იყო. სამი მზიანი ოთახი და რიკულებიანი აივანი შედიდურად გასცქეროდა ზღვას. ეზოში მსხლისა და ვაშლის ხეები შეაქო პატრონმა, წელიწადში ორ ტონაზე მეტ ზილსა ვყიდით.

მეორე სახლი კელასურის მხარეში იდგა, უფრო თანამედროვე იერი ჰქონდა, ორსართულიანი იყო, ქვემოთ და ზემოთ ორ-ორი ოთახით, რიგიანი სამზარეულო, აბაზანა. ეზოში მანდარინის ორმოცდაათამდე ხე შრიალებდა, პატრონი ღარღიმანდი კაცი ჩანდა, გურულად უქცევდა.

სოსო გამოეშურა სოხუმისაკენ. როგორც ჩვეოდა, კუბეში რომ არავის შეეწუხებინა. საერთაშორისო ვაგონის ორი ბილეთი შეეძინა. დილით სადგურში დაეხვედი, ჩემთან არ წამოვიდა, სასტუმრო იჩნია. ნასადილევს მივაღიქით

ზღვას, ვნახეთ ჯერ ერთი სახლი. მეორე მეორე. პურმარილი არ დაგვაკლეს, გურულმა ყანწიც კი შემოიტანა. ერთი მსმელი მნახაო, ჩაილაპარაკა სოსოს.

შემოდგომა იყო. პოეტი ხილს მიეძალა, მერე მანდარინის ხეებს აუარ-ჩაუარა.

— ახლა ერთ ტონა მანდარინს ვკრეფ, მაგრამ ორ-სამ წელიწადში ზუთჯერ მეტს მოგელი, ბედნიერი იქნება მისი მყიდველი.

სოსომ გაიცინა და წამშურჩეულა:

— ამას ვინ ეგონივარ, ახლა მანდარინით არ დამაწყებინოს ვაქრობა.

გამომშვიდობებისას პატრონს ახარა. მომეწონა შენი სახლიო. ფასიც გაივო და დაუშაბა. ცოტა ხანი მაცალე და მოვიფიქრებო.

სამი დღის შემდეგ სოსო თბილისში გაემგზავრა, ისე, რომ ჩემთვის არაფერი დაუბარებია. ერთი თვის მერე შევხვედი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, მოიბოდიშა და ის გურული მოიკითხა:

— კარგად არის, შენს ჩამოსვლას ელოდება.

— მე ვერ ჩამოვალ.

— რატომ?

— თბილისის კიბზე ვარ გამობმული. სომ გახსოვს, გრივოლ ორბელიანმა რა თქვა, კაცი ყველგან უნდა იყოს ნამყოფი, მაგრამ ცხოვრებით თბილისში უნდა ცხოვრობდესო.

და ეს სიტყვა დამითავრა თავისი ცნობილი ლექსიდან მოტანილი სტრიქონებით.

არ არის ქვეყნად თბილისის ვარდა,
სხვა უფრო მამფრი და ნაზი მხარე.

შავდაკვების შყალი

სამამულო ომი მშვიდვარებდა. სოფელ ფოცხოში ვიყავი მამასთან და ცხაკაიის თბილისის მატარებლისათვის რომ მომესწრო, სახლიდან აღრე გამოვედი, აღმართ-დაღმართზე არხეინად მივდიოდი. მოძრავი ღრუბლები მზის მცხუნვარებას ანელებდა. აი, ბერთემი, მწვანე

გორაკები, სიმინდის ყანები, ჩაის პლანტაციები და მეგრული ოდა-სახლები.

შალვა დადიანი აქაური მკვიდრია, ბევრი რამ მომაცონდა ამ დიდი მწერლის ცხოვრებიდან. „14 წლის ვიყავი. — წერს შალვა. — როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელ ბერთემში საკუთარი ხელ-



ნაწერი ეურნალი დავაარსე... ამ ჩემ-
მა ეურნალმა შემაჩვია წერას“. შალვას
ეურნალს „მოზარდი“ ერქვა. მისი თა-
ნამშრომლები იყვნენ მწერლის მეგო-
ბრები. მათ შორის მისა ცხაკაია, დუტუ
მეგრელი, შალვას და მათი ანჩაბაძე და
სხვ. „მოზარდმა“ ჩვენ დრომდე მოაღ-
წია, რამდენიმე ნომერი ამჟამად სახელ-
მწიფო სათეატრო მუზეუმში ინახება.

გზა და მარტოობა ფიქრის აღმძვრე-
ლია. მეც შალვას ზან ერთი გმირი და-
მიდგა თვალწინ, ზან მეორე და ასე დაუ-
სრულებელ ფიქრში ტეხურს მივაღქვი.
ტეხური აქ ერთ ადგილას ვიწროვდება.
მას „დედამოკას“ ეძახიან. ბევრი ლეგე-
ნდა მსმენია ამ ისტორიულ ადგილზე.
იქვე, გზის პირას, ლოლზე ჩამოვყვები.
ნოქალაქევის მთის ფერდობზე მდგარ
ქვიტყირის სახლის ეზოში ბავშვები ირუ-
ოდნენ. აქა-იქ თეთრი კარვებიც გაეშა-
ლათ. აქ პიონერთა საზაფხულო ბანაკია.
ბავშვებმა ომი და საშინელება წუთით
დაივიწყეს. „დედამოკასთან“ ტეხური
ისე ვიწროა. მარჯვე კაცი ადვილად გა-
დაახტება. იქვე, ახლოს, ნოქალაქევის
ცნობილი აბანოების რუბი შენობებია,
მაგრამ აღამიანთა ქაქანება არ ჩანს. ბი-
ლიკზე ვილაც მალა-მალა კაცი ვა-
დმოვდგა. თეთრადაა შემოსილი, თავზე
ლომის ფაფარივით თმა აყრია... ნეტა-
ვი ვინ არის-მეთქი, დავინტერესდი.

შალვა ღაღიანი.. ამ უცახედმა შეხვე-
დრამ ორივე გაგვახარა.

— როგორ ვიცი თხოთ, პატრონო შალ-
ვა?

— ტეხურის ჰაერმა მარგო, თბილის-
ში ცუდად ვგრძნობდი თავს, ისევ ცხე-
ლა?

— ძალიან!

— ჰოდა კიდევ დავრჩები ცოტა ზანს.
აქ პიონერთა ბანაკში მაქვს ბინა, მეც
ბავშვად გადავიქეცი. ფაფასა და ტკბი-
ლეულს შევიპყევი!

— ისვენებთ?

— გავიგონია, ომის დროს კი არა, სიმ-

შვიდემიც არ დამისვენია. ფიქრი დავა-
ნება ზომ არ არის? მე ფიქრში დავუ-
ნების გარეშე ლხინშიც მარტო ვმარტო-
გვირგვილიანების ნაფუძვარის მეტს ვე-
რაფერსა ვხედავ. სულ ჩემი ახალი რო-
მანის გმირები მახევეია გარს. „გიორგი
რუსს“ რომ ვწერდი, მაშინ ახალგაზრ-
დის ჯანი მომსდევდა, ახლა ბერიკაცი
გვირგვილიანებს შევეკვიდე, გაძლგა არ
გინდა?

შალვამ მისთვის ჩვეული დარბაის-
ლობით მიაშრა ახალი რომანის ცხოვ-
რება. საუბარმა გამიტაცა. არ დავგის-
ვენია, ისე გავიარეთ მოკოტახარი, ნო-
ქალაქევი შალვამ სასაფილოში შესე-
ლა მოინდომა, პირი გავისველოთო.
ღვინო კარგი მოგვიტანეს, მაგრამ ვა-
დი იყო ცივი, შეზოლილ სულს გუნს
კაცი ვერ მოცოტქნიდა. ეს რა საჭმელია-
მეთქი, გავუფავერდი სასაფილოს გამ-
გეს.

— რა გქნათ, ომია, პატრონო, — მე-
რე შალვას მიუბრუნდა, — თუ არ მიწ-
ყენთ, ღომს შევდგამ.

— ვერ დაველოდები, გმადლობთ!

შალვამ ჯიბიდან ამოიღო გაყვითლე-
ბული, კიდებზე მოცრეცილი გაზეთი და
მითხრა:

— დღეს კარგი საჩუქარი მივიღე. ერ-
თმა ჩემმა სიყრმისდროინდელმა მეგო-
ბარმა ზანქიდან „ივერია“ გამომიგზავნა,
რომელშიც ჩემი პირველი მოთხრობაა
მოთავსებული. ეს გაზეთი ჩემს ბიბლიო-
თეკას არ შემოჩა და დალოცვილნა
დიდი პატივი დამლო.

შალვას პირველი მოთხრობა „წმინდა
ცრემლები“, როცა ილია ქვევავაძემ წა-
იკითხა, მოეწონა, მაგრამ ფსევდონიმი
მოხვდა თვალში და თანამშრომელს
ჰკითხა:

— ასეთი გვარის პატრონი „ქექს“
რატომ აწერს?!

— „ქექი“ ყველაზე დიდი ციხე-სიმა-
გრე იყო სამეგრელოში! — მოესმა პა-
სუსხად.

— ეგ ვიცი. კარგი, ჩვენი ახალგაზრ-
და მწერალიც იყოს სამეგრელოს ციხე-

სიმაგრე! — თქვა ილიამ და მოთბრობა სტამბაში გაგზავნა.

როგორც ცნობილია, ილია დიდი ყურადღებით ეყიდებოდა ფსევდონიმებს. აქი იონა მეტნარგის მისწერა: „შენი ფსევდონიმი არცერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.. და „აბედი“... ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრაფით მაცნობე“.

„წმინდა ცრემლები“ 1896 წელს გამოქვეყნდა, შალვა წერს: მე გასული საუკუნიდან შემოვიღივარ ქართულ ლიტერატურაში.

სასადილოდან გამოსვლისას შალვამ იტყვე. დახლონ მიყუდებული ახალი თოხი დაინახა, ხელში აიღო ვახედ-გამოხედა. სასადილოს გამგემ მაშინვე ჰკითხა:

— მოგწონთ, ბატონო?

— ძალიან!

— ინებეთ.

— არა, გმადლობთ, თოხს მიწა უნდა და მიწა რომ არა მაქვს!

— ვაი, ჩქიმი ცოდა, დადიანს მიწა არ უნდა ჰქონდეს?!

შალვამ თოხი ისევ მიაყუდა და გზაზე რომ გამოვედით, მითხრა:

— თოხს რომ დაინახავ, გულგრილად ვერ ჩაეუვლი, გამიხარდება, მაშინვე ჩემი ბავშვობა დამიდგება თვალწინ. მამამ ერთ წვიმიან დღეს მხოლოდ და მხოლოდ თოხი ასო მასწავლა. ეს იყო, თ. კ. ხ. ი. არ ვიცი რატომ. დანარჩენი ქართული ასოები თვითონ შევისწავლე. მამაჩემზე თქვენ, ალბათ, არაფერი გაგიგონიათ.

— როგორ არა, თქვენი მონოგრაფია მაქვს წაკითხული ქურნალ „ქართულ მწერლობაში“.

— ჰო, — ესიამოვნა შალვას, — ის მხოლოდ შეილის გახსენება იყო. რაც მომაგონდა, ეს მოყვა კალამს.

შარავაზე ერთი კაცი გამოჩნდა, წვე-

რი მკერდამდე ეფინა, აბრეშუმის ქაბალაში ლამაზად ჰქონდნენ შემოფხვნილი. ხელში პრიალა ნამგაღმტვიჩის მშადგამ შეიცხადა, ამას ვერ გადაეურჩები, ჩემი დის, მამოს ნათლულიაო. ის კაცი მოვკვიახოვდა, ნამგალი ქამარში გაიბრკო და შალვას გაწვდილ ხელს ორივე ხელი შემოუჭირა.

— ჩემი დავიწყება არ გეკადრება, ჰოგალო!

— მამატიე, თქვენი შეწუხების მომერიდა.

— რას მიქვია შეწუხება. მაშინ მე კაცი არ ვყოფილვარ. შეწუხების მომერიდაო, ეს როგორ მითხარით, ბატონო, შალვა. ვაი, მანჩა ჩაჩიბაიას თავს! — და შუბლზე მუშტი შემოირტყა.

— ახლაც წამობრძანდით!

— არა, დღეს არა!

— აბა, როდის?

— ხვალ ან ზეგ.

— ეგ გადასადები საქმე არ არის, წამოდი! — მანჩამ მკლავზე წაატანა ხელი, შალვამ გაიღიმა და ეს ლექსი უთხრა:

ძირში მოუსვი ნამგალი,
თორემ თავთავი ცვიეო,
ნუ აკოცებ სხვისა ქალსა
ცრემლები გადმოცვიეო.

— რას იტყვი, მანჩა?

— ჩემი „ფრიმულის“ პატრონს რომელი ქალი შემხედავს?

— ჰმ, შენი არ მიკვირს, ასე თუ ხელს გიშლის, მოიპარსე ეს წვერი.

— კარგი ახლა, მამის სულს გაფიცებ. ზუმრობაში ნუ გადაიტანე, წამობრძანდი!

— ზომ გითხარი, დღეს არა-მეთქი.

ამის შემდეგ შალვა სოხუმში შემხვდა. ეს იყო 1949 წლის ზაფხულში. მთავრობას მისთვის მშვენიერი სახლი მიეცა სააგარაკოდ. მაჩვენა ბინა, ეზო, ბაღი, მერე მეც მოვიწვიე ჩემსას.

— ჰო, კარგია, მეზობლები ვართ! — მითხრა მან. ხშირად ვხედებოდი სოხუ-

მწი. როგორც დროს იშოვიდა, მაშინვე ზღვას მიაშურებდა ხოლმე. ერთხელ კუბეში ვიჯექი ჩემთვის, თბილისში მივდიოდი. გვიან დამე იყო, არ დამეძინა. ვხედავ, შალვა აღსაბაძემ შემოიხედა, გაუკვირდა რომ დამინახა, მომესალმა. ღვინო ჰქონდა მორეული და ენის ბორძიკით მითხრა:

— ყველა ვაგონს ჩამოუტარე, ბორჯომი არავის აღმოაჩნდა, რა ვქნა არ ვიცი, შალვა დადიანია ცუდად, ბორჯომის მეტი არაფერი მომარჩენსო. — ამას რომ მეუბნებოდა, თან დაჰყუტილ თვალებს არ აშორებდა იქვე მაგიდაზე შემოდგმულ ბოთლს.

— სად არის შალვა? — კითხე.

— უკანა ვაგონშია, მელოდება.

— წაიღეთ, ბატონო.

აღსაბაძემ დაატაცა ბოთლს ხელი, ცოტა შებანცალდა, მაგრამ მინც ყოჩაღად გასწია. გულმა არ მომიტოვინა, ცოტა ხნის შემდეგ მეც გავეშურე შალვას ვაგონისაკენ.

შალვა გაჩახახებულ კუბეში იჯდა, ღია ფანჯარასთან. ჩემი ბორჯომი ნახევარი დაეღია. მერე ბოთლისთვის თავი დაეცო და წინ ედგა მაგიდაზე.

— ბატონო შალვა, რა მოგივიდათ? — კითხე.

— სისულელე მომივიდა, ღვინო დაველიე, — მისთვის ჩვეული ღიმილით გაიღიმა და მერე თავიც იმართლა, — აფხაზ მსახიობებს ხათრი ვერ გავუტეხე, მიყვარს ის ზალბი. შენი ბორჯომი თუ არა, გული მძიმედ მქონდა.

— ბარემ გამოგეცალათ!

— არა, მეყოფა. ეგ ჩვეულება მეც უნდა ვადმოვიტანო შენგან. პირსახოცივით, ბორჯომსაც ჩაეიდებ ჩემოდანში. უკვდავების წყალიო, სწორედ ამაზე უთქვამთ. — ბოთლს ისევ წაატანა ხელი, მაგრამ უმაღლეს ჩემსკენ გამოაჩოჩა და მითხრა:

— მიირთვიეთ!

— არა, არ მინდა-მეთქი და წამოვდექი. შალვამ ჩარჩენილი ბორჯომიც დაღია და თქვა:

— აგაშენა ღმერთმა, ახლა მთლად კარგად გავხდები.

მეც კუბეში რომ დავბრუნდებოდი, ნებები წამომეშალა და არ დამეძინა. მომაგონდა „თეთნულდი“. როცა რუსთაველის თეატრში ეს პიესა მიდიოდა, სპექტაკლს უცხოელი მწერლები დაესწრნენ, მე მაშინ „კომუნისტში“ ვმუშაობდი და დამავალეს რეპორტაჟის დაწერა. უცხოელები „თეთნულდში“ აღტაცებაში მოიყვანა. მართლა საოცარი იყო ეს სპექტაკლი. მახსოვს, უნგრელი მწერალი ბელა ილემში თუ როგორ მივიდა დარბაზში მყოფ შალვა დადიანთან, გადაეხვია მას. გამარჯვება მიულოცა. ხოლო შემდეგ „კომუნისტში“ ჩემი რეპორტაჟის გვერდით მოათავსეს მისი წერილი „ჰამლეტი რუსთაველის პროსპექტზე“.

...იმ დღეს შალვა თბილისში მახარაძის ქუჩაზე შეშხვდა, თეატრალური საზოგადოებიდან მოდიოდა, ხელში ციფრებით აჭრელებული ქაღალდი ეჭირა. გამიკვირდა, ვკითხე, ეს რა ბულალტრული გამოანგარიშებისათვის შეგიწუხებია თავი-მეთქი.

— მე ვინ მომეცა ამის შნო, სერგი გერსამიას ნახელავია, ამდგარა ის დალოცვილი და ჩოთქში ჩაუგდია ჩემი ნაღვაწი. — ეს მითხრა და ქაღალდი მომაწოდა, რომელზეც წითელი ფანქრით ეწერა: „შალვა დადიანს აქვს 102 პიესა, ორიგინალური, გადმოკეთებული და თარგმნილი. მისი რეჟისორობით თეატრებში დადგმულია 105-ზე მეტი სხვადასხვა ეპოქის პიესა, ხოლო არც მსახიობობაში ჩამორჩენია ვინმეს და 270-ზე მეტი როლი შეუსრულებია“.

— რომანები? მოთხრობები? — დაუფიქრებლად ვკითხე.

— ეს რა დასათვლელია! — მიპასუხა შალვამ. მერე ის ქაღალდი გამოართვა, ხელში ჩაქმუქნა, ჯიბეში ჩაიღო და განაგრო:

— ბულალტერია ფულს უნდა, შემოქმედებას ციფრებით არ ანგარიშობენ! თუ დააკვირდი გერსამიას ქაღალდს,

ეწერა. დღემდე ამდენი და ამდენი გაუკეთებიაო. დღემდღო, დღეის იქით? — თითქოს ჩამეკითხა შალვა.

— რა გული გაგტეხიათ?

— გული კი არა, ჭანი გატეხილი, მაგინდასთან ველარ ვჭდებო და მორჩილებაც საქმე განიხილა...

ლეო ქიაჩელთა

1934 წელი. დეკემბერი. თანდათან მატულობს ყინვა, დამით წამოუტროლა, თოვლმა დაფარა თბილისი. მეეტლებმა მარხილები გამართეს და ამ სიცივემ ქალაქში მხიარულებაც მოიტანა.

მაშინ „კომუნისტის“ რედაქცია რუსთაველის პროსპექტზე იყო, შესვენებისას თანამშრომლებმა მარხილი დაეიქირავეთ. ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გაგვივირდა ჩასვლა, თორემ შემდეგ პლებანოვის პროსპექტზე ცხენებმა თავი აიშვეს. დიდუბემდე ისე მიჭროდნენ, ვაქას თქმისა არ იყოს, ფეხებს იბანდნენ ქართა.

რედაქციაში ნასიამოვნები დაებრუნდით, აქ ახალი ამბავი დამხვდა, 16 დეკემბერს მწერალთა კავშირში ახალგაზრდა მწერალთა თათბირზე მიწვევდნენ. მაშინ მხოლოდ „კაპარქინის მებაღურები“ მქონდა გამოქვეყნებული, ვიფიქრე, ამ ერთ მოთხრობაზე რა უნდა თქვან-მეთქი. მეორე დღეს მაინც მივედი მწერალთა კავშირში, ლეო ქიაჩელი დამაკვირდა, მოიბოდიშა, კინალამ ვერ ვიცანიო, შენთან საქმე მაქვსო და ზელი გადამხვია. ლურჯი კოსტუმი ეცვა. მოციხელო პერანგის საყელოზე შავი, ზოლებიანი პალტოზე გვერდზე მოქცეოდა, გამხდარ სახეზე მოკლედი შეკრებილი უღვაში უხდებოდა. სამკითხველოში შემოიღწა. დაჯდომისას სათვალე მოიხსნა, მშვიდი, მსხვილი თვალები მოკუტა. მერე ჭათქათა ცხვირსახოცით უხეები ამოიწმინდა და დიწვი კილოთი მიიხსნა:

— როგორც ვიფიქრობ, ფოთს კარგად იცნობ, მგონი დაბადებულიც იქაზარ.

— არა, აბაშაში დაეიბადე, სოფელ ნავსაკოვოში.

— ბიკოს, სიმონ ჩიქოვანის მეზობელი ყოფილხარ. ახლა ეს მითხარი. სად მუშაობ?

მკითხა და თან უბის წიგნაკი გადაშალა, ფანქრით რაღაცის წერას შეუდგა. მაშინ იმ ჩანაწერის წაკითხვა მინდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობას არ აეყევი, სირცხვილია-მეთქი, ვიფიქრე. ახლაც თვალწინ მიდგას ლეოს გაკრული ზელით ნაწერი, ზოგი გადახმული და ზოგიც ლამაზად გამოყვანილი ასოები.

ლეოსთან პირველი შეხვედრა, მასთან საუბარი არასოდეს დამავიწყდება, არც ის დამავიწყდება, ლეო რომ მწერალთა კლუბის ტრიბუნაზე იდგა და ნათურის მოციმციმე შექმნე მოხსენებას კითხულობდა. დარბაზი განაბული უსმენდა. მოუსვენარი ახალგაზრდებიც კი დაიხურო მისმა დაფიქრებულმა და დამაფიქრებელმა საუბარმა.

წინა დღით. დღით, რედაქტორმა გამომიძახა, თათბირის ანგარიშის შედგენა დამავალა გაზეთისათვის, მაინც ესწრები და ბარემ ეს საქმეც გააკეთეო. სტენოგრაფიის არაფერი გამეგება, მაგრამ პრესაში მუშაობამ შემამჩვია ჩქარ წერას. ლეოს ერთი სიტყვაც არ გამომპარვია. ლეომ ჩემი მოთხრობის მრავალი ადგილი მოიყვანა ციტატად.

სადაც არ უნდა შევეფეთო ქადრის ხეებს, მაშინვე რუსთაველის პროსპექტი დამიდგება თვალწინ. თბილისის ამ მთავარი ძარღვის ქადრები შრიალითა და მდუმარებითაც ნანახს გადაწონიან ხოლმე და მათქმევიანებენ: რა შედარება!

ჰოდა ამ შეუდარებელი ქადრების ერთი უბირატესობა ისიც არის, რომ მათ უნაზავთ ბევრი დიდებული მწერალი, მოუსმენიათ მათი საუბრები. იქ ქართ-

ველ მწერალთა შორის ბევრ თბილი-სგულს შეხვედრია ლეო ქიაჩელი.

იმ დღეს ზორჯომის წყლების მაღაზიის წინ მეც შევხვდი ლეოს, რომელმაც მითხრა:

- შენს წიგნს დავეძებ!
- რომელს?
- აი, ნანეიშვილზე რომ გაქვს, ის მინდა.

ვერ ვკითხვუ ჩაში დაგვირდა-მეთქი, მაგრამ საუბარში თვითონ გამიხშილა.

— ახალ რომანში ერთ-ერთი გმირი მფრინავი მყავს, ჩემთვის ეს საესებით უცნობი აღამიანია. შენს წიგნში თუ ნანეიშვილის ცხოვრება ვრცლად გაქვს აღწერილი, იქნებ რამეს ხელმოსაკიდს წაგაწყდე. ხომ გესაუბრა ნანეიშვილი ფრენაზე, ცაში გატარებულ ცხოვრებაზე?

მესაუბრა და ჩაწერილიცა მაქვს. ხეალ მოგიტანთ მწერალთა კავშირში ან შინ. სად გირჩევენიათ?

— მირჩევენია არ გადავდო ეს საქმე. წამოვალ შენთან.

უცებ გონებაში გამიელვა. ასეთ სათაყვანებელ სტუმარს როგორ ვაუქმასპინძლდე? ომი მაქვს ვარებდა. შინ არაფერი მეგულებოდა, რომ არ შევრცხვნილიყავი. წამით რომ შევყოვნდი, მწერალი მიმიხვდა და მითხრა:

— ახლახან ვისადილე, ღვინოს არ ვსვამ. ასე რომ, ჩემი სტუმრობა ამ გაჭირვებულ დროში ძვირი არ დაგიჯდება.

— სტუმარი მიირთმევს თუ არ მიირთმევს, ამაზე ზომ არ არის საქმე. ქართულმა კაცმა მაინც უნდა გაშალოს სუფრა და გული აჩვენოს.

— კაცო, სუფრის გული მაქვს, ხელდაე ქვეყანაში რა ამბავია?

მაგრამ მაინც მოეწონა ჩემი პასუხი და ღმილით ჩამიმეგრულა კიდევც.

— გაგახარე ღორონტე. — მერე მკლავზე წამავლო ხელი, — რანი ვართ ეს ქართველები? — აბა წავიდეთ, მაგრამ არა, შენ ბავშვებთან ხელცარიელი ვერ მივალ. ახლა კამფეტს ვერსად ვიშოვი, რა გქნა?

ლეო უცებ მოიღუმა. დიდი ხნის მოუპარსავ წვერზე ხელი ჩამოისვა, მერე სათვალე მოიხსნა და ცხვირის წვერების წმენდას შეუდგა. აღბათ, ომში დაღუპული ვაჟი დაუდგა თვალწინ და იმიტომ აიძვრა. მეც შევწუხდი, გვიან მომაგონდა, ის წიგნი საშახტურში უყარაში მჭონდა და ვუთხარა, თქვენ აქ დამიცადეთ, მე ამ წუთას მოგიტანთ-მეთქი.

— განა ასე ახლოს ცხოვრობ?

კეცხოველის ქუჩა, სადაც იმ დროს ეურნალ „ბოლშევიკის“ რედაქცია იყო, რუსთაველის პროსპექტს უერთდება და, როგორც იტყვიან, ორ ნაბიჯზე მდებარეობდა. ლეო წამოვიდა, წიგნი მივართვი, ზედ წააწერე: ჩემს მასწავლებელს და მწერალთა კავშირში მიმღებს-მეთქი. იქვე ჩამოჯდა, გადაფურც-გადმოფურცლა, ზოგიერთი გვერდი ჩაიკითხა და მერე ჯიბეში ჩაიღო. მე ისევ გამოვაცილდე რუსთაველზე და ობერის თეატრის წინ დავემშვიდობე.

ახლა ორიოდ სიტყვა მწერალთა კავშირის წევრად მიღებაზე. იმ დღეს შინიდან პირდაპირ სტამბაში წავედი, ცოტა შემავგვიანდა და რედაქციაში ორ საათზე გამოვცხადდი. მდივანმა მწერალთა კავშირიდან გამოგზავნილი ქალაქი გადმომცა. მიმღები კომისია მიწვევდა 12 საათზე, მე კი ორი საათით დაეიგვიანე, მაგრამ გული მაინც არ გამტეხია, რამდენიმე წუთში მწერალთა სასახლის კართან გაჩნდი. მაშინ მწერალთა კავშირში მიმღები კომისიის თავმჯდომარე ლეო ქიაჩელი იყო. ლეოს თავისი გაცეთილი პორტფელი ამოვლითავე მიანა და გერონტი ქიქოძეს ელაპარაკებოდა, დამინახა თუ არა, მითხრა:

— თამამად შემობრძანდი, მიგიღეთ მწერალთა კავშირში!

ჩქარი სიარულისაგან ისედაც ცეცხლი მეკიდა და ამ სიტყვებზე უფრო დამწვა. დავიბენი. ხმა ვერ ამოვიღე. ისევ ლეომ მიხსნა.

— მომეცი ხელი, უნდა მოგილოცო!

* * *

..სოხუმიდან შემწვარი ბარბული ბლომად ჩამოვიტანე, შვილები სასწავლებელში გაკრფილიყვენ, მაშინ გაზი არ იყო, დამეზარა ნავთქურაზე ჯახირი, საწებელსაც ვერ მივაგენი, თანაც მატარებელში გავცივდი და მხოლოდ ცხელი კერძის იმედი მქონდა. ცოტაოდენი თევზი შევახვიე ქაღალდში და ჩემ ბინასთან, იქვე, ახლოს რესტორანში ჩავვიდე. ხალხი ბლომად იყო, ძლივს აღმოვაჩინე თავისუფალი სკამი, მოცქრიალდა ოფიციალტი ქალი, წვნიანი და საწებელი შევუკვეთე.

ვხედავ, ილია აგლაძე შემოვიდა. ილია ძალიან მაღალი იყო, ზევიდან გადახედა დარბაზს. მას ლეო ქიაჩელი ახლდა. ლეოს პალტო და პიჯაკი გახსნილი მქონდა, შავი ყელსახვევი გვერდზე მოქცეოდა. დარღიმანდი ოფიციალტი მაშინვე ეახლა მუდმივ მუშტრებს და, ბუფეტის წინ თეფშები რომ აწყვიდა, იმ მაგიდასთან მიიწვია. ის იყო ჩემმა ოფიციალტმა წვნიანი მოიტანა. ცოტა ხნის შემდეგ ის დარღიმანდი ოფიციალტი მოვიხმე, ლეოსა და ილიაზე ვანიშნე, თევზი ხომ არ მოითხოვეს-მეთქი.

— მოითხოვეს, მაგრამ, საუბედუროდ დღეს „სელიოდაკა“ არა გვაქვს.

მაშინ ფრიალა თეფში მოვატანინე, ზედ ბარბული დავაწყვი, ორი ბოთლი გურჯაანაც შევუკვეთე და ყველაფერი ეს ლანგრიით ლეოს მიართვეს. ილია აგლაძე, როგორც ილია ქაქვაძე იტყოდა: თევზის ტრფალი იყო, მას არც ლეო ჩამორჩებოდა. ვიციოდი ეს და ვასიამოვნე უფროსი მეგობრები.

იმწამსვე ის ოფიციალტი მობრუნდა.

— გთხოვენ, ბატონო, წამობრძანდით, თქვენთვის იქ სკამიც მივიტანე.

— ჰო, არა, აქ ვიყო.

— როგორ გეკადრებათ, მწერლები არიან, სირცხვილია, რას იტყვიან.

ვხედავ ილია წამოიმართა, უნებურად მეც ავღეჭი. უშველებელი ხელი დამიჭინია. მისალმების შემდეგ ლეომ მკითხა:

— საიდან ეს თევზი, კაპარქინაში ხომ არ დაგიჭერია?

— არა, სოხუმიდან ^{ერკენულში} ჩამოვიტანე.

— მერე აქ როგორ მოხვდი, შინ ვერ შექამე. — მკითხა ილიამ და მეც ვუთხარი ჩემი გასაჭირი.

— რა თევზია?

— არ უთხრა, — გამაფრთხილა ლეომ, თვითონ გამოიცივოს.

ილიამ ერთი თევზი შექამა, მერე თქვა.

— ჩინებული ბარბულია.

— გამოიცივო?! — დაინტერესდა ლეო.

— დიახ.

— შეც ასე ვიფიქრე, თევზის გამოცნობაში ჩვენი ილია არ შეცდებამეთქი.

ლეომ მოიკითხა თავისი ძმისშვილი, სოხუმში მცხოვრები მხატვარი. დიდი ხანია არ მინახავს, ნეტავი ქართული თუ ისწავლაო.

ვერა, ვერ ისწავლა-მეთქი.

— შეარცხვინა ღმერთმა! — ხელი ჩაიქნია მწერალმა.

ილია აგლაძე მაღიანად შექმცოდა თევზს. ჩვენს საუბარს ყურს არ უგდებდა. ლეო არ იყო მკამელი. ბავშვით ციციქნიდა, ლეონოში ლიმონათს ურეცდა, რაც ილიას არ მოსწონდა და უსაყვედურა კიდევ.

— შენ თუ გიყურე, ეს თევზი ნახევარი აქ დარჩება, ლაპარაკს მერეც მოასწრებ, ახლა ქამა და მიირთვით.

ბარბულით საესე თეფში რომ მოასუფთავა, ილიამ პაპიროსი ხის ვრძელ მუნდშტუქს მოარგო, ლეომაც „რეკორდს“ მოუკიდა.

— ესეც ასე, კმაყოფილებით თქვა ილიამ და ლეოს მიუბრუნდა. ბარემ ისიც ჰკითხე. „ჰაკი ჰაძმა“ თუ შეტედა სოხუმში.

...უქანასკნელად ლეოს შეეხვდი მწერალთა კავშირში. მემანქანესთან ავტობიოგრაფია მოეტანა გადასაბეჭდად. გამოიკვირდა, ორიოდ გვერდი იყო და

ვკითხე, სულ ეს არის თქვენი ცხოვრება-მეთქი?

— არ მიყვარს გაწელება. ესეც არ იყოს, რა ცხოვრება მქონდა? ტანჯვა, ტანჯვა, სული რომ მოვიტყვი და წელში გავიმართე, სიბერეც წამომეწია.

იქვე იყო მწერლის სასურველი მეგობარი ლადო სირბილაძე, რომელსაც ეს სიტყვები არ მოეწონა და უთხრა:

— კარგი ერთი, მაშინ შალვა დადიანმა რა უნდა თქვას, ორი უნდა ხსილია.

— შალვამ არც უნდა წავიკითხე დიო, გული აქვს ისეთი, მე კი, — ნალვლიანად განაგრძო ლომ, „ტალსტოვის“ ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო, — ამით ევკიდები სიცოცხლეს.

სიხარულის შერი ყვავილი

ჩემი მოწაფეობისას ფოთში ხმა დაიბრა, თბილისში საინტერესო ლექსების წიგნი გამოსულა „ვირების მესიაო“. ავტორს არც კი ახსენებდნენ. მაშინ ბევრი მწერალი გატაცებული იყო „იზმებით“ და საოცარი რამეები ქვეყნდებოდა.

„ვირების მესია“ ფოთში, მგონი, გასაყიდად არც მოუტანიათ და ვერც ვიშოვე. სამაგიეროდ, ჟურნალ-გაზეთებში წაგიკითხე კრიტიკული წერილები, ზოგი იწონებდა, ზოგი იწუნებდა.

ჩემი სკოლის დირექტორი გიორგი ბოკერია, ილია ჭავჭავაძისდროინდელი კაცი იყო, „ივერიაში“ ბევრი ლექსი აქვს დაბეჭდილი. იმ დღეს კლასის დამრიგებელმა სამასწავლებლოში შემგზავნა სასკოლო ჟურნალსათვის. იქ ბოკერიას რალაც წიგნი ევირა ზელში და ქართლის მასწავლებელს უთხრა:

— კაცო, როგორ აირია ქვეყანა, პოეტებს ახლა ვირებზე დაუწყიათ ლექსების წერა.

— რა ჰქნან, ადამიანებზე ხომ ყველაფერი თქვას და დაწერეს!

მხოლოდ ამ სიტყვების მოსმენა მოვასწარი, ბოკერია შემიწერა, წაიღე ჟურნალი.

ამ შემთხვევამ უფრო გამიორკეცა ინტერესი „ვირების მესიისადმი“.

თბილისში რომ ჩამოვედი, ვერც აქ შევხვდი ამ წიგნს, ბუკინისტი მთელი თვე მპირდებოდა, მაგრამ ვერ მიშოვნა, მითხრა, წასაკითხად თუ გინდა, საჭარო

ბიბლიოთეკაში ჩაეწერე და იქ მოგცემნო.

პირველად შევალე საჭარო ბიბლიოთეკის კარი, მოვიკითხე გვეტაძის წიგნი. ბიბლიოთეკარმა რამდენიმე წუთში მომიტანა და მითხრა, აჰა, წაიკითხეთო.

ეტყობა, ჩემსავით ბევრი დაინტერესებულია ამ წიგნით, კითხვაში შემოცდენიანთ, დაშლილა, ბიბლიოთეკაში აუკინძავთ და მაგარ ყდაში ჩაუსვამთ.

ამის შემდეგ მალე გავიცანი თვითონ რაედენი. ეს მოხდა უბრალოდ, ზაპესზე ლექსი დავწერე და ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში მივიტანე. რედაქცია მაშინ იყო ახლა რომ კაფე „ნარგიზი“ არის იმ შენობაში, წულუკიძის ქუჩის კუთხეში, „დროშას“ ერთი დარბაზი ეკირა. კარი მორიდებით შევალე. მკრთალი, გამხდარი საბის მსხვილთვალება მამაკაცი, რომელსაც ოდნავ კადარა თმები შუბლზე ჩამოშლოდა, უცებ წამოდგა და მიმიპატიჟა, მობრძანდითო.

მივესალმე, სკამზე მიმითითა, მაგრამ არ დავმჯდარეარ. რისთვის შეწუხებულხართო რომ მკითხა, მაშინ „ზაპესი“ გავეწოდე, რაედენი ლექსს ჩააქცერდა, მე აღელვებით დავაშტერდი ვიღაც მეზამბე აზერბაიჯანელი სტახანოველის დიდ პორტრეტს, რომელიც მაგიდაზე ედო.

— კარგი. ამის შემდეგ ნომერში დავ-

ბეკდავ, ახლა ლექსი მინდა პერზე, პერი არ გიყვარს?

— როგორ არა.

— მაშინ უმღერე პერს. ეს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას უნდა.

კეთილი-მეტეი და ერთ კვირასი მივეტანე ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

დასავლდა პერი, ხარობს სოფელი.
წელს მოსავალმა დაბერტყა კალთა.
და სიხარული ვანუშომელი
ურმის კრიალით მოვიდა კართან.

სამამულო ომი მძვინვარებდა, გვეტანე მაშინ მწერალთა კავშირის გამოცემლობას ზელმძღვანელობდა და დამეცებს ათენებდა სტამბაში, რომ ფრონტზე ქართველი მებრძოლებსათვის თავიანთი გმირობისა და ცხოვრების ამსახველა წიგნები მიეწოდებინა. დრო არ ითმენდა, ბევრი ბროშურა და წიგნი მაშინ ჩქარა იქმნებოდა და იცემოდა.

ერთ დღეს რუსთაველის პროსპექტზე რაქდენი შემხვდა, სალამ-მოკითხვის შემდეგ მითხრა:

— ალექსანდრე წურწუშიაზე ნარკვევი დაგიწერია, „მნათობში“ წაეიკითხე, მოდი ცალკე წიგნად გამოგიცემ, ფრონტზე გავგზავნი, კარგი?

უარს როგორ ვეტყვოდი. მაგრამ, იქვე ჩემი გეგმაც გავცანი. მაქვს ნარკვევი ლესელიძეზე და ერთად გამოცეით-მეთქი.

— ძალიან კარგი, როდის მოიტან?

— ერთ კვირაში.. რაქდენს სიხუსტე უყვარდა, ჩემი სიტყვა გაიმეორა და თან დაუმატა.

— დღეს ორშაბათია, მძიმე დღე, შენ იცი!

საუბარ-საუბრით დავეყვეით რუსთაველს და „ზარია ვოსტოკას“ შენობასთან რომ მივედი, რაქდენმა მკლავზე მომიკიდა ხელი და მითხრა:

— მოსალოცი საქმე მაქვს, ნოდარის წერილი მივიღე. ჩემს სახლში სიხარულ-

ლი შემოვიდა, წამოდი, თითო კიქს აეწიოთ.

უარი ვერ ვუთხარე, რაქდენი კიქვი-გრინოვდოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. შინ არავინ იყო, თვითონ გამოიტანა სურით ცოლიკური, მკალი და ყველი. მისი ექიმი შვილი, ნოდარი ფრონტზე დაქვრილებს მკურნალობდა, საოცრად თბილ და გამამხნევებელ წერილებს წერდა მამას. რაქდენმა ზოგიერთი წერილი წამოკითხა, მაგრამ თანდათან თვალი ცრემლით გავესო და მერე საწერ მაგიდასთან მივიდა. იქ ჭერ კიდევ მელანშეუტრობელი ხელნაწერი მიყრილ-მოყრილი ჰქონდა.

— ახალი მოთხრობა დავიწყე. — მოთხრა მან, — ამ ომში ბევრი მასალა მომცა, სათაური მომწონს „ცხოვრება იწყება თავიდან“, პირველი თავი ამ პარასკევს ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნდება. მიტორს წერა, ყური რადიოზე მაქვს მიღებული და ისეთი ამბები მესმის, ახლა კაბინეტში ჯდომა და წერა ძნელია, ფრონტზე უნდა იყოს კაცი, ცხოვრება იქ არის.

დათქმულ დღეს რაქდენს წიგნი მივეტანე. მან გადაშალ-გადმოშალა მანქანაზე დაბეჭდილი ფურცლები, ერთი გვერდი ჩაიკითხა და ჩაილაპარაკა.

— ცეცხლი ხართ ეს მეგრელები, ვენაცვალე წურწუშიას, სასწაულს ატრიბულებს...

რაქდენი შეჩერდა, გაუტირდა პირველი შენიშვნის მოცემა, ოდნავ გაწითლდა. მე მეგონა, შეეცვალა აზრი, ვიფიქრე, ახლა უქადაღდობას მოიმიზეზებ და უარს მეტყვის-მეთქი. ეს ერთ წუთზე უფრო ნაკლებ დროში მოხდა. რაქდენმა მოგვიანებით სატიტულო ფურცელი ხელში შეაფრიალა.

— ჩვენნი დროის გმირები“ ლერმონტოვმა დაწერა, რად ვინდა ახლა მისი განმეორება. მოდი, მე მოვნათლავ შენს წიგნს, დეარტყვათ „სამამულო ომის გმირები“. რას იტყვი?

ამ სათაურით გამოვიდა წიგნი, რაქდენის რედაქტორობით.

პონორარის ასაღებად რომ მივედი,

ბულატერმა მითხრა, რაედენი ბაღშია. მალე შემოვაო. გამომცემლობა მაშინ პლენანოვის პროსპექტზე იყო, ერთსართულიანი შენობა ეკირა, იქვე ჰქონდა სტამბაც. ეზოს ვენახის ტალავერი და ხეხილი ამშვენებდა. მეც ვავედი ბაღში, ეხედავ, რაედენს ორმო ამოუთხრია და ხელში ნერგი უჭირავს.

— ეს თეთრი იასამანია. — მითხრა მან, — მიყვარს მისი ყვავილი, სიხარულის ფერია.

იქვე ფული ეგდო, ავიღე და რაედენს მივაწოდე, დაგვარდნია-მეტქი.

— არც ისე მდიდარი ვარ, ასე რომ ვყარო... ეს ამ ნერგის მომტანს მივეცი, თავი მოიკლა და არ აიღო, მერე ჯიბეში ჩავუდე. ეწყინა და გადმომიგდო. საოცარია ჩვენი გლახაკი, იცი რა მითხრა: თქვენ ქალაქელებმა ოღონდ ხეხილი მოამრავლეთ და ნერგებს ჩვენ, გლახეები არ დავიშურებთო.

კაბინეტში რაედენი იმ წავეისელი გლახის ვინაობას და სიტყვებს რვეულში რომ იწერდა, ერთი დაბალი, წვერულვაშმოშვებული კაცი შემოვიდა, თუშური მოიხადა და იკითხა:

- შეიძლება, უფროსო?
- ბრძანეთ!

— რისი ბრძანება, სათხოვნელად ვარ მოსული! — თქვა გლახმა.

- რა გნებაეს, პირდაპირ მითხარი.
- პირდაპირ როგორ ვთქვა, როცა არ მინდა თქვენი შეწუხება... ყველა მალაზია შემოვიარე, სიცილი დამყარეს. შენ-ლა გვაკლდიო და აი, ახლა აქა ვარ.

- ძაან უყვავ, გიგა, თქვი რა გნებაეს.
- თქვენი კარგად ყოფნა... ქალაქისაკენ რომ გამოვწვიე, ჯიკილანთ ორღობენი ეშმაკად ჩვენი თავმჯდომარე შემე-

ფეთა, ცოტა საწერი ქალაღლი მიყიდო. სად არ ვიყავი, თქვენგან რჩემ წაგვჭდი, ჯერ წიგნის მალაზიებს დამეწაქე, მერე ღეზერტირის ბაზარსაც მივადექი, საქმე არა გაქვს, შავი ხიზილალა არის, თეთრი ქალაღლი კი არა, თავმჯდომარე განა ამას დამიჯერებს. შინ არ მიმესვლება, მიშველე რამე.

- ბუერი გინდა?
- ბუერი რა, თქვენი ჭირიმე, ჩვენი თავმჯდომარე განა თქვენსავითაა, წიგნსა უშვებს.

რაედენმა უჯრიდან ამოიღო ერთი შეკვრა ქალაღლი და გაუწოდა. გიგამ შეკვრა გახსნა, ნახევარი ხურჯინის ერთ თვალში ჩადო, დანარჩენი მეორეში და თან დააყოლა, ესეც ასეო და გაკვირვებულ რაედენს თვალი ჩაუჯრა.

- შინ მივიტან, ბალღები სწავლობენ. ასე სჯობია.

— ხურჯინი მხარზე გადაიგდო, თუშური დაიხურა, ჯარისკაცით ხელი აიღო და რაედენის წინ ფეხი ფეხს შემოკრა, აგამენა ღმერთმაო.


საქმე ამით არ დამთავრებულა. გიგამ კარი მიიხურა თუ არა, რაედენმა მითხრა:

- კარგი კაცია, მაწონიც კარგი მოაქვს. იმ თეთრი იასამნისა კი რა მოგასსენო, მგონი ვერ გაიხაროს.

- რატომ, ხომ დარგე?
- დარგვას რა ჰქუა აქვს. ერთი ბეწო ფესვი არ ჰქონდა. ხელით ამოუგლეჯია მიწიდან, დალოცვილს ბარით ამოეთხარა კარგი იყო.

- იასამანი ისეთი ჯიშის მცენარეა, მაინც გაიხარებს! — დავაიმედე.

— ნეტავი. პირველ თავიგულს შენ მოგართმევ!



ას პრესის დღე

...საერთოდ ასეა. ყოველ მზარძანებელს უყვარს თავის გარშემო ხელოვნების მოღვაწეთა შემოყრება. არც ჰიტლერი ამბობდა ამაზე უარს. იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა შესანიშნავ პიანისტს პეტეც პანფშტენგს. მართალია პანფშტენგლის დამ არ ისურვებოდა ცოლად გაყოლოდა „გერმანელი ზღლის ფიურერს“, მაგრამ ეს მეგობრობა მაინც არ დარღვეულა. პანფშტენგლი ჰიტლერის „ეიწრო წრეში“ უჩრავდა ეაგნერს და საერთო აღტაცებას იწვევდა. ამას სრულიად არ შეუშლია ხელი მისთვის, ომის შემდეგ კითხვაზე: „როგორ გრძნობდით თავს ამ წრეში?“ — ეპასუხა: „როგორც პიანისტი საროსკიპოშიო“.

ჩაკი „საყვარელი ფიურერი“ გატაცებული იყო მუსიკით, მისი პალადინებაც ასევე იქცეოდნენ. ისინი აქტიურად ეტოვდნენ „მუსიკის პოლიტიკაში“. ეს ჩარევაც საბედისწერო აღმოჩნდა. დიტრიხიუც კი წერს, ჰიტლერი საეჭვო პოლიტიკას ატარებდა კულტურის დარკშიო. იგი დიდ ინტერესს იჩენდა მუსიკისადმი, მშვენიერებას თავისებური იდეალაც ჰქონდა, მაგრამ ცდილი იყო, რომ ამას ეყნონად და დოგმად თვლიდა ყველასათვისო.

ჰიტლერის მითითებით ისე დაარბიეს „არასასტრეული“ და „საეჭვო წარმოშობის მუსიკოსები“, რომ ამის შემდეგ ხელოვნების ეს დარგიც დიდხანს ვერ გაიმართა წელში.

თავდაპირველად აქაც ებრაელებს შეუტეეს. მენდელსონი, ოფენბახი, შაიერბერგი. შონბერგი და სხვები „ამოწერეს“; შემდეგ ცნობარაც გამოსცეს: „ებრაელები მუსიკაში“. როზენბერგის უწყებაში სპეციალური განყოფილება გაიხსნა, რომელიც სწავლობდა „მუსიკის რასობრივი და პოლიტიკური სიწმინდის“ საკითხებს. ამ განყოფი-

ფილებას დოქტორი ჰერბერტ გერიცი განაგებდა. მას შედგენილი ჰქონდა სპეციალური კატალოგი და მზად იყო პირველ მოთხოვნისთანავე პასუხი გაეცა საჭირო კითხვებზე.

გერიკმა საოცარი „აღმოჩენები“ მოახდინა და „დაადგინა“ ისეთი „აღმამოუთოებელი ფაქტები“, რაც თერმე „ჩირქს სცხებს გერმანელი მუსიკის სიწმინდეს“. ბახის ზოგიერთ ნაწარმოებში „ებრაული ელემენტები“ ივარძნობაო, — გამოაცხადა მან. ბრამსი ებრაულ — ბიბლიურ სიტყვებებს იყენებდაო, ასევე ჰენდელიც თავის ცნობილ ორატორიაში — „მესსია“. ყველაზე „საეჭვო“ ყოფილა ფრანც ლეჰარი: მამა წარმოშობით ფრანგი იყო, დედა უნგრელი, თვითონ დაიბადა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ებრაელთა წრეში მოხვდა, ცოლად ებრაელი ქალი შეირთო, ამიტომ მისი ნაწარმოების შესრულება მიზანშეწონილი არ არისო.

დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდათ ფრანც ლისტზე. საეჭვოდ გამოცხადდა მისი ურთიერთობა თავადის ასულ კაროლინა ზაინ-ვუტგენშტაინთან. კაროლინა თერმე მამაკაცურ ტანსაშისს იცვამდა, და თამბაქოს ეწეოდა, ამიტომაც მიიტანეს ეჭვი: შეიძლება იგი ებრაელი იყოს, ლისტს კი მისი ცოლად შერთვა უნდოდაო...

შიერბერგს თერმე ის „შეუცოდავს“, რომ ებრაული გამოუყვანია თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში. დიდხანს არცევედნენ შემანი ებრაელი იყო თუ არა. იცოდნენ სტრაუზისკი რომ ებრაელი არ იყო, მაგრამ სულსეკუთებაში მაინც აღმოუჩინეს „ებრაული ნიშნები“. ამგვარი „ძიებანი“ იმით თავდებადა, რომ „საეჭვო მუსიკოსთა“ ნაწარმოებებს კრძალავდნენ და კონტროლს ისევ პოლიციას აკისრებდნენ.

კიდევ უფრო მკაცრად ეკიდებოდნენ „ბოლშევიზმს მუსიკაში“ (1) ასეთად რატომღაც აბრუნდნენ მუსიკა“ გამოაცხადეს. რატომღაც,



პინდეშიტს, ბარტოკს, ონეგერს, სტრაენსკის და სხვებს „ხმარის ჯამბაზებს“ (geräuschkomiker) უწოდებდნენ.

დიდი სკანდალი გამოიწვია „ატონალური მუსიკის ეშმაკის (Musikfeufel)“ სტრაენსკის შესრულებაში. დარბაზში ვილკამ იფერი: „პაილ მოცარტი“ ამას საერთო ხარზარი და სტვენა მოჰყვა.

უფრო მეტი გაშმაგებით ებრაოდნენ პინდეშიტს, რომელმაც ემიგრაციაში გაქცევა მოასწრო. ცნობილ გერმანულ დირიჟორს ფიურტვენგლერს უნდოდა პინდეშიტის ოპერა „მატიის შვიდი სურათი დაედგა, მაგრამ, ცხადია, ნება არ დაართეს. მეტე აუტორმა თავისი ოპერა სიმფონიად გადააქეთა, მაგრამ არც ეს შეასრულებინეს. ამაზე ფიურტვენგლერმა პროტესტი განაცხადა და რთველიად გაზეთში მოახერხა კიდევ გამოქვეყნებინა სტატია, სადაც აღმუფოთებით წერდა:

— ამბობენ პინდეშიტი არ გვიანდომ რატომ? მხოლოდ იმიტომ რომ პინდეშიტი თერმე ებრაელებსაგან შემდგარ კვარტეტს ხელმძღვანელობდა..

მეორე დღეს, დილით, დირიჟორი რომ რეპერტიკიაზე გამოცხადდა, ორკესტრანტები ოვაციით შეხედნენ მას.

სალამოთი ოპერაში „ტრისტანი“ მიდიოდა. მთავრობის ლოცაში გერინგი და გებელსი ისხდნენ. ფიურტვენგლერის გამონენას დარბაზი ხანგრძლივი ოვაციით შეხედა. ოპერის დამთავრების შემდეგ ოვაცია განმეორდა. გერინგი მიხედა, რომ ეს რაღაც დემონსტრაცია იყო და გებელსს ჰკითხა. რა ხდებაო. გებელსმა, რა თქმა უნდა, იცოდა რაც ხდებოდა, მაგრამ განუმეზა არჩია. ლამით გერინგმა პიტლერს უამბო ამის შესახებ. მეორე დღეს უველიაფერი ვიკრავა. გებელსმა დაუფერებლიე შეკრიბა ოპერის თანამშრომლები და დაემქტრა:

— ჩვენ ვერ მოვითმენთ, ნაციონალ-სოციალისტური მითითებებს ზოგიერთები რომ საეჭვოდ ხდინან, რადგან ნაციონალ-სოციალიზში ჩვენთვის არა მარტო პოლიტიკის, არამედ კულტურის სინდისიცაა...

ამის შემდგომ გებელსმა ფიურტვენგლერს შეუტია, პინდეშიტი კი სულ „შიწასთან გაასწორა“.

შეუტაცხოფილმა ფიურტვენგლერმა გადადგომა ითხოვა. გებელსმა თავის კაბინეტში მიიღო იგი და დიდხანს „მოძღვრავდა“ ნაცისტური სტლისკვეთებით.

— მე ის წერილი მუსიკის ინტერესებისთვის დავწერე და ვწუხვარ, რომ ამას პოლიტიკური შედეგები მოჰყავო. — უპასუხა მას ფიურტვენგლერმა. იგი ამის შემდეგაც ვინაგრძობდა ბერლინის ფილარმონიის ორკესტრში მუშაობას, პინდეშიტის წინააღმდეგ კი ბრძოლა უფრო განაღდა. როზენბერგიც ჩაება ამ ბრძოლაში და

განაცხადა, პინდეშიტი თოთხმეტი წელიწადი იყო გარშემორტყმული ებრაელებით და თავს კარგად გრძობდაო...

ნიკოლოზიძე

...საკითხავია „სხვები“ რომ ასე დაარბიეს, „თვითონ“ რა შექმნეს? არაფერი არავითარი „ნაციონალ-სოციალისტური მუსიკა“ არ გამოვიდა. მხოლოდ მარშები, ისიც ძველი. პარტიულურილობებზე „ნიბელუნგების მარშს“ ასრულებდნენ, ზოლო პიტლერის გამოჩენის დროს „ხადევაილერის მარშს“. სხვა შემთხვევაში ამ ნაწარმოებების შესრულება აკრძალა პირდად პიტლერმა და ამ განკარგულების კონტროლიც პოლიციას დააქისრა...

გრამლტარინი კოვზი...

ასეთი საეალლო ბედი ეწია გერმანული კულტურის ყველა დარგს. დაიღუპა კარგი ტრადიციები, შეწყდა ახლის ძიების იმპულსი. მთელს იმპერიაში გაიშფედა ტოტალიტარული რეჟიმი, რამაც კარის პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები მოითხოვა; უმთავრესად მეზოტერჩი და მადლეულნი, ისინი ვინც უყოფმანოდ შესრულებდნენ ნაციისტური ხელისუფლების მითითებებს. რა თქმა უნდა, ასეთებიც აღმოჩნდნენ და ისიც არა ერთი ან ორი, არამედ მთელი პლავადა ნაციონალ-სოციალისტრად გაწერთილი ხელოსნებისა, რომელთაც შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაკლებობა ხელისუფლების მიერ ნაბობები მოწყალებით უნდადთ შეეესოთ...

ლიტერატურის ისტორიას ბევრი შეესაბამება ახსოვს. ბევრჯერ მომხდარა, რომ მწერალი ვერ გაუგიათ თანამედროვეებს, მისი ნუმოქმედება მხოლოდ ავტორის სიკვდილიდან დიდი ხნის გავლის შემდეგ გამოდარა ყველასათვის გასაგები და ზეღმისაწვდომი. ვანა ეს დღე არ ვწია დიდ ფრანგ რომანისტს სტენდალს და ნაწილობრივ თვით პონორე ბალზაცს? პირველის ნეშტი მხოლოდ ახლო მეგობრებმა მიაცილეს სამარის კარამდე, ხოლო მეორე თავისმა გენიალობამაც ვერ დაიხსნა მშენებარე მეგობრების დამამკირებელ შემოტყვისაგან. თანამედროვეობამ უმწვევესი ტკოვლები მიყენა მხატვრული და ფილოსოფიური აზრის ისეთ გოლიათებსაც კი, როგორც თეოდორ დოსტოვესკი და ნიკოლოზ ჩერნიშევსკი იყენენ. უახლოესი ქართული სინამდვილის წარმოსადგენად მეოცე საუკუნის დიდი მწერლის მიხვილ ქავახიშვილისა და მისი ორი ლირსული თანამოკალმის მავალითის ვახსენებაც კმარა. ნიკო ლორთქიფანიძის ბედ-იბდლის ბორბალი თავიდანვე წაღმა დატრიალდა, თუმცა ამ მეამბოხე აღამაინმა თავისი პირველი ნაწარმოებების გამოქვეყნებამდე საკმაოდ რთული და ნარ-ეკლით მოფენილი ცხოვრება განელო. ნიკო ვერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. ამ მან პირველად იგრძნო მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის სუსხი. მოხარად თაობას ვერტიშევე უკლავდნენ მშობელი ქვეყნის სიყვარულს და იმპერიის ტლუ ქარისკაცებად ზრდიდნენ. საშუალო განათლების დასამთავრებლად მომავალ მწერალს ვლადიკავკაზში მოუხდა გამგზავრება. მალე ის ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ცარიზმი ყველგან ცარიზმი იყო. ნიკო ლორთ-

ქიფანიძე ახალმა რევოლუციურმა გამოსვლებმა ჩაიბრია. ის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და საფურცელი ციხეში ჩააწყვედიეს. სწავლის ვაგრძელება მხოლოდ ციხიდან თავის გამოხსნის შემდეგ მოხერხდა. მომავალმა მწერალმა ქ. ლეონიძის სამთავროდ აკადემია დამთავრა ავსტრიაში და კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა. ის რომ შინ ჩამოვიდა, 1905 წლის რევოლუცია ახალი დამარცხებული იყო. რუსეთის მთელ უზარმაზარ იმპერიაში, რომლის ერთი ვანაპირა კუთხე საქართველოც იყო, სტოლინის სისხლიანი რეჟიმი მძევნივარებად.

ნიკო ლორთქიფანიძეს შესაშური ბედნიერება ზედა წილად: ის სიცოცხლეშივე დიდ მწერლად აღიარეს თანამედროვეებმა, სადაც ასე უჭირთ შინაურ მღვდელს შენდობა უხარბან. ამ მეტად თავისებური შემოქმედის ქმნილებების, ისევე როგორც თვით მწერლის პიროვნების მიმართ, თანამედროვენი ღრმა პატივისცემით და მოყრდენებით განიშკვანდნენ. ნიკო ლორთქიფანიძე, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ახალგაზრდობის, ლიტერატურაში ახლად ფეხადგმული თაობის ბელადი და სკოლაში ხატი იყო. ამ დიდებული მწერლისა და დიდებულბოვანი ადამიანის გარეშე თავს იყრიდა ყოველივე ნიჭიერი, ნათელი და ამაღლებელი, რაც კი მის დროს საქართველოში ცოცხლობდა და იზრდებოდა. ახალგაზრდა თავისისმცემელთა და შეიძლება ითქვას, მოწოდება შორის იყვნენ შემდგომში გამოჩენილი ისტატები ქართული მხატვრული სიტყვის: ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგულაია და სერგო კლდიაშვილი, კლდე ნადირაძე და ვალერიან გაფრინდიაშვილი... ისინი ერთმანეთს ხედებოდნენ და ეფიქრებდნენ სერობებზე, სადაც ნიკო ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა პირველი სიტყვა. სერობა თითქმის გარიყრავამდე გრძელდებოდა და თანამეინახენი ქუჩაში გამოდიოდნენ არა ღვინით, არამედ პოეზიის მადლი იღვალზე, სამშობლოს, ზალხის სამსახურის წმინდა მენებაზე სჯობასთან შეზარბოვებული, შთაგონებული და ფრთხვესსმებული.

მე განზრახ აქედან დაეიწყე ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე, მის მიერ გაწვეულ დიდ ლიტერატურულ ღვაწლზე ლაპარაკი, აქედან დაეიწყე იპიტომ, რომ ყოველ დროში, ახლაც და წინათაც, მწერლის პირადი ადამიანური თვისებები იყო და არის მისივე შემოქმედების საწყისი და გასაღები.

ვის სმენია, უზნეთო კაცის ხელიდან ადამიანის სულის ამამაღლებელი რამ გამოსულიყოს. ლიტერატურას ზომ არცა აქვს სხვა დანიშნულება! იგი, თუ ნამდვილია, აფაქჩიზებს და ამაღლებს ადამიანის სულს, გააღვივებს მასში ე-

თილ საწყისის და აღანთებს შორიკუბრის წინა აღმდეგ საბრძოლველად.

ერთგან უკვე ითქვა დაქვეყნებულ წყვილგორთ: ყხადაღებული დაღებში შორის მამხსხეს არ უნდა ვეძიოთ მწერლის მიერ შექმნილ პერსონაჟთა შორის, ვინაიდან თავისი დროისა და საზოგადოების „დადებით გმირად“ თვით ავტორი უნდა გვევლინებოდეს, ხოლო ის, თუ რა ხერხითა და საშუალებებით შესძლებს ისტატის თავისი ესთეტიკური იდეალის გამხელას, ე. წ. „დადებითი“ თუ „უარყოფითი“ პერსონაჟების მოშველებით, ეს თვით შემოქმედის „შინაური საქმეა“, ტალანტის თავისებურების საქმეა და ამ თავისებურებას ფრთების თავისუფლად გაშლის საშუალება ყოველთვის, ყოველგვარ ერთარებაში უნდა ჰქონდეს.

ნ. ლორთქიფანიძე, პიროვნება, ადამიანი და მამულიშვილი, ყველა ტიპილი და სიხარული მწერლისა, მთლიანად გადავიდა და ჩაიყრა სწორუპოვარ პირობულ ქმნილებებში და მომავლის მკითხველს, ვინც ამ ქმნილებების ავტორს ვერ მოესწრო, დიდი ისტატის წარმოსახვით შექმნილი სამყაროს სახით მოველიანა.

ნ. ლორთქიფანიძის ყველა ფიქრი და ზრახვა თავს დასტრიალებს მშობელ ქვეყანას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, მის ზეალინდელ დღეს, იგი ღრმად იჭრება ქართული ადამიანის სულის სიღრმეში და იქიდან სიყვითის მარცხლები ამოაქვს. გააღუპარბებულ შეიძლება თქვა, რომ ქართულ ბულეტრისტოვან, დავით კლდიაშვილის შემდეგ, ასე ღრმად და სხვადასხვა განზომილებით არაიან ჩასწვლიამა ქართული ხასიათის ეროვნულ თავისებურებებს, როგორც ნ. ლორთქიფანიძე, არაიის ისე სადაღ და გულში ჩამწვდიამად არ გაღმოუცია უბრალო ქართული ადამიანის სულის საიდუმლო. როგორც ამ მადლიანმა სიტყვის ისტატმა შესძლო.

ნ. ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება იმის თვალნათლივი მგავალითა, თუ როგორ გარდაქმნება ავტორის ხასიათი ნაწარმოების სტილისტიკური თავისებურებად. კიბიულობით ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობებს და თქვენ განუთხრობებლად თავს დაგყურებთ დარბასილი, მოგავლი ჰიკრის მნახელი, სამშობლოზე, ადამიანის ბედზე დაფიქრებული ბრძენი ადამიანი, ვისთვისაც „არაფერი ადამიანური უცხო არ არის“, ვინც თვით ყველაზე უფრო დრამატულ სიტუაციებშიაც კი ოლიმპურ სიმშვიდეს ინარჩუნებს და თავისი გმირების გრძნობებსა და განცდებს, ერთი შეხედვით, გულგრილი შემატონის ენით გაღმოვცევს. მასალა, რომლითაც ნაწარმოებია აგებული, თითქმის მოუშინარებია ავტორს, თავისად გაუზღია, საყუთარი სულის ქერაში გადაუღნია და ზელახალი ჩამოსხმის შემდეგ იგი ახალი კანონზომიერებისათვის და-



უმორჩილებელი. ეს ახალი კანონმომიერება, შე-
საძლოა, რეალურ ცხოვრებასთან არცთუ ყო-
ველთვის ახლო იყოს, მაგრამ ის იმდენად და-
მაჯერებელი, ლოკუტური და შთამბეჭდავითა, გა-
ტაცებელი მოთხველა ისე იღებს, როგორც
ნამდვილად მომხდარ ამბავს.

ნოე ლორთქიფანიძის ერთ-ერთ ბრწყინვალე
მოთხრობაში, „რაინდენში“, რომელიც მე-18
საუკუნის საქართველოს ისტორიულ ფონზე იშ-
ლება, არის ერთი ასეთი სცენა: ენგურის გა-
დაღმა მხრიდან, სადაც დადიანისაგან განმდვარ
აფხაზთა სამხედრო ბანაკია გამართული, მო-
წინააღმდეგის მხვერავი უჩაბრია გადმოდის. შე-
დე ამ დროს ჰადრაკს ეთამაშება ოდიშის ვა-
მობრძილ მოქადაგებს. მკვლელები უჩაბრის
შემოიყვანენ.

ა. მათი დიალოგი:

— დედას წყალობა მეფეს!

— ცუთილი იყოს თქვენი მოსელა... რას გვე-
ტყუე საუტრადღებოს?

— მათაიშვილები მოგახსენებენ, როდის
ინებებთ ომის დაწყებასო.

— რაც უფრო მალე შევექცევი, მით უკუ-
თხისა, — მოკლედ მოსკრა მეფემ და უჩაბრი-
ას თვალე თვალში გაეყარა: ასეთმა უჩვეუ-
ლო, ახირებულმა მოციქულობამ ცოტა არ იყოს
გააყურავა.

— მაშ ასე გადაეცემ: მეფემ ბრძანა, რაც
უფრო მალე შევექცევი, უკეთესია-თქო.

— დიახ.

— ვწყალობდეს დედა დედას!

— გზა მშვილობისა!

უჩაბრია წავიდა, ჰადრაკის თამაში არ შე-
უწყებდითა.

ეს ხდება ომის დაწყების წინ. ომი ფაქ-
ტური აუცილებლობაა. ადამიანები ამ ფაქ-
ტური აუცილებლობის კარნახით მოქმედებენ,
მაგრამ ამავე დროს ერთმანეთის მიმართ არა-
ერთობა პიროვნულ გამოხატებას, სიძულვილს,
შტრასიანობას გრძობს არ განიცდიან. უჩაბრი-
ას, მართალია, ველში შავებულა უჩაბრისა
ელო: მას მეზარბაზნისათვის მეფის კარგის ად-
გილსამყოფელი უნდა ეჩვენებინა, მაგრამ ის
ამას სხადიოდა არა მეფის სიძულვილით, არა-
მედ იმას ვამთ, რომ მათა მტლტი ომის ფა-
ქტურმა აუცილებლობამ ამ საძარბისი ნაბი-
ჯის ვადიდება დააყარა. მათი დიალოგი არაფ-
რით არა ჰგავს ორი მტრული ბანაკის წარმო-
მადგენლის, ერთის მხრივ, მეფისა და, მეორეს
მხრივ, მეფის მოწინააღმდეგე აფხაზი დიდ-
ებულების მიერ წარმოგზავნილი კაცის დია-
ლოგს. თუ მათი შეხვედრა მართლაც ოდეს-
ღაც მოხდა, თქმა არ უნდა, ის სულ სხვაგა-
რად წარიმართებოდა, მაგრამ ავტორისათვის,
ნოე ლორთქიფანიძისათვის, ეს ამბავი სრულ-
ებითაც არ არის მითაერი და გადამწყვეტი...

მწერლის ამოცანა გაცილებით უფრო რთუ-
ლი და ღრმაა. ი. ერთის მხრით, (ფიქციულ) პერ-
სონაჟების ბუნებრივ მიდრეკილებას (ქრისტიან-
ეულტურას, ხასიათის ეროვნულ ფესვებს, ტრა-
დიციად შენითებულ ზნე-ჩვეულებებს ხატავს
ბუნებრივ ვითარებაში, ხოლო მეორეს მხრივ
ომის უაზრობას, უფუნტრობას და ბუნების მიერ
დადგენილი მარადიული წესრიგის უმართებუ-
ლო დარღვევას გვისურათებს.

ომი აქ ფეოდალური ყოფის ერთ-ერთი ნა-
ირსახეა, რომელშიაც ქართველი კაცი არსებო-
ბად იმადვე რჩება, რაც ომამდე იყო. მოწინა-
აღმდეგე მთარგებს თათურს შეშინებით, ერთ-
მანეთს მტკისმტკად დიდო ენებათ არ მიყურონ.
ისინი ომისათვის შეუფერებელ თავზაიანობას,
ნამდვილ რაინდობას და, ასე გასინჯეთ, შემწყ-
ნარებლობასაც კი იჩენენ ბრძოლის ველზე გა-
მოსული მოწინააღმდეგის წინაშე. უმტროსი
უტროსს ვერ ჰკადრებს ხმალი პირველმა მოტყ-
ნისო, ხოლო უტროსი თავისი მახვილის წერად
ვერ იმეტებს ახალგაზრდა ვეჯაკს, თავისი
კუთხისა და გვარის სიამაყეს. მოწინააღმდეგენი
გამარჯვების დანარჩუნებას ესწრაფვიან, მაგრამ
მათთვის ისიც საკმაოა, თუ გამარჯვება სიმ-
ბოლიტრი იქნება და მის მისაღწევად ზომაზე
ნაკლები სისხლი დაიღვრება...

სარდალი ავიაშვილი მტრის მეომარსაც კი
ავზავნის აფხაზთა ბანაკში, რათა მის მიერ და-
კოდილი და ცხენიდან გადმოგდებული ვეჯაკ-
ცი თავისიანებმა ბრძოლის ველიდან დროზე
გაიყვანონ და დახმარება აღმოეჩინონ.

ასე დანახა ნ. ლორთქიფანიძემ ფეოდალ-
ური საქართველოს მძთამტლტი ომის სხვეების
მიერ შემოწმნეული შინაგანი მექანიზმი და
თავისებურება, ასე განაცხადო თავისი პირო-
ვნული არისტოკრატიზმი ისტორიული ბატალის
მხატვრულ სურათში, ასე დაიმორჩილა მასალა
და დასაბამი დაუდო ახალ მხატვრულ კანონ-
ზომიერებას.

ნ. ლორთქიფანიძე, მართალია, თავისი ხალხი-
სა და ქვეყნის ისტორიის მასალაზე წერდა გა-
ნუმეორებულ ბელეტრისტულ ქმნილებებს, მაგ-
რამ ისტორიკოსი, ამ სიტყვის პირდაპირი გა-
გებით, ის არასოდეს არ ყოფილა. ისტორიის
თიხა თუ ბრინჯაო მას უფრო მაღალი მიზნის
მისაღწევად ესაჭიროებოდა, ვიდრე ხალხის
ისტორიის ამა თუ ამ მონაყეთის მხატვრული
გდმომცემა იყო. ისტორიული ფაქტების უწყს-
რიტო გროვამი მწერალი ყოველთვის არსებითი
ხასიათის მოვლენებს ვებედა და ამ მოვლენების
ბელეტრისტული ხორცშესხმით ხალხის ცხოვ-
რების განზოგადებულ სურათს იძლეოდა. მწე-
რალი გაერბოდა ისტორიის ჩარჩოებს, მოვლენ-
ებს თავისებურად აღიქვამდა და მუდამ ისე
გადაქმნდა ქალაქზე, როგორც ავტორისეუ-

ლი ჩანაფიქრი და მხატვრული კანონზომიერება მოითხოვდა.

ამიტომაც ვახლავთ მწელი, ნ. ლორთქიფანიძის ე. წ. „ისტორიულ მოთხრობებში“ იპოვნო რომელიმე ჩვენი ისტორიული პირის პორტრეტული სახე. ამა თუ იმ ისტორიული პირის და მისი ვარსკვლავის მხატვრული წარმოსახვა მნიშვნელოვანწილად შეზღუდვდა მწერლის ფანტაზიას და მას პროკრუსტეს სარეცელზე დააწვენდა. ამიტომ იყო, რომ ნ. ლორთქიფანიძე შევინებდა ვაძერხოდა ე. წ. „ისტორიულ სიუჟეტებს“ და მათ თვით თხზავდა ისტორიის ცალკეული მინიშნებებისა და მხატვრული გამონაგონის საფუძველზე. ჩვენი მწერალი ერთგვან თვით წერს: „მეუ დამაწუნებთი არ შემიძლია გრძობა-გონება შევანერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულის შეშფოთვად სერაფიმებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოაჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე.“ რაღა შორს წაიღეთ — „ჟამთა სიაცეს“ და „მრისხანე ბატონს“, იმერეთისა და სრულად საქართველოს უახლოესი ისტორიის მასალაზე შექმნილ ქმნილობებს, სათაურის ქვეშ ავტორმა მიუღწია: „არა ისტორიული ამბავი.“

მაგრამ არც ამ მინაწერმა უნდა დავავანოთ. „ჟამთა სიაცე“ ან „მრისხანე ბატონი“, „ტყველ-ყოფილის დაბრუნება“ ან „რაინდები“ ისტორიული ამბავი არ არის იმდენად, რამდენადაც ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი და თხრობის თანმიმდევრობა არც ერთ ისტორიულ ქრონიკას არ ემთხვევა. ამისდა მიუხედავად, ეს ნაწარმოებები პირველიდან უკანასკნელ მკარამდე გავლენილია ისტორიის სულით, გარდასულ ეპოქათა ეპოქორიტითა და სურნელებით, როგორც ხანდახან იციან ხოლმე თქმა, თუმცა წარსულის სულსა და ეპოქორიტსაც განსხვავებულ აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული პალიტრა.

მეფეში, რომელიც თავისი ნათესავი დადიანის შესაწევნად მოსულა ოდიშს, ადვილად გამოიყონება იმერეთის მეფე სოლომონ პირველი. მეფის ნათესავი მთავარი ოდიშისა სოლომონის ცოლისში კაცია ოტიას ძე დადიანი. ომი ზღუდა რუხის მღამოებში. მოკაეზირთა მხრივ იმერ-ოდიშართა ყარს წინ უძღვის ციხისთავი აგიაშვილი, ოკრიბის ბატონი, მეფის მარჯვენა ხელი ყველა გარე და შინა შეხლა-შემოხლავს. მას ავტორმა სახელი შეუცვალა და ქაიხოსროს მაგიერ ვიორგო უწოდა.

მოთხრობა უკიდურესად სადა, ასე ეწყვათ, ჩვეულებრივია. მწერლის თვალი აქ გვიანტურ ტელესკოპს მოგვრუნებთ, რომელსაც ისე „ახლი მოაქვს“ მილიონი სინათლის წელიწადით და შორებულნი გალაქტიკები, რომ უცხო რელიეფის ყოველი ნაყევი, ყოველი უცხო ფერი ცხოვრად და გარკვეულად ჩანს.

მწერალს შეგნებულად გადაუღია ახალი გეგარი პათეტიკა, ბეტაფორულა და ახალი პათოსი, სწორად რომ ახლავს მხატვრულ პროვინციულ ელფერს აქტიურ სიუჟეტსა-სულს მასალაზე დაწერილი ნაწარმოებების, და მკითხველი აქ უკვე გარდასული ცხოვრების შუაგულში შეუყვანია.

გავიხსენოთ თუნდაც სარდალი აგიაშვილი, ის ცეცხლის შფრქვევად დარაბტულ რაზეც კი არ ზის და მგრგვინავი ხმით თვზარს კი არ სცემს დიდსა და მცირეს, არამედ ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, რომელიც ტრადიციისა და მხედრული გამოცდილების წყალობით ისე მარჯვედ და თავისუფლად ხმარობს ხმალს, როგორც ქვიფხრო — ჩაქუნს ან ქაფჩას, დურგალი — ნაქახს ან ხელჯირს და დალაქი — სამართებელს. ლაშქრობის დაწყების წინ აგიაშვილი წისქვილის ქვევს ტუხ-და ნამოხვანში. სულ არ მოელოდა, თუ მეფე უდროო დროს აისხამდა ამაყარს და საომრად განუშნადებოდა. წისქვილის მოთავებებს ცოტადა აელდა, სასახლეში რომ მიიხვს.

— გეგებ, ვერ გპოულაბ. სად ხარ? — დატუქსეთი მიმართა მეფემ.

— ნამოხვანში ვახლდი...

— რაო?

— ნამოხვანში ვახლდი, წისქვილის ქვევს ვტუხდი.

— შეწისქვილეობა დამიწყე, როცა მე ომი-სათვის ვეშხადები?

— რა ვქნა, მეფეო, რჩენა მიინდა და ხელ-უნდა გავანძროო.

აგიაშვილმა დაწერილებით გამოაქითხა მეფეს, თუ ვის, სად და როდის ეომებოდა და როცა ყველაფერი შეიტყო, პატრონს მუდარით მიმართა, სთხოვა, დაეცლია წისქვილის დამთავრება.

— შევიმოდნენ, ქვეს ვერ იმოდნის და სათავის კეთება ტუტულად ჩაუვლისო... ამიღამ-ვე ჩაიტიან მასალას, ზეად და ზეგ უკვე ავა-რაქავებ წისქვილს, სახლიაკებებს გულის გასახეთქად... თუ გნებავს, ჩემ კაცებს გამო-ვაწუბო და მოგარიმევე, მე კი ორის მხლებ-ლით პირდაპირ წავალ და ენგერის პირად დავიცილ: იქაური ადგილები ვიცი, მაგრამ ომის წინ მივლა-მოვლა კარგია.

აგიაშვილის უბრალო, გლგებრმა ფიქრებმა, მის მიერ წისქვილისა და წისქვილთან დაკავშირებული ამბების განხილვამ, მკითხველის თვალ-წინ მთელი საზოგადოებრივი და ადამიანური ფრთხილბეები „ამოზიდა“, გვიხარა ისიც კი, რის გარეშემო ავტორი არაფერს გვეუბნება, ხოლო თვით პერსონაჟი ისერივად შემოიყვანა მკითხველის გულში, იგი თითქმის ჩვენ თანამედროვე და ახლო ნაცობ ადამიანად აქცია. ნ. ლორთქიფანიძის გულ-ღვიძლს უდავავს.

ათსჯერ ნახარა მშობელი ქვეყნის უსასო მდგომარეობა, ხალხს გაუნათლებლობა და სიღატაკე, მაგრამ ამავე დროს ღრმად სწამს ქართველი კაცის სიციცხლისუნარიანობა და ზედღონდელი დღის დაუმრეტელი იმედი.

მწერლის პოეტური წარმოსახვით ქართველი კაცი თითქოს მშობელი მიწის ნოყიერი ნიადაგიდან აღმოცენდა და უადრე ფესვები ღრმად დევას მაციცხლებელ მიწაში, ხოლო ნორნ შტოებს მშობლიურ ცის ქვეშ ამრიალეს, მის წაქცევის ეგრა შტები ეგრ მოესწრება „ტყვედ ყოფილის დაბრუნებაში“ დიდი უშეალობით დაგვიხატა მწერალმა, თუ რა ყადო აქვს მშობელ მიწას, მშობლიური მზის სხივებს, მშობლიურ ტყესა და მინდორში მომჭარლავ სოს, მშობლიური წყაროს წყალს, შენი სისხლისა და ხორცის მზრუნველ ხელს და გულიდან ამოქმედ ქართულ სიტყვას.

უყვლა ეს, ობიექტური სამყარო და გმირის შინაგანი ბუნება, ერთ მთლიან ციციხალ არსებად შერწყმულა და შენიუთებულა, სახელიც გამაგრითანებული მიუღია: „ქართველი“!

ნ. ლორთქიფანიძე არ ცმყოფილდება თავისი გმირების მარტოოდენ შინაგანი ბუნების ჩვენებით, მისი გმირების დიდი უმრავლესობა მრავალი შინაგანი წინააღმდეგობით გათავშულ კლასობრივ საზოგადოებაში მოქმედებენ და კლასობრივი უთანასწორობის დიდი აზით. „უამთა სიკვეში“ მწერალმა ღრმა გულისტყვილით მიგვანიშნა გვიანფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების მიზეზები, ქვეყნის ფეოდალურა დაქსაქსელობა მწერალს უდიდეს პიროტებალ და ეროვნულ უბედურებად მოაჩნია, მაგრამ ფეოდალიზმი არა მარტო გარედან, შიგნიდანაც ღრმის და ანაწერებს საზოგადოებას, ფელის მას მწავერელ და ჩაგრულ კლასებად, საბედისწეროდ არღვევს ქვეყნის შინაგან მთლიანობას.

„უცხოეთში სიკოს შიშის ზარი ჰქონდა ტანში გამქდარი — არ დამიჭირონ და ბატონს არ დაუბრუნონ ჩემი თავიო“, — წერს მწერალი „ტყვედ ყოფილის დაბრუნებაში“. ამ უბედური ადამიანისათვის, რომელმაც უცხო ცის ქვეშ უსამინელესი ტანჯვა-წვალება განიცადა, მარტოოდენ მის, სამშობლოში დაბრუნება კი არ ეტობა, ის არის სამშობლო სოციალური და ზნეობრივი თავისუფლების გარეშე! სამშობლოში დაბრუნების ოცნება წინასწარვე მოშხამულია იმის ფიქრით, რომ მის დაბრუნებული საბრლო ტყვე ვაიფე ზელახლა შეიპყრონ და ეკლდე ბატონს დაუბრუნონ, იმ ბატონს, რომელმაც ის უფლვის თუ ანაკლის ტყვეთა ზაზარზე პირტუჯივით გამოელა ამ რამდენიმე წლის წინ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მწერლის აზრით,

საზოგადოების, ქვეყნის განთავისუფლება, მისი გადაქცევა „აღთქმულ მიწად“, არ მოხერხდება მანამ, სანამ ის „შიგნიდან“ ვნ უმთხმინესუფლებმა, სანამ არ მოისპობა-ქეთი-ცხდა მიაწისავან შეორის ჩავერის სოციალური ნიადაგი, სანამ საზოგადოების დაპირისპირებულ ფენებს შორის სოციალური თანასწორობა არ დამყარდება.

ფეოდალური ტირანიის მსხვერპლნი ხდებიან ნეო ლორთქიფანიძის სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟები: იულონი, არჩილი, ციციხო-ისინი, თავადაც ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, სიციცხლეს ესალმებიან მათზე უფრო ძლიერი ფეოდალის ნება-სურვილით, მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ თავისუფალი, მართლაც გამარჯვებული და ბედნიერი თვით ყოვლის შემდეგ სიუზერენიც არ არის, ის თითქოს ბრმა იარაღი სოციალური აუცილებლობის ხელში და ამ ვარდაუეალი კანონის ველურ ნება-სურვილს ყოველგვარი ხალისის გარეშე ასრელებს, თუ არ გავგონარი სისასტიკე, მოისხანე ბატონ ლევანს, რომელსაც ერთ დროს და ორი პრიოტოტიმი მოეძებნება საქართველოს ძველ და ახალ ისტორიაში, არ გააჩნია სხვა ძალა, რითაც თავის ფეოდალურ ძალაუფლებას შეინარჩუნებდა, თავის ბუნებრივი მიდრეკილებებით ლევანი, შესაძლოა, არც არის სისასტიკე და მისისხანე, მაგრამ რაკი ფეოდალია, რაკი სიუზერენია, სისასტიკე თავისთავად იბუფებს მის ბუნებაში და ფეოდალური კანონის ხელში ლევანი იბუფებულია წყლის ზედამირზე მოტივტივე ხმელი ფოთოლივით ითამაშოს.

მწერალი გვიქადაგებს, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, არ იზადება კეთილად და ბოროტად, მის ხასიათსა და მიდრეკილებებს სოციალური ურთიერთობანი განსაზღვრვენ და წარმართავენ, ვაშინაჯლის შეადგენენ მხოლოდ გმირები, მხოლოდ გმირებს ძალუფთ წინ აღუდგენენ დინებას და მას სამ-ჯდრო-სასიციცხლოდ შეერკინონ. მაგრამ გმირების, „დიდი პიროვნებების“ ცხოვრების მხატვრულ წარმოსახვაზე ხომ ჩვენმა მწერალმა თავიდანვე უარი თქვა.

მისისხანე ბატონი ლევანი სიციცხლის ბოლო წლებს მონასტერში ატარებს, ეს უყვე სხვა კაცია, „ნიტები თამაშად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისყარტს იწმენდნენ თმაზე, — მოგვიოთბრობს მწერალი — შეელი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევედა კაღის ნატებს. მოხეცი კი ლოცუნობდა ხის ხატის წინ, ვანუ-წავეტილივ კიოხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გათელაისთვის, შიხის სხივების შეურაცხყოფისათვის, ორიოდვე ლექმოსთვის, რომელსაც შორიასლო ტოტოებდნენ მცხოვრებნი.“

ბერძენული ელემენტის განმეამ, კაბიტა-ლიზმის შემოკრამ ძირი გამოთხზა სპარტო-ველო პატრიარქალურ ყოფას. ამ ცვლილებებში, საზოგადოების ძველი წყობის ნგრევამ და ახალი ინსტიტუტების წარმოშობამ, მეთრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს იჩინა თავი. ეს ის დროა, როდესაც გამქდმებული შემოსევებითა და შინაგანი უთანხმოებით დაუსტებულა და სისხლისაგან დაცლალი საქართველო ნებაყოფლობით პარტაგეს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და თავის ბედს ერთმორწმუნე რუსეთს უყავსირებს.

ეს ახალი პოლიტიკური ნებაჯი, რომელიც ერთს ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელმა მესვეურებმა გადახდგეს, ძირფხვინადად სცელოს ქართველი აღმანის — გლეხობის, საზღვრელოებზე თუ უმაღლესი ფეოდალური ზედაფენის ცხოვრების საუკუნეობრივად დადგენილ წესს. ვერძინელი ბრწყინვალე წოდება — შიართელობა და მხედრობა კლასი — თანჯათან კარგავს თავის ფუნქციას და დღითიდღე ქვეყნის ზედმეტ ბარჯად იქცევა. დაიწყო კაბიტაობის პირდაპირი დეგრაციება. განდგენილობის დღეა, ვის ხელშიაც თავი მოიყვას დიდძალმა ფულმა, ფული კი, თავის მხროვ, გულგრაღია იმის მიმართ, სად იხსრიალებს — გლეხის, აზნაურის, მღვდლის თუ სახელმწიფო მონელის ვიბეში!

ქვეყნის ძველ ბატონ-პატრონთა ადგილი აგრარციის კიბეზე თანდთან დაიკავეს სხვადასხვა სოციალური წარმომობის მრეწველებმა, ვაჭრებმა, მევახშეებმა, ყველა იმან, ვის ხელშიაც ამიერიდან ქვეყნის მთელი სიმდიდრე და დოვლათი გადაჯიდა.

ნიკო ლორთქიფანიძე შთამომავლობით თავდაც ამ არისტოკრატული ზედაფენის წარმომადგენელი ვახდატი. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მწერლის პრივილეიულ მსოფლმხედველობაზე, რაც არავითარ ეშვს არ იწვევს, მან მწვავედ განიცადა ძველი, პატრიარქალური წყობის რღვევა. მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „დანგრეული ბუდეები“ და კიდევ რამდენიმე სხვა მოთხრობა ამავე რჯალის სწორედ ზემოთ ხსენებულ თემას მიეძღვნა.

თვით თემა დანგრეული ბუდეებისა, რომელშიც მშობელი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი მოიკცა, ქართულ ლიტერატურაში ახალი არ იყო. ეს თემა, რომელიც შემდეგ ზედმეტ-ნაყელმა მხატვრული ნიჭიერებით გიორგი წერეთელმა, ხალხისებმა, ვენატრ ნინოშვილმა და დღითი კლდიაშვილმა განავითარეს, სათავეს დიდი ილია ქავეჯავახის „გლახის ნამშობში“ იღებს.

„გლახის ნამშობში“ პირველად გამოჩნდა ცხოვრების ტრადიციული დინებიდან ამოვარჯ-

ნილი და აზღმეტ აღმანის რქველი ქართული თავადშვილი. ილიას დათრეო არ არის ერთი იმ თავადთაგანი, ვინც თავისი მხრე ხრელობის ამ ასპინძის ომში, ვინც თავისი მხრე მხარდამხარ იბრძოდა და დედა-სამშობლოსთან ერთად საყუთარ ფეოდალურ უფლებებსაც იკავდა. დღეს მას აყრილი აქვს ეს უფლებები, მისი წოდების მაგეერ ქვეყანას სხვები მოუყენინა მშართველად და ბატონ-პატრონად. გარეშე მტრისაგან ქვეყნის დაცვის პასუხისმგებლობაც სხვას უყისრია და დათყოლს, ამ დეკლასირებულ ელემენტს, უკვე ზვერი დრო რჩება იმისათვის, ამა ქვეყნის საამეზე იფიქროს, განცხრომის ჭიოშში ყელამდე ჩაეფლოს და მამა-პაპის მიერ დეგრირებული ჭონება ღამის ორგებში და გაუთყვებულ ნადიმებში გაანიაყოს. დათყო იმ კალაპოტს მიაგავს, რომელიც შიაც ოდესღაც მდინარე მოედინებოდა, შემდეგ ისტორიის მსვლელობამ მდინარეს მიმართულმა შეუყვალა და კალაპოტიც დამრა, გველ-ზაყაყის ამშორებულ საღვრამდე გადაიქცა...

ქართველი თავად-აზნაურობის დაქინება-დამჯეიოება ხანგრძლივი პროცესი იყო. იგი საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და თითქმის ჩვენს დღეებამდე მოვიდა. დათყოები და დღე-არსამ თათქარბებები, ისევე როგორც დაგიო კლდიაშვილის აზნაურები, განწირული იყვნენ, და მათი შველა უკვე აღარავის შეეძლო. მათ ნისახლარზე უკვე მოედინე სხვები, ფესს იკიდებდა ცხოვრების ახალი, უნიფიკირებული წესი, ახლებური მართვა-გამეგობა, რომელიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა თვით ქართველი ხალხის წიაღში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ და იურდიულ ნორმებს...

უთუოდ ამით უნდა აიხსნას ნ. ლორთქიფანიძის დრმა გულისტკიული, რომელიც ჭველი, ოდესღაც ძლიერი და გამძლე ბუდეების სიმოლითაა გამოწვეული. ნ. ლორთქიფანიძემ თავისებურად დაინახა და აღიქვა დანგრეული ბუდეების ტრაგეზია. ეს დიდი თემა მან იმპრესიონისტული მანერით წარმოსახა და მსჯავრის ვაიოტანა, ასე ვთქვათ, მითხველის „გულის გონებას“ მიანდო. მწერალი აქ მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, ანუ ფაქტის მხატვრულ რეპრეზენტაციას გვაძლევს, იგი არც კი ცდლობს. ისტორიული საფუძველი და ფესვები მოუძებნოს გულის ორთოლვეთ ვაცოტლებულ ყოფისეულ სურათს...

„მოხუცი იმ ქვეყნიდან“ — ასე ეწოდება „დანგრეული ბუდეების“ იმ თავს, სადაც მწერალი მითხველის თელწინ საშინელი ნგრევისა და ვაპარტახების შემზარავ პანორამას წარმოადგენს: „დიდი ხანია ამ მხარეზე არ ყუოფლდავარ. მსმენოდა, რა ცუდილებაც მოხდა, მაგრამ თუ სხვარეაინი კიშქრის მაგეერ

დალაშქრე ჩაღბი იყო დაყიდებელი, თუ ცაყ-
ხეებით, ნივთებით და მარად დაუბეღელი ბაშ-
ბის ქველსაყვით შეხერტულ ბეოლით დაფენილ
ეზოს საყანეთ გაატერტლებდნენ, თუ კრამი-
ტით დახურული ორსართულიანი ოჯა, პალა-
ტით და აივნებით, ოროთაბიან, ჩამაალი ყაერით
დახურულ ქოსად გადაკეთდებოდა, თუ სამეცი-
ნობე, სამხარეულო, ნალია, ბეღელი, მარანი,
ხელა, საქათმეები, საღორე და კადვე სხვა უსა-
ხელო და სახელისანი შენობები სადმე გააპარე-
ბოდა — არ მეგონა, არ მეგონა...

გოჯილასაყვით აშენებულ პატარა სახლს წინ
კიბეც კი არ ჰქონდა. უყანიდან შემოვიარე, ზის
კიბეზე ავიდი და აივანს ფრთხილად ფეხი და-
ვაბიყე. იატაკმა პრიალი დაიწყო, ერთი ფიცა-
რი დაკომა... ბედათ მეორე ფეხი ჭილიშზე
აღმოვბინდა და მარე შევჩერდი.

— ეინ ხარ? — მოკვანა სასოწარკვეთილი
ბა.

— მე გახლავარ, ბიძა, — ეუბასუხე მე და
კარი შევადე.

ტახტზე გაგებულ მუჟყან, დაღლილ ლე-
იბზე იწეა ახალბიანი მოხუცი და გამობუნე-
ბელი პიყის სახანი ეხურა თავს... მოყელ სა-
ბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსიე წინდის
ნაფლეოებში ვახვეული ფეხები... ფეხებთან
ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბყანდები და
უყანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა — სევა-
ლიანი ვერცხლით ვაწყობილი აფშარა... რანა-
ოდა დარჩი ამ საერთო წარდენს დროს ეს სა-
ცოდავი?

ეს იყო მომკვდავის უყანასკნელი კენესა,
უყანასკნელი აგონია, გამოსოფევა პირად ბი-
ვრათუად ქვეულ წარსულთან.

თითქოს ყველა ამას დაიპირისპირებია მწერ-
ლის სულ სხვა მხატვრული ზერბითა და სუ-
ლისკეთებით შესრულებული მოთხრობები
„ქედღებრელი“ და „თავსადრბიანი დედაკაცი“.
ეს ორი მოთხრობა ვერ არსად მოუხსენებიათ
ერთმანეთის გვერდით, რადგან ვარგუნულად
მათ შორის მართლაც ერთობ ცოტა რამ არას
საერთო: პირველი — „ქედღებრელი“ — ძველ-
თაძველი ლეგენდის ახლებერ დამუშავებას წარ-
მოადგენს, მეორე კი — „თავსადრბიანი დედა-
კაცი“ — უყადღერსად შემოდრეობელი, სულ
რამდენიმე გვერდზე დატეული, თითქმის დეკ-
რისტალებული საყიფაქობერებო რომანია.

მაინც რა არის მათ შორის საერთო? რა-
გორც ერთ, ისე მეორე მოთხრობაში ავტორმა
მომავლისათვის თავგანწირული დიდბუნებოვანი
აღამიანები დაგვიჩაბა, თავისი ერთი უძღდა-
ეებას ამაღლებული საგლობელი უძღენა და
მკითხველს სიყითის ცხოველმყოფელობისა და
ვასაპირში მყოფი სამშობლო ქვეყნისათვის თა-
ვის დაღების უხეწყის მშვენიერება უძღდაგა.
„ქედღებრელიში“ მწერალმა ვასწორა, ანუ თა-

ვისებურად წარმოადგინა ციხის კედელში და-
ტანებული ზურაბის ძველისკველი ლეგენდა.
ნ. ლორთქიფანიძის ზურაბი ცოტა უხელოდ რა-
ვისი ნებით ეყარება. ზურაბს სწავს, რის ამ-
ერიდან აღარ ჩამოინტერესა ციხის კედელი და
ქვეყანა თავისი ერთი მამაცი შეილის სიციცხ-
ლის ფასად შესკლებს გაუმკლავდეს ურისცე
მტერს.

ეს მოთხრობა დიდი სამაძელი ომის მრისხა-
ნე წლებში დაიწერა და ამით ნიყო ლორთქი-
ფანიძე პირსისხლიანი ფაშინის წინააღმდეგ
მებრძოლთა რიგებში ჩადგა. სახლმა აღარ ინე-
ბა თავდადებული ვაყიყის ჩაყარება, ამავე თაე-
ვანწირვის მოსურნე ახლა ბერი იყო. ციხე არ
ესაპირებია ქვეყანას, სადაც სამშობლოს სა-
სხებრბლოზე ამაღლებული მუჟყანებები ციხის
კედელში ცოცხლად, თავისი სურვილით ვე-
რებთან, უძღლებელია ასეთი ქვეყანა, ასეთი
ხალხი...

არ შეიძლება, ნიყო ლორთქიფანიძე ახსენო
და უმაღლეს მესიერებაში არ ამოტიტიტიდნენ
მწერლის პატარა შედევრები, ხელიზელსავოგ-
მინებელი მარგალიტები ქართული პროზისა:
„ტრაველი უკპიროდ“, „უპისკოპოზი ნადარო-
ბაზე“, „ფეოდლეზი“, „რემბი“, „ახნაურ დეე-
დარიტიების ქარავმა“ „სოფლის ამიცი“, „მართდ
და მარად“ და ცოტა უფრო მოზრდილი მოთხ-
რობა „ვერისათვის“.

ეს ის ნაწარმოებებია, რომლებმაც ვანსაზ-
ღერეს ავტორის ისტატობის ხარისხი და თა-
ვისთავადობა, ჰუმანიზმი და აღამიანის სულის
სიღრმეებში წედომის ვასაყოყარი უნარო. ამ
მხრად ვანსაყოყებელი ადგილი უფორავს ნო-
ველას „ტრაველი უკპიროდ“. მშვიდა მამა
წარმოუდგენელ გულქეობას იჩენს ავრტოვე
მშვიტი მკირეწლოვანი შეილების წინაშე —
დიდი შიშნალობის დროს ნაშთანი ერთი ფინ-
ჩხა ფქვილისაგან გამომცეარ ჰედს მარტო და-
ეპატონება და შექამს, მომუდებო დილას კი
მუზობლის ცხენის საბლით, მუზობლისავე ვე-
ნანში ჩამოიხრბოს თავს...

ძნელია, მსოფლიო ლიტერატურაში მოიპეზ-
ნოს განწირული აღამიანის შინაგანი დაცარიე-
ლების, წამიერი ვამპირტყვებისა და სიწლისის
შემაზრხენი ქენწნის გამოხატეული უფრო
ტრაველი ნაწარმოებო, ვიდრე ეს პატარა
ნოველა. იგი თავებმა ისევე მოკლედ და მოყ-
ვეთლად, რაგორც დაიწყო და ვანეთარდა:

— რალა ჩემ ეენანში, ჩემი ვარის უყან. ჩე-
მი ბაწრით ჩამოიხრბო თავი ამ ოჯახქორმა! —
ბრამბოდა და იწყებებოდა მუზობელი, რა-
მელსაც ამ შემთხვევის გამო, ეინ იყის, რა მო-
ელოდა...

მოთხრობა 1919 წელს დაიწერა მწერალმა და
ვანემორებულ ტრაველულ ფერებში წარმო-

გეისაბა იმდროინდელი საქართველოს უსასოო მდგომარეობა.

მეგრამ ნიკო ლორთქიფანიძე, თავისი დროის მოწინავე ადამიანი, კუშმარიტი მამულიშვილი, განუსაზღვრებლად ერთგული ქართველი კლასიკური ლიტერატურის შემაჯობებელი ტრადიციებისა, აქ არ შეჩერებულა. იგი ხალხის ცხოვრებას უველა სხვა მხარეს აკვირდებოდა და არ შეაძლო თუნდა ერთი წუთით გულგრილი დარჩენილიყო. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც დამანგრეველი მსოფლიო ომიდან გამოსულ გაქვალთუხებულ საქართველოში ფეხს იყიდებდა უცხოეთის კაპიტალი, როცა თბილისის ქუჩებში ხან გერმანელი, ფრანგი, ხანაც ინგლისელი ოფიცრები და კანტორის მოსამსახურეები დაბრმანდებოდნენ, ხალხსა და მის კულტურას აბრუნებდნენ და თავს აჭაურობის ბატონ-პატრონად თვლიდნენ. სამეგრელოსა და სვანეთის უღრანა ტყეებიდან უწყვეტ ნაკადად გაქონდათ ძვირფასი თელის, ცაცხვის, წაბლისა და კაქლის ზეები, კიათურიდან — მარგანეცო, ქართლ-კახეთის ველებიდან — ღვინო, თაფლი, აბრეშუმი, ტილი, ზღვისპირეთიდან — თამბაქო, ჩაი, ნარინჯები, გაქონდათ, რაც კი ღირებული იყო და უცხოეთის ქვეყნებში ფასი ჰქონდა...

ამ შეაბნელ დროს განეკუთვნება სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის საყოველთაოდ ცნობილი ლაღადისი, რომლითაც მან მშობელ ხალხს მიმართა და, როგორც მწერალი, შეეცადა, დალტუვის კარზე მიმღგარი ქვეყანა გონზე მოეყვანა. ვის უნდა მოეშოქმედებინა ეს თუ არა მწერალს და ნიკო ლორთქიფანიძის ხმაყვად დარტყა:

„იყიდება საქართველო, მიწდორ-ველით,

ტყით, ვენახით, სათესლით, წარსული ისტორიით, მომავალი სევდებით, მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ეკუთვნის მსოფლიოს, სტუმართმოყვარეობით, დიდებული მანსახებით, წმინდა პაერით, ნაამაგვევი სახლით, ჩუქურთმისანი მონასტრებით და ვაკესიებით, მქედარე ნაკადულებით და ღერჭი ზღვით... იყიდება ნაწილ-ნაწილ, კახეთი, იმერეთი, ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, ლეჩხუმი, რაჭა, ქავეთი... ნისიათ, უფასოთ, დროებით, სამუდამოთ. იყიდება ყველგან... ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, კვიანი და სულელი...“

სულის ტრაგიკული თრთოლვა ამაზე უფრო შორს ვეღარ წაიღოდა. სულმნათი ილია კავკაზის შემდეგ ამაზე უფრო მძლავრად ვინღა შემოპყრავდა ზარს ერის სამრეკლოზე!

მრავალი წლის შემდეგ, როცა საქართველოში საბჭოთა ბელისუფლება დაწყარდა, ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა და თვით მწერალი, თანამემამულეების მხარდამხარ, განახლებული სამშობლოს მშენებელთა შორის ჩადგა, მან ახალი გზებით მიმართა თანამემამულეებს: „მოუარეთ საქართველოს!“

დიდი მწერლის ეს გულმხურავად მოწოდება შორს გაავრცედა საუცუნეებს. ის მუდამ უპირველესი იქნება ყველა იმ მოწოდებათა შორის, რომელიც კი სამშობლოს გარჯილ შვილებს მომავალ თაობათა საყურადღებოდ წარმოეთქვამთ, ვინაიდან მრავალკირანხელი სამშობლოს მოვლა, მისი საგანძურის დღითადღე გამოიდრება და გამობრწყინება ყველა თაობის, ყოველი კუშმარიტი მამულიშვილის უპირველესი, წმიდათა-წმიდა საქმეა...

საბავშვო ლიტერატურის ახალი ფართო კორიფონტები და მხატვრული ოსტატობის საკითხები

კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ თეორიასა და კრიტიკაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხატვრულ მოვლენებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ასპექტით გამოთქმული შენიშვნები თუ პრინციპული მოსაზრებები საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ყველა ისინი ერთი მთლიანი თეორიული სისტემის სახით ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი. ამასთან ჩვენი თანამედროვეობის მიერ უახლოეს ათწლეულში წამოჭრილი ცხოვრებისეული პრობლემების საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მარჯველ წარმოსახვისათვის შესაბამისი თეორიულ ერთი მთლიანი სისტემის სახით ჩამოყალიბებული ჯერ არავის შეუქმნია. ეს, ვფიქრობთ, იმის შედეგადია, რომ არც ლიტერატურისმცოდნეობაში და არც საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, საშუალოდ, ჯერ კიდევ არ არის დაქვეყნებული რაღაცეები, ისე სტრუქტურით სიმკვრივეთა: ობიექტურ სინფორმულ ჩვენ მოვანია ლიტერატურისმცოდნეობაში, ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ ლატენტურად არსებული გულგრილი დამოკიდებულება იმათ მიმართ, რომლებიც მხოლოდ საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მგზობენ, ხოლო სტრუქტურით სიმკვრივედ უნდა შეიქმნათ თვით მწერალთა მიერ საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში ასახვის ობიექტის ჯერ კიდევ ვერც შემოსახულა. ნაკლები ზრუნვა ახალი, ფართო პორიფონტების აღქმა-წარმოჩენისათვის.

პარტიის XXIV ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ლიტერატურისა და ხელოვნების მხარე როდეს სოციალისტური საზოგადოების სტრუქტურით სიმდიდრის შექმნაში, კერძოდ,

საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშეც გადაუდებლად აყენებს ახალი, ფართო პორიფონტების ასახვისა და მასთან დაკავშირებით მხატვრული ოსტატობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნებას საშუაროში ახალი ფართო პორიფონტების ჩვენებაში აწარმოებდა ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ განვითარებაში ზოგადისა და ეროვნულ-განსაკუთრებულში სწორად შესაძლებელი... ამისათვის აუცილებელია უხელოვანელოდ იმით, რომ „სოციალისტურის ნიშნისათვის განსაზღვრავენ ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც დამახასიათებელია ყველა სოციალისტური ქვეყნის განვითარებისათვის... ზოგად კანონზომიერებათა მოქმედება ელინდება სხვადასხვა ფორმით, რომლებშიც კონკრეტული-ისტორიულ პირობებს, ეროვნულ თავისებურებებს შეესაბამებანი“ (ლ. ბრეჟნევი). ამ დიდი ამოცანების შესაბამისად ეროვნული საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აღმავლობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პორიფონტების მხატვრულად წარმოჩენას ხელს უნდა უწყობდეს, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, ერთ მთლიან სისტემაში ჩამოყალიბებული საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების თეორია და კრიტიკა.

საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიისა და კრიტიკის ისტორიით შემოწმებული პრინციპების საფუძველზე წამოყენებულმა მოთხოვნამ უნდა წარმოართოს ეროვნულ საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მეოცე საუკუნისათვის შესაფერისი ახალი ფორმებისა და ხერხების ნოვატორული

რება. ამ გზით შეიძლება მიღწეული იქნეს ერთნეული ნიადაგიდან ზოგადკაცობრივლის დონემდე იმგვარად ამადლება, რომ ახლანდემნილი ნაწარმოებები მსოფლიო საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მარადიულ სახეებად იქნენ.

ყოველივე ზემოთქმულისა და აგრეთვე პერსპექტივით ამოცანების მიხედვით საბავშვო პოეზიის, პროზის, დრამატურების, ბელეტრისებული პუბლიცისტიკის, მხატვრობის, მუსიკალური ხელოვნების, მათი თეორიისა და კრიტიკისადმი მიმართული ცხოვრებითი მოთხოვნა თუ მიზნები უნდა იქნას დადგენილი, თეორიულ ასპექტზე. შეიძლება მიასლოებით შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

1. საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს ქვენიამ მხოლოდ ერთს გამოიწილი შევარდები. მხატვრები ამ სიტყვის მაღალი გაგებით; მხოლოდ მათ მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოებები ხდებიან საუკუნეების თანამგზავრები ახალი თაობების აღფერ-მორადური და ესთეტიკური აღზრდის სფეროში. ამის გამო, შეიძლება მტკაცედ ითქვას, საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია არის მხატვრული სიტყვისა და ფუნქციის ამ ოსტატების სახელების სიდიადის წევრება, რომლებიც თავიანთი შესანიშნავი ქმნილებებით უკეთავენ, მარადიულობის სახელს იმეიდრებენ ახალ თაობათა, ხალხთა სულიერ სამყაროში.

თუც ესეი დაუას არ იწვევს ის კვშიარტება, რომ საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი ნაწარმოები შინაარსით, იდეური მიზანსწრაფვით, მხატვრული გამომსახვრებითი სემუალებებით განსუოფელა საფრთხელ ლიტერატურისა და ხელოვნების სამართადან ერთად და შეიძლება იქმნება, იცლება, ეთარდება საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პროცესებთან ერთად. ანაგეთარი შედავათი არ შეიძლება მიეცეს ლიტერატურისა და ხელოვნების ატურით ნაწარმოებს იმის გამო, რომ იგი მავშეთათვის იქმნება, ეფარება. იგი, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, უნდა შეიცავდეს იმ მაგიერ ძალას, რომელიც ხელს ეწყოებს ახალი თაობის ინტელექტუალურსა და ემოციურ განვითარებას. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებების შექმნით შეიძლება საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი წერ კიდევ არსებული ლიტერტორი ნაპილობი მოსპოს.

ამგვარად, შემოქმედის პიროვნული „მე“, მისი ინტელექტუალური მაღალი დონე, მისი ფართო ინტერესები, იდეალი, რომელიც, ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით, ზოგადკაცობა-

რთულსკენ უნდა წარმოადგოს, განსაზღვრავს საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების სამართის მრავალფეროვნებას ქმნილებებისა და ადგილს ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში. ცხადია, ყოველ მაღალ იდეურ-მხატვრულ საბავშვო ნაწარმოებშიც შემოქმედი (მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი) გველენება როგორც პიროვნება, არა მარტო ცხოვრებისეული მოვლენების გადმომცემი, არამედ ახალი თაობისათვის ახალის აღმომწერი, მათზე გარკვეული ზეგავლენის მომხდენი, ამის გამო ყოველი შემოქმედი უნდა ეცდილობდეს თავისი ნაწარმოებით პრაქტიკულად მიაღწიოს იმას, რომ მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე გარკვეული ადამიანური ღირსების აღზრდის პროცესის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორი შეიქმნას.

II. საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო ხელოვნების სხვადასხვა ფარვის არტერთი საუკეთესო წარმომადგენელი „არსადვის არ დარჩენილა და არც დარჩება ისტორიულ-ლიტერატურული არქივის კულწვილებზე, ის ყოველთვის იდეა და მომავალშიც დადგება ეპოქის გამოწეწულ მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კრიტიკოსთა, ლინგვისტთა და პედაგოგთა ვეერობით“.

ეს ბედნიერება კუთვნილია მხოლოდ იმათთვის, რომლებსა საბავშვო ნაწარმოებებში:

ა) თუ ყოველთვის ჩანს არა მარტო მწერლის ტენდენცია გამოსატოს განსაზღვრული გრწნობა — გრწნობა სიყვარულისა თუ სიძულვილისა, შხიარტლობისა თუ ნაღვლიანობისა, მოწყურისა თუ ვიკუებისა, რომელშიც განაბარობა მხატვრული ფაქტის შექმნა. ამასთან გზირების ის შინაგანი სულიერი სამყარო, რომელიც მწერლისეულ განზრახვაზე მაღლა ედგას, როგორც გამოკვეთილ ინდივიდუალურ სახეთა სისტემა, თუ ჩანს ხილული და ნაგრწნობი, ცხოვრებისეული ფაქტებით გამოწვეულ ემოციათა სიმდიდრე, გამოსატული როგორც რომანტიკული ევალტაციით, ისე წარმომეტელობით, მიწწრებებათა განწმობკედეულობით გამოწვეული კონფლიქტების ბუნებრივობათ, მოწვეუების დინამიკურობით;

ბ) თუ ნაწარმოებში შთანბლებილია გამოხატული ადამიანის მაღალი ვითყრა და ესთეტიკური თვისებები, ცხოვრების მრავალფეროვნება წარმოსახულია როგორც საზოგადოებრივი, პიროვნული, ყოფითი, ემოციურ-ინტელექტუალური, იდეურ თავისებურებათა მარწმონული ერთობლიობა; ყოველივე ის, რასაც პიროვნებისგან მოითხოვს მისი რბავლავ არტებული სინამდვილე, კონკრეტული ისტორიული ვითარება და ამის შესაბამისად მისი შესაძლებლობანი, უნარი, ნიჭი, მოვალეობის შეკენება, ტროის მიხედვით მიზანსწრაფ-

ვის, გატაცების ტონი, ძალა და შესაძლებლობანი:

ე) თუ ნაწარმოებში ნათლად, დასამახსოვრებლად, შესაბამისი განწყობილებების, იდეების აღმტრიალად, მისამაძვად არის გამოხატული ცხოვრებისადმი შემოქმედის დამოკიდებულება; იგი დამყარებლად გვაგონობინებს ასახულებულ თავის შეფასებას. ცხადად გადმოსცემს თავის აზრებს, ვრწმობებს, რწმენას. ეს კი მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების მხატვრულ საქმეთა სიმყარო მოცემული იქნება იმგვარად, რომ იგი შეიცავდეს — ლოგიკურისა და ემოციურის, ამსტრქტულისა და კონკრეტულის, ზოგადისა და პირიქედის, ზღაღღისა და უბიძგების ელემენტებს ერთობლივობაში*, როცა იგი წარმოადგენს „სინამდვილის ინდივიდუალურ გაფორმებას“ (მეველი), ცხოვრებისეული მოვლენების კანონზომიერ პროგრესული ტენდენციების პერსპექტიულ ჩვენებას. ამასთან ერთად ერთობლივად ისიცაა, რომ ნაწარმოებში არ იგრძნობიან სინამდვილის პასიური ხატვა; იგი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, არ უნდა წარმოადგენდეს აღწერით პოეზიას, რადგან აღწერითი პოეზია ბავშვის გულს ვერ მიზიდავს და ამასთან ზელოვნების სამყაროში აღწერითი პოეზია არ არის და არც შეიძლება იყოს როგორც ცალკე სახე, რომელსაც შეიძლება გამოიწილოს შემეწიერება (ბელინსკი).

დ) თუ ნაწარმოებში ყოველთვის ძალა სიკეთის ნიშანთვისებანი, იგრძნობა მისი ძალა და შთაგონება. ეს საბავშვო ნაწარმოების ერთერთ ძირითად თვისებებებს წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს ხდება სიკეთისა და ცუდებისადმი ბავშვის გონების, მისი სულიერი სამყაროს გაქმნელი, მაღალი ადამიანური გრძნობების აღზრდელი და განვითარებელი. საბავშვო ნაწარმოები, პირველ რიგში, ბავშვის გულზე უნდა მოქმედებდეს, იქ უნდა იმოქმედოს მან თავისი მავნებელი არც. ნაწარმოები თუ ბავშვის გულში არ მიიღოს, მის გულს იგი არ მოეკარება ვარკვეული სიტუაციასთან დაკავშირებით. დღესაც შეუძლებელია დავიწყება, რომ „ყველა ჩვენ სენსუალისტები ვართ, სანამ ჩვენ ბავშვები ვართ“ (ტოლსტოი).

ასეთი ნაწარმოების ესთეტიკური-ემოციური ზეგავლენით ადამიანი უნდა აგრძნობდეს მის მოთხოვნას, ვანიცადოს ის სულიერი სიმდიდრე, რომელსაც წარმოადგენს სხვა ადამიანი* (ე. მარქსი), ეს ერთერთი წყაროცაა სიკეთის გრძნობის აღზრდისათვის, რაც სათავეს ბავშვობიდან უნდა იღებდეს.

სიკეთეს ცხოვრების სიხარულის განცდა წარმოშობს. იგი საბავშვო ნაწარმოებში სიტუაციის კამბულობით, ღრმა და ნაზი გრძნობით მაღალი აზრებით უნდა წარმოისახოს. მასთანადავს, წერო ბავშვებისათვის, ეს მისი ნიშნავს

„...გრძნობინო შენი სულის სიხარული“ (ტოლსტოი ამ პუბლიკა).

— ადამიანი კეთილია? დიახ, კეთილია, თორღა, ადამიანი უნდა იყოს კეთილი, მაგრამ რა უნდა შეთქმნერგოს საბავშვო ნაწარმოებში მოხარულს.

ლტოლვა სიკეთის მარადიულობისაგან ადამიანის უმადლესი ვალია, რომლის ჩანასახი ბავშვობაში უნდა დაიდოს: ადამიანი, მის ყოველ ქვეყანაში სწორედ ბავშვობიდანვე უნდა გამოიწიდეს სიკეთე, გონიერა, კეთილშობილერი, სიმართლიანი.

— ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარი უნდა იყოს! — ეს არის სოციალისტური ეპოქის მორალური კოდექსის დიდი ნათელი. და ამ, აქ სიკეთის თესლის გაღვივების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მრავალფეროვანი საბავშვო პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტკა, ხელოვნების შედეგებზე ზეღებრივებული ოხრობა, ფანტასტიკა, ლეგენდები, იგავ-არსებები. ამასთან, განათვალისწინებელია მოხარული თაობის სულიერი სამყაროში როგორც ღვივდება თესლი სიკეთისა გარე ფაქტორების კანონზომიერი ზეგავლენის შედეგად. ამის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნაწარმოებში წარმოსახული სიკეთე ჩაქსოვილი გმირის ხასიათში, გამოყობილებებსა და ემოციებში. მთავარია ამით იმოქმედო ბავშვის გულზე, მაგრამ ყოველივე ეს სათანადო ინტელექტუალური უნარის გარეშე შეუძლებელია გააზრებელი იქნეს შეგნებულად, განვითარდეს, განმტკიცდეს, ჩვევად იქცეს. ამისათვის აუცილებელია სხვა-პირისავე ბავშვში მოიწონოს. ამ კიდევ მან ისე ნიხიბლოს იგი, რომ შეიღო სისასხის იგრძნობის, განრცადოს ყოველივე ის, რაც ნაწარმოების მიხედვით ცნობადობის არეში მოექცევა, რასაც კონკრეტული სახით წარმოადგენს და შეუძლია გაიტაცოს; ეს იქნება მხოლოდ დაინტერესება, მაგრამ მხოლოდ წუთიერი; წუთიერი გატაცებით გამოწვეული დაინტერესება კი ბავშვის, მოხარდეს, ახალგაზრდის ხასიათის, შეხედულების ფორმირებისათვის არ არის საკმარისი. უმთავრესი პირობა ეს არის, რომ სახე-პერსონაჟი იდეურ-მორალური სახით ბავშვის სულიერი ცხოვრების ნაწილი გახდეს, რაც ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ღირებულებაზე, მწერლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. მხოლოდ მაღალიდგეურ ნაწარმოებში წარმოჩენილი სახე-პერსონაჟები აღძრავს მასში შემოქმედებით აქტივობას. ისეთ საბავშვო ნაწარმოებს შეიძლება ეწოდოს ზემოპირტად კარგი ნაწარმოები, რომელსაც მხოლოდ მხატვარი-ფსიქოლოგი ჰქმნის.

ა) თუ საბავშვო ნაწარმოები ზემოპირტი პერიოტიზმის მაღალი გრძნობის შემცველია, კერძოდ იმ გრძნობისა, რომელიც ყოველ ად-

ამანს. მიუხედავად იმისა, ის შეიღია დიდი თუ პატარა ერისა, ნამდვილად ამშვენებს როგორც უმწიერლო და უმადლესი გრძობა, უმწიერო პატრიოტული გრძობის სათავეც ბავშვობაში ჩაისახება და შემოქმედის ვალია აზრისა და მოქმედების შთამავრებლად წარმოიჩინო მტკიცედ უნერგავდეს ბავშვებს, რომ „ამ შობილსა დამი სიყვარული უნდა გამოიღოდეს კაცობრიობის სიყვარულით და ის რა, როგორც ნაწილი მთელისაგან (ილია). „ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ შამეღლისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა ეძლეოდეს წინ“. მართალია, „უველაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგან ქართველად დაუბადებულვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებები რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს მე არ მინდა. არც ჩემს ხალხს უნდასწიროს მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავისთავად ბედნიერი იყოს, ერთი მეორის ვადაუყოლებლად“ (აკაკი).

III. თანამედროვეობამ საბავშვო ლიტერატურისა და ბელოვნების უმაღლესი ვალი მტკიცედ დაუკავშირა რას სოციალისტური სინამთხლის სადღისო პრობლემაზე თავისი რთული ამოცანებითა და ფართო პოზიციონირებით, მსხვედრობაში უნდა მივიღოთ თანამედროვეობის ცნების განსაზღვრისა და გამოყენების შიდა სახეობა, რათა ამ ცნების ფართო დიაპაზონი სწორად იქნეს გააზრებული და შეფასებული „თანამედროვეობა“, რომელიც რთულ დიალექტიკურ ცნებას წარმოადგენს, შეიცავს უმნიშვნელოვანეს დიალექტიკურ ფილოსოფიურ შინაარსს და რთობრც მსოფლმხედველობითი კატეგორია, გარკვეულ მართაობაში იმყოფება ყოველივე იმისადმი, რაც ადამიანურ გენიას წარსულში შეუქმნიო, რაც იქმნება და რაც მომავალში უნდა შეიქმნას.

ამ ცნების შიდასახეობა შემდეგია:

ა) პირველ რიგში თანამედროვეობა როგორც მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში აქტიური ასახვის საგანი: ცნობილია, რომ მწერლობის, ბელოვნების ყველა დარგის ვალია ადამიანის დაქმნობის შევიწროვს და დატყვევს თავისდროინდელი ცხოვრების სიღამაშით, მისი მშვენიერებით, სიკეთით. „ცხოვრება უნდა გიყვარდეს იმაზე მეტად, ვინემ მისი არსის გაგება“ (დოსტოევსკი). ეს საბავშვო ლიტერატურისა და ბელოვნების ავალებს ყოველთვის იყოს ცხოვრების შეფასებში, იდგეს დროის მოწინავე პოზიციაზე, შეეძლოს დროის პერსპექტიული აღქმისათვის სწორედ თან-

ამედროვეობით ნაყარნახვე მხატვრული სახეების შექმნა. რისთვისაც, აუცილებელია შემოქმედების მხრივ აქტიურ-ტექნიკურ-ფორმალურება ქვეყნის მოწინავე ტექნიკურ-მეცნიერების ენთუზიასტებთან მსოფლიოს პროგრესულ მეცნიერებასთან, ბელოვნებასთან, ყოველივე იმასთან, რაც დროის ფაქტორით ნაყარნახვე ახალი სამყაროს ინტენსიური მშენებლობის რთულ პროცესში საუკუნის სიახლეს შეიცავს: ბ) წარსულიდან იმგვარი თემების შერჩევა და ნაწარმოების იმგვარად დაწერა, რომლისათვისაც დამახასიათებელი იქნება ისეთი დიდი ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენა, რაღაც ისეთი გასაოცარი გატაცება, რაც ჩანს პუშკინის იმ წერბელში, რომელიც მან ა. იშინოვს მისწერა დანტესის მუხანათური გასროლის წინ:

«Сегодня я нечаянно открыл Вашу «История в рассказах» и поневоле зачитался. Вот как надо писать»... ეს წერილი ნათლად წარმოგვისახავს საბავშვო ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ თვისებასა და ღირსებას, რომელსაც შეუძლია მოსალოდნელი უბედურების — სიყვდილის წინ სულიერად აფორიაქებული ადამიანი მაინც გაიტაცოს. წუთით თავი დააღწვიონოს მოსალოდნელი საშიშრელების განცდილად და ვადაუკუნოს იგი სულ სხვა სამყაროში, გ) „თანამედროვეობა“ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში ყოველთვის იყო და იქნება ის პროგრესული ფაქტი, რომელიც იმის შექმნის საფუძველს წარმოადგენს, რაც უასლებს თუ შორეულ პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს როგორც ხალხისათვის უკეთესი, უფრო მშვენიერის შექმნის დიდი წაღილი.

ამგვარად, ხალხის გმირული წარსული და ჩვენი თანამედროვეობა, ახალი მასშტაბური პოზიციონირებით, თემატიკური მრავალგვარობით, უნდა იყოს ამაღლებულის შექმნისავე შემოქმედებითი ტრფილის საგანი, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა თემატიკური მრავალფეროვნება მწერლობისა და ბელოვნების ნიშნული თვისებათაგანია, მაგრამ იგი გადამწყვეტი ფაქტორი არ შეიძლება იყოს: თემატიკური რეგლამენტირება მწერალთა ღირსების განსაზღვრელი არასდროს უფილა თემატიკური რეგლამენტირებით მწერალთა შორის ზღვარდღებულება და ამით მათი დაფიქსება შეუძლებელია. მაგრამ ის კი მაინც მთავარია, რომ ლიტერატურული მოვლენები, რომლებიც ერთგვარ თემატიკურ არხში მიმდინარეობს, მწერლის თვალაზრდის მიხედვით, გარკვეულ სიახლეს შეიცავდეს. ეს ხშირად ვრცელდება როგორც წარსულზე, ისე თანამედროვეობის თემაზე შექმნილ საბავშვო ნაწარმოებებზე. თუ ახალი თაობისათვის ჩვენი

ხალხს ისტორიულ წარსულზე დღეს შეიქმნება ნაწარმოებო, მაშინ თანამედროვის თვალახედვით, პირველი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იქნება ხალხობრობის პრინციპების სრულყოფილად გამოყენება. განა ცოტა რამ გადახდა ქართულ ხალხს ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის? „რომ ქართველებს ყველაფერი დაწერალებით ეწერათ თავისი სამშობლოს თავგადასავალი. — წერს ნიკოლოზ კათალიკოზი სვეტიცხოველის სიენაქსიარში XI საუკუნეში. — მაშინ მთელი ქვეყანა ვერ დაიტევდა იმ ნაწერებსო“ („ივერია“, 1902, № 105). და აი, ამ გმირული ისტორიიდან შერჩეულ ეპიზოდებზე აგებული, ქანობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებები რასაკვირველია, თანამედროვის თვალის დანახული და შეუხატული უფროდ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში.

ამ მხრივ ქართული მწერლობის დიდი ისტორიული ვალდებულება უკავშირდება ახალი თაობისათვის (და არა მარტო ახალი თაობისათვის) ეპიკური ნაწარმოებების ციკლას „შექმნას „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ დადასტურებულ იგივე ის, რასაც „ქართლის ცხოვრებამ“ შეიკავს, რასაც ეს უკუდავწყინა მოვლათხრობის ციკვრებითა და გელანს სიბოხს ვარშე, მაგრამ შემატანის ობიექტური განსჯით, ფაქტების მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით. ყოველივე ის, რაც ქართველ ხალხს თავს გადახდენია უძველესი დროიდან შეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. დღეს მწერლის მიერ მხატვრული სიტყვით წარმოჩენილი საინტერესო სიუჟეტური ხვედლი შესაფერავს მხატვრულ სახეებში გაცოცხლებულ, უფროდ იქნება მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოხაზობა.

ეს მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც წარსული ისტორიული მოვლენები მკოხველის თვალწინ გადმოვილება ახალი თვალსაზრისით, ახალი მასალათა და ახალი ახსნით, რასაკვირველია, ყოველი ისტორიული ფაქტი, როგორ შორეულ წარსულსაც არ უნდა ვუთქვამდეს იგი, ახალი ეპოქის ამოცანების, ახალი თვალთახედვის საფუძველზე. ამ კიდევ მატერიალური კულტურის ახალი კონკრეტული მასალების აღმოჩენის შედეგად, ზოგჯერ, უფროდ მოითხოვს ახალ ინტერპრეტაციასაც. ვიქმნის ახალ წარმოდგენებს ხალხის გმირულ ცხოვრებებზე. ყოველივე ეს მწერლის ფანტაზიისათვისაც წარმოადგენს მდიდარ წყაროს, რომელიც ფაქტების მხატვრული თხრობის უცალკეოდ ირანულ ელემენტად თანშე-

რდილი, დიდი საგანმანათლებლო და აზროვნელობითი ფუნქციის შემცველი იქნება. ეს მწერალს შესაძლებლობას აძლევს მხატვრული სიტყვით, რეალურად მტკიცედ წარმოადგინოს ფანტაზიით შთამაგონებლად წარმოსახოს ერის ცხოვრებაში საკმაოდ ცნობილი თუ დღემდე უცნობი და ახლად მოკვლეული მოვლენების ახალი შინაარსი: მწერალმა უნდა გვიჩვენოს ის ახალი, რაც მანამდე მსგავს მოვლენებში სხვებს არ შეუძენდა, არ დაუჩინებდა. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რთულ პროცესში წარმოშობილი მოვლენის ასეთი ახალი შინაარსი, ორგანულად ბაღებს ახალ ფორმასაც, აგვიარს სახის არც მიაკრთვანარა და, არც ეპიკურ საბავშვო ნაწარმოებებში ბუნდოვანი არ უნდა იყოს არაფერი. ახალი თაობისათვის დაწერილი ყოველი ნაწარმოები, იქნება ის დიდი თუ მცირე მოცულობის, მთავარია დაწერილი იყოს სადა, უბრალო სტილით. ცნებაში „უბრალო სტილი“ აუცილებელია ვითარდისწინებდეთ შემდეგს: „არ არსებობს უბრალო სტილი იმ სიტყვის მკაცრი გაგებით. არსებობს სტილი, რომელიც გვინა არის უბრალო. უბრალო სტილი გავს ამ ქვეყანას. ის რთულია, მაგრამ თავისი სირთულით ვე არ ჩანს“ (ანატოლ ფრანსი).

IV. ისე, როგორც, საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურისათვის, საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნებისათვისაც უმთავრესი თემა იყო და იქნება აღამიანის ცხოვრება მთელს თავისი მრავალსახეობით—პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების რთული პროცესებით. ეს უჩანსკეთი ყოველთვის უკავშირდება რა აღამიანთა ტიპურ ხასიათებს, მათ განცდებს, წარმოდგენებს, იდეალებს, ისტორიულ ფაქტებს, პოლიტიკურ ცხოვრებას, ბუნების დამორჩილებისათვის ბრძოლას, აღმოჩენებს, ტექნიკურსა და მეცნიერულ პროგრესს, საბავშვო ლიტერატურასა და ხელოვნებაში გადმოცემული უნდა იყოს ასაკობრივი პრინციპის დაცვით, შესაბამისი სადა სტილით, თემატიკური მრავალგვარობით.

ლიტერატურისა და ხელოვნების თემატიკური მრავალსახეობა თვით აღამიანთა ცხოვრების მრავალსახეობის ილენტიორია. საზოგადოებრივი მნიშვნელობა თემატიკურ მრავალსახეობაში ემდგვა მხოლოდ იმას, რომელიც აქტუალურია საზოგადოების მოწინავე, პროგრესული ნაწილის თვალსაზრისით და რომელიც წარმოადგენს ღრმა საზოგადოებრივი აზრის შემცველ „ეპოქის ტიპს“.

„ეპოქის ტიპის“ ნიშნული თვისებები უნდა ჩანდეს მის ხასიათში, სადაც კონკრეტულად, ინდივიდუალიზირებულად ვლინდება და შეიგრძნობა თავისი დროის განსაკუთრებული

ნიშან-თვისებანი. ეს ხდება საფუძველი, რომ ბავშვმა, უკბემა, ახალგაზრდამ თვალ-ნათლევ წარმოედგინოს და იგრძნოს „ეპოქის ტიპი“ მთელი თავისი მრავალმხრივი თვისებებით. ამასი მხატვრული ტიპიზაციის ძალა, რასაც შეეძლება ბავშვთა ეიროდ შემოსაზღვრული ინტერესი, სხვადასხვაგვარი ინდივიდუალური მისწრაფება შეგნებულად წარმართოს საზოგადოებრივი მისწრაფებების, ინტერესების, ეპოქის იდეალების მიმართულებით. შთაუფროს აქტიულებელი ასეთი მოთხოვნა დღეს საბავშვო ეპოქური განრის მიმართ, რადგან უკვლახე უკეთ მხოლოდ ეპოქური განრის მრავალსახეობას შეუძლია დაიტოვოს ჩვენი საუკუნის, ჩვენი ეპოქის უფლებსი მასშტაბები, ჩვენი ეპოქის მასშტაბებში, რომელიც უკვლახე უფროსი ენაა.

„ეპოქის ტიპის“ მთლიან მორალური სახის ჩვენება ბუნებრივად შედარისმარებელი უნდა იყოს ბერძენულ მორალთან. იმ მორალთან, რომელიც ევოიზმის, მლიქნელობის მანე ჩვეულებით სწამლავს აღმართებს. მლიქნელობა შენდებული ევოიზმი: „მლიქნელობა გულის-სმობს ანგარებას... პირმოთხოვნა არსდროს არ გამოდინარებობს დიდი სულიდან — იგი ზედღობა წერტილში სულბისა, რომელიც უნარი აქვთ ყოველ უფროს დახატარავებისა, რათა შევიდნენ იმ აღმართების ცხოვრებას სფეროში, რომელსაც ისინი ეტანებინან“ (მაღზავი). ეს და სხვა აღმართი ღარსებების შემალხველი გრძობები, რომლებიც ბერძენული მორალისათვისაა დამახასიათებელი, საჭიროა ნაწარმოებში იმგვარად იყოს გამოხატული, რომ ახალ თაობას ცოცხლად წარმოესახადებს მწერლის გულწრფელ, მართალ სიტყვებს: „ჩვენი კონიები კქმინან უჯანონობას, ჩვენი თავისუფლებს სმობს უკვლავად თავისუფლებას, ჩვენი საკუთრება ირგანიზებული მძარცველობაა, ჩვენი ზნეობა პირფერობაა, ჩვენი პატიონება უკვლამსრედ ყალბია“ (ბერნარდ შოუ).

ისტორიკოსის თხზულებიდან ირკვევა, რომ საქართველოში როგორც პირველი ლაშქრობის (1613-1614 წწ.), ისე 1616 წელს მეორე ლაშქრობაში შაჰს დიდი მოურავი თან არ წამოუყვანია, რადგან ეს მიზანშეწონილად არ ჩათვლიათ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ისტორიკოსს ეს გარემოება აღნიშნავს არ დარწმუნდა. ამიტომ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურის მკვლევარებში გამოთქმული აზრი, თითქოს შაჰ-აბაზმა საქართველო დიდი მოურავის თვალწინ აიკლო, სრულიად გაუმართლებელი გამოდის.

ისპანდერ მუნში დიდ მოურავ გიორგი სააკაძეს ქართველი ხალხის შფოთვის ამტკბ ბედებს უწოდებს და არც თუ უსაფუძვლოდ. ირანელი ისტორიკოსი ფართოდ მოგვითხრობს 1625 წელს გიორგი სააკაძის აჯანყების ამბებს, ქართველთა უზავალითო გამარჯვებას ირანელთა მხედრობაზე. მოურავის რჩევით ამიტების უმრავლესობა სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებზე იყვნენ დანიშნულნი. მოურავმა ამ დროს მოაწყო აჯანყება, შუბი გაუყარა გულში ირანელთა ჯარის სპასალარ ყორჩილა-ხანს; ისევე მოჰკლა შირვანის ამირათ-ამირა უსუფ-

ხანი და ყარჩილა-ხანის ვაჟი იმამყარდი-ბე-
გიც და ვინც კი ხელში ჩაუვარდათ, დახოცეს
და „მოწამებრივი სიყვდილის ნექტარი შეს-
ვესო“. ქართველების ლაშქარმა ალყაში მო-
აქცია ირანელთა ქარის ძირითადი დიდი დაქ-
ვეულება და სულ ერთიანად ამხოცეს. „ვიზილ-
ბაშთა მთელი ბანაჟი დარბეული და გაძარ-
ცული იქნა, ქართველებს ხელში ატარცხელი
და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდა-
თო, ამბობს ისტორიკოსი.

გიორგი სააკაძემ მეორე დღესვე გაილაშ-
ქრა და ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი აიღო. ფე-
იქარ-ხანმა ძლივს გაასწრო თავის ცოლ-შვი-
ლით, მერე კი დაუღალავა სარდალმა განჯა
და ყარაბაღი გაათავისუფლა ირანელთა ბატო-
ნობისაგან და ხოდაფერინის ხიდან (მდინარე
არეზზე) დაუღო საზღვარი ირანელებს. ისქან-
დერ მენუშის სიტყვით „უბირველესად მოსახ-
სენებელია ჟანყი და შფოთი, რომელიც ბედ-
კრული, დაქარგული მოურავ ქართველის უშა-
ღერობისა და აჯანყებისა და ამბოხების გამო
ატყდა, უღიდესი შედეგი მოჰყვა მას და დიდი
ზარალი და ენება შეხდა ირანს“ (გვ. 123).

მართლაც, ირანის მხედრობის მზე ამ აჯან-
ყების შედეგად საქართველოში ჩავსვენა. ირა-
ნელი ისტორიკოსის თითქოს მოხდენილი
თქმა, ირანის ქარის „სარბიელი მსოფლიო
არის“, აზარაობად იქცა.

დიდი მოურავი დაუვაჟმირდა ოსმალთა სულ-
თანს და მოუწოდა ელაშქრათ ირანის წინა-
აღმდეგ, მაგრამ ოსმალების უნიჭო სარდლობამ
ეს კარგი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.
სულთანმა იმით დამაყოფილა, რომ გამოეგ-
ზაენა „სიკვლები მოურავის — ქართლში და
თეიმურაზის — კახეთში ბატონობაზე“ (გვ. 126).

ამას მოსდევს მარაბდის ომი ირანელებსა და
ქართველთა შორის. ისტორიკოსს შეუნიშნავე
არ რჩება, რომ ამ ომში ქართველებს ოცი-
ათასი ცხენოსანი და ქვეყნითი მხედრობა ჰყე-
დათო. მარაბდის ომს ისტორიკოსი „დიდ ბრძო-
ლას“ უწოდებს. აღწერს როგორც ირანელთა
ესე ქართველთა გამარჯვებებს და დამარცხე-
ბებს.

ამ ირანელ ისტორიკოსს ერთი ფაქტიურა
შეცდომა აქვს დაშვებული, იგი წერს: „ქართ-
ველი ცნობილი მეომრებიდან და სარდლები-
დან მოკლულ იქნენ მუხრან-ბატონი, თეიმე-
რაზი, ალა თენგიზი (ალაიანგ ბერხეულოძე,

ვ. ს.), იარაღ-ბეგი და ზურაბ-ბეგი“. (გვ. 129).
ამ მოხსენებული ზურაბბეგი (ზურაბ აზარაგვის
ერისთავი) ამ ომში კი არ დაღუპულა, არამედ
იგი მიიმალა დაიჭრა თავში, მაგრამ თავისიანებ-
მა ბრძოლის ქარ-ცეცხლიდან გამოიყვანეს და
სიკვდილს გადაარჩა.

ასევე, მთარგმნელს ზემოთხსენებული იარაღ-
ბეგი ჰგონია ივალ-ბეგი, შეიძლება — ივანბე-
გი (გვ. 129 სქოლიო). სინამდვილეში იარაღ-
ბეგი იარაღი ბარათაშვილი იყო.

ისქანდერ მენუშს მხედველობიდან არ გამოორ-
ჩენია არც პარტიზანული ბრძოლები ქსნის ზე-
ობაში. შემატიავე აღნიშნავს თითქოს ირანე-
ლებს მცირე ზარალი მოსვლოდეთ, მაგრამ ქარ-
თული წყაროებით ირანელებს მართლაც დიდი
ზარალი მოუვიდათ, ამ გამოტრისა და ისროლის
ხეობებში ირანელებს თორმეტი ათასი კაცი
გაუწყვიტეს ქართველებმა და ბევრიც ტყვედ
ჩაიგდეს.

„უახახი-ხანი ქართველებმა ცოცხალი ტყვედ
წაიყვანეს, თეიმურაზმა, მოურავმა და ზურაბ-
ბეგმა (ზურაბ არაგვის ერისთავი — ვ. ს.
გვ. 132).

განა გასაყიერი არ არის, ქართველი ისტორი-
კოსები (პლ. იოსელიანი, ანტ. ფურცელაძე,
სიმ. ქვაბიანი, გ. ჯამბურია და სხვანი) როცა
აღნიშნავენ, თითქოს ზურაბ არაგვის ერისთავ-
მა დიდ მოურავსა და ქართველობას უღალატა
და ირანელებს მიეხმრო, მათ არაგვის ხეობაზე
გავლის ნება მისცაო. ისქანდერ მენუში კი მი-
უთითებს, რომ ზურაბ-ბეგი მოურავთან და თე-
იმურაზთან ერთად იბრძოდა ირანელებს წი-
ნაღმდეგ ქსნის ხეობაში. სხვათაშორის, ასე-
თივე სწორი ცნობა აქვს დაცული ზურაბ —
არაგვის ერისთავის შესახებ XVII საუკუნის
ქართველ მეფე-პოეტ არჩილ მეორეს თავის პო-
ემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთავე-
ლისა“.

სხვათაშორის ირანელი ისტორიკოსი არაფერს
გვაუწყებს ქეთევან დედოფლის მოწამებრივი
სიკვდილის შესახებ. საყვირველი კია, როცა ეს
ამბავი მთელმა მამინდელმა მსოფლიომ შეიტ-
ყო და დიდი გამოხმურებაც გამოიწვია. ასე-
ვე არას გვეუბნება ისტორიკოსი დიდი მო-
ურავის შვილის (პაატას) თავის მოკვების შე-
სახებ.

ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ მოურავ-ბეგი
არზრუმს გადავიდა, იქიდან სტამბოლს წაი-

და და ამ დროიდან მოკიდებული ის ოსმალთა შორის იმყოფებაო. (გვ. 133), მაშასადამე, ისტორიკოსი წერდა თავის ისტორიის, როგორც დიდი მოურავის თანამედროვე. თეიმურაზი კი დაუდ-ხანის (გვარად უნდილაძე) მეშვეობით შემოეხვეწა შაჰ-აბაზს პატიებას და შენდობა ითხოვაო.

ამ დროს დიდი მოურავი ოსმალთა სარდლობასთან იყო. ირანელებს ამბავი მოუვლიათ, ოსმალთა წარი ხუსრევე-ფაშას სარდლობით, რომელთანაც მოურავიც იმყოფება შევალს თვეში (1628 წ. ივნისი), ირანის საზღვრებს უახლოვდება. „ბედშაჰმა და უმადურმა ქართველმა მოურავმა კვლავ შეიძლება წააქეზოს ოსმალნიო, ირანელები შეფიქრიანდნენ და შაჰმა თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიზაშის სარდლობით

წარები საბრძოლოდ განაწყო* და შაჰიც მალე ახლო ქალაქ უაზანში გახდა.

დიდი მოურავი მოესწრო მისი დაუმთავრელი მტრის შაჰ-აბაზის სიკვდილს. (1629 წლის 19 იანვარი), იმედით აღივსო მისი გული, მაგრამ ოსმალეთის მოსისხარი ვეზირის ხუსრევე-ფაშას დალატმა აღარ აღირსა მას საევაბელი საშუაბლოს ხილვა. საევირველია, რომ დიდი ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მენში გიორგი საყაძის სიკვდილის შესახებ არაფერს გვაუწყებს. იგი ამ დროს ხომ ცოცხალი იყო და შაჰ-სეფი პირველის (1629-1642) მეფობის ისტორიის წერას იწყებდა.

ისტანდერ მენშის „ისტორია“ დიდმნიშვნელოვანი წყაროა საქართველოსა და ირანის ურთიერთობის ისტორიისათვის.



ზღვა მწერლის შთაბრძნების წყარო

„რას იტყვი? რა უნდა თქვა?
ვისა აქვს ჩვესნავით ზღვა?
არავის, არავის!“

ეს სიტყვები, როგორც პათეტიკური დასკვნა, უკანასკნელ სტროფად ერთვის გალაკტიონის ლექსს „არა აქვთ ზღვა“. ამივე ლექსში პოეტი თითქოს შეგობრულად თანაუგრძნობს იმ ხალხებს, „რომელთაც არა აქვთ ზღვა, ანუ არც მდინარე“ და შემდეგ აღფრთოვანებული ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ აღამაზებს საქართველოს ზღვა, ანდა რა დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს შავი ზღვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში — მშვიდობიან შრომაში თუ მტერთან ბრძოლაში. აქი პირდაპირ ამბობს გალაკტიონი: „იგრძნობ ზღვად გასულთა ხმას, სად იალქანი დგას“. ამით დიდებული პოეტი მიგვანიშნებს, რომ ზღვა საქართველოს ლანდშაფტის არა უბრალო სამკაულია, არამედ ქართველი ხალხის შრომისა და ბრძოლის ასპარეზიც. ქართველები არასოდეს ყოფილან ღამაზე ზღვისპირეთისა და ზღვის უბრალო მკაფურებელინი. ჩვენს ხალხს ძველთაგანვე გამოუჩენია თავი ზღვაოსნობაში და ამ მხრეაღ „ზეერი სასახლო ფურცელი ჩაუწერია თავის ისტორიაში. იმაზე მეტყველებს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე უხსოვარი დროიდან არსებული ნავსადგურები; ამასვე ადასტურებს გათქმული გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი. იგი აღნიშნავს რა, რომ „ყოლიდა მტრწილად ზღვასთან მდებარეობს“ და იქ მოიპოვება „ნავთსაშენი ყოველივე მასალა“, საგანგებოდ დასძინს: სახელოვან მითრიდატე პონტოლის კოლხეთიდან „მოსდიოდა მეტი წილი ძაღებისა სანაოსნო სამსახურისათვის“. კოლხები რჩიოლი მეზღვაურნი ყოფილან და ამ რჩეულ მეზღვაურთა შთამომავალნი, ჩვენი შავი ზღვის ნავსადგურებიდან გასულნი, დღესაც ეშვიშრად სტრავენ მსოფლიო ზღვებსა და ოკეანებს.

ზღვა დიდი ხანია იქცა ქართველი პოეტების

შთაბრძნების წყაროდ. ამ მხრივ მარტო ვალაკტიონის დიდებული ლექსების დასახელებაც უკმარებდა, მაგრამ თუ მას დაეუბრებოდნ სხვა პოეტების ნაწარმოებებსაც, დაერწმუნდებით, რომ ჩვენს ხელთ არის შესანიშნავი „ზღვის სიმფონია“, რომლის ცალკე თემატურ კრებულად გამოცემა ურიგო საქმე არ იქნებოდა. მით უფრო, რომ ასეთი თემატური კრებულების გამოცემის ტრადიცია ჩვენშიც იკიდებს ფეხს. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ქართული პროზის შესახებ. ჩვენი პროზაიკოსები ვერ კიდევ ვალში არიან ქართველ მეზღვაურთა წინაშე; ჩვენი პროზაიკოსების ნაწარმოებებში ვერ კიდევ ნაყლები ადგილი ეთმობა ზღვაში გასტეხილ მამაცი ადამიანების მშფოთვარე და ხიფათიან ცხოვრების აღწერას.

აღნიშნული გარემოების გამოც, ვფიქრობთ, მკითხველმა კმაყოფილებით მიიღო ანდრო ლომიძის მოთხრობების კრებული „შუქურა“, რომელსაც ასეთი მოკლე ანოტიცია ერთვის: „მეზღვაურთა მშფოთვარე, ხიფათითა და განსაცდელითა აღსავსე ცხოვრება, მშობლიური ბუნების წარმატატი სურათები, ნადირობის დროს მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებანი, კომუნიზმის მშენებელთა ღამაზე სულიერი საფარო, — ასეთია ანდრო ლომიძის მოთხრობების თემატიკა“.

ცხადია, თემატიკა, თავისთავად, ცოტა რაიმეს გვეუბნება მწერლისა და ნაწარმოების ღირსებაზე, მაგრამ მკითხველში მან არ შეიძლება ინტერესი არ აღარას, რადგან თავიდანვე იგრძნობს, რომ ხელთა აქვს წიგნი, რომელშიც მოთხრობილია მეზღვაურთა განსაცდელით სავსე ცხოვრებაზე (რაც ქართულ მწერლობაში იშვიათად შეხვედრია) და გადმოცემულია, აგრეთვე ნადირობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი (ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩვენი წიგნის თაროები არც მონადირეული ლიტერატურით არას გადატვირთული). ეს ორი გარემოებაც, გარკვეული თვალსაზრისით, სიახლეა და ამკარად მიგვანიშნებს, რომ ანდრო ლომიძემ გააფართოვა ჩვენი პროზის თემატიკი სფერო. ამას თუ დაეუბრებოდნ ნაწარმოების მხატვრული შე-



სრულების მაღალ ხარისხსა და მათში გამოვლენილ მაღალ მოქალაქეობრივ იდეალებს, დარწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს მართლაც თვალსაჩინო შემოქმედთან.

ანდრო ლომიძე, როგორც შემოქმედი, შემთხვევით არ დაეკვირვებოდა ზღვის თემატიკას და არც მისი ხასიათებია უბრალო მწიგნობრული წარმომავლობისა. მწერალს ორგანულად აქვს ვარცდილი ის სინამდვილე, რაც ასახვის საგნად გვხვდება. მისი ბავშვობა და სიკვამლე ზღვის პირა ქალაქებთან არის დაკავშირებული, შემდეგაც, თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მეზღვაურთა შორის გაატარა, საფუძვლიანად გაეცნო მომავალი გმირების ხასიათებს და მდიდარი შთაბეჭდილებებით დატვირთული შემოვიდა ქართულ მწერლობაში, როგორც მეზღვაურთა ცხოვრების გულმართალი მხატვარი, ამიტომაც არის, რომ მასში, როგორც მწერალში და მოქალაქეში, უმარობის გრძნობას ბედებს ქართულ მწერალთა ერთგვარი ინდივიდუალური ზღვის თემატიკის მიმართ. მწერალმა თავისი პოზიცია თვალნათლივ გამოხატა მოთხრობა „სიყვარულის“ პერსონაჟთა ერთ-ერთ დიალოგში.

— ქართველები ძველთაგანვე ცნობილი არიან, როგორც მამაცი მეზღვაურები... შეგი ზღვა იყო და არის ქართული ზღვა და მიყვარს, რატომ არა გვეყავს ჩვენი სტანციონი, და ჩვენი კონრადი ...

— საქართველო ზომ წარმოუდგენელია მთების ვარემ?

— რა თქმა უნდა.

— ქართული ლიტერატურიდან ამოვადეთ ვაჟა და დარწმუნდებით, რომ ჩვენში მთის პოეზიის თითქმის არაფერი დარჩება, თუმცა მთის შესახებ ვაჟას გარდა წერდნენ სხვებიც. ვაჟა გვიჩინოს იყო, მაგრამ მათში რომ არ ეცხოვრა, მთის ბრწყინვალე პოეზია ვერ შეიქმნებოდა. ზღვის შესახებ წერდნენ ჩვენი მწერლები, ახლაც წერენ, მაგრამ საჭიროა დიდი პოეტური სუნთქვა, დიდი ტალანტი და ზღვის, მეზღვაურთა ცხოვრების ღრმა ცოდნა, რომ ზღვის რომანტიკულმა პოეზიამ გაამდიდროს ქართული მწერლობა."

ამ დიალოგიდანაც მკითხველი ნათლად იგრძნობს, რომ ა. ლომიძე გულსტიკილით განიცდის ქართული პროზას მნიშვნელოვან ხარვეზს მეზღვაურთა ცხოვრების ასახვაში და ცდილობს თავისი წილილი შეიტანოს ამ ხარვეზის შევსებაში — მკითხველს სთავაზობს თავისი ნაფიქრისა და განცდილის მხატვრულ სურათებს.

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ მოტანილ დიალოგში არც ვაჟა-ფშაველას სახელია შემთხვევით ნახსენები. ა. ლომიძე ზღვის წარმოსახვაში იმავე პოზიციაზე დგას, რა პოზიციიდანაც ითვისებდა ბუნებას დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა, ვაჟა ამბობდა:

ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იტყუებენ, რა უნდა ზოგჯერ მკვებელია ავისა. ა. ლომიძე

ა. ლომიძე ამ ორმაგი საწყისის (ბოროტისა და კეთილის) ერთიანობას ხედავს ზღვაში. იგი უბრალო მოავარაყის თვალთი როდი უყურებს ზღვას, რომელიც უბრალო ადამიანებს ეცხოვრებით ხიზლავს. მან იცის, რომ ამ თვალისმოშორელი სილამაზის წიაღში თავს იფარავს უღიღესი სტიქია, რომელსაც შეუძლია რამდენიმე წუთში ნამსხვრევებად აქციოს უზარმაზარი ხომალდები და ბნელი უფსკრულისავე გააქანოს გამოცდილი მეზღვაურები. ეს ყველაფერი იცის ა. ლომიძემ და ამიტომაც არის, რომ ასეთი გულით სიყვარულით იმსკვამლება ზღვაში გასული ადამიანების მიმართ, ვინც ყოველ წუთში მზად არიან, შეებრძოლონ და დამარცხონ სტიქია. მწერალი სილამაზესა და მშვენიერებას სწორედ ამ გმირულ შემართებაში ხედავს და გმირობის ასპარეზსაც ლამაზად წარმოგვისახავს.

ა. ლომიძე თავისი ნაწარმოებების გმირებად უმეტესწილად ირჩევს სიცოცხლით საცხე, ფიზიკურად ჯანსაღ და მორალურად სრულყოფილ ადამიანებს და თავიდანვე ისეთ ფუნქციას აკისრებს, რომ შეიძლება ისინი მალევე სიყვარული-სიცოცხლის მიყნაზე დადგნენ. მწერალი ამითაც თავისებურ ესთეტიკურ შრწამსს ავლენს და ცდილობს, უფრო ნათლად გვაგრძნობინოს სიცოცხლის სიყვარული, რომლის მეზობტებადც მიანიდა როგორც თავისი თავი, ასევე ყველა მწერალი. იგი განსაკუთრებული ძალით არის შეყვარებული სიცოცხლეზე და ამ გრძნობით მსველავს ყველა თავის გმირსაც, შემთხვევითი როდია, რომ ა. ლომიძე ერთ თავის პერსონაჟს — მოხუც, უსინათლო მწერალს — ათქმევინებს: „ჩემო კარგო... ადამიანმა იცის, რომ დაიბრუნდება, დასწრულდება, მოკვდება, მას კი უნდაღებოდა სწყურებია. მე მიყვარს ადამიანი და ვცდილობ ტვირთი შევქმნებო, დაეხმარა... ვარსკვლავიანი უსაზღვროების მკვრეტელს მწყურებდა უცდავი სიკვამლე, პლანეტებისავე გაფრენა, იქ მცხოვრებ არსებობა გაეცნობა, საიდუმლოების ბერსტში გახვეულ უსასრულო სიყვარული დღესრულდება ბეტილი... ადამიანი ღირსია უცდავებისა თუნდაც იმიტომ, რომ ამქვეყნად არსებობს სილამაზე, სიმღერა და სიყვარული!" ანდა ავიღოთ ა. ლომიძის მეორე პერსონაჟის — უბრალო მონადირის სიტყვები: „გავხედე მინდვრებს, ტყეებს, თვალის შევავლე კვირიონით საცხე უღრუბლო ცის დაეარდს და შეცარი, რაღაც ვანუზომლად დიდი სიხარული ჩაღვა ჩემს ძარღვეში და ამღერდა, თითქმის ჩემი გულის ყოველ უქრებს საყუთარი გული ქონდა და ბუღბუღის ენა.

გული ევეღრებოდა მიწას, ცას, მზეს: ნუ წამართმევ შეხლებში ძალას, თვალში სინათლეს! ნელავე ნუ გამოძლიერებ ღონეს, ნუ დამბერებ, ნუ მომიკლავ, ხილა თუ ვერ ამარბევ სიციცხლის შემოდგომასა და ზამთარს, როგორც ბაღას, როგორც ამ მთავლის ბუჩქს, კვლავ და კვლავ მარტვე სიციცხლის გახადებელი, ვიდრე არ გვტყვი: დავიღალე, მომწყინდა ამ ქვეყნად ყოფნა. დავიღლები განა? ყველაფერი დამღალს, გარდა სიციცხლის საყვარლისა“.

ეს სიტყვები, ვფიქრობთ, საერთო წინასიტყვაობადაც გამოადგებოდა ა. ლომიძის მოთხრობებს, რადგან სიციცხლის ასეთი უსახლერო სიყვარულით არის გამსჭვალული მისი ყველა ნაწარმოები და ეს გრძნობა გადასულა მის გმირთა ხასიათებში. ა. ლომიძის გმირები სიციცხლზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები არიან, მაგრამ მწერალს სიციცხლის საყვარელი ისე როდი წარმოუდგენია, როცა მისი გმირები, სიციცხლით გატაცებულნი, თავს არიდებენ დაბრკოლებას, სიყვდილს ემალებიან და თავიანთ თავს დაქანაყლებენ. პირიქით, მათი სიყვარული სიციცხლისა ცნაურდება უძლეველ თავგანწირვაში, სიციცხლისა და სიყვდილის ბეწვის ხიდზე უშიშრად სიარულში. მათ იციან, რომ მკაცრი და დაუნდობელია ზღვა, მაგრამ თავიანთი შრომისა და ბრძოლის ასპარეზად მაინც ეს დაუნდობელი სტიქია აურჩევიათ და გულწრფელად ეძიებენ მის დაოკებას, დამორჩილებას.

ა. ლომიძეს არ იტყვებს სიუჟეტის სირთულე და გამსაყუთრებელი ბიოგრაფიის პერსონაჟები, რომლებიც დიდ ეპოქალურ ძეგლთა ცენტრში მოქცეულან და ვანგებს ვანსაყუთრებელი ისტორიული მისია დაუყრებია მათთვის. ისინი უბრალო ადამიანები არიან, თითქმის არაფრით გამოირჩევიან ყოველდღიურ ცხოვრებაში და აყუთებენ იმას, რაც უნდა აყუთონ. პირველ რიგში ა. ლომიძის შემოქმედებით გამარჯვებულ სწორედ მიგვაჩნია, რომ მან ამ უბრალო ადამიანებში აღმოაჩინა დიდი შინაგანი ენებათა ღელვა, რაც მთავარია, ჩვენც ჩავახედვა მისში, გვაგრძნობინა, ვანგავადღევიანა. როდესაც ვეცნობით ამ ადამიანების მხატვრულ სახეებს, ჩვენც ვმალდებით და ვიმსჭვალებით მათი მალალი მოქალაქეობრივი სულისკვთებით.

მარტივი სიუჟეტითა და თხრობის უბრალოებით, მაგრამ ტრაგიკულად გადასული მძაფრი შინაგანი ენებათობით გამოირჩევა მოთხრობა „ზღვარი“. ნავსადგურში ელიან დატვირთულ გემს, მოულოდნელად ჩაჭრა შექურთა, რომელმაც გემს უნდა ანიშონს გემშისდგომი. სპორტოა შექურთის ანთება, მაგრამ ძლიერი ზღვარი შექურთასთან კაცს არ აჯარებს, კაპიტანი ამ სახიფათო დავალებას შეიღწეობს.

მართლაც, რა დიდი რისკია! აქ ჩანს უდიდესი ადამიანური ბუნება ერთის შეხედვით ძალ-

ზე მკაცრი კაპიტანისა. მაგრამ მთავარი და მოსაწონის ამ არის, რომ ამ დიდ ადამიანურ მსხვერპლზე შინაგანი ბრძოლის სურვილი არ მისის, არამედ მან იცის, რომ იგი უკლებლად მსხვერპლს იღებს და ჩვენც გვაგრძნობინებს თავის დიდ ადამიანურ ბუნებას.

სამშობლოსა და ხალხის წინაშე მიტანილი სწორედ ასეთი მსხვერპლი მოსწონდა ილ. ჭავჭავაძეს და ამბობდა: „გაფირვა მაშინ არის დიდსულოვნების საქმე, როცა მწირველი თითონ დიდ რასამე ჰკარგავს ამით, როცა ეხედავთ, რომ ამ გაფირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩაწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააცო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისგან“. სწორედ ასეთ დიდსულოვნად გვიჩვენებს ა. ლომიძე კაპიტანს.

შვილის ბედზე ჩაფიქრებული კაპიტანი ოთახში ვეღარ სძლებს და გარეთ გადის. ამ დროს ხედავს, რომ შექურთა ანთო. „შექურთა ანთო, ცოცხალია! — გაუხარდა კაპიტანს“. მაგრამ კვლავ დადარდნიანდა, რადგან მისი შვილის უკან დასაბრუნებელი გზა კვლავ სახიფათოა. ნეტავ ღამე შექურთაზე ვაითიოს, — გაიფიქრა, მაგრამ იცის, რომ ვანო ამას არ იხაშს და მოსიყვარულე მამა გადაწყვეტს: გემი აუკვე ნავსადგურშია და მე მაქვს უფლება ჩემს შვილს მიეხმარო, თუ სიყვდილი გვიწერია, ერთად დავიღუპოთო“. და გაყვავა ზღვის ნაპირს. სწორედ აქ უმტყუნა ბელმა: წაქცა, თავი დაკვრა მოლოს წვეტიან კიდეს და თავგანსხლიანებული ზღვაში ჩაჯარდა. დამენათევი, დაღლილი და ვათოშილი ვანო გამოეწინისას ბრუნდება უკან. მოლოს კიდესთან თვალს მოკვრავს სისხლს, „ქორმა თუ დაღოჯა თოლია, — გაიფიქრა და და ფეხს აუქმარა“. რა დიდი დსქოქოლოგიური დეტალია დაქერილი. ამაზე შეიძლება ძალიან ბევრი რამის თქმა, მაგრამ მწერალი აქ სჯავს წერტილს და შემდეგ კვიტემქისტის საშუალებით გვაგრძნობინებს ამ ტრაგედიის სიმძიმეს, მკითხველს საშუალებას აძლევს, თავად ჩაუფიქრდეს ამ ამბავს.

საერთოდ, მოთხრობის ტრაგიკული ფინალის ასეთი ჩვენება, როდესაც მკითხველის ფანტაზიას მეტი ვასაქანი ეძლევა, ერთგვარ სტილურ ნიშანს წარმოადგენს ა. ლომიძისათვის, მაგალითად, ავიღოთ მოთხრობა „გოგონი“. ამ ნაწარმოებს, ერთის შეხედვით, უბრალო საინფორმაციო ამბავი უდევს საფუძვლად, მაგრამ მწერალი მას ისეთი ოსტატობით გადმოგვცემს, რომ ჩვენც სიამაყის გრძნობით ვიმსჭვალებით და ადამიანისადმი რწმენა გვემატება. მართლაც, რა დიდი სულის ადამიანი აღმოჩნდება მოთხრობის გმირი თვითმრავლ პევეკავებ, როდესაც უკიდურესი სიხარულის ემს უცხო ზემოქმედების თავს გასწირავს. თითქმის მწერალს თვითონაც ენანება თავისი გმირი, პირდაპირ არც გვეუბნება, რომ

თეიმურაზი იღუპება და მოთხრობას ასე ამთავრებს: „იქ სადაც თეიმურაზი ბავშვს ეძებდა, ღრუბლებში ჩაიხრტილი შხის სხივი ზვირთს სვეტად დაადგა...“

ასევე ღრმა პემაინიზმით არის გამსჭვალული პატარა მოთხრობა „მაშველი“, რომელიც სრულიად უბრალო ადამიანის — მაშველის ყოველდღიური ცხოვრების ერთ ფსიქოლოგიურად ძალზე დაძაბულ ეპიზოდს გადმოსცემს, მაგრამ მკითხველს ბევრ რამეზე აფიქრებს, მრავალ განცდას აღუძრავს.

მოთხრობას კიდევ უფრო მეტ ღირსებას მატებს ეპილოგში გადმოცემული მოკლე ამბავი, რომელიც ავტორის მაღალ კონცეფციასზე მიგვანიშნებს და ნაწარმოებს პარტიული სტლიაკეთებით მსჭვალავს.

„ადამიანს სიცოცხლე სწყურია“ — ასეთი სათაური მიუტყია მწერალს ერთი მოთხრობისათვის და მკითხველიც გრძნობს, მართლაც, რა ძლიერია ადამიანის წყურვილი სიცოცხლისა. გემის მოხუცი კაპიტანი ავთანდილ თოლორაია ზღვაში გასვლისას ფიქრობს: „რა საშინელი სიბერე, რაცა ცოლ-შვილი არა ვყავს, შშობლები, მეგობრები დღით ხანია მიწას მიაბარე, ზღვაში შენი გასვლა დარდს არავის ატმლის და დაბრუნება არავის ვაახარებს“. ამ კაცს თითქოს მოსწყენია სიცოცხლე და გვერინა სიკვდილსაც მოთმინებით შეხედება. მაგრამ, აი, გემი იღუპება და მოხუცი ავთანდილიც გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. მას უკვე შეეხო სიკვდილის მსახერავია ხელი და თუმცა იცის, რომ ხსნა არსად არის, სიკვდილს მაინც არ ნებდება და კვლავ ებლატუება სიცოცხლეს, იბრძვის მის შესანარჩუნებლად. „მართალია, მოგხუცდი, — ფიქრობს ავთანდილი, — მაგრამ ავრე უაზროდ რატომ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან? იქნებ დიდი ხნის სიცოცხლე მიწერია? პენსიაზე გადავიდოდი, ტანხატულა ქალებსა და ყვავილებზე ისე ვნახავდი, მერკედის ღვივის გავიფრებდი“. მისი ბრძოლა უშედეგოა, უკვე იძირება... „ზევით ზღვაა, ქვევით ზღვაა, უველგან ზღვაა... მან იცის, რომ სიკვდილს ვერ გაეჭყევა და შიშს, ცრემლის მომგვრელ უშწურობას ვანიცდის, მთელი მისი არსება ერთ აზრს, ერთ სურვილს შეუყვარა: ამოვარდნა ზევით, თვლი გადაავლის ზღვის ზედაპირს, იქნებ მოიჩქარაინ მაშველი კატარღები? ამაყ დროს, რამდენად რომანტიკულია ამ ფონზე ბოცმან ანტონ ჩიქოვანის სახე, რომელიც საბედისწერო წუთებში არ ტოვებს ავთანდილს და მასთან ერთად იღუპება.

რეკლუციამდელი ქართული მეზღვაურის ავბედით ხედრზე გვიამბობს ა. ლომიძე მოთხრობაში „ვიტა-ლევა“. შორეულ კუნძულ ვიტა-ლევაზე ქართველი მეზღვაური ზღვდა ერთ თავისებურ მოხეტს, რომელიც უფრადლებას იქცევს თავისი დაკონილი ტანსაცმლით და

უცნაური, მაგრამ სიამაყის მანიშნებელი გეგვით. ბოლოს გაირკვევა, რომ იგი ქართველია, რომელიც დუხჭირი ბედის გამწვანებია სამშობლოს, იქაბს, ცოლ-შვილს: დაეუტეხუ მხარეში გაუტარებია სიცოცხლის დღენი. აქაც ბევრი გაპირვება უნახავს, მაგრამ ბოლომდე შეუნარჩუნებია ამაყ სული.

ასევე ბევრ რამეზე დაფიქრებს მკითხველს და ესთეტიკურ სიამოვნებასაც აგრძნობინებს ა. ლომიძის მოთხრობები: „სიყვარული“, „ლოცვა“, „ლაზი“, „ორი ძმა“, „უცვდავი ნათელი“ „ნამგალა მთვარის შექმე“, „შშობლიური“ და სხვ., რომლებშიც მაღალი ოსტატობით არის დახატული მეზღვაურთა ცხოვრების რეალისტური სურათები, ნაჩვენებია მრავალფეროვანი ხასიათები; მკითხველის ცნობიერებაში ღრმად იჭრებიან ამ მოთხრობების გმირები: გური ლომია, იაშე თაიძე, ზია ხალვაში, ყარაშინი, მერაზი, მუხრან გვოგიტიძე და სხვა, რომელთა ადამიანური თვისებები მწერალს მაღალმხატვრულად გადმოუცია.

როგორც ზემოთაყ აღვნიშნეთ, ა. ლომიძის, როგორც მწერლის, მეორე დიდი შემოქმედებითი ვატაცებაა ნადირობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების მხატვრული გადმოცემა. ამიტომაც მისი მოთხრობების ერთ დიდ ნაწილს საერთო სათაურად „მონადირის დღიური“ აქვს. ეს მოთხრობები მართლაც დღიურის სახით არის დაწერილი და მეტი ლირიკული ელფერიც დაქრავს მათ. ყოველდღიური მომჭანყველი შრომით დაღლილი ადამიანი დასვენების დღეებში ვალის ქალაქიანებს, ნადირობს, მაგრამ მისი მთავარი მიზანი შხოლოდ უხვი ნანადირეობა დაბრუნება როდია. მას სურს, დაისვენოს შშობლიური ბუნების წიაღში, დატკებს სამშობლოს მთაველის სილამაზით, მწერალი გვიყვება ნადირობის დროს ნახულა და განცდილზე, გვიჩვენებს ადამიანებს, რომლებსაც ზღვაში აულიათ თოფი, ნადირობენ, მაგრამ, რკუნდია ჩვენი ფლორისა და ფაუნის მფარველებად და არა მტრებად. აი, რა მიმზიდველად გვიხატავს ა. ლომიძე ორიოდე სტრიქონში სანადიროდ გასული, თითქოს ბუნებასთან და უცვდავებასთან შერწყმული ადამიანის განცდას: — „წვეზარ მოთენილი, სამყაროს მშვენიერებას დაფთვარისაზრ. ეს სუფთაა, ღერვი, შხის ოქროს ნისლში გაზავულ ბარსა და მთის უხვად დასწოლია შხის ფერი და მხურვალემა. გარინდებულა ნაყარო, როგორც უცვდავება და სიხარული, და შეც ამ დაუღველი სიხარულისა და უცვდავების პატარა ნაწილად ვარ“. ნადირობა ფიზიკურად აჯიყებს, სულიერად ამხნევებს და ავეთლ-შობილებს ადამიანს, სწორედ ასეთნი არიან ა. ლომიძის „მონადირის დღიურის“ პერსონაჟები. ეკითხვობთ ამ მოთხრობას და ვრწმუნდებით, რომ გულმართლსა და კეთილშობილ მწერალს, მხურვალე პატრიოტს და ადამიანისმოყვარე მოქალაქეს სტრიქონი უფლება ჰქონია, თავის პერ-

სონაებთან ერთად ეთქვა: „უსაზღვროდ მიყვარს ჩემი მითანი, ტყიანი სოფლის ცა — კრიალა, სუფთა, გამჭვირვალე, არსად მინახავს ასეთი სიმდიდრე მიწის მწვანე სამოსელისა და ასეთი სიუხვე მზის შუქისა. ცა თითქოს უნახვისი, საიტირად გამჭვირვალე ოკეანეა და ჩვენ ვცხოვრობთ ამ ოკეანის ფსევრზე — მთებზე, ფერდობებზე, ველებზე“.

ა. ლომიძე ერთ მოთხრობაში წერს: „უნდა მოგახსენოთ, დაუდნობელი მტერი ვარ ბრაკონიერებისა, სადაც კი გადაეყვრები, დავსჯი,“ და მართლაც, მისი მონადირული მოთხრობები ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსითაც არის გამსჭვალული.

„მონადირის დღურიდან“ ცალკე გვიჩვენა მოვეყვით მხოლოდ ერთი მოთხრობა. ეს არის „აზერბაიჯანელი მონადირე“, რომელშიც ერთი საყვლისხმო შტრიხის შეტანით მწერალი მთელს ნაწარმოებს საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მძაფრი იდეებით მსჭვალავს, გვიჩვენებს თუ როგორ დამეგობრდნენ ჩვენში სხვადასხვა ერის წარმომადგენელი და როგორ ეზიარებოდა ერთმანეთს ეტლტრას. ქართველი მონადირე ნადირობისას ხედება აზერბაიჯანელ თახარას, რომელიც შესანიშნავად ღაპარავობს ქართულად. შეკითხვა, თუ ასე ვარგად როგორ ისწავლა ქართული, თახარას ეუცნაურა და შევახე ყოლითი მიუთვა: „საქართველოში დავიბადე, ვავიზარდე, ვანა სირცხვილი არ იქნება, ჩემო კეთილო, რომ ქართული არ ეყოლე? თქვენ მიქვით ქართულს, მაგრამ აბა ჩემს შვილებს ჰყოთხეთ... დამცინიან, ქართული არ იციო“.

ანდრო ლომიძე მარტო მწვლავურთა ცხოვრებისა და ნადირობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების მხატვრული ხორცშესხმით არ იზღუდება. მისი თემატიკა საქმიად მრავალფეროვანია და მრავალ აქტუალურ ცხოვრებისეულ პრობლემასაც ეხება მწერალი.

ოჯახის სიმტკიცე და ერის გამრავლების პრობლემა ყოველთვის იყო და რჩება მწერლის ერთ-ერთ კეთილშობილურ სახრუნავად. ამ პრობლემას ა. ლომიძის შემოქმედებაშიც სპატიო ადგილი უკავია. მისი პატარა მოთხრობა „ნათელა“ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ერთხელ კიდევ შეახსენებს, რომ ჭეშმარიტი

ოჯახური ბედნიერება მხოლოდ მომავალ თობის აღზრდასა და ერის გამრავლებაზე ზრუნავსა, რამდენადაც მკითხველს სთხოვს ამაღლებული რჩება მოთხრობის სწავლის თქმისი, იმდენად ზიზის იმსახურებს ნათელა, რომელიც „ტანის დამახინჯების“, „სხეულის დასახინჯების“ შიშით ხელს იღებს შრობილურ სიხარულზე და არ სურს, შვილი იფოლიოს.

ა. ლომიძე ზოგჯერ სატირის ბასრ იარაღს იმარჯვებს პოროტიზმის დასათრგუნავად. მისი „დედის გული“, ერთი მხრივ, ჰაინია კეთილშობილი დედის მხურვალე გულის სადიდებლად, მეორეს მხრივ კი გამანადგურებელი სატირია ისეთი შვილებისა და რძლების მიმართ, რომელთაც დაეუწყნიათ დედის გული და აბუნადეც კი იგდებენ მას, ბევრი კარგი რამ დაწერილა დედაზე. დედის ბევრი კარგი სახე შეუმნიათ მწერლებს და ჩვენის ფიქრით, ამ კარგ სახეთა რიგში დგება ა. ლომიძის თებრონეც, რომელიც შვილს დაეუწყნია, მაგრამ იგი მაინც ზრუნავს შვილზე, და რაც მთავარია, ცდილობს, ხალხის თელში მის შვილს ავტორიტეტი არ შევლახოს.

მოზარდი მკითხველისათვისაც არ არის ა. ლომიძე ხელყარიელი, მისი საბავშვო მოთხრობებიც არსებითად იმავე პრობლემეტიკის ირგვლივ ტრიალებს, რაც საერთოდ განსაზღვრავს ანდრო ლომიძის შემოქმედებით ინტერესებს. მწერალი ვარგად იცნობს ახალგაზრდა თაობის ბუნებას, მის სულიერ ინტერესებს და შესაუარის ფორმას პოელობს, რომ ბავშვებს შეაყუაროს ზღვა, სპორტის რაინდული სახე—ნადირობა და რაც მთავარია, აღზარდოს მათში მაღალი მოქალაქეთაივი გრძნობები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ა. ლომიძე არ გამოირჩევა დიდი პროდუქტიულობით და არც ფართოპლანიან ნაწარმოებებს ეტანება. მისი საყვარელი ეანრია პატარა მოთხრობა, მაგრამ აზერბებს ამ მცირე ფორმის თხზულებებს მისი ჩააქსოვოს დიდი მხატვრული იდეალი — გვიჩვენოს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა აღმშენის ამაღლებული მოქალაქეობრივი ბუნება, აღამაინისადმი რწმენითა და სიყვარულით გამსჭვალოს მკითხველი.

ანდრო ლომიძის მიხედვით

„კალეველას“ ქართული თარგმანის გამო

ქართული თარგმანების რიცხვს მიემატა მსოფლიო მნიშვნელობის ჭეგლი-კარელურ-ფინური

„კალეველა“ თარგმნეს მ. შაქარაიანმა, შ. ჩანტლაძემ და გ. ძნელაძემ, „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ეპოსის „კალეველას“ მთლიანი პოეტური თარგმანი, შესრულებული მ. შაქარაიანის, შოთა ჩანტლაძისა და გ. ძნელაძის მიერ, ამ გამოცემის გამო რეცენზიებიც დაიწერა და რეცენზენტები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თარგმანი ძირითადად კარგადაა შესრულებული.

ბელი, ძალდატანებლად, ბენებრივად იყოთბუ-
ბაო. შითითებული იყო სინელებზეც, რომე-
ლია დაძლევა მთარგმნელებს მოუხდებოთ, თე-
ცი ისინი როდისმე „კალევალას“ ზედახლად
გამოცემაზე იფიქრებენ.

ჩვენ პირადად იმავე აზრისა ვართ, მაგრამ ამ
თემაზე საუბარი ორი ვარაუდების გამო ვინდა
განვავროთ: 1) „კალევალას“ დედნის ენა, ესე
იგი ფინური, ჩემი სპეციალური კვლევის საგა-
ნი, 2) 1970—წლის განმავლობაში ფინურ და
რუსულ ენებზე გამოვიდა „კალევალას“ ახალი
ვარიანტი.

ახალ ფინურ გამოცემაში ტექსტობრივი
ცვლილებები არ არის. ხოლო მასალა სულ ახ-
ლებურად არის დალაგებული. ტექსტების ახა-
ლი კომპოზიცია ევთონის აქ განსვენებულს
საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-
ერთ გამორჩეულ მესვეურს, ი. ბ. სტალინის
დიდ მეგობარს, ოტო კუუსინენს. ამ ახალი გა-
მოცემის შესახებ კარელიის ასსრ რესპუბლი-
კურ ჭაზეთში „ლენინსკაია პრადეში“ მოთავსე-
ბულ ვრცელ მიმოხილვაში სათაურით „კალევა-
ლას უწყნობი ჯეჯილი“ (ს. X. 70) გაითხრობო
„კალევალას“ ეს ახალი კომპოზიცია კარელური
ხალხური ეპოსის უბაღლო მკოდნის აკადემი-
კოს ო. ვ. კუუსინენის მრავალწლიანი შრომის
ნაყოფია“.

რა კომპოზიციური სახლეა ახალ გამოცემაში?
როგორც ცნობილია, ასზე მეტი წლის წინათ
„კალევალას“ რუნების (ლექსების) პირველი
შეშკრები და სწორედ კომპოზიციის საბით გა-
მოცემული იყო ლიონროტი. კომპოზიციის
პრინციპისათვის შემდეგ გამოცემაშიაც არავის
უღალატია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხური
მასალის კომპოზიციური საბით (და არა ხელუბ-
ნებლად, ისე როგორც ის ხალხში ჩაიწერა) გა-
მოცემა ფოლკლორისტა წრეში დიდი ხანი
მხარდაჭერას ვერ პოულობს. ქართული თარგმა-
ნი გადმოღებულა: იმავე ლიონროტისაველი
კომპოზიციის შქონე 1949 წელს გამოცემული
რუსული თარგმანიდან. ამ კომპოზიციის სუსტი
მხარე ის იყო, რომ მთელი წიგნის მანძილზე
სიუჟეტის ვაშლა ხდებოდა ერთდამად დროს
ოთხ პარალელურ ასპექტში, თვითველ ლექსში
(რუნოში, თავში) ერთმანეთში იყო გათქვეფი-
ლი გმირობის, საშვაროს შექმნის, სიყვარულისა
და ხალხური რიტუალების მოტივები. კუუსი-
ნენმა ახალ გამოცემაში დააცალკეა ისინი, შოა-
ვარი ადგილი დაუთმო ძირითად მოტივს გმი-
რობაზე, კარელა-ფინეთის შვილების ვიწრომე-
ინენის, ილმარინენის და სხვათა ბრძოლებზე ხა-
ლხის საყთოდღეოდ (ამან დაიკავა წიგნის
ორი მესამედი). მას წინ წაუძღვარა თქმულე-
ბები საშვაროს წარმოშობის შესახებ (მზელე-
თის, ცეცხლის, რკინის გაწენა და სხვ.). ბოლო-
ში დაურთო ცალკე შეკრებილი ლირიკული და
საყოფაეხებურებო-რიტუალური რუნობები (სა-

სურველია ეხმარათ ტერმინი რუნო და არა
რუნა. ფინურში სწორედ რუნოა (runo),
ხოლო რუსულში სხვადასხვა ტერმინები და
ეხმარებიან მიზეზების გამო სწორედ მათს.
ინეს ეხმარათ рунa). ასეთ კომპოზიციურ და-
ლაგებაში თვითველი მოტივი გამოლიანდა, გაი-
მართა, უკეთესად აეღურდა და გმირების სახე-
ზეც უკეთ გამოიკვეთა.

ახალი ფინური ვარიანტი რუსულად უთარგ-
მნიათ ნ. ლანეს, მ. ტარასოვას, ა. ტიტოვსა და
ა. ჰერმევაარას (რედაქტორი ჰერმევაარა, ილუ-
სტრაციები ტ. იუფასი, პეტროზეოვსკი, 1970).
ამ თარგმანს მაღალ შეფასებას აძლევს ზემო-
ხსენებული რეპორტაჟის ერთერთი ავტორი,
პროფესორი ვ. სიდელნიკოვი: „საერთოდ ჰერ-
მევაარაა უველა თარგმანი უაღრესად ზუსტია და
პოეტური... ტიტოვის თარგმანი მუსიკალური-
ბით გამოირჩევა და დიდ ესთეტიკურ სიამოვნე-
ბას ჰგვრის წიკთხელს. ასევე მაღალმა-
ტერეზადაა შესრულებული ლანესა და ტარა-
სოვის თარგმანები. ავიღოთ თუნდაც ფინური
საერავის „კანტატა“ რუნო. ის თავიდან ბო-
ლომდე დაუცვლებელი სიმღერა“.

ამ მთარგმნელთა ჯგუფს აქტიურად ეხმარე-
ბოდა და მათ შედეგებს სისტემატურად ამოწმე-
ბდა 1960 წლიდან თვით ოტო კუუსინენი. ცნო-
ბილი ფოლკლორისტი პროფესორი ვ. ევსეევი
ეგონებს (იხ. იქვე ხსენებულ რეპორტაჟში), თე
როგორი მზრუნველობით უმოწმება იგი მთარ-
გმნელებს თვითველი ნაწევრების თარგმანს, აქ-
ლევდა რჩევა-დაჩრავებებს, რათა თარგმანი რაც
შეიძლება ახლო ყოფილიყო დედანთან შინაარ-
სითაც და გლერადობითაც.

ქართულ თარგმანთან დაკავშირებით საინტე-
რესოა ვიცოდეთ, რომ კუუსინენის მეთვალეუ-
რებობით სრულდებოდა 1949 წელს გამოცემე-
ლი რუსული თარგმანიც, ამან განაპირობა რუ-
სული თარგმანის უღავო მაღალი დონე. ქარ-
თულ ენაზე უშუალოდ რუსულიდან თარგმნა კა
იმან განაპირობა, რომ ჩვენში ფინური ენის
მკოდნე პოეტები არ იყვნენ, მაგრამ ასეთ შემ-
თხვევაში, ბენებრივად, მათ, ვინც ასეთ ეროვ-
ნული საუნების თარგმანს მოჰკოდებს ხელს, დე-
დნის პუკარედი შაინც უნდა ჰქონდეთ საურდ-
ნად, რომ თარგმნის თარგმანმა უზუსტობათა რი-
ცები არ გააორკეოს.

საყურნალო სტატიაში შეუძლებელია თუნდაც
იმისი ჩამოთვლა თე რა შეიძლებოდა თქმული-
ყო ასეთი სქელტანიანი წიგნის შეფასებისას,
როგორცაა „კალევალა“. გამოუვქვითი მხო-
ლოდ ზოვად მოსაზრებებს თარგმანის აკვარგია-
ნიობაზე და მიუვითითებ მხოლოდ ერთ მაგალით-
ზე.

ქართულ თარგმანში მართლაც არის შემთხვე-
ვები ორმაგი უზუსტობისა. მაგ. 60 გვერდზე:
ერის თანგართ მოამავე, ლევენდის მიხედვით
შეიღასი წლის ბრძენი ვეინემეინენი თავის ქვე-

უნაში პირველად ჰედებს ხელს მხენელმთესველობას. მან დიდხანს იმტერია თავი იმის გამოცნობაზე, თუ

ინ დაუთესავს დაუხენელ მიწას, ვის შეუძლია გაფანტვა თესლის? და ბოლოს მოაგონებს:

პელერკოინენ, ველების შეილი, პატარა ბიჭი, პატარა სამსა, მას დაუთესავს დაუხენელ მიწას, მას შეუძლია გაფანტვა თესლის.

მაგრამ უნდა ვიკოდეთ, რომ ფინურ დედანში გვაქვს არა „გაფანტვა“, არამედ „დათესვა“. „ფანტვა“ ტარმინი პირველად რუსულ თარგმანში შეიტანეს. იქ წერია:

Пеллервойнен, сын поляны,
Это Сампа, мальчик-крошка,
Он ему засеет землю,
Он рассыпать может семя!

რუსულში ამ სიტყვის ხმარების აუცილებლობა, ალბათ ლექსის ზომამ წარმოუვა. ჩვენ ვიცით და არა ვკამათობთ იმაზე, რომ ლექსის თარგმნისას ზოგი რამ იძულებით კეთდება, რამდენადაც ამას ლექსის მეტრიკა მოითხოვს. მაგრამ გადაზრდა მიანიც გადახარა, აქ უნდა იყოს დაძლეო ზომიერების საზღვრები. ხოლო ქართულ თარგმნელებს, როგორც ჩანს, იმდენად მისწონებიათ ეს სიტყვა, რომ მომდევნო სტრიქონებში სამჯერ გაუშეორებიათ. და ეს მაშინ, როდესაც „ფანტვის“ მაგიერ უველგან შეიძლებაოდა ხმარებულიყო იმავე ზომისა და ფერადობის კანონიერი „თესვა“, რაც ფინურ დედანს შეესაბამება, ვარდა ერთი ადგილისა, რომელიც ქართულად უთარგმნიათ „მას შეუძლია გაფანტვა თესლის“; დედნისეული Toukoja tihittä-mähän ნიშნავს სავაზფხულო თესლის ხშირად (სქლად) ჩაყრას მიწაში (Густо-густо сеять яровые).

მიუხედავად არც თუ იშვიათი ანალოგიური შემთხვევებისა, ქართული თარგმანი საერთოდ საკმაოდ ზუსტია, საკმაოდ ადეკვატური და მაღალ მხატვრული. ეს კი განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: 1) რუსული თარგმანის სიზუსტემ, 2) იმან რომ ფინურსა და ქართულს, რუსულისაგან განსხვავებით, თითქმის უველფერი საერთო აქვს ლოგიკური და მუსიკალური მახვილის ხმარების მხრივ (ფინურში მახვილი პირველ ხმოვანზეა), 3) რაც მთავარია, იმან, რომ ქართულ თარგმნელებს გააჩნდათ უტყუარი ენობრივ-პოეტური აღი. თქმულის დასადასტურებლად ისევ ციტირებულ ადგილს მოვიტანოთ. იქ წერია: რომ ერთი ვინმე ბიჭი, სახელად პელერკოინენი, აბის ველებს მის შეილი სწორედ ასეა თქმული ფინურ დედანში: Pelkon-pelto ნიშნავს „ველს“, რუსულზე თარგმნელებს „ველის“ მნიშვნელობით უხმარიათ

სიტყვა поляна, რაც ნიშნავს მცნარეებით გარემოცულ პატარა ღია ადგილს (მდელოს), ქართულ თარგმნელებს სრულებით სარგოლიანად ეპყვის ქვეშ დაუყენებიათ ეს სიტყვა მისი შეზღუდულობის გამო და შეუცვლიათ ის უფრო მეტი სილალისა და აღმადრეის მქონე „ველით“, რაც სრულებით შეესაბამება დედანს: დედანში აქ ნაველისხმეგია მხენელ-მთესველობის მფარველი ღვთაება. ამგვარად, აქ შობდა პირიქით: თარგმნის თარგმანში გასწორდა პირველი აღმადრეის უზუსტობა.

ეპოსი „კალველა“ დედანშიც ურთიმო ლექსია და რა თქმა უნდა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე თარგმნისას ასევე დარჩა. თუმცა თარგმნებისაგან განსხვავებით, ფინურ კალველას ახასიათებს ალიტერაციის, ანაფორისა და სხვა კეთილ ფერადობის იმდენად მდიდარი ენობრივი საშუალებები, რომ ლექსის გაურითმობის ანაზღაურება მათი საშუალებებით მშვენიერად ხერხდება. მაგრამ სამწუხაროდ ამან ვერ პოვა გამოხატულება არა თუ 1949 წლის რუსულ და აქედან. ქართულ თარგმანში, არამედ უახლეს (1970 წლის) რუსულ თარგმანშიც. პროფესორს სიდელნიკოვის ზემოხსენებულ სტატიაში ნათქვამია: „სამწუხაროდ თარგმანში არაა მკაფიოდ გადმოცემული სახეთა და ფერთა პოეტური სიმდიდრე, როგორც ჩანს, არ ხერხდება თარგმნისას ალიტერაციისა, ანაფორისა და სხვა კეთილხმოვანების საშუალებების გადმოცემა, რითაც ასე მდიდარია კარლო-იანიფიის ეპოსის ენა. დედანში თვითველი სტროფი აგებულია ბრწყინვალე ალიტერაციის მთელ სისტემაზე“.

ჩვენ მაგნიტოფირზე გვაქვს ჩაწერილი (1969 წელს ფინებთან დალაშქროლოგიურ ექსპედიციის უოფინის დროს) „კალველას“ პირველი ტომო ყოფინის სახით: დელამაციით და სიმღერით (როგორც ის სრულდება ხოლმე). ყოველი მათი მომსმენი ადვილად დარწმუნდება დედნის ალიტერაციულ კეთილფერადობაში.

ამვე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთაველის ენას ალიტერაციის მოშველიების თვალსაზრისით ძალიან დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

„კალველა“ ბევრი რამითა ხიბლავს მკითხველებს, მათ შორის ეპიურობითაც. მას ბევრი აქვს საერთო ძველ ბერძნულ ეპოსთან; ის საოცრად ეხმარება რუსთაველის მანერას პიპერბოლოზაციის ხერხების გამოყენებაში. ავიანდლი ფრიდონის საძებნელად წასული

მიომღერის ხმასაც ტყილსა, არ დასწყევტდის ცრემლთა რუსა მისსა ხმასა თანა ხმაცა ბუღბუღლისა ჰგეანდეს ბუსა.
(„საბჭოთა საქართველოს“ 1970 წლის გამოცემა გვ. 175).
შემდეგ:



რა ესმოდის მღერა უმისა,
სმენად მხეცნი შოეილიან,
მისევ ხმისა სიტყბოსავან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან,

რა ატირდის, ატირდიან,
იშლერს ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლი სდიან.

„კალეველასი“
ბრძენი ვეინეს სიმღერის ხმაზე
არწივი დაბლა დაეშვა ციდან,

ლევა ღრუბლები დატოვა ქორამ,
ნაკადებიდან ამოხტენენ იხენ,

წამოიშალენ გედები ტბაზე...
ბმელეთს თევზების მოაწყდა ჯოგი...

არ დარჩენილა არც ერთი გმირი,
რომ არ ეტიროს ეგენეს ხმაზე,
თვითონაც ტირის ვეინე ბრძენი,
მას ღამღამით ცრემლები მოსდის.
(გვ. 582)

„კალეველას“ ქართულად გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ქართული პოეტური პათოსი ამ მიმართულებით კვლავაც არ შენეულდება. როგორც ზევით უკვე ითქვა, „კალეველას“ ტექსტის დაზუსტება თანამედროვე მეცნიერული ცოდნის, პრაქტიკული გამოცდილებისა და პოეტურ-მხატვრული არსენალის გამოყენებით ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

მიხეილ ჩხიკვაძე

ქართული მეცნიერის საუბრადღებო ნაშრომი

ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნების ისტორიის სწორი პარტიული პოზიციებიდან შესწავლა ახალგაზრდა თაობის და მოელი საზოგადოებრიობის პარტიული და ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. დღემდე ჩატარებული წყობილი მუშაობის მიუხედავად, მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის ირგვლივ მონოგრაფიული გამოკვლევების, სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნების უკმარისობა მაინც მტკივნეულად არაჩნობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ამ ხარვეზებს მნიშვნელოვნად აყვებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გივი კლდრიაშვილის წიგნი.

სარეცენზიო წიგნი ძირითადად ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომია. მასში თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხებია განხილული. ავტორი დიდ ადგილს უთმობს ახალი ისტორიის საგნის, ამოცანების და მნიშვნელობის მეცნიერულ განმარტებას, გეაქნობს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ არსებულ თვალსაზრისს, საფუძვლიანად ჩერდება ბერძენული ისტორიოგრაფიის მარქსისტულ კრიტიკაზე. წიგნში განხილულ საკითხთა წრე შეტად მრავალფეროვანია.

ახალი ისტორიის წყალმცოდნეობის შესახებ, ავტორი მიმოიხილავს იმ მასალებსა და დოკუმენტებს, რომლებიც წლების განმავლობაში გამოვლდებოდა ახალი ისტორიის პრობლემური საკითხების ირგვლივ.

წიგნში ავტორი მსჯელობს ახალი ისტორიის

ის პრობლემატიკისა და თეორიაში არსებულ სიახლეებზე ბერძენული საზოგადოების ჩამოყალიბების, განმტკიცების, აყვავების, დაუძღვრებისა და დაცემის ეპოქაში. ამ პერიოდისათვის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად შეიცვალა ისტორიოგრაფიის პრობლემები, ზერხები და მეთოდები. თუ წინა პერიოდის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო თემატიკისა და პრობლემატიკის შეზღუდულობა, ახალი ეპოქის განმანათლებლურ — ბერძენული ისტორიოგრაფიამ საისტორიო პრობლემატიკას სახე უცვალა. მათ გამოაცხადეს, რომ საზოგადოების ისტორიის შესწავლა კვლევის ობიექტური საბუნებისმეტყველო მეთოდით უნდა ხდებოდეს. რითაც სქოლასტიკის მძლავრი დარტყმა მოაყენეს. მაგრამ ცალკეულ სიახლეთა მიუხედავად, ეპოქის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას მაშინდელმა ისტორიკოსებმა კლასობრივ-ბერძენული შეზღუდულობიდან თავის დაღწევა ვერ შეძლეს.

ნაშრომის მომდევნო თავში მოთხრობილია ახალი ისტორიის კონკრეტული პრობლემების დამუშავების მდგომარეობაზე ევროპისა და ამერიკის ისტორიოგრაფიაში მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ავტორის სამართლიანი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის თავადაზნაურულმა და ბერძენულმა ისტორიკოსებმა უაღრესად თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს, მათ მაინც ვერ შესძლეს და არც შეეძლოთ, მსოფლიო ისტორიული პროცესის სწორი მეცნიერული გაგება. ისინი ბოლომდე იდეალისტური შეზღუდულობის ტყვეობაში დარჩნენ.

გივი კლდრიაშვილი, ახალი ისტორია წიგნი I, 1970

მხოლოდ მარქსისა და ენგელსის სახელთანა დაკავშირებული ისტორიის შემპირებულ მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანა. მათ მიერ ისტორიული მატერიალიზმის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება ისტორიული აზრის უდიდესი გამაჩრვება იყო. მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს მოძღვრება საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციათა შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ პერიოდიზაციას.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალი ისტორიის კონკრეტულ პრობლემათა მეცნიერული გაშუქების საქმეში ე. ი. ლენინის დამსახურებათა ირგვლივ საუბარს.

ლენინმა დაიცვა და შემდგომაც განავითარა მსოფლიო ისტორიული პროცესის მარქსისტული კონცეფცია. მან მეცნიერულად დაასაბუთა იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული ისტორიული აზრის კრიზისის მიზეზები, დაასრულა მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის მეცნიერულად გადაწყვეტის საქმე, ლენინის უცნაურობის ცენტრში იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ანტიკოლონიური ბრძოლის, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის, ბურჟუაზიული რევოლუციების წინაპირობათა შესწავლის, სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების, მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის, II ინტერნაციონალის შეფასების, პარიზის კომუნის შესწავლის, იმპერიალიზმის განსაზღვრისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემები (გვ. 203-212).

წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში ახალი ისტორიის შესწავლის მდგომარეობაზე საუბარს. ავტორი იხილავს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოსების შეხედულებებს, მისი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული სამყაროს ისტორიოსების შორის არსებობს მრავალრიცხოვანი მიმართულებები და სკოლები, ყველანი ერთ საერთო მიზანს ემსახურებიან — გამართონ კაპიტალიზმის უცვლელობა, «დაასაბუთონ» კომუნის უნიდაგობა.

აქვე ლაპარაკია თანამედროვე ევროპის მარქსისტული ისტორიოგრაფიის ირგვლივაც. ავტორი ვრცლად ჩერდება ინგლისის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაზე, რომელსაც ჯერ ეიდევ გასული საუკუნის დამლევებიდან ეყრება საფუძველი.

ნაშრომში საუბარია აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მხრივ ანტიმარქსისტული ბრძოლის შესახებ. ავტორის სამართლიანი თქმით, ძირითადი პრობლემა, რომელიც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის

წინაშე დგას, ესაა ბრძოლა ისტორიული მიქტირიალიზმის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ ისტორიული მატერიალიზმის ფუნქციონირებაზე დაბალიდების გზით დაადასტურონ „გამეტყველებული სისტემის მარადიულობა“.

ნაშრომში ფართოდაა განხილული ახალი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოპოვებული მიღწევები, წიგნში ნაჩვენებია, რომ ინტენსიური სამუშაო მუშაობა ახალი ისტორიის პრობლემათა გაშუქების თვალსაზრისით მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაიმართლებიან წლებიდან მოყოლებული საბჭოთა მარქსისტმა ისტორიკოსებმა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მეორე საუკუნეებში პრობლემა დაამუშავეს. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ახალი ისტორიის შესწავლის საკითხში საქართველოში არსებული მდგომარეობის განხილვას.

ავტორის თქმით საქართველოში მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის პრობლემის მეცნიერული დამუშავების გაშლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელთანა დაკავშირებული. ამ მხრივ პროფ. გრ. ნათაძის მიერ დაწყებული მუშაობა შემდგომად ვაგაჩიძელა და გააუარყოფა პროფ. აღ. ნაშირაძემ. მისი ზღმძვანელობით აღზარდა ახალი ისტორიის სპეციალისტთა ახალგაზრდა კადრები, რომლებმაც მნიშვნელოვნად წასწიეს წინ მსოფლიო ისტორიის დამუშავების საქმე.

სარეკენზიო წიგნის მომდევნო თავი ახალი ისტორიის პერიოდიზაციის გარკვევას ეძღვნება. ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიის პერიოდიზაციამ საერთოდ, ევროპულ კი ახალი ისტორიის პერიოდიზაციამ, სწორი მეცნიერული დასაბუთება მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჰყო.

ბოლო თავში კი ახალი ისტორიის სწავლების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის ირგვლივია ლაპარაკი.

ასეთია ეს ძირითადი საკითხები, რომლებიც სარეკენზიო წიგნში მეტ-ნაკლები სიღრმითაა განხილული. ამ ნაშრომის გაცნობა ნათელს ხდის იმ დიდ და სამომავლო მუშაობას, რომელიც ავტორის ახალი ისტორიის თეორიული პრობლემების მეცნიერული სიღრმით შესწავლის თვალსაზრისით ჩატარდება.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უდიდოდ დადებით შეფასებას იმსახურებს, მას მაინც გააჩნია ნაკლოვანებები, რომელთა გათვალისწინებაც წიგნის ახალი გამოცემის სრულყოფას ვუჭირობთ ზელს შეუწყობს.

1. ჩვენი შეხედულებით წიგნის სახელწოდება „ახალი ისტორია“ საესებით სრულყოფილად არ ასახავს მის შინაარსს. ამ საქმოდ სოლიდური მოცულობის ნაშრომში მსოფლიო

ისტორიის ახალ მონაცემთა მსოფლიოს ხალხთა ისტორია არაა გადმოცემული, არამედ საკითხის ისტორიოგრაფია და საერთოდ თეორიული მსჯელობანია მოცემული. უფრო მართებული იქნებოდა, რომ სერტენზიო წიგნის სათაური იქონიერებდა არა „ახალი ისტორია“, არამედ „ისტორიული მეცნიერება ვერობასა და ამერიკაში კაპიტალიზმის ეპოქაში“, ან ახალი ისტორიის შესავალი.“

2. ნაშრომი შემოფარგლულია მხოლოდ რამდენიმე ბურჟუაზიული ქვეყნის (ინგლისა, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, ამერიკა) ისტორიოგრაფიის გადმოცემით. რატომღაც გამოტოვებულია იტალიის ისტორიოგრაფია. წიგნში მისი წარმოდგენა კი უდაოდ საჭირო იყო, როგორც ცნობილია, იტალიაში მალაღობრულად განვითარებული არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ მარქსისტული ისტორიოგრაფია.

წიგნის ნაყლა ისიც, რომ მასში ვერობისა და აზიის სახალხო დემოკრატიულ ქვეყნების ისტორიოგრაფიის გადმოცემას, რატომღაც გვერდი აქვს ავლილი.

3. ვერობის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა ისტორიოგრაფიული მიმართულებების ირგვლივ მსჯელობას, ავტორი ხშირად იჩენს გატაცებას ისტორიოსთა გვარების ჩამოთვლით, მას თითქმის არცერთ ისტორიკოსს არ დარჩენია მოუხსენებელი. ამის შედეგად რიგ გვერდებზე ათეულობით ისტორიკოსის გვარი ან მათი მხოლოდ ნაშრომების სახელწოდებებია ჩამოთვლილი (იხ. გვ. 85, 87, 89, 95, 98, 100, 115, 119, 141, 334, 336 და ა. შ.), ეს გარემოება წიგნს წასაკითხად ამძიმებს. გაიკლებით აქოებდა, რომ ავტორს ცალკეულ ისტორიოგრაფიულ სკოლებსა და მიმართულებებზე მსჯელობისას, მხოლოდ რამდენიმე ტიპური ისტორიკოსი გამოეყო და მათი ნაშრომების საფუძვლიანი ანალიზი მოეცა.

4. წიგნში სხვადასხვა ისტორიკოსთა შრომებიდან ციტატები თითქმის ყოველ გვერდზეა დამოწმებული, მაგრამ წყაროებზე მითითებული არაა.

წიგნის ნაყლა ისიც, რომ დასკვნები არ აქვს გაკეთებული არც ცალკეულ თავებს და არც საერთოდ ნაშრომს. ამ მხრივ გამოწყლის მხოლოდ მეორე თავი შეადგენს.

5. ნაშრომის 327-ე გვერდზე ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფიის მიერ ვერობელი ცხოვრების შეფასებასთან დაკავშირებით ავტორი ეხება „ოფიციალური ხალხთა თეორიის“ და ვაძლევს მის განმარტებას. მისი სიტყვით, ამ თეორიის მიხედვით „ერი ესაა ერთიანობა ხალხისა და მეფისა“, რომ ამ თეორიის ქადაგებდა „ოფიციალური ისტორიოგრაფია ს. მ. უვაროვის, მ. პ. პოგოდინისა და

სხვათა სახით“. ავტორის ამ განმარტებებში ადგილი აქვს უზუსტობას.

ერე ერთი, „ოფიციალური მსჯელობის“ მიზანი „ერის“ განსაზღვრა კი მარტო იქნება, რომ თვითმპყრობელობისა და მართლმადიდებლური რელიგიისადმი ერთგულება რუსი ხალხის ეროვნული თვისებააო, ავტორულ თვისებაზე“ ლაპარაკს კი არაფერი აქვს საერთო ერის განმარტებასთან. ამასთან ერთად, ეს თეორია რუსული ცხოვრების საწყისად „მართლმადიდებლობას, მეფესა და ერს“ კი არ მიიჩნევს, როგორც ამას სარტენზიო წიგნის ავტორი გვთავაზობს, არამედ მართლმადიდებლობას, თვითმპყრობელობას და ხალხთაობას. „ერი“ ან „ხალხთობა“ კი ერთი და იგივე შინაარსის ტერმინები (სინონიმები) არაა.

მეორეც: ავტორი ს. უვაროვის მიიჩნევს მ. პოგოდინსეგზე ოფიციალურ ისტორიოსად. სინამდვილეში კი გრადი უვაროვი ისტორიკოსი არასოდეს ყოფილა. იგი რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი იყო. მის შექმნა რა „ოფიციალური ხალხთაობის თეორია“, ცდილობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის შთელი აღზრდის სისტემა მის საფუძველზე აეგო. ამ თეორიის დამცველი ოფიციალური ისტორიკოსები კი პოგოდინთან ერთად უსტრიალოვი, პოგდანოვიჩი, შვერიოვი, კოტეფი, მიხაილოვსკი-დანილოვსკი და სხვ. იყვნენ.

6. ნაშრომში ადგილი აქვს ძირითადი საკითხიდან გადახვევის, გაჭინურებული თხრობის შემთხვევებს, რითაც ეპოპოზიკა გარკვეულად ირღვევა. ასე, მაგ. შეიქვეს თავის მესამე ქვეთავში „ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში“, ლაპარაკია ისეთ საკითხებზე, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ისტორიოგრაფიასთან (იხ. გვ. 347-352). მართალია, ქართველი საზოგადოებრიობა, რომ დიდ ყურადღებას იჩენდა ბალხაისა და სხვა გამოჩენილი მწერლების მიმართ, თავისთავად კონტრეტსო ფაქტია, მაგრამ მასზე მსჯელობა სარტენზიო წიგნის ფუნქციებში არ შედის. ასევე გაჭინურებულია დროსა და სივრცეში მატერიალურ არსებობის შესახებ საუბარი (იხ. გვ. 347-369). იგივე თქმის ნაშრომის მეშვიდე თავის მიმართაც. ამ თავის მიზანია ახალი ისტორიის პერიოდიზაციის გარკვევა ავტორი კი საუბარს იწყებს ძველი წელთაღრიცხვის მე-8-7 საუკუნეებიდან, რაც სრულად ზედმეტად გამოიყურება (იხ. გვ. 369-409). გაჭინურებულია აგრეთვე ახალი ისტორიის შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობის შესახებ თხრობის დაწყება პირველყოფილი და მონათმფლობელური წყობილებიდან (იხ. გვ. 437-438).


7. ნაშრომის 199-ე გვერდზე ავტორი ლაპარაკობს „კაპიტალიზმის გენეზისის მეცნიერულ

შესწავლაში“ მარქსისა და ენგელსის მიერ „დიდი წელიწადის“ შეტანაზე. ასეთი გამოთქმაც ერთგვარად საზოგადოებრივ გვერდებზე. მარქსისა და ენგელსის როლი აღნიშნული საკითხის შესწავლაში „წელიწადის“ (თუნდაც დიდით) არ შემოიფარგლება. სინამდვილეში მარქსმა და ენგელსმა პირველმა მოგვცეს კაპიტალიზმის გენეზისის ღრმა თეორიული დასაბუთება. ავტორს ალბათ მხედველობაში ჰქონდა ევროპაში კაპიტალიზმის გენეზისის დასაწყისის ქრონოლოგიური განსაზღვრა. თუ ასეა მაშინ სადაო არაფერი გვაქვს.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა პროფ. გივი კლდრავის ნაშრომის მეცნიერულ-მეცენებრივითი ღირებულება დიდია. იგი წარმოადგენს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ პირველ თე-

ორიულ ნაშრომს. რომელშიც ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიაა გადმოცემული ენა-წარმოში დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ სტუდენტ ახალგაზრდობას, ასპირანტებს, პედაგოგებს და სპეციალისტებს, არამედ მსოფლიო ისტორიით დაინტერესებულ ქართველ მკითხველთა უმეტეს წრეს. ამიტომ გ. კლდრავის ეს წიგნი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო შენაძენია. ამ ნაშრომის გამოქვეყნებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ქართველ ახალგაზრდობას სპეციალისტებსა და მკითხველ საზოგადოებას, ზენი ეროვნული იუბილეს დღეებში კარგი საჩუქარი მიუძღვნა.

ზ. შველიძე



ფაზი 80 333.


ИНДЕКС
76128

„М Н А Т О Б И“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ